ხელოვნური ნეირონობა

მაჩიტე ჯანელიძე

ქართული ნეოლოგია

სტუდენტებისთვის

ჰეზიდენტებისთვის

ექიმებისთვის

მაია ჯანელიძე

თბილისი 2013

© მარინე ჯანელიძე; „ლინიჯური ნევროლოგია“

ISBN 978-9941-0-1904-3

დიზაინი, კომპიუტერული გრაფიკა და დაკაბადონება ნანა სებისკვერაძის

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთობას

ავტორი მადლობას უხდის თიბისი ბანკს ფინანსური მხარდაჭერისთვის

მონიშნებით ვუძღვნი ჩემი დიდი მასწავლებლის,
აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილის
ნათელ სხოვნას

თანამონაწილენი

სოფიო აფხაიძონიძე - ნევროლოგი, ჰანოვერის სამედიცინო ინსტიტუტის უცხოენის აკადემიური სასწავლო კლინიკის ნევროლოგიური კლინიკა

სოფიო ბახტაძე - მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტი

მაია ბერიძე – ნევროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნანა თევზაძე – მედიცინის დოქტორი, ნეიროფიზიოლოგი, ს. ხერხეულიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ნევროლოგიის დეპარტამენტი

მაკა კუკავა- ნევროლოგი, ს. ხერხეულიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ნევროლოგიის დეპარტამენტი

მიხეილ ოკუჯავა – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჰადიოლოგი, ს. ხერხეულიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ჰადიოლოგიის დეპარტამენტი

ნათია ოკუჯავა – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ნევროლოგი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ანა ძაგნიძე - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ნევროლოგი, ს. ხერხეულიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ნევროლოგიის დეპარტამენტი

ირინე ხატიაშვილი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ნევროლოგი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასისტენტ – პროფესორი

მარა ჯიბლაძე მედიცინის მეცნიერეათა კანდიდატი, ნევროლოგი, ელექტროფიზიოლოგი, საქართველოს ძილის ასოციაციის პრეზიდენტი

ნინასიტყვაობა

ცვინის ათწლეულის ფარგლებში (1990-2000) ნეირომეცნიერების არნახულმა განვითარებამ, ნეიროგამოსახვიტი ტექნოლოგიების, მოლეკულური გენეტიკის, ნეიროქიმიის და ნეიროფიზიოლოგიის მიღწევებამ განაღირობა ძირითადი ნევროლოგიური დაავადებების ეტიოლოგიის და პათოგენეზის შესახებ არსებული შეხედულებების საფუძვლიანი განახლება. თავის მხრივ ამან ხელი შეუწყო ახალი მედიკამენტური და არამედიკამენტური სამკურნალო სტრატეგიების შემუშავებას. ამ ფონზე ნევროლოგია ზუსტი ტოპიკური დიაგნოსტიკის დატარდისკულად ნაკლებად შედეგიანი სამედიცინო დისციპლინ-იდან თანდათან ჩამოყალიბდა მედიცინის ეთიკით ნარმატებულ,ეფექტის დარგად.

უკანასკნელ წლებში სტუდენტებთან, ექიმებთან ახალგაზრდა ექიმებთან პედაგოგიურმა და პროფესიულმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ მიუხედავად ქართულ სამედიცინო სამყაროში ინგლისურენოვანი ბეჭდვითი და ელექტრონული პროფესიული ინფორმაციის თანდათანობითი დამკვიდრებისა, აუცილებელია კლინიკური ნევროლოგიის თანამედროვე, საბაზისო, სისტემატიზირებული სახელმძღვანელოს არსებობა მშობლიურ ენაზე.

ორიგინალური სტრუქტურის მქონე ქართულენოვანი სახელმძღვანელოს შექმნას წინ უძღოდა მსოფლიოში აღიარებული ნევროლოგიის ათზე მეტი სამაგიდო წიგნის, მალარქივირებული ნევროლოგიური ჟურნალის შესწავლა და მიკვალმხრივი ანალიზი.

წინამდებარე სახელმძღვანელო მოიცავს ძირითადი ნევროლოგიური სინდრომების და დაავად-ებების აღწერილობას, სადაც კლინიკური მონაცემები და ნეირომეცნიერების მიღწევები მაქსიმალურად არის შეჯერებული, ნეიროგამოსახვითი და ნეირომორფოლოგიური ილუსტრაციები, ისევე როგორც ქართულ ენაზე მოწოდებული ნევროლოგიური სქემები მკითხველს მნიშვნელოვნად გაუადვილებს თანამედროვე ნევროლოგიის ლაბირინთებში გზის გაკვლევას.

დიდ მადლობას მოვახსენებ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნეირომედიცინის დეპარტამენტის, ს. ხერხეულიძის სახელობის კლინიკის იმ თანამშრომლებსა და წიგნის ორიგინალური დიზაინის ავტორს, რომელთა თანამონაწილეობის გარეშე ეს წიგნი ვერ შეიქმნებოდა.

გულისყურითა და მადლიერებით მოველოდებით კოლეგებისა და მკითხველების ყველა შენიშვნასა თუ ხედვომენდაცას, სამომავლოდ მათ გასათვალისწინებლად (ელექტრონული მისამართი: marjaneli@yahoo.com

მარინე ჯანელიძე
აგვისტო, 2009 წელი თბილისი

ნევროლოგიური პათოლოგიების შეფასების საფუძველი

თავი 1 ნეირობიოლოგიის ზოგიერთი აქტუალური საკითხი ➡ 1
მარინე ჯანელიძე
თავი 2 პაციენტის ჩივილები და ძირითადი ნევროლოგიური სიმპტომები ➡ 15
მარინე ჯანელიძე, ანა ძაგნიძე
თავი 3 ნევროლოგიური გასინჯვა ➡ 47
მარინე ჯანელიძე
თავი 4 გამოკვლევის მეთოდები ➡ 101
მარინე ჯანელიძე, მიხეილ ოკუჯავა

ნევროლოგიური სინდრომები - ნევროლოგიური პათოლოგიის ძირითადი კლინიკური მანიფესტაცია

თავი 5 აფაზია, აპრაქსია, აგნოზია ➡ 135
მარინე ჯანელიძე
თავი 6 უმაღლესი ქერქული ფუნქციები ➡ 151
მარინე ჯანელიძე
თავი 7 ცნობიერება და მისი დარღვევის სახეები ➡ 169
მარინე ჯანელიძე
თავი 8 სინკოპე და ცნობიერების პაროქსიზმული შეცვლის სხვა სახეები ➡ 193
მარინე ჯანელიძე
თავი 9 ინტრაკრანიული ჰიპერტენზია ➡ 203
მარინე ჯანელიძე
თავი 10 ძილის დარღვევები ➡ 211
მარინე ჯანელიძე
თავი 11 თავის და ზურგის ტვინის ნეიროგანვითარებითი დაზიანებები ➡ 219
მარინე ჯანელიძე, სოფიო ბახტაძე
თავი 12 თავბრუხვევა, წონასწორობის დარღვევა და სმენის დაკარგვა ➡ 251
მარინე ჯანელიძე, ნანა თევზაძე
თავი 13 სპინალური დაზიანების სინდრომები ➡ 265
მარინე ჯანელიძე, სოფიო ფხაკაძე

უმთავრესი ნევროლოგიური დაავადებები

თავი 14 პირველადი თავის ტკივილები ➡ 273
მარინე ჯანელიძე, მაკა კუკავა
თავი 15 ეპილეფსია ➡ 289
ნათია ოკუჯავა
თავი 16 ნერვული სისტემის სისხლძარღვოვანი დაავადებები ➡ 343
მარინე ჯანელიძე, მაია ბერიძე

თავი 17 თავის ტვინის და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანებები ➡ 405
მარინე ჯანელიძე, მაია ბერიძე
თავი 18 ნერვული სისტემის დემიელინიზაციური დაავადებები ➡ 425
მარინე ჯანელიძე, ანა ძაგნიძე
თავი 19 თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნეები ➡ 443
მარინე ჯანელიძე, სოფიო ბახტაძე
თავი 20 ნეირომეგენერაციული დაავადებები - დემენცია ➡ 481
მარინე ჯანელიძე
თავი 21 მოძრაობითი დარღვევები ➡ 505
ირინე ხატიაშვილი
თავი 22 ნათხემის დაავადებები ➡ 547
მარინე ჯანელიძე
თავი 23 მოტონეირონის დაავადება ➡ 559
მარინე ჯანელიძე
თავი 24 ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციური დაავადებები ➡ 563
მარინე ჯანელიძე, სოფიო ბახტაძე
თავი 25 პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანებები ➡ 613
მარინე ჯანელიძე, ანა ძაგნიძე
თავი 26 ჯუნთების დაავადებები, ნერვ-ჯუნთოვანი სინაფსის პათოლოგია ➡ 655
მარინე ჯანელიძე, სოფიო ბახტაძე
თავი 27 თავისა და ზურგის ტვინის მეტაბოლური და ტოქსიკური დაზიანებები ➡ 683
მარინე ჯანელიძე, ანა ძაგნიძე
თავი 28 ჰიპოთალამუსი და ნეიროენდოკრინული დარღვევები ➡ 703
მარინე ჯანელიძე
თავი 29 ფსიქოსომატური დარღვევები ➡ 711
მარინე ჯანელიძე

1

ნეირობიოლოგიის ზოგითი ამოცანები საკითხი

ადამიანის თავის ტვინი ყველაზე უფრო ჰთუე რიგანოს წარმოადგენს, რამეთუ იგი განსაზღვრავს ადამიანის ცნობიერებას, შემეცნებას, ახსოვნებას, ეთიკურ პრინციპებსა თუ სახოგადოებრივ ქცევას. ადამიანის გენების 35% ნერვულ სისტემაში ვლინდება. მომწიფებული თავის ტვინი 100 მილიარდ ნეირონს და 100 მილიარდ გლიურ უჯრედს შეიცავს. მისი აქსონებისა და დენდრიტების სიგრძივი განფენილობა რამდენიმე მილიონ კილომეტრს აღემატება. ნერვული სისტემის ინტეგრაციული მოქმედების განმაპირობებელი მექანიზმების სირთულესა და სინატიფეზე შემდეგი მარტივი ფაქტები მეტყველებს: ნათხემის 10 მილიონი პურკინიეს უჯრედიდან თითოეულს გააჩნია 300 000 სინაფსური დაბოლოება. დაღმავალი პირამიდული გზა დაახლოებით მილიონ ბოჭკოს შეიცავს, მაგრამ ექსპერიმენტული ჯვლევებით ნაჩვენებია, რომ მარტივი მოძრაობის აქტის განსახორციელებლად, ტვინის ქერქიდან დაღმავალი მოდულაციური ზემოქმედება, 20-ჯერ მეტი რაოდენობის ნეირონით ხორციელდება.

ნეირონის აგზნებასა თუ შეკავებაზე მოქმედებს სინაფსური ჯავშირების პრაქტიკულად უთვალავი რაოდენობა. სწორედ ეს წარმოადგენს ნერვული სისტემის „ინტეგრაციული მოქმედების“ და ადამიანის მოტორული მოქმედების, ემოციების, ფიქრებისა თუ აზრების მრავალწახნაგოვანი პლიტრის ნეირობიოლოგიის საფუძველს. უკანასკნელ ნლებში უჯრედის ბიოლოგიის და გენეტიკის აღმოჩენებმა ნეირომეცნიერების სხვა მიღწევებთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ნერვული სისტემის დაავადებების ეტიოლოგიისა და პათოფიზიოლოგიის თანამედროვე შეხედულებებსა და, შესაბამისად, ახალი თერაპიული სტრატეგიების შემუშავებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კლინიკური ნევროლოგიის მრავალფეროვანი ასპექტების განხილვამდე, შევეჩერებით იმ ნეირობიოლოგიურ საკითხებზე, რომლებიც, ჩვენის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნევროლოგიური პათოლოგიის ახლებურ შემეცნებაში.




ფრანგი პიერ ბროკა Paul Pierre Broca (1824- 1880) ფრანგი ექიმი, ანატომი, ანთროპოლოგი. ბროკას ულიდეს აღმოჩენას მიეკუთვნება შებრის ნილების ქალა ვენტრალურ ნაწილში მეტყველების ცენტრის აღმოჩენა, რომელიც ამჟამად ბროკას ნილად არის ცნობილი, ხოლო ამ არის დაზიანებით განპირობებული აფაზია მოტორული ანუ ბროკას აფაზიის სახელს ატარებს. 1848 წელს „თავისუფალი მოაზროვნეების“ საზოგადოების დაარსების შემდეგ, რომლის წევრები დარვინის თეორიას იზიარებდნენ, ბროკა ეკლესიის მიერ ახალგაზრდობის გამოყვნელად იქნა მიჩნეული. სიცოცხლის მინურულს იგი საფრანგეთის აკადემიის და სენატის წევრად იქნა არჩეული.

ნერვული სისტემის ზოგიერთი სტრუქტურულ-ფუნქციური თავისებურება

ქალას ძვლოვან სტრუქტურაში მოთავსებული თავის ტვინი, რომელიც შემოხვეულია არაქნოიდული და მაგარი გარსებით, შედარებით ძნელად იტენშება, მაგრამ აღვილად დეფორმირდება. *ნორმალურ მდგომარეობაში ტვინის პარენქიმის, მოცირკულირე თავზურგ-ტვინის სითხის და სისხლის კამერი მოცულობა მუდმივი არის, რაც განაპირობებს ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას, ძვლოვან სტრუქტურებთან კონფლიქტის გარეშე.*

ტვინის შეშუპების, ანთების, სიმსივნის ან სისხლჩაქცევის დროს, ზომაში მომატებული ტვინის პარენქიმა, ღრუჭოები და ვენური სისხლის მოცულობის შემცირების ხარჯზე, მეტ მოცულობას იკავებს. ტვინი, გარკვეულ ეტაპამდე ეგუება ამ მდგომარეობას, მაგრამ აღაპტაციას ზღვარი გააჩნია, რომლის შემ-



ნიკოლას ფრიდრიხი Nikolaus Friedreich (1825-1882) გერმანელი პათოლოგი და ნევროლოგი, ფრიდრიხის გვახის მესამე თაობის ექიმი, მისი პაპის სახელს უკავშირდება სახის ნეირული ჰეპატიული დამბლის აღმოჩენა, რომელიც ჯერ-ჯერობით ნევროლოგიაში ბელის დამბლის სახელით არის ცნობილი. პათოლოგიას ფრიდრიხი ეუფლებოდა ვირხოვის ხელმძღვანელობით. მისი ნევროლოგიური საქმიანობა დაკავშირებული იყო ჰაიდელბერგის საუნივერსიტეტო კლინიკასთან. განსაკუთრებით დიდია ფრიდრიხის ნაშრომების, სომატური ნერვების, ტვინის ღეროვანი ნაწილების, ზურგის ტვინის დაზიანებების შესწავლასთან. მის სახელთან არის დაკავშირებული ფრიდრიხის დაავადება- რომელიც მან 1963 წელს აღწერა. მის სახელს უკავშირდება ეპონიმური ფრიდრიხის ტეხი, ფრიდრიხის სინდრომი, ფრიდრიხის ნიშანი. მის მონაფეებში იყვნენ ადოლფ კუსმაული და ვილჰელმ ერბი.

დეგ ვითარდება ტვინის სტრუქტურების დისლოკაცია. ჰემისფეროული პროცესების დროს, პირველ ეტაპზე, დისლოკაცია ჰორიზონტალური ხასიათისაა და ხდება ზომაში მომატებული ჰემისფეროს სტრუქტურების ფალქსის ქვეშ, მეორე მხარეს გადანაცვლება. ტვინის ხშირი კონსისტენციიდან გამომდინარე, იგი თანხლებულია პარენქიმის დაზიანებით და შესაბამისი კლინიკური სიმპტომოკომპლექსით. პროცესის შეუქცევადი ხასიათის შემთხვევაში, შემდგომ ეტაპზე ვითარდება ვერტიკალური დისლოკაცია ტვინის სტრუქტურების გადანაცვლებით ნათხემის ჯარვისაკენ, შემდეგ კი ნეფის დიდი ხვრელისაკენ, რასაც თან ახლავს ვიტალური ფუნქციების შეუქცევადი დაზიანება. უკანა ფოსოში პათოლოგიური პროცესის შემთხვევაში, სარეზერვო სივრცეების სიმცირის გამო, ვერტიკალური დისლოკაცია უფრო სწრაფად და დრამატულად ვითარდება.

თავის ტვინი მოიხმარს გულის ნუთმოცულობის დაახლოებით 20%, ხოლო მისი სისხლმომარაგება სტაბილურია, არტერიული წნევის ფართო დიაპაზონის შემთხვევაშიც. ჯეს უკანასკნელი ხოლიერება ბარორეცეპტორების და ლოკალური აუტორეგულაციის მექანიზმის საშუალებით. აღნიშნული მექანიზმი გულისხმობს, რომ არტერიული წნევის მომატების შემთხვევაში ადგილი აქვს თავის ტვინის მაგისტრალური სისხლძარღვების ვაზოკონსტრიქციას, ხოლო დაქვეითების შემთხვევაში – ვაზოდილატაციას. ყოველივე ეს განაპირობებს ტვინში სისხლის მუდმივ ნუთმოცულობას. აღნიშნული მარეგულირებელი მექანიზმი მოქმედებს სისტოლური არტერიული წნევის გარკვეულ ფარგლებში, სამუშაოდ 80-200 mm Hg . ამ საზღვრების მიღმა ხდება აუტორეგულაციის მექანიზმის მოშლა და ტვინში სისხლის ნუთმოცულობა არტერიული წნევის მაჩვენებლის ჰომოგენური ხდება.

ნეირონის აგზნებასა თუ შეკავებაზე მოქმედებს სინაფსური კავშირების პლასტიკურად უთვალავი ჰიპოთენობა. სწორედ ეს ნარმოადგენს ნეირული სისტემის „ინტეგრაციული მოქმედების“ და ადამიანის მოტორული მოქმედების, ემოციების, ფიქრებისა თუ აზრების მიკავშირებული ნეირობიოლოგიის საფუძველს.

ნევროლოგიური დაავადებების ეტიოლოგია

ნევროლოგიური დაავადებების უზარმაზარი სპექტრის გამომწვევი მიზეზები განსხვავებულია. ამათგან, ზოგ შემთხვევებში ნევროლოგიური პათოლოგიის ეტიოლოგიური ფაქტორები სხვა სისტემების დაზიანების მიზეზების მსგავსია, მაგრამ ზოგჯერ ნევროლოგიური დაავადების ეტიოლოგია და განვითარების მექანიზმები უნიკალურია და თვისობრივად განსხვავდება სხვა ორგანოთა დაზიანების ეტიოპათოგენეზისაგან.

ნეირული სისტემაში შეიძლება განვითარდეს ტრავმული დაზიანება, რომელიც გამოიწვევს ორგორც თავის, ასევე ზურგის ტვინის დაზიანებას. ტრავმით განპირობებული ნეირული სისტემის დაზიანება შეიძლება მეწყობდეს მსუბუქიდან ძალიან უნარშეზღუდულობასა და ლეტალურ გამოსავლამდე.

ნეირული სისტემის დისფუნქცია შესაძლოა გამოიწვიოს მეტაბოლურმა, ციტოლიტურმა და ენდოკრინულმა დარღვევებმა, რომელთა კლინიკური სიმპტომატიკა ნაცნობია ბევრი ადამიანისათვის. გარდამავალი ჰიპოქსია, ჰიპოგლიკემია და ჰიპოვოლემია ეს ის მდგომარეობებია, რომლებიც ადამიანს აიძულებს მოუნდეს ჰაერზე გასვლა, ქამა ან წყლის დალევა, ვინაიდან ეს მდგომარეობები ცნობიერი დისფუნქციის ტიპიური ფაქტორებს ნარმოადგენს. სუფთა ძალიან დარღვევებს განაპირობებს ღვიძლის, თირკმელების ან ენდოკრინული ჯირკვლების ქრონიკული დაზიანება. ჰიპოქსია და ჰიპოგლიკემია ნევროლოგიურ სიმპტომებს საკმაოდ სწრაფად განაპირობებს, მაშინ როდესაც სხვა მეტაბოლური დარღვევებისას, ნევროლოგიური დისფუნქციის განვითარება დაავადების ქრონიკულ, მორხნასულ შემთხვევებს ახასიათებს.

ალკოჰოლი, მედიკამენტები და სხვადასხვა ტოქსინები ნეირული სისტემის გარდამავალი ან მუდმივი დაზიანების კიდევ ერთი გამომწვევი ფაქტორია. ნეირული სისტემის დისფუნქციის ამგვარი მიზეზი კლინიკურ პრაქტიკაში უფრო

ხშირია, ვიდრე ნახმოგვიდგენია, ვინაიდან უმეტეს შემთხვევებში პაციენტები მაღავენ ტოქსიკომანიას ან ალკოჰოლის ჭარბ მიღებას.

ინფექციური პათოლოგია ნეიკული სისტემის დაავადებების ერთერთ გავრცელებულ მიზეზს ნახმოადგენს. ნეიკული სისტემის ინფექციური დაზიანება შესაძლებელია იყოს პირველადი, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში განვითარდეს მეორადად როგორც ბავშვთა ინფექციური დაავადებების ან ჰესპრიკატოკული პათოლოგიის გართულება. თანამედროვე თერაპიული არსენალის პირობებში, ეს დაავადებები შედარებით ნელთილოვანებიანი მიმდინარეობით ხასიათდება და მათი დიაგნოსტირება შედარებით იშვიათია.

ნეიკული სისტემის სისხლძარღვოვანი დაავადებები ყველაზე გავრცელებულ ნევროლოგიურ პათოლოგიას ნახმოადგენს. არტერიების ოკლუზიითა ან მათი გაგლეჯვით გამოწვეული იშემიური თუ ჰემორაგიული ინსულტები თანამედროვე უცგენტული მედიცინის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ჩვენთვის ამ ეტაპზე, ცერებროვასკულური დაავადებების აქტუალიზაცია, ამ დაავადებებით გამოწვეულმა მაღალმა ლეტალობამ, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინსულტებით განპირობებულმა უნარშეზღუდულობის მაღალმა ხარისხმა განსაზღვრა.

ჰემისფეროების ქერქისა და ბაზალური განგლიების ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს, ნეირონებს, გააჩნიათ დეგენერაციის უნარი. ნეიროდეგენერაცია ნევროლოგიური დაავადებების, განსაკუთრებით ასაკთან ასოცირებული პათოლოგიის მიზეზს ნახმოადგენს. ნეიროდეგენერაციული დაავადებები მოიცავს თავის ტვინის ქერქს, ბაზალურ განგლიებს, წინა რქებს. მათი სიმპტომატიკა, როგორც წესი, ნელა და შემპარავად ვითარდება, ხოლო მიმდინარეობა მარადიული ქრონიკული პროგრესირებით ხასიათდება. ნეიროდეგენერაცია, როგორც წესი შეუქცევადია, მაგრამ პაციენტები, შორსწასული მდგომარეობის გარდა, მეტნაკლებად ადაპტირებიან თავის მდგომარეობასთან.

თავის ტვინში შესაძლოა განვითარდეს სიმსივნე, რომელიც შეიძლება იყოს პირველადი ან მეტასტაზური ნახმოშობის. პირველადი სიმსივნე ვითარდება ნეიკული სისტემის უჯრედებიდან, ხოლო ტვინის მეტასტაზური დაზიანება ყალიბდება სხვა ორგანოების შორსწასული ავთვისებიანი სიმსივნის დისემინირების შედეგად, ერთეული ან მარავლობითი კვანძების სახით. ტვინის ნეოპლაზმის კლინიკური მიმდინარეობა განუხრელად პროგრესირებს.

ნეიკული სისტემის მემკვიდრული დაავადებები, ქრომოსომული ანომალიები და თანდაყოლილი მალფორმაციები შედარებით იშვიათობას ნახმოადგენენ, მაგრამ მათ მიმართ კლინიკური და თეორიული ინტერესი დიდია, ვინაიდან მათი მეშვეობით ნათელი ეფინება ნეიკული სისტემის ფუნქციური აქტიურობისა და მეტაბოლიზმის მარავალმხივ ასპექტებს. ქრომოსომული ანომალიები და მალფორმაციები დაბადებისთანავე ვლინდება და სიცოცხლის განმავლობაში არ პროგრესირებენ. გამონაკლისს ნახმოადგენს ჰიდროცეფალია და ბაზილური იმპერსია. მემკვიდრული დაავადებები უპირატესად ვლინდება ადრეულ ბავშვობასა ან მოზარდ ასაკში, თუმცა ჰანტინგტონის ქორეა მეხუთე ათეულში დებიუტირებს. ნეიროდეგენერაციული პათოლოგიის მსგავსად, ისინი ნელა პროგრესირებენ.

მთელი ორგანიზმისათვის ნიშანდობლივი პათოლოგიური პროცესების გარდა, ნეიკულ სისტემაში ხოგჯერ ვითარდება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტიპის პათოლოგია. ერთერთი ამგვარია *დემიელინიზაცია*. მიელინის გარსი მხოლოდ ნეიკულ ქსოვილს გააჩნია, ამიტომ მისი დაკარგვით პირობადებული პათოლოგია უნიკალურია ნეიკული სისტემისათვის და მას სხვა ორგანოთა მხრივ, ანალოგია არ მოეძებნება. ამ დაავადებების განვითარების უმთავრეს მექანიზმად აუტოიმუნური პროცესები მოიაზრება. ისინი პროგრესული მიმდინარეობისაა, მათი განვითარების ტემპი ჩამორჩება ცერებროვასკულურ პათოლოგიას, მაგრამ უფრო სწრაფია ვიდრე სიმსივნური დაავადებებისა.


ჯერჯერობით მდგომარეობები და დაავადებები ნეიკული სისტემის სპეციფიკურ პათოლოგიას ნახმოადგენს. ჯეს პათოლოგია ალმოცენდება სხვადასხვა



ჟან მარტინ შარკო Jean-Martin Charcot (1825 – 1893) უდიდესი ფრანგი ნევროლოგი და პათანატომი, ცნობილია, როგორც თანამედროვე ნევროლოგიის ფუძემდებელი. მის სახელს უკავშირდება 15 სამედიცინო ეპონიმი (შარკო-მარი- ტუსის დაავადება, გვერდითი ამიოტროფიული სკლეროზი, შარკო-ბუშარის ანევრიზმები, შარკოს არტერია, შარკოს სახსარი, შარკოს ციროზი და ა.შ.) მან პირველმა აღწერა გაფანტული სკლეროზის კლინიკური და მორფოლოგიური სურათი. 1882 წელს შარკომ პარიზის საღვეტრიეის ცნობილ კლინიკაში დაარსა ნევროპათი პირველი ნევროლოგიური განყოფილება. უდიდესია მისი წვლილი ნევროზების შესწავლაში. თანამედროვენი შარკოს „ნევროზების ნაბოლეონს" უწოდებდნენ. შარკოს ცნობილ მოსწავლეებს მიეკუთვნებიან ზიგმუნდ ფროიდი, ჯოზეფ ბაბინსკი, ჟილდე ლა ტურეტი



ტარი ვერნიკე Carl Wernicke (1848-1904) გამორჩენილი გერმანელი ნევროლოგი და ფსიქიატრი. 1874 წელს მან აღწერა აფაზიის სენსორული სინდრომის კლინიკური და მორფოლოგიური მახასიათებლები, რომელსაც შემდგომში ვერნიკეს აფაზია ეწოდა მანვე აღწერა აგრეთვე ჰემორაგიული პოლიომიელიტი რომელიც ვერნიკეს დაავადების სახელს ატარებ. ამას გარდა მის სახელთან არის დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ეპონიმების არსებობა. მის სახელთან დაკავშირებული ეპონიმებია: ვერნიკეს ცენტრი (მარცხენა საფეთქლის უკანა ნაწილი), ვერნიკეს ჯრამბი, ვერნიკეს დემენცია, ვერნიკეს ენცეფალოპათია, ვერნიკე კორსაკოვის დაავადება, ვერნიკე-მანის პოზა.



ჯონ ჯექსონი John Hughlings Jackson (1835-1911) მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი ბრიტანელი მეცნიერი, კლინიცისტი-ნევროლოგი, რომ-

მიზეზით, რომელიც ნეირონებში მსგავსი ფიზიოლოგიური პროცესების ფორმირებას განაპირობებს. ეპილეფსიური გელყრა უეცრად ვითარდება და სწრაფადვე სრულდება. გელყრის დასრულების შემდეგ პაციენტი შეიძლება სავსებით დაუბრუნდეს ჩვეულებრივ მდგომარეობას, ან აღენიშნებოდეს გელყრის შემდგომი პერიოდი, ცნობიერების შეცვლის და ფოკალური ნევროლოგიური ნიშნების სახით.

სისხლძარღვოვან ნევროლოგიურ პათოლოგიებს შორის, შარკი თავისი ძალზე სპეციფიური კლინიკური ფენომენოლოგიით გამოირჩევა. ხშირად კი, პერიოდული, სწრაფად აღმოცენებული უძლიერესი ტკივილით, რომელიც რამდენიმე საათს გასტანს, შემდეგ კი უმეტესად ყოველგვარი ნარჩენი სიმპტომატიკის გარეშე უკუგანვითარდება. ამ ტიპის ვასკულური ტკივილი ადამიანის არსებით ორგანოთა სისტემას არ ახასიათებს.

ნერვული სისტემა ძალზე მგრძნობიარეა მისი სტრუქტურული ელემენტების კომპრესიისადმი. ტრავმის შედეგად განვითარებული სხვა ორგანოების კომპრესიული დაზიანება გამოხატული დისფუნქციით არ ხასიათდება. მათგან განვასვებით კი, ნერვულ სისტემაზე ძვლის, ხრტილოვანი ან შემაერთებელი ქსოვილის ზენოლას, შეიძლება ნერვული სისტემის შეუქცევადი დისფუნქცია მოჰყვეს.

გენეტიკური მექანიზმები

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, მოლეკულური გენეტიკის განვითარებამ განაპირობა ნერვული დაავადებების გენეტიკური საფუძვლების დაზუსტება. ნევროლოგიური დაავადებების მთელი სპექტრი განპირობებულია გარკვეული გენების დეფექტით ანუ DNA ᲓᲜᲛ-ის კოდირების დეფექტით. ამის ნათელი მაგალითია დუშენის დისტროფია, სადაც დეფექტური გენი ლოკალიზებულია X ქრომოსომის მოკლე მკლავში. ამგვარი დაავადებების დებიუტი ადრეულ ბავშვობაშია თქმცა, მემკვიდრული დაავადებები შესაძლოა მოგვიანებითი დებიუტითაც ხასიათდებოდნენ, რის მაგალითსაც აუტოსომურ-დომინანტური მემკვიდრეობის ტიპის ჰანტინგტონის დაავადება ნარმოადგენს. ჰანტინგტონის დაავადება და ტუბეროზული სკლეროზი აუტოსომურ-დომინანტური მემკვიდრული დაავადებებს ნარმოადგენენ, სადაც შთამომავლობისათვის დაავადების გადაცემის შანსი 50% ტოლია. ფიქრობთ ატაქსია, ვილსონის დაავადება და ჰეფსუმის დაავადება კი აუტოსომურ ჩაცსიულ-დაავადებებს მიეკუთვნებიან, რომელებიც შესაძლოა სპორადულადაც გამოვლინდნენ.

ნევროლოგიური დაავადების პონტინუუმის მეორე ბოლოს შეადგენს დაავადებებათა ის სპექტრი, რომელთა განვითარებაში გენეტიკური ფაქტორი არავითარ მონანილეობას არ ღებულობს (ინფექციები, დისმეტაბოლური დარღვევები), მაგრამ მათ შორის მოთავსებულია ის პათოლოგია, რომლის განვითარებაში მონანილეობენ როგორც გენეტიკური, ასევე ეგზოგენური ფაქტორები. ჩამგვარი დაავადების კარგი მაგალითია გაფანტული სკლეროზი - პაციენტების 60% აღენიშნებათ მეექვსე ქრომოსომაზე კოდირებული ჰისტოშეთავსების მთავარი ანტიგენური კომპლექსის (Major Histocompability Complex -MHC), HLA-DR2 ტიპი, მაშინ როდესაც პოპულაციაში ეს ანტიგენური ტიპი მხოლოდ 18% აღინიშნება, რაც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ გენეტიკური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დაავადების ეტიოლოგიაში. საინტერესოა ისიც, რომ ნარკოლეფსიით დაავადებული ყველა პაციენტი HLA-DR2 ტიპის მატარებელია, ხოლო სხვა გენოტიპის არსებობა ავტომატურად გამორიცხავს ნარკოლეფსიის არსებობას.

მოლეკულური გენეტიკაში ᲓᲜᲛ-ის ჰიბრიდიზაციის ტექნოლოგიის გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეცვალა არსებული ნარმოდგენა ნევროლოგიური დაავადებების ეტიოლოგიაზე. დადგინდა მრავალი დაავადების გამომწვევი გენი და მათი მდებარეობის ლოკუსები. ამგვარი ლოკალიზაციის კლინიკური მნიშვნელობა განუ-

ზომიერად დიდია გენეტიკური ფონსეულტირების ჰიპოცესში სავარაუდო გენეტიკური მუტაციის დროულ აღმოჩენასა და შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო გენეტიკური ქვატეს გადანყვეტაში. გენეტიკური პათოლოგიის ანტენატალურად დიაგნოსტირების შემთხვევაში, აგრეთვე შესაძლებელია ორსულობის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხის დაყენება. ამასთანავე, გენეტიკური დაავადების შესახებ გარემოსათვის ინფორმაციის მინოდებისას, მკაცრად უნდა იყოს დაცული ყველა აუცილებელი ეთიკური ნორმები.

ნეირომეცნიერება

თავის ტვინი ე.წ. "იმუნოპრივილეგირებულ" ორგანოს წარმოადგენს. ამ ფონცეფციას საფუძველი ჩაუყარა ექსპერიმენტულმა ცნობებმა, სადაც ნანატი იქნა, რომ თავის ტვინში ჩანერგილი ქსოვილის მიმართ არ ვითარდება შეუთავსებლობის რეაქცია. ამ თვალთახედვით, ცენტრალური ნერვული სისტემის იმუნოპრივილეგირებულობა, სავარაუდოდ სხვადასხვა მექანიზმით მიიღწევა. მათ შორის მოიაზრება T-ლჯრედების მაფონტროლებელი ფუნქციის ნაკლები ეფექტი; ტრადიციული იმუნური სისტემის არარსებობა; ჰისტომეთავსების მთავარი კომპლექსის მოლეკულების შეზღუდული ექსპრესია, რაც აუცილებელია T-ლჯრედების მიერ ანტიგენის ამოცნობისთვის; იმუნოსუპრესიული გარემოს შემქმნელი ნერვული ზრდის ფაქტორის (NGF) აქტივაცია. ჰემატოენცეფალური ბარიერი ახდენს თავის ტვინის ნაწილობრივ იზოლირებას გარემოსაგან და ასევე უნყობს ხელს ტვინის იმუნურ ჰომეოსტაზს. ანატომიურად, ჰემატოენცეფალური ბარიერი ნარმოქმნება ენდოთელურ ულრედებს შორის არსებული მჭიდრო ბმული კავშირებით, სადაც არ არსებობს ტრანსენდოთელური არხები, რომლებიც აუცილებელია ხსნადი მოლეკულების ბასიური დიფუზიისთვის. ასტროციტული ულრედების მორჩები გარს ეკვრის ცრემლოვანი კაპილარების სუბენდოთელურ ბაზალურ ზედაპირს და ხელს უნყობენ ჰემატო-ენცეფალური ბარიერის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას. .ჰემატოენცეფალური ბარიერი იცავს თავის ტვინის ჰომეოსტაზს შიატში არსებული ნეიროაქტიური სუბსტანციების შელწევისაგან. ჰემატოენცეფალური ბარიერის არსებობის გამო, ცხიმში ხსნადი მოლეკულებმა ტვინში უნდა შეაღწიონ ან იონური არხების მეშვეობით, ან სპეციალური სატრანსპორტო (გლუკოზის ან ამინომჟავების) სისტემებით.

თავის ტვინის იმუნოჰისტოქიმიის ფონცეფცია, გარკვეულად, შეესაბამობაში მოდის ტრინიტის ჰარაქტერისთან, სადაც თვალნათლია, რომ ინფექციების საპასუხოდ, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში უსწრაფესად ვითარდება მძაფრი იმუნური რეაქციები. ასევე, ფარდობით არის გავრცელებული ნერვული სისტემის აუტოიმუნური დაავადებები. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთაღნერილი მიზეზების გამო, პირველადი იმუნური რეაქცია ტვინში მარტივად არ გენერირდება, რეალურად არ არსებობს მეორადი იმუნური პასუხი. იმ შემთხვევებში, როდესაც ნერვული სისტემის ანტიგენების მიმართ სენსიბილიზაცია ნერვული სისტემის *გარეთ* ხდება (მაგ. რეგიონული ცირკული ჯვანძი), აქტივირებული T-ციმფოციტები სწრაფად ნარმოქმნებიან, მარტივად გადიან ჰემატოენცეფალურ ბარიერს და ინვევენ ნერვული ქსოვილის იმუნურ დაზიანებას. ამის მაგალითს ნარმოადგენს ადამიანის აუტოიმუნური მადემიელინიზირებელი დაავადების ცდომატური მოდელი - T-ლჯრედებით გამონვეული ექსპერიმენტული ალერგიული ენცეფალომიელიტი,.

ნორმალურ მდგომარეობაში, ანტისხეულები ჰემატო-ენცეფალურ ბარიერს ვერ გადიან. აუტოანტისხეულების ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შესაღწევად, უპირველეს ყოვლისა, ამ ბარიერის მთლიანობა უნდა დარღვეს. ანთებითი პროცესების დროს, მსგავსი დარღვევა ვითარდება პრო-ინფლამატორული ციტოკინების მოქმედებებით, რომლებიც პათოგენური T-ლჯრედებისა და ანტიგენ-შემცველი ულრედების (APCs- antigen presenting cells) ურთიერთქმედების შედეგად ნარმოიქმნება. ნერვულ სისტემაში ძირითად ანტიგენ-შემცველ ულრედებს ნარმოადგენს სპეციალური ტიპის დენდრიტული უჯრედები, რომლებიც ბასიურად ლოკალიზებულია ცერებრალური ქერქის პერივასკულარულ სივრცეებში, ასევე ლიმფური სისტემის ქსოვილებში. ნერვული სისტემის ანტიგენების ნარმოდგენა ხდება ლიმფური ქსოვილის მეშვეობით, სადაც ნერვული სისტემის ანტიგენები ნარმოდგენილია ლიმფური ქსოვილის ანტიგენ-შემცველი ულრედების მიერ. ამ ანტიგენების მიმართ სენსიბილიზებული T-ლიმფოციტები ბრუნდებიან ნერვულ სისტემაში, სადაც ხდება მათი რეაქტივაცია ადგილობრივი ანტიგენ-შემცველი ულრედების მიერ. ამ ანტიგენ-შემცველი ულრედების ფუნქციური მახასიათებლები ჯერ-ჯერობით ნაკლებად არის შესწავლილი.

ნეირომეცნიერების ისტორიაში ჯექსონის სახელთანაც მჭიდროდ დაკავშირებული (ჯექსონის ეპილეფსიური სინდრომი, ჯექსონის ეპილეფსია). ჯექსონის სამედიცინო ჯარიშის დებიუტი ოფთალმოლოგიას უკავშირდება, სადაც იგი ჰელმოლცის გვერდით მოღვაწეობს. შემდგომში ის ბოლონიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით აგრძელებს მუშაობას. ჯექსონმა პირველმა აღნიშნა რომ მენტალური დარღვევები შეიძლება განპირობებული იყოს თავის ტვინის დაზიანებით. დისფუნქციით. 1863 წელს საუნივერსიტეტო დაკვირვებით მან აღნერა ეპილეფსიური ნაღვლეები, მოტორული, ეპილეფსიური გულყრის სახე და მისი აღმოცენების ქრონული ლოკალიზაცია, რომელსაც დღეს ჯექსონის მარში ენოდება. 1864 წელს მან დაადასტურა ბროკას მოსაზრება, რომ მეტყველების ცენტრი მემარჯვენეებში ლოკალიზებულია მარცხენა ჰემისფეროში. 1878 წელს თავის თანამოაზრეებთან ერთად ჯექსონმა დააფუძნა სამეცნიერო ჟურნალი "Brain" და იყო მისი რედაქტორი. ნეირომეცნიერებაში ჯექსონის უდიდესი წვლილი გამოიხატება ტვინის ქერქის ფუნქციური ლოკალიზაციის ფონცეფციის შემუშავება.



ჟოზეფ ფელიქს ბაბინსკი Joseph Félix Babinski (1857– 1932) პოლონური წარმოშობის ფრანგი ნევროლოგი, იგი საყოველთაოდ ცნობილია 1896 წელს გამოქვეყნებული 26-სტრიქონიანი სტატიით სადაც აღნერ-

ღია ბაბინსკის ნიშანი- პათოლოგიური ჰერანტაული ჰეფლექსი, რომელიც ჰიპამიდული ტრაქტის დაზიანების უტყუარი ნიშანია. მას მიეკუთვნება ისტერიული და ორგანული გენეზის დაზიანებების დიფერენციების პირველი ჯიტერიუმები. ბაბინსკი თანამედროვეებში ცნობილი იყო როგორც უხადო ჯერონტოლოგი, რომელიც დიაგნოსტიკისას მინიმალურად სარგებლობდა დახმარებული ან პათომორფოლოგიური მონაცემებით.



ალოის ალცჰაიმერი Alois Alzheimer (1864-1915) გერმანელი ფსიქიატრი, ნეირომორფოლოგი, ემილ კრეპელინის ჯოლეგა. 1906 წელს პირველად აღწერა პრესენილური დემენციის ჯერონტული გამოვლინება და მისთვის დამახასიათებელი ნეირომორფოლოგიური დახლეჩები ნეირონფიბრილური ნნელებისა და ამილოიდური ფოლაქების სახით. ამ პათოლოგიას შემდგომში კრეპელინმა ალცჰაიმერის დაავადება უწოდა.

მოადგენს მიჯნოგლია და შაჯოფაგები. მიჯნოგლიის აქტივაციის ხოლი ნეირომედიაციური და ნეირული სისტემის ქრონიული ანთებითი დაავადებების პათოგენეზში ფართო მასშტაბობის საგანია. ჰემატოენცეფალური ბარიერისაგან განსხვავებით, პერიფერიული ნეირული სისტემის ჰემატო-ნეირონული ბარიერი არასრულია. აქ ენდოთელური მჭიდრო ბმული ვერ შეიბებადია, ასევე, მატებულია ანტისხეულების უნარი - გადალახონ ბარიერი. ეს განსაკუთრებით მაღალია პერიფერიული ნეირული სისტემის ორ ჰეგიონში: სპინალური ფესვების ჰორიზონტალურად და ნერვ-განგლიონი ვეზიკულების დისტალურად. როგორც ჩანს, ეს ანატომიური თავისებურება განაპირობებს პერიფერიული ნეირული სისტემის ანტისხეულებით გამონვეული აუტოიმუნური დაავადებების ხშირ, ნერვების ჰორიზონტალური უბნებისა და ნერვ-განგლიონი ვეზიკულების არჩევით დაზიანებას. ამის ფონზე მაგალითს ნარმოადგენს გიელენ-ბარეს სინდრომი და ავთვისებიანი მიასთენია ლ/ან იტონ-ლამბერტის სინდრომი.

ნეირული სისტემის დაავადების პათოგენეზის განხილვისას, ყოველთვის აღვილი არ არის იმის გარჩევა, იმუნოლოგიური მექანიზმი დაავადების ეტიოლოგიურ ფაქტორს ნარმოადგენს თუ მხოლოდ პათოლოგიური პროცესის თანმხლები ეპიფენომენია.

იონური არხები, ნეიროტრანსმიტერები და მათი რეცეპტორები

იონური არხები და მათი პათოლოგიები. ნეირონთა მოსვენების და მოქმედების პოტენციალები იონური ნაწილისა და იონური არხების მიერ გენერირება. სხვადასხვა იონური არხების ფარიბჭეები გასასვლელის ხოლს ასრულებენ ნეირული სისტემის სტრუქტურებს შორის. იონური არხები ერთმანეთისაგან გარჩეული მახასიათებლებით განირჩევიან: ჯერჯერ იონების გამტარებლობის არჩევითობა, პოტენციალთა სხვაობის აღქმის უნარი, ნეიროტრანსმიტერი რეცეპტორებთან დამოკიდებულება, მეორად მესინჯერულ სისტემებზე ზეგავლენა. იონური არხების ეს მრავალფეროვნება ნარმოადგენს ნეირონული აგზნებადობის ნატიფი რეგულირების საფუძველს როგორც უჯრედულ, ასევე სუბუჯრედულ დონეებზე. გამოვლინდა, რომ ***იონური არხების მუტაციებით _ ჩანელოპათიებით*** **(channelopathies)** განპირობებული ნევროლოგიური დაავადებების ნაოლენობა სულ უფრო იზრდება. ერთ-ერთ მაგალითს ნარმოადგენს ეპილეფსია, სინდრომი, რომელიც ხასიათდება ნეირონული მოქმედების პოტენციალების განმეორებადი, სინქრონული აღმოცენებით. ნეირონული მემბრანის დეპოლარიზაცია ხსნის ჯაჭვის არხებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ჯაჭვის იონების გამოდინებას, ჰიპერპარიზაციას, ნატრიუმის არხების დახურვას და ჰიპერპოლარიზაციას. დიდი ხნის განმავლობაში, მემკვიდრული ეპილეფსიური სინდრომის გამომწვევად ნატრიუმისა და ჯაჭვის არხების გენური სუბერთეულები მოიაზრებოდა, რაც უკანასკნელ ხანს დადასტურდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩანელოპათიებით განპირობებული სპეციფიკური გამოვლინებები ძალიან მრავალფეროვანია, მათთვის დამახასიათებელია ერთი საერთო ნიშანი, _ ჯერონტული ფენომენოლოგია გარდამავალ ან პაროქსიზმულ ხასიათს ატარებს; მსგავსი აღინიშნება ეპილეფსიის, შაჯის, ატაქსიის, მიოტონიის ან პერიოდული დამბლის დროს. გამონაკლისს ნარმოადგენს ისეთი პროგრესირებადი ჩანელოპათიები, როგორიცაა სმენის აუტოსომურ-დომინანტური დარღვევები.

სინაფსურ ნეიროტრანსმისიაში ნეირონების ერთმანეთთან ურთიერთკავშირი იგულისხმება. ჯასიჯური ნეიროტრანსმიტერები ნერვული დაბოლოებების პრესინაფსურ უბანში სინთეზდება, სინაფსურ ბუშტუკებში ინახება და სინაფსურ ნაპრალში გამოთავისუფლდება, სადაც პოსტსინაფსურ მემბრანაზე განთავსებული რეცეპტორებს უკავშირდება. მათი უკუმიტაცება სინაფსური ნაპრალიდან დიფუზიის გზით და/ან სპეციფიკური ინაქტივაციით ხდება. ჯასიჯური

1.1 ნევრობიული სიმპტომოკომპლექსით გამოვლენილი ჩენელოპათიები


პათოლოგიათა ჯგუფი	დაავადება	პრის ტიპი	გენი
ატაქსიები	ეპიზოდური ატაქსია_1	K	*KCNA1*
	ეპიზოდური ატაქსია_2	Ca	*CACNL1A4*
	სპინოცერებელური ატაქსია_6	Ca	*CACNL1A4*
შაკიკი	ოჯახური ჰემიპლეგიური შაკიკი	Ca	*CACNL1A4*
ეპილეფსია	ნეონატალური ოჯახური მსუბუქი ჯონველსიები	K	*KCNQ2, KCNQ3*
	გენერალიზებული ეპილეფსია ფებრილური გულყრებით	Na	*SCN1β*
პერიოდული დამბლა	ჰიპერკალიემიური პერიოდული დამბლა	Na	*SCN1A*
	ჰიპოკალიემიური პერიოდული დამბლა	Ca	*CACNL1A3*
მიოტონია	თანდაყოლილი მიოტონია	Cl	*CLCN1*
	თანდაყოლილი პარამიოტონია	Na	*SCN4A*
სმენაჩლუნგობა	Jorvell და Lange-Nielsen-ის სინდრომი, (პროლონგირებული QT ინტერვალი და არითმია)	K	*KCNQ1, KCNE1*
	პროგრესული აუტოსომურ-დომინანტური სმენაჩლუნგობა	K	*KCNQ4*



სეი უილიამ რიჩარდ გოვერსი Sir William Richard Gowers (1845-1915) გამორჩენილი ბრიტანელი ნევროლოგი, რომლის სახელს უკავშირდება ზურგის ტვინის წინა ღეროვანი ტრაქტი აღმოჩენა (1880 წელი), მას აგრეთვე მიეკუთვნება ეპილეფსიის ჯექსონური აღწერა (1881 წელი). გოვერსმა პირველმა მიანიჭა ოფთალმოსკოპიას უდიდესი მნიშვნელობა ნევროლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკაში. 1878 წელს მან გამოიგონა ჰემოგლობინომეტრია 1886-1888 წელს გოვერსმა გამოაქვეყნა სახეთახი ხელით ილუსტრირებული ნევროლოგიის ოქტომეული "A Manual of the Diseases of the Nervous System" რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში "ნევროლოგიის ბიბლიას" უწოდებდნენ

ნეიროტრანსმიტერების გარდა, ბევრი ნეიროპეპტიდი იქნა იდენტიფიცირებული, რომლებიც ნეიროტრანსმიტერის მსგავსად მოქმედებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება სუბსტანცია P, ნეიროტენზინი, ენკეფალინები, ენდორფინი, ჰისტამინი, ვაზოაქტიური ინტესტინული პოლიპეპტიდი, ქოლეცისტოკინინი, ნეიროპეპტიდ-Y, და სომატოსტატინი. ნერვული დაბოლოებების ნაცვლად, პეპტიდური ნეიროტრანსმიტერები უკრედის სხეულში სინთეზდება და შეიძლება, ნეირონში ერთდროულად ნეიროტრანსმიტერებთან ერთად ლოკალიზდებოდეს. ნეიროტრანსმიტერების მსგავსად მოქმედებენ გაზები აზოტის ოქსიდი და ნახშირჟანგი.

სპეციფიკურ ჩვენეპტორებთან შეკავშირების გზით ნეიროტრანსმიტერები პოსტსინაფსური უკრედების ფუნქციონირებას არეგულირებენ. არსებობს ჩვენეპტორთა ორი ძირითადი სახეობა. *იონოტროპული ჩვენეპტორები* _ პირდაპირი იონური არხები, რომლებიც იხსნება ნეიროტრანსმიტერების ზემოქმედებით და *მეტაბოტროპული ჩვენეპტორები*, რომლებიც ურთიერთქმედებენ G-პროტეინებთან, ასტიმულირებენ მეორადი მესინჯერების და პროტეინ-კინაზების ნარმოქმნას. ეს უკანასკნელნი თავის მხრივ, მრავალფეროვანი უკრედული პროცესების მოდულატორებს ნარმოადგენენ. იონოტროპულსა და მეტაბოტროპულ ჩვენეპტორებს შორის მნიშვნელოვან სხვაობას მათი კინეტიკური მახასიათებლები განსაზღვრავს. იონოტროპული ჩვენეპტორების ეფექტი გაცილებით სწრაფია (<1მწმ), ვიდრე ნეიროტრანსმიტერთან ბმა პირდაპირ ცვლის პოსტსინაფსური უკრედის ელექტრულ მახასიათებლებს, მაშინ როცა მეტაბოტროპული ჩვენეპტორების ფუნქციონირება გაცილებით მეტ დროს მოითხოვს. სწორედ ეს განსხვავებული მახასიათებლები უნყობენ ხელს ნეიროტრანსმიტერების მიერ სელექტიური და ნატიფად მოდულირებული სიგნალების გადაცემას.



სანტიაგო ჰამონ ი ჯახალი Santiago Ramón y Cajal (1852 - 1934) გამოჩენილი ესპანელი ჰისტოლოგი, ექიმი, ნობელის პრემიის ლაურეატი. მის მიერ თავის ტვინის უღრანტექსტურული შენების შესწავლისთვის მიღებულმა მონაცემებმა უდიდესი გავლენა მოახდინა მკვლევართა თაობებზე. მისავალი მეცნიერი ჰამონ ი ჯახალს ყველა ლრმის უდიდეს ნეირომეცნიერად მიიჩნევს. თავისი თანამედროვე Camillo Golgi-ს მიერ შემუშავებული ტვინის ჭრილების ვერცხლით შეღებვის საფუძველზე, ჯახალმა დეტალურად შეისწავლა ნეირონების სტრუქტურა და დაასკვნა, რომ ნეირული სისტემა შედგებოდა ცალკეული ავტონომიური ნეირონებისაგან და არა ერთი მთლიანი ქსოვილისაგან, რამაც საფუძველი დაუდო ნეირონულ თეორიას.



სამუელ უილსონი Samuel Alexander Kinnier Wilson (1878- 1937) ბრიტანელი ნევროლოგი, მოძღვანობ-

ნეიროტრანსმიტერული სისტემების ფუნქციონირება მრავალრიცხოვანი ქრონიკული პათოლოგიის დროს იძლევა, ერთ-ერთი მაგალითს წარმოადგენს დოფამინერგული ნიგრო-სტრიატული გამტარი გზა (სათავეს იღებს შუა ტვინის substantia nigra-ში და სტრიატუმში ჰიპოკამპება). მისი აქტივაცია ხდება პარკინსონის დაავადების დროს და ჰეროინის (ან ტოქსინ MPT-ს - 1-მეთილ-4-ფენილ-1,2,5,6-ტეტრა-ჰიდრო-პირიდინი) მომხმარებელ ნარკომანებში.

მეორე მნიშვნელოვანი დოფამინერგული სისტემა, რომელიც შუა ტვინიდან იღებს სათავეს, მედიო-პრეფრონტო-ლიმბური გამტარი გზაა, რომელიც ჩართულია ტოქსიკომანიებისათვის დამახასიათებელი ქცევითი მოშლილობების პათოგენეზში. ამ სტრუქტურის საყვანძო კომპონენტებს წარმოადგენს შუა ტვინის ვენტრალური ტეგმენტური არე (VTA), ნიშა ტვინის მედიანური ქონა და მწოლიარე ბირთვი (*nucleus accumbens*). *ნარკოტიკების მოქმედება, nucleus accumbens-ში დოფამინის გამოყოფის გაზრდის მსგავს ეფექტს იწვევს.* ამფეტამინი ზრდის სინაფსური ბუშტუკებიდან დოფამინის ინტენსივობის გამოყოფას. ნარკოტიკებისადმი მიჩვეულების მქონე პაციენტებში ამფეტამინის მიღების შემდგომ, ვლინდება nucleus accumbens-ის აქტივაცია. დოფამინის ბლოკადას ამ ბირთვში შეუძლია ნარკოტიკების ეფექტის დასუსტება გამოიწვიოს.

ნებისმიერ სისტემაში უკუკავშირის მხოლოდ ნეირონალური ბილიკების საშუალებით არ ხორციელდება. ე.წ. ***ნაპრალისებრი კონტაქტებით*** უზრუნველყოფილია ნეირონებს შორის პირდაპირი ელექტრული გამტარებლობა და იონებისა და მეტაბოლიტების უშუალო ნაკადი. ნაპრალისებრი კონტაქტები ასევე გვხვდებიან გლიაში, რომლებიც ელექტრონულად სინციტიუმს. ნაპრალისებრი კონტაქტები შედგება მემბრანული ცილებისაგან _ კონექსინებისაგან - რომლებიც მომიჯნავე უჯრედების ციტოპლაზმის წყვილდებიან. *მრავალ ნეირონალურ დავადებას საფუძვლად უდევს ნაპრალისებრ კონტაქტების დისფუნქცია.* ასე მაგალითად, მრავალ უჯრედებზე გამოვლენილი *კონექსინ-32-ის* მუტაცია, რომელიც ლოკალიზებულია მრავალ უჯრედებზე, განაპირობებს X-შეჯაჭვულ დაავადებას. შუა ყურში არსებული ორი ნაპრალისებრი კონტაქტის შემადგენელი ცილების კონექსინ-26 და კონექსინ-31 მუტაცია იწვევს აუტოსომალურ-დომინანტური პროგრესული სმენადაქვეითების განვითარებას. გლიური ელემენტი, რომელიც ნაპრალისებრი კონტაქტების მეშვეობით ვრცელდება, ასევე ხსნის შარავანდის არსებულ ასოციირებულ დეპრესიას და ეპილეფსიური განტვირთვების გავრცელებას.

უჯრედის სიცოცხლის ექსციტოტოქსიკობა (ამბზნები ტოქსიკობა) და აპოპტოზი.

ექსციტოტოქსიკობა გულისხმობს უჯრედის სიკვდილს, რომელიც გამოწვეულია ამგზნები ამინომჟავური ნეიროტრანსმიტერების აქტივაციით. დადასტურებულია, რომ ინსულტის ექსპერიმენტული მოდელი დაკავშირებულია ამგზნები ამინომჟავა-ნეირომედიატორის - გლუტამატის ექსციტოტოქსიკური კონცენტრაციის მომატებასთან (ნეირონული დაზიანება მკვეთრად მცირდება გლუტამატ-მოქმედი ნეირონების დენერვაციით ან გლუტამატ-ნეიროტრანსმიტერების ანტაგონისტების მიღებით). ექსციტოტოქსიკობა არ არის ერთჯერადი მოვლენა, იგი უჯრედთა დაზიანების კასკადს განაპირობებს, რომელიც ინიციირდება კალციუმის უჯრედში შედინებით. მომატებული ციტოპლაზმური კალციუმი იწვევს მეტაბოლურ დისფუნქციასა და თავისუფალი რადიკალების გენერაციას, ჰიდროქსილ-რადიკალების ფოსფოლიპაზების, აზოტის ოქსიდის სინთაზების, ჰიდროლაზების და ენდონუკლეაზების აქტივაციას და ციტოზოლის ინჰიბიციას. აზოტის ოქსიდის სინთაზის აქტივაცია ნარმოქმნის აზოტის ოქსიდს (NO), რომელიც რეაქციაში შეერთება O_2^- პეროქსიდთან და პეროქსინიტრიტს (ONOO$^-$) ნარმოქმნის. პეროქსინიტრიტი ნეირონული დაზიანების მთავარი ინიციატორია. (აღსანიშნავია, რომ ექსპერი-

მენტულ თაგვები, რომლებსაც ანტის ოქსიდის სინთეზის გენები ინაქტივირებული აქვთ, იშემიური დაზიანების მიმართ ხელისტენტული ხდიან).


უჯრედის დაპროგრამირებული სიკვდილი-*აპოპტოზი* და *ნეიროდეგენერაციული დაავადებების* განვითარებაში მისი როლი *აპოპტოზი,* ანუ დაპროგრამებული უჯრედული სიკვდილი, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ონტოგენეზის, ასევე პათოლოგიური მდგომარეობების დროს. ემბრიოგენეზის პერიოდში, აპოპტოზი განაპირობებს მოუმწიფებელი ნეირონების დესტრუქციას. გაგასტუნებულია, რომ მრავალი მწვავე ან ქრონიკული ნევროლოგიური დაავადებების დროს მატულობს უჯრედთა აპოპტოზური სიკვდილი. *აპოპტოზი* ხასიათდება ნეირონების შეკუმშვით, ქრომატინის კონდენსაციით და დნმ-ის ფრაგმენტაციით, მაშინ როცა უჯრედთა ნეკროზული სიკვდილი ვლინდება ციტოპლაზმის და მიტოქონდრიების შეშუპებით, რასაც შედეგად მოსდევს უჯრედის მემბრანის დაშლა. უჯრედის აპოპტოზური და ნეკროზული სიკვდილი გარკვეულ შემთხვევებში თანაარსებობენ, ან თანმიმდევრული მოვლენების სახით ვლინდება, რაც დაზიანების გამომწვევი მიზეზის სიმძიმეზეა დამოკიდებული. უჯრედული ენერგეტიკულ ჰეზეოსტაზს, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება უჯრედული სიკვდილის ფორმების ინიციირებაში. აპოპტოზური სიკვდილი ვითარდება უჯრედში ატფ-ის ნორმალური შემცველობისას. დნმ-ის ფრაგმენტაცია აღმოჩენილია ნეიროდეგენერაციული დაავადებების მთელი ჯგუფისათვის კერძოდ ალცჰაიმერის დაავადების, ჰანტინგტონის ქორეის და გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის დროს. ყველაზე ნათლად აპოპტოზური უჯრედული სიკვდილის როლი ნევროლოგიური დაავადებების განვითარებაში დადასტურებულია მემკვიდრული ინფანტილური სპინალური კუნთოვანი ატროფიისას - ვერდინგ-ჰოფმანის (Werdning- Hoffmann) დაავადება, რომლის გამომწვევი საფუძვლებელია, აპოპტოზის განმაპირობებელი ორი გენია.

ციების აბრეგაცია და ნეიროდეგენერაცია.

უკანასკნელ წლებში მიმდინარე კვლევების ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს იმის დადგენა თუ რა როლს თამაშობს ციების აგრეგაცია ნეიროდეგენერაციული დაავადებების პათოგენეზში. ციის აგრეგაცია ნეიროდეგენერაციული დაავადებების ძირითადი ჰისტოპათოლოგიური ნიშანია. β ამილოიდის წარმოება ალცჰაიმერის დაავადების პათოგენეზის შემადგენელი ნაწილია. ოჯახური ალცჰაიმერის დაავადების დროს აღმოჩენილი გენეტიკური მუტაცია, 40-ამინომჟავიან β ამილოიდთან შედარებით, 42 ამინომჟავისგან შემდგარი β ამილოიდის მომატებულ პროდუქციას იწვევს, რომელსაც აგრეგაციისკენ აქვს მიდრეკილება. ტაუ-პროტეინის მარეგულირებელი გენის მუტაციები აღნიშნული ციის შენებების უნარს ცვლის, რაც შუბლ-საფეთქლის დემენციის და პროგრესული სუპრანუკლეური დროს ნეიროფიბრილური გოროგების წარმოებისა განაპირობებს. ოჯახური პარკინსონის დაავადება ალფა-სინუკლეინის, პარკინის მუტაციებთან არის დაკავშირებული. პარკინსონის დაავადების ძირითადი ჰისტოპათოლოგიური მახასიათებელი ლევის სხეულაკია, ეოზინოფილური ციტოპლაზმური ჩანართი, რომელიც შეიცავს როგორც ნეიროფილამენტებს, ასევე ალფა-სინუკლეინს. ჰანტინგტონის დაავადება და სერებელური დეგენერაცია ციებში პოლიგლუტამინის განმეორებების გავრცელებასთან არის დაკავშირებული, რომელიც აგრეგაციის შემდგომ ნეირონულ ინტრანუკლეურ ჩანართებს წარმოქმნის. გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის დროს აღგილი აქვს სუპეროქსიდ დისმუტაზას მუტაციებს და მათ ციტოპლაზმაში ჩაგროვებას. ამჟამად ნეირომეცნიერების წინაშე შემდეგი კითხვა დგას - ციდა ედინბურგის უნივერსიტეტში, ლონდონის ნაციონალურ ჰოსპიტალში. 1912 წელს უილსონმა 211 გვერდიანი სადოქტორო თემისათვის: „ჰეპატოცერებრული დეგენერაცია: ღვიძლის ციროზთან ასოცირებული ნერვული სისტემის დაავადება- "Progressive lenticular degeneration: A familial nervous disease associated with cirrhosis of the liver", ედინბურგის უნივერსიტეტის ოქროს მედალი გამოსახულია.. მოგვიანებით უილსონმა ოთხი ამგვარი პაციენტის აღწერილობა ნახადგინა ჟურნალ "Brain"-ში. ეს ნოზოლოგია შედგომში უილსონის დაავადების სახელით გახდა ცნობილი. მასვე ეკუთვნის ნევროლოგიაში ტერმინის „ექსტრაპირამიდული" დამკვიდრება და ბაზალური განგლიების როლის შეფასება.



ჰარვეი უილიამ Harvey William Cushing (1869-1939) მეოცე საუკუნის ედიდესი ამერიკელი ნეირქირურგი, რომლის სკოლა მსოფლიოში ცნობილი იყო. პროფესიული საქმიანობის დასაწყისში უილიამს აღმოაჩნდა მოჭანა ნაშრომმა „ჰიპოფიზი და მისი დაავადებები" - "The Pituitary Body and its Disorders" მან აღწერა უილიამის სინდრომი



უაილდერ პენფილდი Wilder Graves Penfield , (1891 –1976) დიდი კანადელი ნეიროქირურგი და ნეიროფსიქოლოგი. თავის კოლეგასთან Herbert Jasper - ჰერბერტ ჯასპერთან ერთად, თავისსავე დაარსებულ (1934 წელი), მსოფლიოში ცნობილ მონრეალის ნევროლოგიის ინსტიტუტში, მან საფუძველი ჩაუყარა ნეირონების დესტრუქციის მემვეობით ეპილეფსიის მძიმე ფორმების ქირურგიულ მკურნალობას. ქერქის უბნების სტიმულაციის საფუძველზე მან შექმნა ქერქის სენსო-მოტორული ნარმომადგენლობის რუკები ე.წ. „ქერქული ჰომონკულუსი“ კილერებთან და სხვადასხვა ორგანოებთან მათი კავშირებით. ეს რუკები დღესაც ჩრდილოეთ უსვლელია. 1951 წელს პენფილდისა ჯასპერის თანაავტორობით გამოქვეყნებულმა მონოგრაფიამ „ეპილეფსია და ცვინის ფუნქციური ანატომია - Epilepsy and the Functional Anatomy of the Human Brain“ ეწოდა წლების შეკრება ცვინის ფუნქციების ლოკალიზაციის შემეცნებაში. პენფილდს სამშობლოში სიყოცხლეშივე უწოდებდნენ „ედიდეს ცოცხალ კანადელს“. სიცოცხლის ბოლომდე პენფილდი ცდილობდა ამოეცნო ადამიანის სულის არსებობის მეცნიერული არსი.

ოვანი აგრეგატები უჯრედული სიკვდილის ხელშემწყობები არიან, თუ მხოლოდ 'მეორადი თვითმხილველები". ნეირული ქსოვილის უუნარობა მოახდინოს ცილოვანი აგრეგატების დეგრადაცია განაპირობებს უჯრედულ დისფუნქციას, აქსონალური ტრანსპორტის დარღვევას და ნეირონების აპოპტოზის სიკვდილს.

ღეროვანი უჯრედები

უჯრედები და ტრანსპლანტაცია. ტრადიციულად, ცენტრალური ნერვული სისტემა არამიტოზური ორგანოა, განსაკუთრებით ნეირონებთან მიმართებაში. ეს კონცეფცია სადავო გახდა აღმოჩენებით, რომლის თანახმადაც თვალნათლივი გახდა ნერვული უჯრედის პროგენიტორის (წინამორბედის) ანუ ღეროვანი უჯრედების არსებობა. ადამიანის ემბრიონული ნერვული ქსოვილი, ზრდის ფაქტორებთან კულტივირებისას, დიფერენცირდება ნეირონებად და გლიურ უჯრედებად, რომელთაც შესწევთ დიდ მანძილზე მიგრაციის, განვრცობილი აქსონური დატოტვიანების და შესაბამის სამიზნეებთან სინაფსების ფორმირება უნარი. მონიფული ადამიანის ნერვული ღეროვანი უჯრედები აღმოჩენილია ცვინის გვერდითი პარკუჭების მიმდებარე შრეებში, მაგრამ ნორმალურ ვითარებაში მათ არ შესწევთ მიგრაციისა და დიფერენციაციის უნარი. ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ ენდოგენური ცვინის ქსოვილის ზრდის ფაქტორების და სხვა სასიგნალო მოლეკულების არსებობისას. ენდოგენური ზრდის ფაქტორების შეყვანა თერაპიული ატრატეგიის სახით თვალსაზრისის სახავს, ასე მაგალითად, თაგვებში ცვინის გლობალური იშემიის ექსპერიმენტულ მოდელში, ეპიდერმული ზრდის ფაქტორის და ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორის შეყვანამ, ერთ თვის პერიოდში ჰიპოკამპის ნეირონების განახლება გამოიწვია.

პარკინსონის დაავადების მქონე პაციენტებში, ემბრიონული დოფამინერგული ნეირონების ექსპერიმენტული ტრანსპლანტაცია თვალნათლივ აჩვენებს, რომ გადანერგილ უჯრედებს შეუძლიათ სტრიატუმში გადარჩენა-განვითარება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პაციენტში გამოვლინდა დაუძლეველი დისკინეზიები რამაც შეაფერხა ამ მიმართულებით ცდების განვითარება. რატარებულმა ცდებმა ჰანტინგტონის ქორეის მქონე პაციენტებში ემბრიონული ნერვული ქსოვილის ტრანსპლანტაციამ ასევე დამაიმედებელი ნინასწარი შედეგები გამოავლინა. გარკვეული იმედისმომცემია აგრეთვე ექსპერიმენტული დისმიელინიზაციის მქონე თაგვებში ოლიგოდენდროციტების წინამორბედი უჯრედების ტრანსპლანტაცია. ეს ექსპერიმენტები აძლიერებენ იმედს, რომ ტრანსპლანტაციის მსგავსი თერაპიული სტრატეგია შესაძლებელია ადრეულად განხორციელდეს ისეთი მიელინური დაავადებების დროს, როგორიცაა გაფანტული სკლეროზი. ღეროვანი უჯრედების სამკურნალო მიზნით გამოყენების პერსპექტივა სავსებით თვალნათლივია როგორც ნეიროდეგენერაციული, ასევე ნერვული დაზიანების დროს. თუმცა, ამ მიმართულების კვლევის ტემპი ამჟამად შენელებულია, რაც დაკავშირებულია ერთის მხრივ ტრანსპლანტირებული უჯრედების მაღიგნიზაციის თეორიულ ხისკთან და თერაპიული სტრატეგიის ეფექტურობასთან, მეორეს მხრივ კი ემბრიონული ქსოვილის გამოყენების ეთიკურ საკითხებთან.

განვითარებად თავის ცვინში ექსტრაცელულური მატრიქსი უზრუნველყოფს მასტიმულირებელ და მაინჰიბირებელ სიგნალების ნარმოქმნას, რაც ხელს უწყობს ნეირონულ მიგრაციას, ღერძული ცილინდრის ზრდას და აქედან გამომდინარე აქსონის ექსტენზიას. ნეირონული დაზიანების შემდგომ, მაინჰიბირებელი მოლეკულების, როგორიცაა პროტეოგლიკანების კგუფი – ქონდროიტინსულფატი, ხელს უშლის ქსოვილის რეგენერაციას. ქონდროიტინაზა შლის ამ მაინჰიბირებელ მოლეკულებს და აჩქარებს აქსონური რეგენერაციასა და მოტონეირონის აღდგენას ექსპერიმენტული ვირთხის მოდელში ზურგის ცვინის დაზიანების დროს. ზოგიერთ მიელინურ პროტეინს, როგორიცაა Nogo, ოლიგოდენდროციტის მიელინური გლიკოპროტეინი (OMGP) და მიელინ-ასოცირებული გლიკოპროტეინი (MAG), ასევე შეუძლიათ აქსონური რეგენერაციის შენყვეტა. დადგენილია, რომ

ექსპერიმენტული ფოკალური იშემიის შემდომ, ანტისხეულები Nogo-ს მიმართ ჰეგენერაციას უწყობს ხელს. ჩოგორც Nogo, ასევე OMP და MAG-ი ერთი და იგივე ნეირონულ ჩეცეპტორს ებმიან.



ანტონიო მონიცი Antonio Egas Moniz (1874-1955) გამორჩენილი პორტუგალიელი ნევროლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი. 1902-1917 წლებში მონიცი ნევროლოგიიდან აქტიურ პოლიტიკაში გადავიდა. იყო პორტუგალიის პარლამენტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ესპანეთში პორტუგალიის ელჩი. 1921 წელს იგი დაბრუნდა ნევროლოგიას, ჩაც ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. 1927 წელს მან შექმნა ცერებრული ანგიოგრაფიის ტექნოლოგია – ჩენტგენის სხივების გამოყენება ტვინის არტერიების ვიზუალიზაციისათვის. აღნიშნული ტექნოლოგია დღესაც ფართოდ გამოიყენება ვასკულური მალფორმაციების დიაგნოსტიკისათვის. 1949 წელს მონიცმა შვეიცარიელ ნეიროფიზიოლოგთან ვოლტერ ჰესსთან (Walter Hess) ერთად, ნობელის პრემია მიიღო ფსიქოზების დროს ცერებრული ტომიის მნიშვნელობის აღმოჩენისათვის. ცერებრული ანგიოგრაფიის აღმოჩენა და ფსიქოქირურგიის საფუძვლის ჩაყრა წარმოადგენს ეგას მონიცის უდიდეს დამსახურებას ნეირომეცნიერების და კლინიკური ნეირომედიცინის წინაშე.


სიგნალის გადაცემის გამტარი გზები (სიგნალის ტრანსდუქცია) და გენის ტრანსკრიპცია

ერთერთ ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს თუ როგორ კოდირდება ნერვულ სისტემაში მეხსიერება, დასწავლის პროცესი და აზროვნება; ეს თვალნათლივი გახდა იმ სასიგნალო გამტარი გზების იდენტიფიკაციით, რომლებიც ნეირონული დიფერენციაციის, აქსონების და სინაფსური კავშირების ფორმირების პროცესში არიან ჩართულნი ამ სასიგნალო გამტარი გზების განმარტება უზრუნველყოფს იმ შინაგანი პროცესების სრულყოფილად გაანალიზებას, რომლებიც მრავლობითი ნევროლოგიური დარღვევის გამომწვევ მიზეზად მოიაზრებიან; ამ დარღვევათა ჯგუფს განეკუთვნება, მაგალითად, მემკვიდრული კოგნიტური პათოლოგია, - X შეკიდული მენტალური რეტარდაცია. ფიქრობენ, რომ ამ პროცესში 60 განსხვავებული X-ქრომოსომაა ჩართული. რეტის სინდრომი, ძირითადი გამომწვევი მი'ზე'ზი (დომინანტური) X-შეკიდული პროგრესული მენტალური რეტარდაცია ქალებში MECP2 გენის მუტაციის შედეგია. თვალნათლივია, რომ ანომალიური გენის ტრანსკრიპციას გადამწყვეტი როლი შეუძლია შეასრულოს ნეიროდეგენერაციულ დაავადებებში, როგორიცაა ჰანტინგტონის ქორეა; ამ დროს პროტეინები პოლიგლუტამინური ექსპანსიით ებმიან და ასეკვესტრირებენ ტრანსკრიპციული ფაქტორს. ნეირონული გადარჩენისთვის კრიტიკული ტრანსკრიპციული ფაქტორი არის CREB-ცილა (ცილის აღმნოზინმონოფოსფატზე მოქმედი ელემენტის შემკავშირებელი), რომელიც ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეხსიერების პროცესებში ჰიპოკამპში.

ნეიროტროფული ფაქტორები.

ნეიროტროპული ფაქტორები არის სეკრეტირებული პროტეინები, რომლებიც ხელს უწყობენ ნეირონულ ზრდას, დიფერენციაციას, რეგენერაციას და გადარჩენას; ზოგიერთ მათგანს აღნიშნებათ დამატებითი ფუნქციები, როგორიცაა გრძელვადიანი პოლის თამამი მესენქიმალური და მეხსიერების პროცესებში ჩართული ნეიროტრანსმისიაში და სინაფსურ ორგანიზაციაში. ნეიროტროპინის (NT) ოჯახი შეიცავს ნერვის ზრდის ფაქტორს (NGF- nerve growth factor), ცერებრული წარმოშობის ნეიროტროპულ ფაქტორს (BDNF- brain-derived neurotrophic factor), NT3-ს და NT4/5-ს. ნეიროტროპინები მოქმედებენ TrK და p75 რეცეპტორებზე, - ნეირონთა გადარჩენის ხელშეწყობისთვის. ნეიროტროპინთა 'გადარჩენა-წარმოქმნისა' და ანტიკონვულსური ეფექტის გამო, თეორიულად, ნეიროტროპინები იმ დაავადებათა თერაპიული კურსის უმნიშვნელოვანესი კანდიდატები არიან, რომლებიც ნეირონთა ნაადრევი კვდომით ხასიათდება. მსგავსი პათოლოგიები აღინიშნება გვერდითი ამიოტროფული სკლეროზისა და მოტონეირონთა სხვა დეგენერაციული დაავადებების დროს. ექსპერიმენტულმა კვლევებმა ნოკაუტ-თაგვებში, რომლებსაც ცილარიული ნეიროტროპული ფაქტორის (CNTF) ან BDNF-ის ნაკლებობის გამო მოტონეირონთა კარგვა აღენიშნებათ, გარკვეული შედეგი გამოიღო ნეიროტროპული ფაქტორების მკურნალობის ფონზე. მიუხედავად აღნიშნულისა, კლინიკური კვლევების მესამე ფაზაში მკურნალობის მსგავსი მეთოდი არაეფექტური აღმოჩნდა ადამიანებში გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის დროს. ზრდის ფაქტორი _ ციური წარმოშობის ნეიროტროპული ფაქტორი (CNTF) უმნიშვნელოვანესია დოფამინერგული ნეირონების გადარჩენაში.





ჯეი გოდფრი ჰაუნსფილდი Sir Godfrey Newbold Hounsfield (1919–2004) ინგლისელი ელექტროინჟინერი და ალან მაკლეოდ კორმაკი Allan MacLeod Cormack (1924-1998) ამერიკელი ფიზიკოსი, 1979 წლის ნობელის პრემიის ლაურეატები ფიზიკოლოგიისა და მედიცინის დარგში. მეცნიერებს პრემია მიენიჭათ ხელტგენის სხივების კომპიუტერული ტომოგრაფიის შექმნისათვის. ჰაუნსფილდის სახელი უკვდავყოფილია, ტ მონაცემების სიმკვრივის შესაფასებელი ჰაუნსფილდის სკალით, რომელიც იზომება ჰაუნსფილდის ერთეულებით (HU). -1000 HU აღნიშნავს ჰაერის სიმკვრივეს, 0 HU წყლის სიმკვრივეს, ხოლო +1000 HU ძვლის სიმკვრივეს.

1886 წელს უილიამ გოვერსმა აღნიშნა, რომ „ ნერვული სისტემა პირდაპირი გასინჯვისათვის თითქმის მიუწვდომელია“. დღესდღეობით, 130 წლის შემდეგ თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელია ცვინის სიცოცხლისმიერი ანატომიურ-სტრუქტურული ვიზუალიზაცია, მისი ფუნქციური მდგომარეობის ელექტროფიზიოლოგიური, ნეიროქიმიური და მეტაბოლური ნეირომგამოსახვა, ნერვის გამტარებლობისა და ჯუნთების ელექტრული აქტივობის აღწუსხვა. მიუხედავად ამისა, პაციენტის სანოლთან გოვერსის დაკვირვება ჯერაც ძალაშია.

ტექნიკა: რადიოაქტიურად მონიშნული ნივთიერების ინტრავენური ინექციის შემდეგ ისაზღვრება მისი მინოდება სხეულის სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში. გამოიყენება ორი სხვადასხვა მეთოდი: ერთეული ფოტონური ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია (Single-Photon-Emissions computer tomography – SPECT) და პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია (Positron-Emissions computer tomography – PET).



T1 მენონიდი ბამოსახველება
ისხით მითითებელია კანქვემა და ჰეტხობებეხ ცხიმოვან ქსოვიდზე



T2 მენონიდი ბამოსახველებების კოხონალში და სებიტალური ბანაკვეთები
ისხით მითითებელია ჰახკქშიდა დიქვოხზე, хомелиц ჰიპეიტონელი სიგნალით хасиათდება



• SPECT-ის დხოს ინტხავენუხად შეყვანილი хадиоакტიელი ^{99m}Tc და ^{123}J-ის გაჯეხება იზომება хотихебед гамакамеханаш да детектохебш имаве текніკის гамоуенебит, хогохц ес CT-с дхоს алгнехет.


• PET-ისთვის საჭиххоа циклотхон, хомдхис дахмахебитац, шесаძлебедиа ханмокледе мокмедебис хадиоакტიელი ниветиехебебис дамзадеба. ам текніკით самшаледа гвакдс давадгиноти O_2-ис, гледжозис да сидхис сведис дахдгевеа. хадиоакტიელ ниветиехебад гамоиуенебა ^{18}ფდეოხ-деоксигледжозა ан ^{11}C-метионини.

ჩვენებები: SPECT უპиховедеს уовделиса, гвемхмахеба, сехебиели сиск-дис миморкведис моширис дадгенаши. асевед инфохмациелиа неихонебис дакелпвит (апофтозиди сиждедиди) миндинахе давадебебис (магадитад, алцхаимехис давадеба) диагносткжаса да hахкинсонис синдхомис саняис ецапзе, дофаминиди хецепткохебис сведиебебис дадгенаши. ам текніკის самшаледебит шесаძлебедиа мсихе зомис епиедфтогенеди кеиис, кетиедтивсебиани симсивнеебис да антебитоти кеиебис гамовледна. PET-ის самшаледебит

შესაძლებელია ცერებრული იშემიის და ჰიპოფუზიის სხვადასხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა (O_2-ის ხარჯვა, გლუკოზის გამოყენება და ამინომჟავების ჩართვა, სინაფსების, ნეიროტრანსმიტერების, ჰესპერიდინების აქტივობის განსაზღვრა). ემიელფტოგენური ფოკუსის დადგენის თვალსაზრისით მას მნიშვნელოვნად უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე CT და MRI. PET_ის დახმარებით შესაძლებელია მოცულობითი უკრედული ცვლის და უკრედის ზრდის განსაზღვრა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიმსივნური პროცესის დინამიკაში შეფასებისათვის. ამ მეთოდის საშუალებით აგრეთვე შესაძლებელია დაავადების აღრეული ეტაპზე ამოცნობილ იქნას დემენცია.

4.5 *პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფიის ჩვენებები:*

დაავადებები	SPECT	PET
ჯერკვლის ბირთვების დაავადებები (პარკინსონის დაავადება, მულტისისტემური ატროფია, ჰანტინგტონის ქორეა)	დოფამინის რეცეპტორების გამოკვლევა, დოფამინური სინაფსური რეცეპტორების აქტივობის განსაზღვრა	დოფამინ- აგონისტის დეფიციტის განსაზღვრა,
ცერებრული სისხლის მიმოქცევის მოშლა	ჰემორაგიული სისხლის მიმოქცევის შეფასება	ტკინის ჟანგბადის (O_2-ის მოხმარება, გლუკოზის უტილიზაცია
დემენცია	ნეირონების ნეკროზი	გლუკოზის უტილიზაციის დაქვეითება დაავადების სანყის ეტაპზე
ეპილეფსია	საფეთქლის წილის ჰიპოპერფუზია, იქტალური ჰიპერმეტაბოლიზმი	ჰიპოპერასკიულად - ფოკუსის განსანზღვრა
ტკინის სიმსივნე და მეტასტაზები	ლოკალიზაცია, გავრცელება შენება(მეტაბოლური ცვლის მიხედვით)	სიმსივნის დადგენა
ენცეფალიტი	ჰიპერემია (ჩერჩესული ენცეფალიტისას)-	ტოქსოპლაზ-მოზი



4.18 პოზიტრონული ემისიური ტომოგრაფია

ულტრაბგერითი კვლევა

განსაზღვრება: C.Doppler-მა (1847წ.) აღწერა მის მიერ აღმოჩენილი ეფექტი - სენსორსა და მიმღებს შორის შედარებითი მოძრაობის ბგერის სახით აღქმა (ხმიანობა). ამ ჰიპოთეზაზეა დაფუძნებული სისხლძარღვების კვლევა. კვლევის ამ მეთოდის საშუალებით შესაძლებელია ექსტრა- და ინტრაკრანიული სისხლძარღვების სტენოზის გამოვლენა. გარდა ამისა, შესაძლებელია არტერიების დისექციის, ტრანსკრანიული ანგიომების ამ სისხლძარღვის სპაზმის დადგენა. ფერადი დუპლექსური სონოგრაფია საშუალებას იძლევა მოვახდინოთ დოპლერის მეთოდის კომბინირება ფერად გამოსახულებასთან.


ექსტრაკრანიული სისხლძარღვების დოპლეროგრაფია

უწყვეტი ტალღის დოპლეროგრაფია (CW-Continous-wave)

ტექნიკა: სისხლძარღვის სანათურში სისხლის ნაკადის ტრანსკუტანული მეთოდით განსაზღვრისთვის, 4 და 8 მჰც-ს სიხშირის სანერი კალმის მსგავსი ზონდები თავსდება გამოსაკვლევ სისხლძარღვზე. ზონდი შეიცავს ორგორც ულტრაბგერის გამგზავნ, ასევე სენსორულ ჩამნერ ხელსაწყოს. ერითროციტების მოძრაობით გამონვეული ხმიანობა სხვა სიხშირისაა და განსხვავდება

უმოძრაო ქსოვილის ხმიანობისგან. სიხშირის სპექტრი მოისმინება აუსკულტაციაზე და ამის გარდა, გამოისახება, მონიტორზე. შესაძლებელია აგრეთვე ხმიანობის გრაფიკული ჩანერაც. მედიცინაში ხმიანობის არსებობის გამო დოპლეროგრაფიული კვლევის ამ ტექნიკას უწყვეტი ტალღის დოპლეროგრაფია ეწოდება.

- პირდაპირი დოპლერ-სონოგრაფია: 45°-იანი კუთხით დახრილი ზონდი შეყავთ ღავიწქვეშა, ვერტებრული არტერიის ან გარეთა საძილე არტერიის გავლით და ხდება ორივე მხარეს არსებული ნაკადის შედარება. ამ მეთოდით შესაძლებელია უმცირესი სტენოზის გამოვლენაც კი.
- არაპირდაპირი დოპლერ-სონოგრაფია: a. supratroxlearis-ის გამოკვლევით ორივე მხარეს თვალის მედიალურ კუთხეში შესაძლებელია სიგნალის მიღება, რომელიც a. carotis-ის ჰემოდინამიკაზე მნიშვნელოვანი და მაღალი ხარისხის სტენოზის მაჩვენებელია: ორთოგრადული ნაკადის შეფერხების გამო a. carotis interna-ში ინტრაკრანიული სისხლმომარაგება ხორციელდება კოლატერალების საშუალებით ინტრაქტური aa. carotis externa-ს, facialis-ის, supratrochlearis-ის და opthalmica-ს მეშვეობით. ვიზუალიზება ნაკადის გაუკუღმართება შესაბამისი დოპლეროგრაფიული ხმიანობით და გრაფიკული გამოსახულებით. ეს არაპირდაპირი მინიშნება ვლინდება მხოლოდ სანათურის >50% შემცირებისას.



ნახ. 4.19 შიბნითა საძილე არტერიის ექსტრაკრანიული დოპლეროგრაფია. სისტოლური პიკი _ 2.75 kHz და დიასტოლური პიკი - 1.44 kHz

ჩვენებები: სანდო მეთოდია ექსტრაკრანიული სისხლძარღვების სტენოზისას და ოკლუზიისას (90-95%).

დუპლექს-სონოგრაფია

ტექნიკა: ტრადიციული დუპლექსსონოგრაფიისას, ორგანზომილებიანი მაღალი სიხშირის ულტრაბგერის სამუალებით, შესაძლებელია სისხლძარღვის ჯედის შენების და სანათურის დახშობის ზუსტი განსაზღვრა. ამ მეთოდის სამუალებით შესაძლებელია მცირე ზომის ათეროსკლეროზული ფოლაქების გამოვლენა და ათეროსკლეროზული ფოლაქით განპირობებული ნაკადის შეფეხების ზუსტი ადგილსამყოფელის დადგენა. ფერადი დუპლექსსონოგრაფიის დახმარებით სამუალება გვეძლევა მივიღოთ ნაკადის მიმართულების გამოსახვა – მაგალითად, ზონდის მიმართულებით ნაკადი წითელი შეფერილობისას, საწინააღმდეგო მიმართულებით – ლურჯი. ე.წ. power-mode ტექნიკის (იგივე ანგიო-ჰექომი) გამოყენებით, შესაძლებელია სხვადასხვა ნაკადის სიხშირის განსაზღვრა და ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ჩვენებები: სისხლძარღვის სტენოზი და დეფორმაციები (მაგალითად, მარყუჟები). მნიშვნელოვანია სისხლძარღვის ჯედის განშრევების დადგენისათვის (ცრუ სანათურში აღინიშნება სისტოლურ-დიასტოლური ფაზათა ცვლა).


➡ ორგანზომილებიანი მაღალი სიხშირის ულტრაბგერის სამუალებით, შესაძლებელია სისხლძარღვის ჯედის შენების და სანათურის დახშობის ზუსტი განსაზღვრა. ამ მეთოდის სამუალებით შესაძლებელია მცირე ზომის ათეროსკლეროზული ფოლაქების გამოვლენა და ათეროსკლეროზული ფოლაქით განპირობებული ნაკადის შეფეხების ზუსტი ადგილსამყოფელის დადგენა.

➡ ჩვენებები: სისხლძარღვის სტენოზი და დეფორმაციები (მაგალითად, მარყუჟები). მნიშვნელოვანია სისხლძარღვის ჯედის განშრევების დადგენისათვის (ცრუ სანათურში აღინიშნება სისტოლურ-დიასტოლური ფაზათა ცვლა).

ინტრავასკულური სისხლძარღვების ულტრაბგერითი კვლევა

ტრანსვასკულური დოპლერ-სონოგრაფია

ტექნიკა: ტრანსვასკულური დოპლერ-სონოგრაფიის სამუალებით შესაძლებელია ნაკადის სიგნალი დიდი ცერებრული არტერიებიდან დადგინდეს. ამისათვის



4.20 ტრანსვასკულური დოპლეროგრაფია. (3-D-Scan) არტერიო-ვენური ანგიომა პარიეტო-ოქციპიტალურ უბანში მარცხნივ. სახეზეა მომატებული დიასტოლური და სისტოლური ნაკადი მარცხენა უკანა ცერებრულ არტერიაში. დოპლერ-სიგნალის (სურათის მარცხენა ნახევარი) ამპლიტუდა აჩვენებს ნაკადის სიძლიერეს.

გამოიყენება შედარებით ნვრილი საფეთქლის, ოჩბიტული და ჯეფის დიდი ხვრელის არეში განთავსებული ზონდები. ამ არეებს ე.წ. „აკუსტიკური ფანჯრები“ ენოდება. a. carotis-ის (იმ შემთხვევაში, როდესაც მასში არ გვაქვს ათეროსკლეროზული ფოლაქი!) კომპიუტერია საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ინტრაკრანიული კოლატერალური სისხლმომარაგება. მონაცემების ზუსტი განსაზღვრისთვის გამოიყენება დამატებითი კონტრასტირების მეთოდი, ან სისხლძარღვის სტიმულაციის მიზნით CO_2-ის ან აცეტაზოლამიდის (დიაკარბის) შეყვანა. დოპლერის გამოსახულების შეფასება ხდება სიხშირის ანალიზით. მნიშვნელოვანია არ სიმეტრიული უბანში ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემების შედარება.

ჩვენებები: მაღალი და საშუალო ხარისხის ინტრაკრანიული სტენოზები და ოკლუზია. კოლატერალური სისხლმიმოქცევის დადგენა. ანგიომებს ახასიათებს დოპლეროგრაფიულად ნაკადის მაღალი სიხშირე. სონოგრაფიული კვლევით ასევე კარგად ვლინდება სისხლძარღვთა სპაზმი, რომელიც აღმოცენდება ანევრიზმის გასკდომის შემდეგ (სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა). სპაზმისას სისხლის ნაკადი აჩქარებულია.

ᲐᲠᲐᲜᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲓᲝᲞᲚᲔᲠᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ

ტექნიკა: ტრანსკრანიული ფერადი დუპლექსის გამოყენებით შესაძლებელია ინტრაკრანიული სისხლძარღვების გამოსახვა. შესაძლებელია სისხლძარღვის მდებარეობის და კალიბრის განსაზღვრა, მათში ნაკადის გაზომვა და ინტრაკრანიული სისხლძარღვების სტენოზირების ხარისხის უკეთ დადგენა.

ტექნიკა: ტრანსკრანიული ფერადი დუპლექსის გამოყენებით შესაძლებელია ინტრაკრანიული სისხლძარღვების გამოსახვა. შესაძლებელია სისხლძარღვის მდებარეობის და კალიბრის განსაზღვრა, მათში ნაკადის გაზომვა და ინტრაკრანიული სისხლძარღვების სტენოზირების ხარისხის უკეთ დადგენა.

ჩვენებები: იგივე რაც ტრანსკრანიული დოპლერ-სონოგრაფიისთვის.

ᲑᲘᲝᲤᲡᲘᲐ

განსაზღვრება: კუნთის და ნერვული ქსოვილის ჰისტოქიმიური და ფერმენტული-ჰისტოქიმიური, სინათლის და ელექტრონულ მიკროსკოპიაზე დამყარებული მიკროსკოპული და იმუნოლოგიური კვლევა.

ᲙᲣᲜᲗᲘᲡ ᲑᲘᲝᲤᲡᲘᲐ

ტექნიკა: კუნთის ბიოფსია ყოველთვის ტარდება საშუალო ხარისხის დაზიანების მქონე კუნთოვანი ქსოვილიდან, ვინაიდან საჭიროა როგორც პათოლოგიური ასევე ნორმალური ქსოვილისთვის დამახასიათებელია ტიპიური მაჩვენებლების დადგენა. ბიოფსატი უნდა ავიღოთ იმ კუნთიდან, სადაც მანამდე არ ჩატარებული ნემსის გამოყენებით მიოგრაფიული კვლევა (ბ კვირის განმავლობაში მოსალოდნელია არტეფაქტები).

ტექნიკა: კუნთის ბიოფსია ყოველთვის ტარდება საშუალო ხარისხის დაზიანების მქონე კუნთოვანი ქსოვილიდან, ვინაიდან საჭიროა როგორც პათოლოგიური ასევე ნორმალური ქსოვილისთვის დამახასიათებელია ტიპიური მაჩვენებლების დადგენა. ბიოფსატი უნდა ავიღოთ იმ კუნთიდან, სადაც მანამდე არ ჩატარებული ნემსის გამოყენებით მიოგრაფიული კვლევა (ბ კვირის განმავლობაში მოსალოდნელია არტეფაქტები).

ელექტრონული მიკროსკოპიით შესაძლებელია ნაწილაკების ლოკალიზაციის დადგენა. ელექტრონული მიკროსკოპიით შესაძლებელია ნაწილაკების ლოკალიზაციის დადგენა.

კოკალური ანესთეზიის შემდეგ (ბავშვებში ხშირი ნარკოზი) იღებენ 3 სმ-ის სიგრძის კუნთოვან ქსოვილს, მაგალითად ბარძაყის ოთხთავა კუნთიდან. ჰისტოლოგიური და ჰისტოქიმიური შეღებვა ტარდება კრიოსტატებზე. ფიქსაცია ხდება 5%-იანი გლუტარალდეჰიდით.

ჩვენებები: მიოპათიური სინდრომი (გავრცობილი, დეგენერაციული ცვლილებები), მიოზიტური სინდრომი (ანთება, პერივასკულური, ინტერსტიციული ინფილტრაცია), ნეიროგენული სინდრომი (კუნთოვანი ბოჭკოების ატროფია). კუნთო-

ვანი ქსოვილის დეგენერაცია შესაძლებელია სინათლის მიკროსკოპის მეშვეობით დადგინდეს. ნეიროგენული და მიოგენული ატროფიების დიფერენციებისათვის მოწოდებულია დამატებით ელექტრონული მიკროსკოპიული სწლებვის მეთოდებია გამოყენებით.

ნერვის ბიოფსია

ტექნიკა: ღრმაღული ანესთეზიის შემდეგ, წმინდა სენსორული ნერვიდან (n. Suralis), ახდენენ ნერვის მიკროქირურგიულ ექსციზიას. ჰისტოლოგიური ღებება სხვადასხვა მეთოდით. სინათლის ან ელექტრონული მიკროსკოპის დახმარებით ხდება პათოლოგიის ამოცნობა.

ჩვენებები: ნერვის ბიოფსია ჩვენებას ნახმოადგენს პოლინეიროპათიების, განსაკუთრებით პერიფერიული ნერვების ამილოიდოზური და საქმო ვასკულური გენეზის დაზიანების დიაგნოსტიკა და დიფერენციება.

5

აფაზია, აპრაქსია და აგნოზია

აფაზიის სახეები

განსაზღვრება: აფაზია განისაზღვრება როგორც ცვინის დაზიანებით გამოწვეული ენობრივი ფუნქციის შეძენილი დარღვევა.

ენობრივი ფუნქცია უნდა განირჩეს მეტყველების უნარისგან და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანში ერთდროულად შეიძლება აღინიშნებოდეს ენობრივი ფუნქციის და მეტყველების უნარის დარღვევა. *ტერმინით მეტყველება აღინიშნება ნეირონული კონტროლით განხორციელებული ორალური არტიკულაციური კუნთების კოორდინირებული მოქმედება.* ენობრივი ფუნქცია წარმოადგენს ერთულ სიმბოლოს სასიგნალო სისტემას, რომელიც ადამიანების მიერ გამოიყენება ურთიერთობათა დასამყარებლად. ენობრივი ფუნქცია, თავის მხრივ, მხოლოდ მეტყველებით არ გამოიხატება, რადგან ადამიანთა შორის ურთიერთობა შეიძლება განხორციელდეს წერა-კითხვის მეშვეობით. ინდივიდებში ამ უნართა დარღვევა შეიძლება დამოუკიდებლად აღმოცენდეს და განაპირობოს *აღექსიის* ან *აგრაფიის* ჩამოყალიბება. ენობრივი ფუნქციის დარღვევა აგრეთვე შეიძლება დაბადებიდან ყრუ-მუნჯებშიც განვითარდეს, რომლებიც ნიშან-სიმბოლოთა მეშვეობით ურთიერთობენ. ტერმინი *დისფაზია* გამოიყენება ნეირობიოლოგიური დარღვევით გამოწვეული ენობრივი ფუნქციის დაზიანების აღსანიშნავად. თუმცა აქვს ენდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში დისფაზიით აღინიშნება ნაწილობრივი ან სრული აფაზია (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი). დიზართრია, დისფონია (ხმის შეცვლა), ენაბლუობა და მეტყველების აპრაქსია წარმოადგენს მეტყველების ენარის მოტორულ-არტიკულაციურ დარღვევას. მეტყველების აპრაქსია ეწოდება არტიკულაციის იმგვარ დარღვევას, რომელსაც დიზართრიის არსებობის პირობებში, ანუ ბგერების, განსაკუთრებით ეს თანხმოვნები, არათანმიმდევრულად წარმოითქმებიან.

სიმენჯე წარმოადგენს მეტყველების ენარის ტოტალურ დაკარგვას, რომელიც შესაძლოა მძიმე აფაზიის შედეგი იყოს. მისი მიზეზი აგრეთვე შეიძლება იყოს დიზართრია, შებრის ნერვის დისფუნქცია, ექსტრაპირამიდული სისტემის მძიმე დაზიანება, სასა-ხახის არანევროლოგიური ხასიათის დაავადებები, ფსიქოგენური სინდრომი. ენაბრუძლით მეტყველება არის აფაზიის სიმპტომი და წარმოადგენს მეტყველების მოტორულ დარღვევას. ანომია – საგნების დასახელების შეუძლებლობა მიუთითებს მეტყველების დარღვევაზე ან მეხსიერების დაზიანებაზე.

პრაქსიული მეტყველება ენოდება სიტყვის წარმოთქმაში დაშვებულ

ენობრივი ფუნქცია უნდა განირჩეს მეტყველების უნარისგან. ადამიანში ერთდროულად შეიძლება აღინიშნებოდეს ენობრივი ფუნქციის და მეტყველების უნარის დარღვევა. *ტერმინით მეტყველება აღინიშნება ნეირონული კონტროლით განხორციელებული პირის არტიკულაციური კუნთების კოორდინირებული მოქმედება.* ენობრივი ფუნქცია წარმოადგენს ერთულ სიმბოლოს სასიგნალო სისტემას, რომელიც ადამიანების მიერ გამოიყენება ურთიერთობათა დასამყარებლად.

ტერმინი *დისფაზია* გამოიყენება ნეირობიოლოგიური დარღვევით გამოწვეული ენობრივი ფუნქციის დაზიანების აღსანიშნავად.

პასუხი

აფაზიული მეტყველება ენობრივი ფუნქციის დარღვევაა, რომელიც ვლინდება სიტყვის ნაკლოვანი წარმოთქმით, ენობრივი ერთეულების არასწორი შერჩევით, ენობრივი სტრუქტურების დარღვევით. ენობრივი ფუნქციის დარღვევა ვლინდება ენის ყველა დონეზე: ფონემატურ, ლექსიკურ, გრამატიკულ და ტექსტის დონეზე. ენობრივი ფუნქციის დარღვევა ვლინდება ენის ყველა დონეზე: ფონემატურ, ლექსიკურ, გრამატიკულ და ტექსტის დონეზე.

აფაზიული მეტყველება ენობრივი ფუნქციის დარღვევაა, რომელიც ვლინდება სიტყვის ნაკლოვანი წარმოთქმით, ენობრივი ერთეულების არასწორი შერჩევით, ენობრივი სტრუქტურების დარღვევით. ენობრივი ფუნქციის დარღვევა ვლინდება ენის ყველა დონეზე: ფონემატურ, ლექსიკურ, გრამატიკულ და ტექსტის დონეზე. ენობრივი ფუნქციის დარღვევა ვლინდება ენის ყველა დონეზე: ფონემატურ, ლექსიკურ, გრამატიკულ და ტექსტის დონეზე.

ენობრივი ფუნქცია და მასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები (წერა-კითხვა) ადამიანთა უმრავლესობისთვის დაკავშირებულია მარცხენა, დომინანტურ ჰემისფეროსთან.

ენობრივი ფუნქცია და მასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები (წერა-კითხვა) ადამიანთა უმრავლესობისთვის დაკავშირებულია მარცხენა, დომინანტურ ჰემისფეროსთან.

მარცხენა ჰემისფეროს საფეთქლის ნიჟარის ზედა უკანა - ვერნიკეს (Wernicke-) უბნის დაზიანება ინვევს ადამიანის მეტყველების და ნაწერის გაგების გაძნელებას ან შეუძლებლობას.

მარცხენა ჰემისფეროს საფეთქლის ნიჟარის ზედა უკანა - ვერნიკეს (Wernicke) არე ნარმოადგენს. მისი დაზიანება ინვევს ადამიანის მეტყველების და ნაწერის გაგების გაძნელებას ან შეუძლებლობას. მეორე მნიშვნელოვან ველს ნარმოადგენს *შუბლის ნიჟარის ქვედა არე (ბროკას Broca-ს* და მიმდებარე უბნები). ამ უბნის დაზიანება ინვევს მეტყველების სისხარტის დაკარგვას, ენის ბოძიებას, ნინადადების გრამატიკული სტრუქტურის გამარტივებას ან დარღვევას, თუმცა, მეტყველების აღქმა და წერა ამ დროს შედარებით შენარჩუნებულია.

შუბლის ნიჟარის ქვედა არის (ბროკას Broca-ს არე და მიმდებარე უბნები) დაზიანება ინვევს მეტყველების სისხარტის დაკარგვას, ენის ბოძიებას. ნინადადების გრამატიკული სტრუქტურის გამარტივებას ან დარღვევას, მეტყველების აღქმა და წერა ამ დროს შედარებით შენარჩუნებულია.

ენის სემანტიკური ასპექტი გულისხმობს სიტყვათა აზრობრივ მნიშვნელობას. ადამიანის მეტყველების სემანტიკური ასპექტი სიტყვათა საწყობს არ ნიშნავს, ის მოიცავს სამყაროს შესახებ მთლიანად ჩვენს ცოდნას.

ენის სემანტიკური ასპექტი გულისხმობს სიტყვათა აზრობრივ მნიშვნელობას. ის ჰომ ადამიანმა იცის სიტყვების "ფერი", "მატარებელი" და ა.შ. მნიშვნელობა, ხოლო "სპილოს" ქვეშ იგულისხმება ოთხფეხა ხორთუმიანი ცხოველი, განპირობებულია ენის ნორმალური სემანტიკით. ადამიანის მეტყველების სე-

შესწორებს. ეს შესწორები შეიძლება იყოს *ფონემური*, როდესაც სიტყვაში ხდება არასწორი ბგერის ჩანაცვლება (მაგალითა, დანა-ჩანგალი – ჯაბა-მანგალი). *ჰერსევერაცია* ეწოდება ნინა პასუხის შეუფერებელ განმეორებას, ხოლო *ნეოლოგიზმები* არის აფაზიული მეტყველების პროცესში არასწორი სიტყვების ნარმოქმნა. ვარგონული ეწოდება მეტყველების, როდესაც პარაფაზიული შესწორებით და ნეოლოგიზმებით მეტყველება ისეა დაბინძურებული, რომ მათი მნიშვნელობის გარჩევა შეუძლებელია.

ეტიოპათოგენეზი: ენობრივი ფუნქცია და მასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები (წერა-კითხვა) ადამიანთა უმრავლესობისთვის დაკავშირებულია მარცხენა, დომინანტურ ჰემისფეროსთან. ამდენად, მემარჯვენეებში, აფაზია, მარჯვენა ჰემისფეროს დაზიანების დროს ძალიან იშვიათად გვხვდება. თუ ამგვარი რამ ვლინდება, მას ეწოდება ჯვარედინი აფაზია. ჰემისფეროს ფუნქციის დომინანტობას თავისი ანატომიური შესატყვისი გააჩნია. ჯერჯერობით, მარცხენა ჰემისფეროს საფეთქლის ნიჟარა უფრო დიდია, ვიდრე მარჯვენასი. ცალიერებში, მდგომარეობა ჩამდენადმე განსხვავებულია. ამ ადამიანებში მარცხენა დომინანტობის პრინციპი დაახლოებით 50-60% ხორციელდება. ფაქტიურად, იმ ადამიანებში, რომლებიც ნერვისას გამოხატულ მემარჯვენეები არ არიან, ადგილი აქვს ამბიდექსტრიას და ამას შესაბამისად, ენობრივი ფუნქცია მათში ორ ჰემისფეროს შორის თანაბრად ნანილდება.

ენის აღქმის და მეტყველებისთვის უმნიშვნელოვანეს ველს ნარმოადგენს *მარცხენა ჰემისფეროს საფეთქლის ნიჟარის ზედა უკანა - ვერნიკეს (Wernicke) არე* ნარმოადგენს. მისი დაზიანება ინვევს ადამიანის მეტყველების და ნაწერის გაგების გაძნელებას ან შეუძლებლობას. მეორე მნიშვნელოვან ველს ნარმოადგენს *შუბლის ნიჟარის ქვედა არე (ბროკას Broca-ს* და მიმდებარე უბნები). ამ უბნის დაზიანება ინვევს მეტყველების სისხარტის დაკარგვას, ენის ბოძიებას, ნინადადების გრამატიკული სტრუქტურის გამარტივებას ან დარღვევას, თუმცა, მეტყველების აღქმა და წერა ამ დროს შედარებით შენარჩუნებულია. მეტყველების ეს ორი ძირითადი უბანი ერთმანეთთან დაკავშირებულია *ჩაჯღოვანი ჯონით (fasciculus arcuate).* ჯერსიკულად ამ ჯონის დაზიანება განაპირობებს გამარტივებლობით აფაზიას, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ხშირია სუპრამარგინალური ველის (gyrus supramarginalis) და მის ირგვლივ მყოფი სტრუქტურის დაზიანებისას.

ნერვის ენარი დაკავშირებულია ვერნიკეს უბნის უკან მდებარე ანგულარულ ველთან, რომელიც ლოკალიზებულია თხემის, საფეთქლის და კეფის ნიჟარების შერწყმის ადგილას. ამ უბნის დაზიანება მოიცავს დისფაგიას, დისკალკულიას მარჯვენა და მარცხენა მხარეებში ორიენტაციის დარღვევას და თითების აგნოზიას.

ჭეშმარიტი აფაზია ვითარდება ენის ლინგვისტური შემადგენელი კომპონენტების დაზიანების შედეგად, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფიან ენის ფონემატურ, სემანტურ და სინტაქსურ ასპექტებად.

ენის ფონემატური ასპექტი მოიცავს ბგერათა ნარმოქმნას. სამეტყველო ენის უმცირეს შემადგენელ ნანილს ნარმოადგენს ფონემა, რომელსაც ანბანის ერთი ასო შეესაბამება. ყველა ენა შედგება ფონემების განსაზღვრული ოდენობისგან, რომელთა მეშვეობითაც სიტყვათა განსაზღვრული ოდენობა ნარმოიქმნება. ფონემები შეიძლება განვიხილოთ როგორც ენის საშენი მასალა. პაციენტს შესაძლოა აღენიშნებოდეს ფონემების თანმიმდევრობით დაღაგების უნარის დაზიანება, რის შედეგადაც, აღმოცენდება *ფონემური ანუ ლიტერული პარაფაზია,* რომელიც ნამდვილ სიტყვასთან მიახლოებული ჟღერადობის არის (მაგალითა, სკამი – სკავი) ან *ნეოლოგიზმები* (ჯერდელი – გუნდელი). მეტყველების გაგების საფუძველს ფონემათა დეკოდირების უნარი ნარმოადგენს, ხოლო ორივე ეს ფუნქცია – ფონემათა ნარმოქმნა და მათი გაგება საფეთქლის ზედა ნანილით ხორციელდება.

მანტური ასპექტი სიტყვათა სანყობს ახ ნიშნავს, ის მოიცავს სამყაროს შესახებ მთლიანად ჩვენს ცოდნას. სემანტური ჰახაფაზიის მაგალითს ნახმოადგენს ფრაზა - ვაშლი მსხლისათვის, რომელიც უდავოდ მოუღებელია აზროვნის დატვირთვას. სწორი სიტყვის პოვნის სიძნელე განაპირობებს მეტყველების გადატვირთვას დეტალური ახსნა-განმარტებითი ფრაზები (მაგალითად, აი ის ხილი, ჰატარა მრგვალები რომ აქვს და რომელისგანაც ღვინოს ამეთებენ). ამ სემანტურ-ლექსიკურ პროცესში ნამყვანი როლი დომინანტურ ჰემისფეროს საფეთქლის ნილს მიეკუთვნება.

ენის სინტაქსური ასპექტი მოიცავს ენის ახალისობრივი სიტყვების (ნინდებულები, თანდებულები, კავშირები, ზმნისწინები, ზედსართავები, ზმნათა დაბოლოებები) იმგვარ გამოყენებას, რომ სიტყვათა ერთობლიობა ნარმოქმნის გრამატიკულად და აზრობრივად გამართულ ნინადადებას. სინტაქსური ასპექტის გაღრმავება ან მისი სრული მოსპობა – აგრამატიზმი – ნიშნდობლივია ბროკას ტიპის აფაზიისთვის. ახასნოლად გამოყენებული სინტაქსური ელემენტებით გადატვირთული ფრაზეოლოგია ე.ნ. ჰარაგრამატიზმი დამახასიათებელია ვერნიკეს აფაზიისთვის. ენის აღქმის დარღვევა, რომელიც უპირატესად ენის სინტაქსურ ასპექტს შეეხება, შესაძლოა აღინიშნებოდეს შებრის ნილის დაზიანებისას.

ენობრივი ფუნქციის ჰემისფეროსეულ ასიმეტრიაში მარცხენა ჰემისფეროს უდავო დომინანტობის მიუხედავად, მარჯვენა ჰემისფეროს გარკვეული როლი თამაშობს ენის აღქმაში და ექსპრესიის ალიანგვისტური ასპექტის განხორციელებაში. მეტყველების უმეტესი ლინგვისტური კომპონენტების – ფონეტიკის, სინტაქსის და სემანტიკის გარდა, ლაპარაკის დროს ვლინდება მეტყველების ემოციურ-გამომსახველობითი მხარე, რომელშიც აისახება ჩვენი განწყობა, ურთიერთდამოკიდებულებები. ეს აისახება მეტყველების მელოდიურობით, ინტონაციებით, პაუზებით, მახვილებით და მთლიანად მეტყველებას ცოცხალ ხასიათს აძლევს. ამ თვისებათა ერთობლიობას პროსოდია ენოდება. მძიმე დისპროსოდია ალენიშნება მარცხენა ჰემისფეროს ნინა ნანილის დაზიანებას, ხოლო დისპროსოდიის უფრო მსუბუქი ფორმები გვხვდება მარჯვენა ჰემისფეროს დაზიანებისას – ე.ნ. ემოციური დისპროსოდია.

ენის შემადგენელი კომპონენტები – ფონეტიკა, სინტაქსი და სემანტიკა შესაძლოა დამოკიდებულად დაზიანდნენ, ვინაიდან ეს პროცესები პარალელურად მიმდინარეობს და მათი განმახორციელებელი ნეირონული ქსელები ანატომიურად ურთიერთს გადაფარავენ. თავის ტვინის ფოკალური დაზიანებები მეტყველების ხერხემალ ორნევენ. ნეირონლინგვისტთა აზრით, ძნელია მოიძებნოს აფაზიის მქონე ორი ერთნაირი ავადმყოფი, თუმცა ლინიკისტთა საბედნიეროდ, თავის ტვინის მწვავე დაზიანების შემდეგ, საკმაოდ გამოკვეთილი ნიშანთვისებების მქონე ლინიკური სინდრომები ვლინდება, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა აფაზიის ლასიკური სინდრომების ფორმირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სინდრომები ძირითადად ქრონიკულ პაციენტებშია აღნერილი, მწვავე ინსულტის შემთხვევაში ვლინდება ან გლობალური აფაზია, ან ახალგაზრდა ასიმეტრიული ატიპიური აფაზია. ამის მსგავსად, თავის ტვინის ატროფიულ-დეგენერაციული პროცესების, კერძოდ პიკის და ალცჰაიმერის დროს განვითარებული მეტყველების დისფუნქცია, იშვიათად ატარებს კლასიკური აფაზიური სინდრომების ხასიათს.



ნახ. 5.1 ტვინის დაზიანებით გამოწვეული მეტყველების შეძნელება

ენის სინტაქსური ასპექტი მოიცავს ენის ახალისობრივი სიტყვების (ნინდებულები, თანდებულები და ა.შ.) იმგვარ გამოყენებას, რომ სიტყვათა ერთობლიობა ნარმოქმნის გრამატიკულად და აზრობრივად გამართულ ნინადადებას. სინტაქსური ასპექტის გაღრმავება ან მისი სრული მოსპობა – აგრამატიზმი – ნიშნდობლივია ბროკას ტიპის აფაზიისთვის.

5.1 ენობრივი ფუნქციების განსაზღვრა და ნეირონული საფუძველი

ენის ფუნქციური შემადგენლობა	განსაზღვრა	ლოკალიზაცია
ფონეტიკა	სამეტყველო ბგერების (ფონემების) სწორი, თანმიმდევრული ნაიმოთქმა და აღქმა	მარცხენა საფეთქლის წილის ზედა ნაწილი
სემანტიკა	სიტყვებისთვის მნიშვნელობის მიცემა და ღინგვისტურად გამართული სატყეული სიტყვების ნაიმოთქმა	მარცხენა საფეთქლის წილი (ზუსტი ლოკალიზაცია უცნობია)
სინტაქსი	თანდებულების, ჯავშირების და წინდებულების მეშვეობით სიტყვებისაგან წინადადებების შექმნა	მარცხენა ჰემისფეროს წინა ნაწილი
პროსოდია	ინტონაციების, მახვილების, მოდულაციის მეშვეობით მეტყველებისათვის ელეგანტურობის შეძენა	მარცხენა ჰემისფეროს წინა ნაწილი
	ემოციული გამომსახველობა	მარჯვენა ჰემისფერო

სინდრომოლოგია: ენინიჯური შეფასებისას, მეტყველება ტრადიციულად იყოფა ექსპრესიულ და იმპრესიულ აფაზიად. მართალია, ჰეალურად აფაზიის მქონე ყველა პაციენტს აღენიშნება ექსპრესიული მეტყველების გაძნელება, ამ დეფიციტის განმაპირობებელი ღინგვისტური პროცესები სხვადასხვა შემთხვევაში ერთმანეთისგან განსხვავებულია. მარცხენა ჰემისფეროს წინა ნაწილების დაზიანებისას, დარღვეულია ნაიმოთქმა, მეტყველება გაძნელებული და დამახინჯებულია. ჰემისფეროს უკანა ნაწილების დაზიანებისას მეტყველების სისხარტე შენახულია, თუმცა, აღინიშნება ფონემური (ლიტერული) და სემანტიკური პარაფაზიები. ორივე შემთხვევაში ზიანდება მეტყველების ექსპრესიული ნაწილი, მაგრამ მათი საფუძველი სრულიად განსხვავებულია.

აფაზიის თანმხლებია ნეირისა და ერითვის დაზიანება, შესაბამისად, ერითვის უნარის დაზიანება ინოდება *აღექსია- დისღექსიად*, ნეირის დაზიანება - *აგნოზია დისგნოზიად*.

აფაზიის თანმხლებია ნეირისა და ერითვის დაზიანება, შესაბამისად, ერითვის უნარის დაზიანება ინოდება ***აღექსია- დისღექსიად***, ნეირის დაზიანება - ***აგნოზია დისგნოზიად***. ნეირის დროს ფონემური პარაფაზიები ორთოგრაფიულ შეცდომებად გარდაიქმნებიან. აფაზიის მქონე პაციენტებზე დაკვირვების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ნეირა-ერითვისათვის არსებობს ორი ერთმანეთის პარალელური სისტემა. ერთის მეშვეობით იგი ხორციელდება ბგერითი ფონემების გნოზემებად გარდაქმნით და პირიქით, ხოლო მეორე გზა დაკავშირებულია უშუალოდ სემანტურ აღქმასთან. ეს ორი სისტემა შესაძლოა დამოუკიდებლად დაზიანდეს და განაპირობოს დისღექსიისა და დისგნოზიის სხვადასხვა ტიპები.

უნდა გამოხატოს მეტყველების ოთხი ასპექტი: 1. *სპონტანური მეტყველება,* რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეტყველების სისხარტეს, *2. განმეორება, 3. აღქმა, 4. დასახელება.*

ენინიჯური დიაგნოზისა და ენინიჯურ-დაბრკოლებული ჯოხელაციების თვალთახედვით უნდა გამოხატოს მეტყველების ოთხი ასპექტი: 1. ***სპონტანური მეტყველება,*** რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეტყველების სისხარტეს, ***2. განმეორება, 3. აღქმა, 4. დასახელება.***

1. სპონტანური მეტყველება – მეტყველების შეფასება ხდება ავადმყოფის მიერ ანამნეზის და ჩივილების ნარმოდგენისას. თუ მეტყველება საზოგადოდ მწირია, შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს ამ დროს ნაირად ნუსხათა ჩამოთვლის შეთავაზება, მაგალითად, როგორიცაა ჯვირის ღილები. უპირატესი მნიშვნელობა სპონტანურ მეტყველებაში ენიჭება მის სისხარტეს. სხარტი მეტყველება მიედინება სწრაფად და ძალდატანების გარეშე. ლაპარაკის ტემპი, მელოდიურობა, არტიკულაცია, ფრაზის სიგრძე შენახულია, ხოლო ზანტი მეტყველების დროს ლაპარაკი გაძნელებულია, შენელებულია, დარღვეულია მეტყველების რითმი, მელოდიურობა, არტიკულაცია გაღარიბებულია. ფრაზები შემოკლებულია და გადატვირთულია არსებითი სახელებით და ზმნებით. ხშირია პაუზა და

ენაბოძიება. სპონტანური მეტყველებისას მეტყველების სისხარტით, სიღვივის ღართან დაზიანების ლოკალიზაციის მიმართებით, ერთმანეთისგან განასხვავებენ აფაზიურ სინდრომებს. ხანგრძლივ მეტყველების დროს, დაზიანება ლოკალიზებულია სიღვივის ღარის წინ, მარცხენა ჰემისფეროს შუბლის წილში, ხოლო სხარტი მეტყველებისას კი – სიღვივის ღარის უკან, ვერნიკეს არის ირგვლივ.

ჯ. ალქმა – ფაქტიურად ყველა აფაზიურ ავადმყოფს აღენიშნება მეტყველების ალქმის ესა თუ ის დეფიციტი. ეს განსაკუთრებით ვლინდება სინტაქსური ალქმის შესწავლისას. მაგრამ ტრივიალური მიზნებისთვის პაციენტები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პაციენტები, რომელთაც მეტყველების ალქმა მკვეთრად აქვთ დაქვეითებული – მათ აღენიშნებათ მარცხენა საფეთქლის წილის ზედა ნაწილის დაზიანება – და პაციენტები, რომელთაც მიმართული მეტყველება ესმით. ალქმის შესაფასებლად პაციენტს სთხოვენ ყურადღება გაამახვილოს ერთ-, ორ- ან სამსაფეხურიან ბრძანებებზე. ერთსაფეხურიანი ბრძანების მაგალითია: " ენა ნინ გამოსწიეთ", ორსაფეხურიანი ბრძანების მაგალითია: "ასწიეთ თქვენი მარცხენა ცერი და დახუჭეთ თვალები", ბრძანებათა ნარმატებით შესრულება განსაზღვრავს ალექვატურ სმენით ალქმას, თუმცა, ხარვეზების არსებობა ავტომატურად არ ნიშნავს ალქმის უნარის დაკარგვას. დავალების შესრულების აუცილებელ პირობას ნარმოადგენს, რომ პაციენტს უნდა ესმოდეს ბრძანებები, ფლობდეს ენას, რომელზეც საუბრობს გამომცდელი და შეეძლოს მითითებული დავალებების ფიზიკურად შესრულება.

3. განმეორება – სიტყვების ან ფრაზების განმეორების გაძნელება აღინიშნება პერისილვიური – ე.წ. "მეტყველების ზონის" დაზიანებისას. ეს არე მოიცავს სილვიის ღარის ორივე მხარეს მდებარე ტვინის შუა არტერიის სარისკო ზონას – ნინ ბროკას და უკან ვერნიკეს არეების და მათ შორის არსებული ჩაკლისებრი ბოჭკოების ჩათვლით. სპონტანურ მეტყველებასთან შედარებით, განმეორებითი მეტყველების შენახვა მიუთითებს, რომ დაზიანება არ მოიცავს მეტყველების პირველად არეს და ლოკალიზებულია პერისილვიური ზონის გარეთ მდებარე ქერქულ ან სუბკორტიკულ სტრუქტურებში. შენახული განმეორებითი მეტყველებით მიმდინარე აფაზიური სინდრომები ***ტრანსკორტიკული აფაზიის სინდრომებად*** ინოდებიან – ***ტრანსკორტიკული მოტორული და ტრანსკორტიკული სენსორული აფაზია***. აღსანიშნავია, რომ განმეორებისას, დიზართრიის მქონე პაციენტებს, გარკვეული სიძნელეები აღენიშნებათ თანხმოვანი ბგერების სწრაფი თანმიმდევრობის დაცვასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც აფაზიის მქონე პაციენტებს სპეციფიკურად უჭირთ გრამატიკულად ორული ნინადადების განმეორება. მაგალითად, ფრაზის "ორანი თუ, კი მაგრამ" განმეორება განსაკუთრებით უჭირთ აფაზიის მქონე ავადმყოფებს.

4. დასახელება – ყველა სახის აფაზიის დროს აღინიშნება საგნების ან ნახატზე ნარმოდგენილი ნივთების დასახელების ამა თუ იმ ხარისხით გამოხატული გაძნელება, მაგრამ სხვადასხვა ტიპის აფაზიისას, მისი სიღრმე ცვალებადობს. ამის შესამონმებლად პაციენტს ვაჩვენებთ საგნებს, სხეულის ნაწილებს, სხვადასხვა ფერებს და ვთხოვთ მათ დასახელებას. ამასთანავე კითხვებით უნდა დავრნმუნდეთ, რომ ავადმყოფი სწორად აღიქვამს იმ საგნებს, რომლებიც მან ვერ დაასახელა.

განმეორებითი მეტყველებით მიმდინარე აფაზიური სინდრომები ***ტრანსკორტიკული აფაზიის სინდრომებად*** ინოდებიან - ***ტრანსკორტიკული მოტორული და ტრანსკორტიკული სენსორული აფაზია***.

5.1 მეტყველების პარამეტრების მიხედვით აფაზიის კლასიფიკაცია

აფაზიის ტიპი	სისხარტე	განმეორება	ალქმა	დასახელება
ბროკასეული	ხანგრძლივი	+	+	+
ბრომას	ხანგრძლივი	+	–	+
ტრანსკორტიკული მოტორული	ხანგრძლივი	–	–	+
ვერნიკეს	სხარტი	+	+	+
ტრანსკორტიკული სენსორული	სხარტი	–	+	+
ამნეზიური	სხარტი	+	–	+
ანომიური	სხარტი	–	–	+

მოტორული, ბოლოს აფაზია – გამღიღი სინდრომის დროს მეტყველებას გააჩნია ორი ძირითადი მახასიათებელი. იგი ზანტია და აგრამატიული, თუმცა ეს ორი თვისება შეიძლება განსხვავებულად ვლინდებოდეს. ტიპიურად აღინიშნება სიტყვის დაწყების და ფონემების შეჩერვის გაძნელება რაც განაპირობებს შენელებულ, გაძნელებულ მეტყველებას, რომელშიც მხოლოდ ის ასახსნელი, ფონემური (დიტეული) პარაფაზიებით დამახინჯებული სიტყვები.

ბოლოს აფაზიის გამღიღი ენობრივი სეანსი ვლინდება ფრონტო-პარიეტული უბნის უფრო ფართო დაზიანების დროს.

სპონტანური მეტყველება ვერნიკეს აფაზიის დროს სხარტია, მაგრამ თანხლებულია პარაფაზიული შეცდომებით. ბოლოს აფაზიისაგან განსხვავებით, მეტყველებას ახასიათებს ძალდატანება ის სჭირდება და არც დიზართრია ის აღინიშნება. ხშირად, თავად სიტყვიერი პროდუქციის მოცულობა იზრდება, ხოლო მეტყველების ინტონაცია და მელოდიურობა შენახულია.

მოტორული, ბოლოს აფაზია – გამღიღი სინდრომის დროს მეტყველებას გააჩნია ორი ძირითადი მახასიათებელი. იგი ზანტია და აგრამატიული, თუმცა ეს ორი თვისება შეიძლება განსხვავებულად ვლინდებოდეს. ტიპიურად აღინიშნება სიტყვის დაწყების და ფონემების შეჩერვის გაძნელება რაც განაპირობებს შენელებულ, გაძნელებულ მეტყველებას, რომელშიც მხოლოდ ის ასახსნელი, ფონემური (დიტეული) პარაფაზიებით დამახინჯებული სიტყვები. ჯავშნიების, ნინდებულების და თანდებულების გამოუყენებლობის გამო, წინადადების გრამატიული ფორმა გამარტივებულია. უმეტესი გამოვლინების დროს ეს მეტყველება ტელეგრაფულ სტილს იძენს. საგნების დასახელება გაძნელებულია, მაგრამ ფონემური შეხსენება (დასაწყისი ბგერების შეხსენება) ავადმყოფს ეხმარება სწორ დასახელებაში. სმენითი აღქმა შენახულია, თუმცა ორული სინტაქსური მიმართებების აღქმაში იგი მკრივად ირღვევა. განმეორება, კითხვა და წერა დარღვეულია და როგორც წესი, ასახავს მეტყველების დროს არსებულ შეცდომებს. ამასთან ერთად, აღინიშნება მარჯვენამხრივი ჰემიპარეზი, მგრძნობელობის დარღვევა ჰემიტიპით, ორალური აპრაქსიის აპრაქსია და ხშირად დეპრესია.

აფემია – ბოლოს აფაზიის იშვიათი ვარიანტი – არის ზანტი მეტყველების სინდრომი, რომლის დროსაც ავადმყოფი დასაწყისში დუმს და შემდგომ იძენს ღარპარაკის უნარს, მეტყველების ფონემური პარაფაზიებითა და პაუზებით. ყველა დანარჩენი მეტყველების ფუნქცია, მათ შორის წერითიც, შენახულია. აფემია, ჩვეულებრივ, ტრანზიტორული სინდრომია, რომელიც განპირობებულია ბოლოს არის ან მისი სუბკორტიკული თეთრი ნივთიერების ან ქვედა პრეცენტრალური ხვეულის მკრივე დაზიანებით.


ანატომიური ლოკალიზაცია – ტერმინი ბოლოს აფაზია ღრმად ღრმობით უფრო აღნერილობით ხასიათს ატარებს, ვიდრე ანატომიურს. ენობრივ პრაქტიკაში ნეირობიამოსახვითი მეთოდების გამოყენებით გამოვლინდა, რომ დაზიანება, რომელიც შემოსაზღვრულია მხოლოდ ბოლოს არით (შუბლის ნილის ქვედა ნაწილი) განაპირობებს მეტყველებითი პროდუქციის გარდამავალ დარღვევას, და არა ბოლოს აფაზიის სხვა ნიშან-თვისებებს. ბოლოს აფაზიის გამღიღი ენობრივი სეანსი ვლინდება ფრონტო-პარიეტული უბნის უფრო ფართო დაზიანების დროს, რომელიც შეესაბამება ტვინის შუა არტერიის ზედა ტოტის საარტერიო არეს. უფრო მეტიც, ეს სინდრომი იშვიათად აღინიშნება მწვავე ინსულტის დროს, იგი ვლინდება გლობალური აფაზიის განვითარებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ.

ვერნიკეს აფაზია – სპონტანური მეტყველება ვერნიკეს აფაზიის დროს სხარტია, მაგრამ თანხლებულია პარაფაზიული შეცდომებით. მწვავე პერიოდში მეტყველება ხშირად შედგება ფონემური და სემანტიკური პარაფაზიების და მათი კომბინაციების იმგვარი სიუხვისგან, რომ განაპირობებს ნეოლოგიზმებით სავსე ჟარგონულ მეტყველებას. ბოლოს აფაზიისაგან განსხვავებით, მეტყველებას არავითარი ძალდატანება არ სჭირდება და არც დიზართრია არ აღინიშნება. ხშირად, თავად სიტყვიერი პროდუქციის მოცულობა იზრდება, ხოლო მეტყველების ინტონაცია და მელოდიურობა შენახულია. ულხო ენაზე მოსაუბრე პაციენტში, ექიმისთვის ვერნიკეს აფაზიის შეფასება შეუძლებელია. ამ აფაზიის დროს, წინადადების გრამატიული სტრუქტურა შეღარებით შენახულია, მაგრამ მეტყველება მოკლებულია ინფორმაციის მატარებელ არსებით სახელებს და ზმნებს (მე მინდა მოგახსენოთ, რომ სახლოგაღრე, მე ვფიქრობ, ამდენად, ჰათა და ა.შ.) ხშირად გამოიყენება არასწორი სინტაქსური სტრუქტურები, რასაც პარაგრამატიზმი ეწოდება. პაციენტები თავიანთ უკრიტიკობას ვერ აცნობიერებენ. დასახელება მკვეთრად ზიანდება, ფონემური და სემანტიკური პარაფაზიებისას, ბგერითი დახმარება მათ დასახელებაში არ ეხმარება. სახელების ჩამოთვლა დარღვეულია, ხშირია ულნაკრი პარაფაზიული სახელები.

სმენითი აღქმა, განმეორება და ნაკითხულის აღქმა დარღვეულია. ხელწერა უმეტესად კარგია, მაგრამ ჩვეულებრივ ისევეა დარღვეული, როგორც სპონტანური მეტყველება. ზოგჯერ აღინიშნება მარჯვენამხრივი ჰემიანოფსია, მაგრამ კიდურების მოტორული და სენსორული ფუნქციები, როგორ წესი, შენახულია. დეპრესია უფრო იშვიათია, ვიდრე ბოლოს აფაზიის დროს. ბოლოს აფაზიისგან

განსხვავებით, ვერნიკეს აფაზია (სხარტი, ჰარაფაზიური, ჰარაგრამატიული მეტყველების სინდრომი) ჩვეულებრივ, მკაფიოდ უკავშირდება საფეთქლის ზედა ხვეულის უკანა ნაწილის დაზიანებას, ზოგჯერ თხემის ქვედა ნაწილზე გავრცელებით.

ბროკასეული აფაზია - ნარმოადგენს ბროკასა და ვერნიკეს აფაზიების ერთობლიობას. ამ დროს მეტყველება ან ზანტია ან საერთოდ არ არის, ძალზე დაზიანებულია ლექსის უნარი, ისევე როგორც სახელების ჩამოთვლა, განმეორება, წერა და კითხვა. ამასთან ერთად, პაციენტთა უმრავლესობას ხშირად აქვთ მარჯვენამხრივი ჰემიპარეზი, მგრძნობელობის გამოვარდნა ჰემიტიპით, ხშირია ჰემიანოფსიაც. დაზიანების კერა ამ შემთხვევებში საკმაოდ დიდია, მოიცავს ორ შუბლის ქვედა და საფეთქლის ზედა ერგირონებს და ხშირად თხემის ნიცის დიდ ნაწილსაც.



ნახ. 5.1 მეტყველების ცერებრული ცენტრები

გამტარებლობითი აფაზია - ბროკას და ვერნიკეს არეების დამაკავშირებელი ძირითადი გამტარებლობითი ტრაქტის, fasciculus arcuate-ს დაზიანების შედეგად განვითარებული აფაზიას, გამტარებლობითი აფაზია ეწოდება. ის ხასიათდება სხარტი, მაგრამ ფონემური ჰარაფაზიებით მდიდარი მეტყველებით, საკუთარი შეცდომების გასწორებისას, პაციენტები ხშირად მეჩხუბებენ. დასახელება შეიძლება დარღვეული იყოს, თუმცა მეტყველების და ნაწერის აღქმა დამაკმაყოფილებელია, ხოლო ძირითად სიძნელეს სიტყვების განმეორება წარმოადგენს. ზოგ პაციენტს განმეორების უნარი იმდენად დარღვეული აქვს, რომ ერთეული სიტყვების განმორებაც კი შეუძლებელი ხდება. იმავდროულად აღინიშნება ჰემიანოფსია და ჰემიჰიპესთეზია, მაგრამ მოტორული სფერო ნორმალურია. დაზიანების კერის ტიპიურ ლოკალიზაციას წარმოადგენს სილვიის ღარის და მიმდებარე თეთრი ნივთიერების ზევით და იმავდროულად მდებარე სუპრამარგინული ხვეული, რომელიც, ამავდროულად, მეტყველების საფეთქლის და შუბლის არეებს ერთმანეთისაგან გამოყოფს. გამტარებლობითი აფაზია უხშირესად წარმოადგენს ვერნიკეს აფაზიის უკუგანვითარების ერთ-ერთ სტადიას. გამტარებლობითი აფაზიის მწვავე ჩამოყალიბების შემთხვევაში ჰიპოგნოზი ჯარგია.

ანომიური აფაზია – საგნების დასახელების და სიტყვების მოძებნის გაძნელება, ფაქტიურად, ყველა ტიპის აფაზიის დამახასიათებელი ნიშანია, მაგრამ ხშირესაც დასახელების ჰიპობლემის სიღრმე სჭარბობს ყველა სხვა აფაზიურ გამოვლინებას, შეიძლება ვივარაუდოთ ანომიური აფაზიის არსებობა. ანომიური აფაზია ხშირად ვლინდება სხვადასხვა ტიპის აფაზიების უკუგანვითარების ჩვიდეულური სტადიის დროს, ის აგრეთვე დამახასიათებელია ალცჰაიმერის დაავადების აღრეული სტადიისთვის. სპონტანური მეტყველება ნორმალურია, თუმცა აღინიშნება პაუზები და სიტყვაუხვობა, რაც განპირობებულია დასახელების დარღვევით. განმეორება, კითხვა და წერა ინტაქტურია.

ბროკასეული აფაზია - ნარმოადგენს ბროკასა და ვერნიკეს აფაზიების ერთობლიობას. ამ დროს მეტყველება ან ზანტია ან საერთოდ არ არის, ძალზე დაზიანებულია ლექსის უნარი, ისევე როგორც სახელების ჩამოთვლა, განმეორება, წერა და კითხვა.

ბროკასა და ვერნიკეს არეების დამაკავშირებელი ძირითადი გამტარებლობითი ტრაქტის, fasciculus arcuate-ს დაზიანების შედეგად განვითარებული აფაზიას, გამტარებლობითი აფაზია ეწოდება.

გახსოვდეთ ჯატეგორიების საგნების დასახელების დეფექტი ინოდება *ჯატეგორია-სპეციფიკურ ანომიად*. მის ყველაზე ხშირ გამოვლინებას წარმოადგენს ფეხების ანომია.

ეტიოპათოგენეზი: დომინანტური ჰემისფეროს ნებისმიერი ლოკალიზაციის მოცულობითი პროცესები, დაავადების დებიუტში, შეიძლება ანომიური აფაზიით გამოვლინდეს. ამიტომ, პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციის თვალსაზრისით, ანომიური აფაზია, ნაკლებად მნიშვნელოვანი სინდრომია, მაგრამ ამ ტიპის აფაზიის მწვავედ განვითარებისას, სავარაუდოა, დაზიანების არსებობა მარცხენა თხემ-საფეთქლის მიდამოში, ხოლო სუბარაქნოიდული ხვეულისაენ დაზიანების გავრცელებისას, ანომიურ აფაზიას შეიძლება თან დაერთოს აღქმა და აგნოზია.

გახსოვდეთ ჯატეგორიების საგნების დასახელების დეფექტი ინოდება *ჯატეგორია-სპეციფიკურ ანომიად*. მის ყველაზე ხშირ გამოვლინებას წარმოადგენს ფეხების ანომია, როდესაც ავადმყოფი ვერ ასახელებს მითითებულ ფეხებს ან დასახელებისას ვერ აჩვენებს გახსოვდეთ ფეხს. ვინაიდან ჯატეგორია-სპეციფიკური ანომიის დროს დაზიანება არ შემოიფარგლება მარცხივი დასახელებით, იგი შეიძლება მიეკუთვნოს სემანტიკური მეხსიერების დაზიანებას.

ტრანსკორტიკალური აფაზია – ძირითად დამახასიათებელი თვისებას წარმოადგენს განმეორების უნარის შენახვა, ხოლო მისი განვითარების მიზეზია მეტყველების პერისილვიური ჩაგიონის გარეთ, ქერქსა და თეთრ ნივთიერებაში განვითარებული დაზიანება, რომელიც წყვეტს სხვადასხვა ქერქული უბნების კავშირს მეტყველების ნეირონულ წრესთან. აღწერილია ტრანსკორტიკალური აფაზიის სამი სინდრომი, რომელიც გლობალური, ბროკას და ვერნიკეს აფაზიების ანალოგიურია, მხოლოდ განმეორების უნარი ინტაქტურია.

ტრანსკორტიკალური აფაზიის ძირითად დამახასიათებელი თვისებას წარმოადგენს განმეორების უნარის შენახვა, ხოლო მისი განვითარების მიზეზია მეტყველების პერისილვიური ჩაგიონის გარეთ, ქერქსა და თეთრ ნივთიერებაში განვითარებული დაზიანება, რომელიც წყვეტს სხვადასხვა ქერქული უბნების კავშირს მეტყველების ნეირონულ წრესთან.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲧᲠᲬᲔ *(Pure word deafness)* – ეს შედარებით იშვიათი, მაგრამ ურთულესი სინდრომია, რომელიც ვლინდება სმენითი აღქმის და განმეორების უნარის იზოლირებული დაკარგვით, რომლის დროსაც მეტყველების, საგნების დასახელების და წერა-კითხვის უნარი სავსებით შენახულია. ამ დროს სუფთა ტონების და ეგრეთ წოდებული არავერბალური ხმაურის, ჯერჯერობით, ცხოველთა ხმების, გარჩევის უნარი შენახულია. უმეტეს შემთხვევაში, წმინდა სიტყვისმიერ სიყრუეს თან ახლავს პარაფაზიული მეტყველება, ვერბალურად, ანატომიური სუბსტრატს წარმოადგენს ბილატერალური დაზიანება, რომელიც განაპირობებს ორივე მხარის Heschl-ის ხვეულისაგან ვერნიკეს ცენტრის იზოლაციას.

სუბკორტიკალური აფაზია განპირობებულია ბაზალური განგლიების ან თეთრი ნივთიერების სიღრმეში დაზიანების ჯერის განვითარებით.

ᲡᲣᲑᲙᲝᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲤᲐᲖᲘᲐ – განპირობებულია ბაზალური განგლიების ან თეთრი ნივთიერების სიღრმეში დაზიანების ჯერის განვითარებით. მარცხენა თალამუსში ჩამოყალიბებული სისხლჩაქცევა ხშირად ინვევს ვერნიკეს მსგავს აფაზია, რომლის დროსაც აღქმა უკეთესია, ვიდრე კორტიკული ვერნიკეს აფაზიის დროს. პაციენტის მდგომარეობა მონაცვლეობს სიფხიზლესა (თითქმის ნორმალური მეტყველებით) და ძილიანობას (პარაფაზიებითა და აღქმის უნარის გაღარიბებით) შორის. მარცხენა ბაზალური განგლიების და ღრმად მდებარე თეთრი ნივთიერების დაზიანება იწვევს "წინა სუბკორტიკული აფაზიურ სინდრომს" და მოიცავს დიზართრიას, განმეორების და ასევე აღქმის იოლ დარღვევას. უფრო უკანა დაზიანება იწვევს პარაფაზიულ მეტყველებას და აღქმის დარღვევას (ვერნიკეს აფაზიის მსგავსად). ძირითადად, სუბკორტიკული აფაზია ვლინდება ატიპიური ფორმებით, რომელთა დიასფიგმაცია ძნელია და ხშირად თანხლებულია დიზართრიით და მარჯვენამხრივი ჰემიპარეზით.

✔ ᲞᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ - ᲓᲘᲡᲚᲔᲥᲡᲘᲐ

ენთხვის უნარის დარღვევა ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1) ე.წ. *პერიფერიული დისლექსია*, როდესაც სინდრომს განაპირობებს მხედველობითი აღქმის დეფექტი, რის გამოც ირღვევა დანეირი ენგრამების დეკოდირება

2) ცენტრალური დისლექსია, როდესაც ღრმა ვიზუალური პროცესების დარღვევის გამო ზიანდება სიტყვის მნიშვნელობის აღქმა.

ჰემისფერული დისლექსიები: ალექსია აგრაფიის გარეშე და neglect-დისლექსია

ალექსია აგრაფიის გარეშე – ეს იშვიათი სინდრომი ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ცოდნის ფონემურ-გრაფემური ურთიერთობის ნევროლოგიური დაშლის შესახებ. ამ სინდრომის მქონე პაციენტებს შეუძლიათ წერა, მაგრამ არ შეუძლიათ საკუთარი დაწერილის წაკითხვა. მეტყველება, სმენითი აღქმა და განმეორება ნორმალური. საგნის დასახელება შესაძლოა მცირედ დარღვეული იყოს, ასევე განსაკუთრებით ფერების დასახელებას ეხება. მას თითქმის ყოველთვის ერთვის მარჯვენამხრივი ჰემიანოფსია ან მარჯვენა ზედა კვადრანტში მხედველობის ველის დეფექტი. ნმინდა აღექსიის გამომწვევი მიზეზი თითქმის ყოველთვის მარცხენა უკანა ცერებრული არტერიის საირიგაციო ზონაში განვითარებული ინსულტია, რომელიც განაპირობებს კეფის წილის მედიალური ნაწილის, ჰოლძიანი სხეულის მუხლის და ხშირად საფეთქლის წილის მედიალურ ნაწილში ინფარქტის განვითარებას. სინდრომის განვითარების სავარაუდო მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს: მარჯვენამხრივი ჰემიანოფსიის გამო მარჯვენა მხედველობის ველში ნაწერის ნაკითხვა შეუძლებელია. ნაწერი აღქმება მარცხენა მხედველობის ველში და შესაბამისად, ჰოლოსფერებად მარჯვენა ჰემისფეროში, მაგრამ ლოკალიზებული სხეულის დაზიანების გამო ვიზუალური ინფორმაციის გადატანა მარჯვენა ჰემისფეროდან მარცხენაში არ ხორციელდება. ამ დროს მეტყველების ცენტრები შენახულია, მაგრამ ისინი იზოლირებულია შემომავალი მხედველობითი ინფორმაციიდან. მარჯვენა ჰემისფეროში ასოების აღქმა ხორციელდება, მაგრამ მარცხენა ჰემისფეროდან მისი იზოლაციის გამო, მათი ნამოთქმა არ ხორციელდება.

ალექსია აგრაფიის გარეშე - ამ სინდრომის მქონე ავადმყოფებს შეუძლიათ წერა, მაგრამ არ შეუძლიათ საკუთარი დაწერილის წაკითხვა. მეტყველება, სმენითი აღქმა და განმეორება ნორმალური.

Neglect-დისლექსია – ეს სინდრომი ვლინდება მარჯვენა თხემის წილის დაზიანებისას და განპირობებულია სიტყვების მარცხენა ნაწილის წაკითხვის შეუძლებლობით. ეს ძირითადად მარჯვენა ჰემისფეროს სინდრომის საერთო სტრუქტურაში მოიაზრება. მარცხენა ჰემისფეროს დაზიანების დროს *neglect დისლექსიის* სინდრომი ძალზე იშვიათია და მისი გამოვლენა ძნელია.

Neglect-დისლექსიის სინდრომი ვლინდება მარჯვენა თხემის წილის დაზიანებისას და განპირობებულია სიტყვების მარცხენა ნაწილის წაკითხვის შეუძლებლობით.

ცენტრალური დისლექსია - აფაზიის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ ხმამაღლა კითხვის უნარის ან წაკითხულის აღქმის დარღვევა. კითხვის გაძნელება ან შეუძლებლობა აფაზიის ძალზე მგრძნობიარე მახასიათებელია და მეტყველების მკვეთრ გაუმჯობესების ფონზეც, პაციენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ კითხვა მათ ჩვეულ სიამოვნებას არ ანიჭებს. ბოლომდე აფაზიის დროს განსაკუთრებით გაძნელებულია ზმნების დაბოლოებებისა და წინდებულებისა და თანდებულების წაკითხვა. ვერბალურ აფაზიის მქონე პაციენტებს კითხვა პრაქტიკულად არ შეუძლიათ ან უამრავ პრობლემებს უშვებენ.

ცენტრალური დისლექსია - აფაზიის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ ხმამაღლა კითხვის უნარის ან წაკითხულის აღქმის დარღვევა.

აგრაფიით აგნოზია – სინდრომი ნამდვილად შეძენილ უნიგნაურობას, რომლის დროსაც ადრე განათლებული პაციენტი წერა-კითხვის უცოდინარი ხდება. ამას თან ერთვის მარჯვენამხრივი ჰემიპარეზი და გერსტმანის სინდრომის ელემენტები: აგრაფია, აკალკულია, მარჯვენა-მარცხენა მხარის დეზორიენტაცია და თითების აგნოზია. დაზიანების ჯერა მდებარეობს ტიპიურად ქვედა თხემის წილაკში, განსაკუთრებით ანგულარულ ხვეულში.

წერის დარღვევა – აგრაფია-დისგრაფია

მკაფიო, ლინგვისტურად გამართული ნაწერი ნარმოადგენს მოტორული, მხედველობით-სივრცითი, კინესთეზიული და ენის ლინგვისტურ-სიმბოლური უნარების ინტეგრაციული მოქმედების შედეგს. აქედან გამომდინარე, წერა ადამიანის ძალზე ნატიფ უნარ-ჩვევებს მიეკუთვნება და მისი დაზიანება ტვინის სხვადასხვა ტიპის დისფუნქციამ შეიძლება გამოიწვიოს. ამის მიხედვით განასხვავებენ დისგრაფიების სამ ძირითად ტიპს. წერა შესაძლოა დაზიანებული

წერის დარღვევა - აგრაფია-დისგრაფია. წერა შესაძლოა დაზიანებული იყოს ნეზოლირებულად (*ნმინდა აგრაფია*), თან ახლდეს აფაზიას (აფაზიური აგრაფია), ან გამოწვეული იყოს მხედველობით-სივრცითი დეფექტით (სივრცობრივი ანუ neglect-დისგრაფია).

მოტოხული აფაზიის დროს ვითარდება ნეირის შენელება ასოების გამოტოვებით, აგრამატიზმით, ხოლო სენსოხული აფაზიის დროს, ნეირის მოტოხული უნარის შენარჩუნებისას, ვლინდება პარაფაზიები და ფონემების გარეშემებში გარჩევის გაძნელება.

იყოს იზოლირებულად (*ნმინდა აგრაფია* ანუ *დისპრაქსიული დისგრაფია*), თან ახლდეს აფაზიას (ცენტრალური, ლინგვისტური დისგრაფია ანუ აფაზიური აგრაფია), ან გამოწვეული იყოს მხედველობით-სივრცითი დეფექტით (სივრცობრივი ანუ neglect დისგრაფია).

ნმინდა აგრაფია ანუ დისპრაქსიული დისგრაფია ენოდება ავტომატური, ნატიფი მოტოხული ფონეტიკის დარღვევის შედეგად განვითარებულ ნეირის დარღვევას, რომელიც ვითარდება დომინანტური ჰემისფეროს თხემის ან შუბლის ნილის დაზიანებისას. მას თან ახლავს ჟიდუების იდეომოტოხული დისპრაქსია.

ცენტრალური, ლინგვისტური დისგრაფია ანუ აფაზიური აგრაფია ყოველთვის თან ახლავს მეტყველების დარღვევას ან აღქმისას. დაზიანების ტიპი აფაზიური დარღვევების მსგავსია. მოტოხული აფაზიის დროს ვითარდება ნეირის შენელება ასოების გამოტოვებით, აგრამატიზმით, ხოლო სენსოხული აფაზიის დროს, ნეირის მოტოხული უნარის შენარჩუნებისას, ვლინდება პარაფაზიები და ფონემების გარეშემებში გარჩევის გაძნელება.

სივრცობრივი ანუ *neglect-დისგრაფია* უმთავრესად თან ახლავს მარჯვენა ჰემისფეროს დაზიანებას, რის გამოც მისი დიფერენცირება აგრაფიის სხვა ტიპებისგან ადვილია. სივრცობრივი აგრაფია თან ახლავს მარჯვენა ჰემისფეროს სინდრომების გამოვლინებას (მარცხენა ექსტრაპოლარული სივრცის იგნორირება, განსტატური და მხედველობითი სივრცითი დარღვევები). ამ დროს ნაწერი ძალზე დამახასიათებელია – მისი მარცხენა ჟიდე ფართოა, ხოლო ნაწერში ადგილი აქვს სიტყვების პირველი ასოების გამოტოვებას.

მეტყველება მარჯვენა ჰემისფეროს დაზიანებისას

მემარცხენე პაციენტებში შესაძლოა მეტყველების მიმართ დომინანტური მარჯვენა ჰემისფერო იყოს, რომლის დაზიანებითაც მათ განუვითარდეთ აფაზიური სინდრომი, მემარჯვენე პაციენტებს, იშვიათ შემთხვევაში, აფაზია უვითარდებათ მარჯვენა ჰემისფერული ინსულტის შემდგომ (ჯვარედინი აფაზია). ამ პაციენტებს, როგორც ჩანს, აქვთ ჯვარედინი ან შეცვლილი დომინანტობა. მემარჯვენეებში ის, რომელთაც მარცხენა ჰემისფერო აქვთ დომინანტური, მარჯვენა ჰემისფეროს დაზიანებამ შესაძლოა განაპირობოს მეტყველების ასპექტის დარღვევები, რაც გამოვლინდება არაემოციის და ჩუმ მეტყველებაში.

მემარჯვენეებში, რომელთაც მარცხენა ჰემისფერო აქვთ დომინანტური, მარჯვენა ჰემისფეროს დაზიანებამ შესაძლოა განაპირობოს მეტყველების ასპექტის დარღვევები, რაც გამოვლინდება არაემოციის და ჩუმ მეტყველებაში.

მეტყველება დემენციით მიმდინარე დაავადებების დროს

დემენციის მქონე ავადმყოფებს მეტყველების დარღვევის ოთი ტიპი ალენიშნებათ. აღსანიშნავია დაავადების არსებულ სტადიებზე სიძნელეები ვლინდება საგნების დასახელებისას. საუბრისას აღინიშნება მეტყველების შინაარსის გაღარიბება, აბსტრაქტული და მეტაფორული აზროვნების დარღვევა. ნინადადების გრამატიკული კონსტრუქცია, ლექსიკონის ათვისების უნარი, სმენითი აღქმა, განმეორება და ზეპირსიტყვიერების უნარი შენახულია დაავადების გვიან სტადიამდე. მეორე ტიპი ნარმოადგენს პროგრესირებად აფაზიას, რომელიც ხშირად, სხვა კოგნიტური დარღვევების გარეშე ვლინდება. პირველადი პროგრესირებადი აფაზიის დროს შესაძლოა აღინიშნოს ფრონტო-ტემპორული ატროფია, ნიღვანი ატროფია (პიკის დაავადების დროს) ან სპონგიოფორმული დეგენერაცია.

თერაპია: საზოგადოდ, აფაზია ყველაზე მნიშვნელოვნად უკუგანვითარდება პირველი სამი თვის მანძილზე, მაგრამ გაუმჯობესება შესაძლებელია გაგრძელდეს უფრო ხანგრძლივად, განსაკუთრებით ახალგაზრდა პაციენტებსა და გლობალური აფაზიის მქონე ავადმყოფებში. გლობალური აფაზია შესაძლოა გარდაიქმნას ბროკას ან ვერნიკეს აფაზიად და შემდგომ გამტარებლობით ან ანომიურ აფაზიად. მეტყველებითი თერაპიის მიზანია ღრმარჩენილი უნარის აღგენის გააქტიურება და ადამიანისათვის დაკარგული ფუნქციის კომპენსაცია. ამ მიზნით მეტყველებითი თერაპიის სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება. გან-

მეოხების მეთოდს ატიპუელაციისა და აღქმის მასტიმულირებელი მნიშვნელობა გააჩნია. მელოდიუნ-ინტონაციური თერაპიის მეთოდი გამოიყენება მარჯვენა ჰემისფეროს დაზიანებით გამოწვეული მეტყველებითი დარღვევის გასაუმჯობესებლად. ვიზუალური მოქმედების თერაპია ექსპრესიისათვის ფესტებს იყენებს, ხოლო აფაზიური ჰერსევერაციების მკურნალობის მიზანია განმეორებითი გამოთქმების შემცირება.

მეტყველებითი თერაპიის მიზანია ლაპარაკის უნარის აღდგენის გაადვილება და ადამიანისათვის დაკარგული ფუნქციის კომპენსაცია.

ნეირომგანვითარების შეფერხებით გამოწვეული მეტყველების დარღვევები (დისფაზიები)

ნეირომგანვითარების შეფერხებით გამოწვეული მეტყველების დარღვევები (***ნეირომგანვითარების მეტყველებითი დარღვევები*** - ნმდ) ნარმოადგენს ნორმალური მენტალური და სომნითი განვითარების მქონე ბავშვებში არსებული მეტყველების განვითარების უკმარისობას. ბავშვების უმრავლესობას, ორი წლის ასაკისთვის, მეტყველების აღქმის უნარი გააჩნიათ, მათი ლექსიკონი 50-100 სიტყვისა და ორ სიტყვიანი ფრაზებისგან შედგება. 3 წლის ასაკიდან ექსპრესიული მეტყველების გამორკვეული უკმარისობა ნორმიდან გადახრას ნარმოადგენს. ჰიპოფიზი სამი წლის განმავლობაში ნმდ მიმანიშნებელი დამატებითი სიმპტომები ნარმოდგენილია ცხრილში.

ნეირომგანვითარების შეფერხებით გამოწვეული მეტყველების დარღვევები (***ნეირომგანვითარების მეტყველებითი დარღვევები*** - ნმდ) ნარმოადგენს ნორმალური მენტალური და სომნითი განვითარების მქონე ბავშვებში არსებული მეტყველების განვითარების უკმარისობას.

5.1 ნეირომგანვითარებითი მეტყველების დარღვევის მიმანიშნებელი სიმპტომები

ექსპრესიული მეტყველების შეზღუდვა ვერიდება ხვების გაძნელება, რაც დაკავშირებულია ღრჭვის, წოვის და ყლაპვის აქტთან 8 თვის ასაკში ბავშვს გარეგან სტიმულზე რეაქცია არ გააჩნია, ხოლო ორმარცვლიან ბგერებს ვერ ნარმოთქვამს 3 წლის ასაკში ბავშვი მცირეოდენ სიტყვებს და გაუგებარ სამ სიტყვიან გამოთქმებს ნარმოთქვამს
სამეტყველო ლექსიკონის შეზღუდვა სიტყვების მარაგი მცირეა, გაძნელებულია მათი გაგება, ახალი სიტყვების შეთვისება ხდება ნელა და ძნელად; შეზღუდულია ასევე სიტყვების აღქმა
სოციალური ურთიერთობის შეზღუდვა საჭიროების გარდა სოციალური ურთიერთობები იშვიათია
თამაშის უნარის შეზღუდვა 3 წლის ასაკისთვის შეზღუდულია სიმბოლური, ნარმოსახვითი, თამაშის უნარი, ტოლებთან ბავშვი აქტიურად არ თამაშობს
ახალი სიტყვების დასწავლის უნარის შეზღუდვა შეზღუდულია სიტყვების შესწავლა, ექსპრესიული მეტყველება შეიცავს მხოლოდ არატიპუელაციურ შეცდომებს ან მათი გაგება შეუძლებელია
ახალი სიტყვების დასწავლისადმი მიდგომის უნარის შეზღუდვა სიტყვების შესწავლისას ბავშვი მიმართავს ასაკისათვის შეუფერხებელ მიდგომას მაგალითად, ზედმეტად იმეორებს სიტყვებს (ექოლალია), არ ბაძავს სხვების მეტყველებას, არ იძლევა შემეცნებისთვის აუცილებელ შეკითხვებს (რა არის? რატომ?)
ყურადღების შენარჩუნება გაფანტულია ყურადღება, მცირე ინტერესს იჩენენ წიგნის კითხვის დროს, საუბრისას და ხალხთან ურთიერთობისას

არტიკულაციისა და ექსპრესიული მეტყველების სისხლარის დარღვევა

ნინა ცენტრალური ველებში ლოკალიზებული სუპრამოდალური ასოციაციური ქერქი (შუბლის ნიცის პოლუსი, მედიალური და ორბიტული ქერქი, საფეთქლის ნიცის ნინა ნანილი) ინფორმაციას იღებს ავტონომური, ვისცერული და ემოციური სისტემებიდან. სუპრამოდალური სისტემიდან, განტოტვილი ნეირონული ნრეების მეშვეობით, ინფორმაცია მიედინება ჰეტერომოდალურ და უნიმოდალურ ასოციაციურ ნრეებში, რისი მეშვეობითაც ხორციელდება ვეგეტო-ვისცერული და ემოციური სისტემების გავლენა ლოგნიტურ პროცესებზე. ლოკალიზებული სუპრამოდალური ასოციაციური ქერქი ნარმოადგენს ნინა ჰეტერომოდალური ქერქის ძირითად მასტონტროლებელ სისტემას, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ, მენტალურ პროცესებზე ახორციელებს მარეგულირებელ გავლენას.

ინტელექტუალური პროცესები ხორციელდება ქერქის ორ უბანში: შედარებით მასიურ უნიმოდალურ ასოციაციურ ქერქში და ბევრად უფრო მცირე მოცულობის, მაგრამ მნიშვნელოვან უკანა და ნინა ჰეტერომოდალურ ასოციაციურ ქერქში.

ამრიგად, ინტელექტუალური პროცესები ხორციელდება ქერქის ორ უბანში: შედარებით მასიურ უნიმოდალურ ასოციაციურ ქერქში და ბევრად უფრო მცირე მოცულობის, მაგრამ მნიშვნელოვან უკანა და ნინა ჰეტერომოდალურ ასოციაციურ ქერქში. ეს უბნები მთელ ინფორმაციას ორი გზით იღებს: პირველად სენსორულ პირველად ქერქულ უბნებიდან, ხოლო ჰომეოსტატური და ლიმბური სისტემებიდან მომავალ ინფორმაციას სუპრამოდალური ასოციაციური ქერქიდან. ამგვარად, ინტელექტი წარმოადგენს უნიმოდალური და ჰეტერომოდალური ქერქული უბნების ჰიერარქს, რომელიც განუწყვეტლივ განიცდის პირველადი ქერქისა და სუპრამოდალური ასოციაციური ქერქის გავლენას.

მწოლიარე პაციენტების მეხსიერებისა და ლოგნიტური ფუნქციების შემონმება

მწოლიარე პაციენტის ლოგნიტური ფუნქციების და მეხსიერების შეფასება წარმოადგენს ნევროლოგიური გასინჯვის შემადგენელ ნანილს, რომლის საშუალებითაც ნევროლოგი ახდენს უმაღლესი ქერქული ფუნქციების დარღვევის გამომწვევი დაზიანებული უბნის ლოკალიზაციას მსგავსად იმისა, როგორც მოკრძალებული, სენსორული, ნათხრობის ფუნქციების გამოკვლევა ავლენს ლოკალურ ნევროლოგიურ დაზიანებას. ნევროლოგები ხშირად უშვებენ შეცდომას, როდესაც არ მიიჩნევენ საჭიროდ მენტალური ფუნქციების სისტემურ გამოკვლევას, თითქოს და „ფხიზელ და ორიენტირებულ“ პაციენტებში. ასეთ ვითარებაში შეიძლება ხშირად გამოგვეპაროს მეხსიერების დეფიციტი, ცნობიერების დონე, ან სხვა ფოკალური დეფიციტები, როგორიცაა აფაზია, აგნოზია, აპრაქსია და კონსტრუქციული დარღვევები. ზოგიერთ პაციენტს ალენიშნება ჭარბსიტყვიერი მეტყველების ტიპი, ე.წ. სიტყვების „ტოკეილი“, „სალათი“, რომლის მიღმა იმალება დეფიციტი. ხშირად ნევროლოგები ემყარებიან ოჯახის წევრებისაგან მიღებული ინფორ-

ნევროლოგები ხშირად უშვებენ შეცდომას, როდესაც არ მიიჩნევენ საჭიროდ მენტალური ფუნქციების სისტემურ გამოკვლევას, თითქოს და „ფხიზელ და ორიენტირებულ“ პაციენტებში.

მაყიით და გულდასმით ახ იუვლევენ პაციენტს. ყველა ნევროლოგს უნდა ხელეწიფებოდეს გაარჩიოს, თუ რომელ პაციენტს სჭირდება ფორმალური კოგნიტური შეფასება, რომელს ინდივიდუალურად შედგენილი და რომელს სტანდარტული ტესტირება. მდგომარეობის ინდივიდუალური შეფასება ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სტანდარტული ფორმატით ხელმძღვანელობა.

კოგნიტური ფუნქციების და მეხსიერების შეფასება ნარმოადგენს ნევროლოგიური გასინჯვის შემადგენელ ნაწილს, რომლის საშუალებითაც ნევროლოგი ახდენს უმაღლესი ქერქული ფუნქციების დარღვევის გამომწვევი დაზიანებელი ბების ლოკალიზაციას

გამოქვეყნებულია მენტალური სტატუსის შეფასების ჩამოდენიმე ვერსია. მათ შორის ყველაზე ფართოდ გამოიყენება „Folstein – Mini Mental State Examination" – MMSE, *მენტალური სტატუსის მესამასებელი მოკლე სკალა*, რომელიც შედგება 30 პუნქტისგან:

6.3 *მენტალური სტატუსის მესამასებელი მოკლე სკალა* (MMSE)

დროში ორიენტაცია: „რომელი წელი, სეზონი თვე, რიცხვი და კვირის დღეა?"	5 ქულა, 1 ქულა თითოეული სწორი პასუხს
ადგილში ორიენტაცია „სად ვართ ახლა?" ქვეყანა, ქალაქი ქერა, შენობა, სართული,	5 ქულა, 1 ქულა თითოეული სწორი პასუხს
საგნის დამახსოვრება: 3 საგანი დავასახელოთ ნელა და ვთხოვოთ პაციენტს გაიმეორის	3 ქულა, 1 ქულა თითოეული სწორი პასუხს
შვიდის გამოკლება: ვთხოვოთ პაციენტს 100 გამოაკლოს შვიდი, 5-ჯერ თანმიმდევრობით, ან უკნიდან დამარცვლოს სიტყვა სამი	5 ქულა, 1 ქულა თითოეული სწორი პასუხს
საგნების გახსენება: ვთხოვოთ პაციენტს დაასახელოს სამი საგანი	3 ქულა, 1 ქულა თითოეული სწორი პასუხს
დასახელება: ვაჩვენოთ საათი, ფანქარი და ვთხოვოთ დაასახელოს	2 ქულა, 1 ქულა თითოეული სწორი პასუხს
ფრაზის განმეორება: ვთხოვოთ პაციენტს გაიმეორის „არავითარი ხო, კი, მაგრამ"	1 ქულა თუ პირველი მცდელობა სწორია
ვერბალური დავალების შესრულება: მივცეთ ფურცელი და ვთხრათ „აიღე ფურცელი მარჯვენა ხელში გადაკეცე და დაიდე მარცხენა მუხლზე"	3 ქულა, 1 ქულა თითოეული სწორი მოქმედებაში
წერითი დავალების შესრულება მივცეთ ფურცელი ნარნერით „დახატეთ თვალები" და ვთხრათ, ხმამაღლა ნაკითხვის გარეშე შეასრულოს დაწერილი ინსტრუქცია	1 ქულა თუ თვალები დახატა
წერა: ვთხოვოთ პაციენტს დაწეროს წინადადება	1 ქულა თუ წინადადება შეიცავს არსებით სახელს, ზმნას
ხატვა: პაციენტს ვთხოვოთ გადახატოს ორი ურთიერთგადამკვეთი ხუთკუთხედი	1 ქულა თუ ნახატი შეიცავს 10 კუთხეს

ნარმოდგენილი კალის უპირატესობას ნარმოადგენს მისი შევსების სიმარტივე, სისწრაფე და კოგნიტური სფეროს სხვადასხვა ასპექტების შეფასება, რაც მნიშვნელოვანია დარღვევების ხასიათის დადგენისას. თუმცა, ამ სქემას გააჩნია ნაკლოვანებებიც. პირველი იგი, ქულების ნორმის მაჩვენებელი დამოკიდებულია პიროვნების განათლებაზე. დაბალი განათლების მქონე ან გაუნათლებელი ადამიანებისთვის ნორმაზე დაბალ ქულას ნარმოადგენს 19, დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულთათვის ნორმაზე დაბალ ქულას ნარმოადგენს 23, საშუალო სკოლა დამთავრებულთათვის - 27, უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის კი 29 ქულა. განმსაზღვრელ ფაქტორს ნარმოადგენს ასაკიც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტესტი ვერ განასხვავებს ფოკალურ დაზიანებას დიფუზური დარღვევებისაგან, მაგალითად ენცეფალოპათიისა და დემენციის დროს. ამიტომ, *მენტალური სტატუსის მესამასებელი მოკლე სკალა* სქემა უნდა შეივსოს სხვა გამოკვლევებით და სქემებით.

პესონოლოგიური დარღვევები

ნევროლოგიური დაავადების დროს ახსებული პიროვნული ცვლილებები შეიძლება არ შეესაბამებოდეს ფსიქიატიული პათოლოგიის დროს განვითარებული პიროვნული დარღვევების დიაგნოსტიკის კრიტერიუმებს. პიროვნული ცვლილებები ხასიათდება წინამორბედი პიროვნული თვისებების გაუარესებით და პათოლოგიური ცვლილებებით, განსაკუთრებით შუბლის და საფეთქლის წილის დაზიანებისას, ხოგჯერ იმდენად დამახასიათებელი სიმპტომატიკით, რომ იგი ხდება დაზიანებული უბნის ლოკალიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი.

პესონოლოგიური დარღვევები

ნევროლოგიური დაავადებები არ ინვევს პიროვნულ დარღვევებს, მაგრამ მათ ხშირად ვხვდებით ნევროლოგიურ კლინიკაში.

ფსიქოპათიური პიროვნება ტერმინით ფსიქოპათიური პიროვნება განისაზღვრება ანტისოციალური პიროვნების თვისებები. სოციოპათი, (ფსიქოპათი), სოციოპათიური პიროვნება (ფსიქოპათი) და ანტისოციალური პიროვნება ნამოდგენენ აღტერნაციულ ტერმინებს. ასეთ პიროვნებებს აღიზიანებთ სოციალური მოვალეობები, არ იჩენენ მზრუნველობას და თანაგრძნობას სხვების მიმართ, გამოირჩევიან იმპულსური უხეშობით ან სასტიკი გულცივობით, რაც ვლინდება უკვე ბავშვობის ასაკიდან და გამოიხატება აღზრდის სირთულით ან ჰიპერაქტიურობით. ზრდასრულებს არ ახასიათებთ დიდი უთიერთობა სხვა პიროვნებებთან, სამსახურში მათი მუშაობის ხარისხი დაბალია და აღენიშნებათ მუდმივი მატერიალური სირთულეები. ასევე ახასიათებთ მედიკამენტების ბოროტად გამოყენება, ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური ხასიათის ტყუილები, სექსუალური გადახრები, სომატიზაცია, ფიზიკური ხასიათის უხეშობები და ქიმიური ანომალიები. პიროვნების ფსიქოპათიურობა ვლინდება ზრდასრულობის ასაკის პერიოდში, ხოლო მას ხნის ასაკში მისი გამოვლენა მიგვანიშნებს ორგანულ დაზიანებაზე.

აკვიატებული იდეების (ანანკასტური, ობსესიურ-კომპულსური) მქონე პიროვნება. აკვიატებული იდეების მქონე პიროვნებები მთელი ცხოვრების მანძილზე ხასიათდებიან მეწვრილმანეობით და პუნქტუალურობით. მათ უჭირთ თავიანთი ემოციების გამოხატვა და გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერი მოქმედებისას, რაც უშუალოდ განსხვავდება ობსესიურ-კომპულსური დარღვევისაგან.

ისტერიული პიროვნებება ისტერიული პიროვნება მსგავსია ანტისოციალური პიროვნების და კონტრასტულად განსხვავდება ობსესიური (აკვიატებული იდეებით) პიროვნებისაგან. ის ძირითად დამოკიდებულია სხვებზე, გამოირჩევა ემოციური არამდგრადობით, ზედაპირული მსჯელობით და იმპულსურობით; მას ახასიათებს ჭარბი მეტყველება და სცენების მონუსხა გადამეტებული ენთუზიაზმით; ხშირად მომხიბვლელია და აქვს თვითდრამატიზაციის უნარი. ახასიათებს თვითმყოფელობის მცდელობები. ისტერიული პიროვნებები უფრო ხშირად ქალები არიან.

პარანოიდული პიროვნება პარანოიდული პიროვნება გამოირჩევა მუდმივი ეჭვიანობით, ენდობლობით და ძალიან მგრძნობიარეა. თავის უთიერთობებზე ჰიპერდაჯერებულად ეჭვიანობს, ყველაფერს ედება და ამასთანავე გაუბის ახლო უთიერთობების დამყარებას. ნებისმიერ საქმეს ეკიდება უდიდესი ენერგიით, და აგრეთვე ნებისმიერ დოკუმენტაციას, რომ დაიცვას თავისი საქმე.

შიზოიდური პიროვნება შიზოიდური პიროვნება ნაკლებად ემოციურია, უჭირს სოციალური უთიერთობების დამყარება. ძირითადად განმარტოებული და ექსცენტრულია. ის უმეტესად ჩაკეტილია, ხშირად ანყობს უცნაური ქცევის სცენებს.

ნევრასთენიული პიროვნებები ნევრასთენიული პიროვნება ძირითად მგრძნობიარეა, აღვილად იღლება, ხშირად ცრივის გადაღლას, თავის თავზე დაბალი წარმოდგენა აქვს. ამბიციები და აგრესიულობა არ ახასიათებს. ხშირად ახასიათებს თავის ტკივილი.

ტერმინით ფსიქოპათიური პიროვნება განისაზღვრება ანტისოციალური პიროვნების თვისებები. ასეთ პიროვნებებს აღიზიანებთ სოციალური მოვალეობები, არ იჩენენ მზრუნველობას და თანაგრძნობას სხვების მიმართ, გამოირჩევიან იმპულსური უხეშობით ან სასტიკი გულცივობით, რაც ვლინდება უკვე ბავშვობის ასაკიდან და გამოიხატება აღზრდის სირთულით ან ჰიპერაქტიურობით.

ისტერიული პიროვნებება ძირითად დამოკიდებულია სხვებზე, გამოირჩევა ემოციური არამდგრადობით ზედაპირული მსჯელობით და იმპულსურობით

პარანოიდული პიროვნება გამოირჩევა მუდმივი ეჭვიანობით, ენდობლობით და ძალიან მგრძნობიარეა.

შიზოიდური პიროვნებები ნაკლებად ემოციონი არიან, უჭირთ სოციალური უთიერთობების დამყარება.

ნევრასთენიული პიროვნება ძირითად მგრძნობიარეა, აღვილად იღლება, ხშირად ცრივის გადაღლას თავის თავზე დაბალი წარმოდგენა აქვს.

მოსაზღვარე ტიპის მძფოთვარე პიროვნებას (borderline) აქვს ახამყარი პიროვნული უთიეთობები, არის იმპულსური, ჩაც ხშირად მისსავე საზიანოდ მოქმედებს, სამინდად ბიაზდება და ჩხუბობს, ემოციურად ახამდგარია და პეიროდულად აღენიშნება პარანოიდული ეპიზოდები. ჯარგად ანსახიერებს დისოციაციის ეპიზოდებს და ფსევდოგულყრებს.

ფეთქებადი პიროვნების მთავარ თვისებას ნარმოადგენს თავშეუკავებელი გაბრაზება და ანტისოციალური ქცევა. ამ დროს პიროვნება იმყოფება ახალონტროლირებად მდგომარეობაში, გადმოფრქვეული მრისხანების პაროქსიზმებით.

➡ *მოსაზღვარე ტიპის (borderline)* პიროვნებას აქვს ახამყარი პირადული უთიეთობები, არის იმპულსური, ჩაც ხშირად მისსავე საზიანოდ მოქმედებს, სამინდად ბიაზდება და ჩხუბობს.

ნევროლოგიური დაავადებებით გამოწვეული პსიქონოლოგიური ცვლილებები

ნევროლოგიური დაავადებებით განპირობებულ პიროვნულ ცვლილებებს ძირითადად იწვევს საფეთქლის და შუბლის წილის დაზიანება.

ორგანული ხასიათის პიროვნული ცვლილებები.

თავის ტრავმის შემდეგ განვითარებული პიროვნული ცვლილებები ჩვეულებრივ ნარმოადგენს უკვე არსებული პიროვნული ხასიათის გაუარესებას. თავის ტვინის ნებისმიერმა დაზიანებამ შეიძლება დაანგრიოს პიროვნება, ანუ გამოიწვიოს ე.წ. ორგანული ხასიათის პსიქონოლოგიური ცვლილებები. იგი მოიცავს გაღიზიანებადობას და მოუსვენრობას, აპათიურობას, კონცენტრირების და ყურადღების დაქვეითებას, ინიციატივის დაკარგვას და გადაჭარბებულ ემოციურობას. ასეთი პაციენტები გარემო პირობების ცვლილებებისადმი ნაკლებ ადაპტირებულნი, მათ უძლიერდებათ საფრთხის, შიშის შეგრძნება და კარგავენ საკუთარი თავის რწმენას; ხშირად ისინი ეცლებიან ყოველდღიურ ცხოვრებას. ამ სიმპტომებს ზოგჯერ განიხილავენ როგორც პოსტტრავმულ ნევროზს ან პოსტ-ტრავმულ სტრესულ დარღვევებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი უმთავრესად მიჩნეულია საფეთქლისა და შუბლის წილის დაზიანების სინდრომებად.

➡ თავის ტრავმის შემდეგ განვითარებული პიროვნული ცვლილებები ჩვეულებრივ ნარმოადგენს უკვე არსებული პიროვნული ხასიათის გაუარესებას.

შუბლის წილის სინდრომები

შუბლის წილის დაზიანების ძირითადი ნიშნებია ყურადღების და კონცენტრაციის უნარის დარღვევა, გაფანტულობა, ცუდი მეხსიერება და დავინყების მაღალი უნარი. შუბლის წილის სამი ძირითადი სინდრომის კლინიკური ნიშნები მოცემულია ცხრილში.

☑ შუბლის წილის სამი ძირითადი სინდრომის კლინიკური ნიშნები

ორბიტოფრონტალური სინდრომი

- შენელებული, იმპულსური ქცევა (ფსევდოფსიქოპათია)
- შეუსაბამოდ მხიარული განწყობა, ეიფორია
- ემოციური ლაბილობა (არამდგრადობა)
- განსჯის და განჭვრეტის უნარის გაღარიბება
- ყურადღების გაფანტულობა

შუბლის კონვექსიტალური სინდრომი (აპათიური)

- აპათია-ახასიათებს იმედგაცრუებას, ხანმოკლე სიბრაზის და აგრესიულობის ეპიზოდები. ინდიფერენტულობა
- ფსიქომოტორული შენელება (შებოჭილობა)

- მოტორული ჰესსევეიასიები, ინდივიდუალობის დაკარგვა, ქცევითი ნორმების დაკარგვა
- შეზღუდული, შეუფერებელი მოტორული ქცევა და მეტყველება, ლექსიკონის გაღარიბება
- მოქმედებების დაჰოგარმირების სირთულე
- აბსტრაქციის და კატეგორიზაციის დაქვეითება

მედიალური ფრონტალური სინდრომი (აკინეზიური)
- სპონტანური მოძრაობების და მანერების სიღარიბე
- დანანევრებული ვერბალური ჰიპოდქსია (განმეორება შეიძლება შენახული იყოს)
- სისუსტე ქვედა კიდურებში და მგრძნობელობის დაკარგვა
- შარდის შეუკავებლობა

ᲡᲐᲤᲔᲗᲥᲚᲘᲡ ᲜᲘᲦᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲔᲑᲘ

საფეთქლის ნიღის ფუნქციონირების მოშლის მთავარ ნიშნებს წარმოადგენს მეხსიერების დარღვევები და ჰესსონოლოგიური ცვლილებები. საფეთქლის ნიღის დაზიანების ირგვლივ მნიშვნელოვან დარღვევას ***კლუვერ ბიუსის*** (Kluver Bucy) სინდრომი. წარმოადგენს ეს არის ქცევითი დისფუნქცია, რომელიც ვითარდება ნებისმიერი სისტემის ორგანული დაზიანების ფონზე. ეტიძოდ, ის აღმოცენდება საფეთქლის ნიღის მედიალური ნიღის წინა ნაწილის და ნუშისებრი ბირთვის ორმხრივი დაზიანებისას. აღნიშნულის საფუძველზე, ***კლუვერ–ბიუსის სინდრომი ნეიროქცევით დარღვევად*** (neurobehavioral syndrome) განიხილება. პირველად იგი 1937 წელს აღწერეს *Heinrich Kl[]ver* და *Paul Bucy*-მ ექსპერიმენტული ცხოველების მონაცემების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მაიმუნებში ხდებოდა საფეთქლის ნიღების ორმხრივი ჩეზექცია. ამის შედეგად, მაიმუნებში განვითარდა შემდეგი სიმპტომები: ***ბულიმია*** (ჭარბი, უაზრო ჭამა, არაადექვატური ობიექტების ჭამით); ***ჰიპერსექსუალური ქცევა*** ჰომო- ჰეტერო ან აუტოსექსუალური მიდრეკილებით, არაადექვატური სქესობრივი პარტნიორის შერჩევით; ***შიშის და შფოთვის გაქრობა***, ***ჰიპერორალური ქცევა*** (საგნების პირით დაგემოვნება-გასინჯვის ტენდენცია); ***ჰიპერმეტამორფოზი*** (გარემოს ვიზუალური დათვალიერების აუცილებელი სურვილი)

საფეთქლის ნიღის ფუნქციონირების მოშლის მთავარ ნიშნებს წარმოადგენს მეხსიერების დარღვევები და ჰესსონოლოგიური ცვლილებები: *ჰიპერმეტამორფოზი (გარეგან სტიმულებზე ყურადღების მედმივი გამახვილება), ჰიპერორალიზმი (ყველა საგნის პირით გასინჯვის მიდრეკილება) მხედველობითი აგნოზია, ჭამა-სმისას უსუფთაობა, ჰიპერაქტიურობა, ჰიპერსექსუალური ქცევა, (კლუვერ ბიუსის სინდრომი) გაღიზიანებადობა, ყურადღების ადვილად გაფანტვა, აგრესიული გამოხტომები, ემოციური სიჩლუნგე, აპათიის და დეპრესიის პერიოდები*

მაიმუნებში აღწერის შემდეგ, მსგავსი სინდრომი გამოვლინდა თავის ტვინის სხვადასხვა დაზიანების მქონე პაციენტებში. პირველი კლინიკური შემთხვევა აღწერილ იქნა 1955 წელს არაონტოლოგიებადი ეპილეფსიური გულყრების მქონე პაციენტში, საფეთქლის ნიღების ორმხრივი ჩეზექციის შემდეგ.

ადამიანებში, კლუვერ ბიუსის სინდრომი იშვიათად არის წარმოდგენილი სრული სახით, იგი ვლინდება შემდეგი სიმპტომებით: 1. ***ემოციური სიჩლუნგე:*** ემოციურ სტიმულზე ჩვეულების სიღარიბე და სიმწირე. 2. ***ჰიპერფაგია:*** საგნების პირში ჩადების დაუძლეველი, აუცილებელი სურვილი, რაც გამოწვეულია პირის სტიმულაციის და ამ გზით საგნის შეცნობის სურვილით (რაც ხანდახან შეუღებულია მხედველობით აგნოზიასთან), და არა მიმშილით. ამასთანავე აღინიშნება ***ბულიმია*** (უზომო ჭამა) რომელიც თანხლებულია წონის მატებით. ჭამის აქტი შეიძლება მოიცავდეს სოციალურად მიუღებელ ქმედებებს, სხვების ღრჯვას, ხელით შეხებას. 3. ***ჰიპერსექსუალური ქცევა:*** ინდივიდებს არ აქვთ სექსუალური თავშეკავება და ხასიათდებიან არაადექვატური, შეუფერებელი ჰიპერსექსუალური აქტივობით. 4. ***მხედველობითი აგნოზია ანუ ფსიქიკური სიბრმავე, (საგნების ვერ ცნობა)*** და 5. ***ჰიპერმეტამორფოზი.***

კლუვერ-ბიუსის სინდრომის აღმოცენების მიზეზი შეიძლება იყოს 1. ***ჰერპესული ენცეფალიტი*** საფეთქლის ნიღების და ნუშისებრი ბირთვის ორმხრივი დაზიანებით (ყველაზე ხშირად); 2. ***ტუბერკულოზური მენინგიტი;*** 3. *Whip-*

ple-ს დაავადების ცენებიური ფორმა; 4. *თავის ტვინის ტრავმული დაავადება* (აუცილებელი არ არის მძიმე ტრავმის არსებობა); 5. *პიკის ან აღმჰაიმერის დემენცია*; 6. *ტვინის სისხლძარღვოვანი დაავადება*. 7. *ქრონიკული ჩარევა*, 7. *საფეთქლის ეპილეფსია*

ქცევის დარღვევები

მფოთვითი აშლილობა

ამ დარღვევების განმსაზღვრელ ჯგუფებს წარმოადგენს მშფოთვარე, მოუსვენარი მდგომარეობა, რომელიც არ არის დაკავშირებული სხვა ფსიქიატრიულ პათოლოგიასთან. მშფოთვითი აშლილობის ყველაზე ხშირი სიმპტომები ვლინდება გაძლიერებული გულისცემით, გულმკერდის ნინა მხარეს ტკივილით, მოხრჩობის და გადაცდენის შეგრძნებით. მშფოთვითი აშლილობის ერთერთი გამოვლინებაა პანიკური შეტევა, ჰიპერვენტილაცია, პოსტტრავმული ნევროტული აშლილობა და ობსესიურ-კომპულსიური (აკვიატებული იდეები) აშლილობა.

მშფოთვითი აშლილობის ყველაზე ხშირი სიმპტომები ვლინდება გაძლიერებული გულისცემით, გულმკერდის ნინა მხარეს ტკივილით, მოხრჩობის და გადაცდენის შეგრძნებით. მშფოთვითი აშლილობის ერთერთი გამოვლინებაა პანიკური შეტევა, ჰიპერვენტილაცია, პოსტტრავმული ნევროტული აშლილობა და ობსესიურ-კომპულსიური (აკვიატებული იდეები) აშლილობა.

მთვარეული (ფუგალური) მდგომარეობა

ფუგალური სტატუსი წარმოადგენს ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც პიროვნება გარბის თავისი გარემოდან. ფუგალურ სტატუსში მყოფი ადამიანი ნორმალურად ურთიერთობს გარშემო მყოფებთან, საკუთარ თავს იშვიათად აქცევს ყურადღებას, ხოლო სტატუსიდან გამოსვლის შემდეგ აბსოლუტურად ამნეზიებული აქვთ მომხდარი მოვლენები. ფუგალურ სტატუსთან დაკავშირებული მრავალფეროვანი პათოლოგიიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოჭარბებული დეპრესიული დაავადებები.

ფუგალური სტატუსი წარმოადგენს ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც პიროვნება გარბის თავისი გარემოდან. ფუგალურ სტატუსთან დაკავშირებული მრავალფეროვანი პათოლოგიიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოჭარბებული დეპრესიული დაავადებები.

სექსუალური დარღვევები

სექსუალური დარღვევები ხშირად მოიხსენიება შემდეგი ტერმინებით : შეცვლილი სურვილები, შეცვლილი ქცევა, ან თვით სექსუალური სიამოვნების მომნიჭებელი ობიექტის შეცვლა, (*პარაფილია)*. ნევროლოგიურ პრაქტიკაში ჩვენ ჩვევებს ნარმოადგენს ლიბიდოს დაქვეითება, ან აქტის დროს გაჩენილი დარღვევები (იმპოტენცია, ნაადრევი ეიაკულაცია ან ანორგაზმია). გენიტალური მიდამოს პერიფერიული ნერვების დაზიანებამ შეიძლება მთლიანად ან ნანილობრივ დააქვეითოს სექსუალური შესაძლებლობები. გაფანტული სკლეროზი და ზურგის ტვინის სხვა პათოლოგია აგრეთვე ინვევს სქესობრივი აქტის დარღვევას. შებლისა და საფეთქლის ნილის დაზიანება, ისევე როგორც დეპრესია და მშფოთვითი აშლილობა, განაპირობებს სექსუალური სიმპტომების განვითარებას. ჰიპოთალამუსის უკანა ნანილის და მამილარული სხეულების დაზიანება ინვევს ნაადრევ სქესობრივ მომწიფებას. საფეთქლის ნილის და ღრმა სისტემის დაზიანებას ახასიათებს ჰიპერსექსუალობა.

ნევროლოგიურ პრაქტიკაში ჩვენ ჩვევებს ნარმოადგენს ლიბიდოს დაქვეითება, ან აქტის დროს გაჩენილი დარღვევები. გენიტალური მიდამოს პერიფერიული ნერვების დაზიანებამ შეიძლება მთლიანად ან ნანილობრივ დააქვეითოს სექსუალური შესაძლებლობები.

ისტერია - კონვერსიული აშლილობა

ტერმინი *ისტერია* დღეს ისტორიის კუთვნილებას ნარმოადგენს. ამ სიტყვის უკან არსებული ფენომენები თანამედროვე სამედიცინო კლასიფიკაციებსა და ლიტერატურაში აღინიშნება როგორც *კონვერსია* ან *კონვერსიული აშლილობა* (დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია- IC D-11 ან DSM IV-TR) მისი განმსაზღვრელი ჯგუფებია ნევროლოგიური სიმპტომების არსებობა, მათი განმარპირობებელი ნევროლოგიური დაავადების არსებობის გარეშე. მნიშ-

ტიპური ისტორია ღრეს ისტორიის ათვისებას წარმოადგენს. თანამედროვე სამედიცინო კლასიფიკაციებში იგი აღინიშნება როგორც კონვერსია. მისი განმსაზღვრელი კრიტერიუმია ნევროლოგიური სიმპტომების არსებობა, მათი განმაპირობებელი ნევროლოგიური დაავადების არსებობის გარეშე.

ვნელოვანია ნევროლოგიური დაავადების გარდაქმნის (კონვერსიის) ფენომენის გაანალიზება, ვინაიდან ძალზე ხშირია ნევროლოგიური დაავადების კვალში ისტერიასთან. ორგანული დაავადება უმეტესწილად ვითარდება მოგვიანებით და ხშირად ისმება ისტერიის ანუ კონვერსიული აშლილობის დიაგნოზი, ვინაიდან კლინიკისტი ვერ ხსნის დაავადების არსებულ ნიშნებს. ყველაზე ხშირ სიმპტომებს წარმოადგენს მოტორული ფუნქციების, განსაკუთრებით სიარულის დარღვევა და პარეზთეზია ან ანესთეზია. დიაგნოზის დადგენა ხშირად რთულია და იგი ემყარება ორგანული ნევროლოგიური ნიშნების არარსებობას, წარსულში ან აწმყოში ფსიქოპათოლოგიის გამოვლენას, დაავადების მიმდინარეობისას არანორმალურ ქცევას.

ფსიქოგენური ამნეზია

ფსიქოგენური ამნეზია ნარმოადგენს ისეთ ეპიზოდს, რომლის დროსაც შეუძლებელია მნიშვნელოვანი პირადული ინფორმაციის, ჩვეულებრივ ცარვამასთან ან სტრესთან დაკავშირებული მოვლენების გახსენება და რომელიც იმდენად ძლიერია, რომ არ შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვეულებრივ, დავიწყების ადვილ უნარს. ამ დროს შენარჩუნებულია გარე სამყაროდან ინფორმაციის აღქმის და რთული დასწავლილი დავალებების შესრულების უნარი.

ფსიქოგენური ამნეზია ნარმოადგენს ისეთ ეპიზოდს, რომლის დროსაც შეუძლებელია მნიშვნელოვანი პირადული ინფორმაციის, ჩვეულებრივ ცარვამასთან ან სტრესთან დაკავშირებული მოვლენების გახსენება

დეპრესიის და ფსიქოზის ნევროლოგიურ ჰარმონიებში

ბუნებ-ბანყობის (აფექტური) დარღვევები

დეპრესია

დეპრესია ეს არის დაავადება, განსხვავებული ***დეპრესიული სიმპტომებისგან***, რომლებიც ნარმოადგენენ ადამიანის ქცევას გასაჭირზე, უბედურებაზე, ტანჯვაზე, ან ყოველდღიურ სასონარკვეთილებაზე. დეპრესიის მთავარ კრიტერიუმს ნარმოადგენს ბუნება-განწყობის ხანგრძლივი ან მუდმივი დაქვეითება. ადამიანი კარგავს სიცოცხლის ხალისს, მისთვის სიცოცხლე ტანჯვად იქცევა, იგი აღნიშნავს, რომ კარგავს კონცენტრირების უნარს, აღენიშნება მადის და ძილის ჩვევების შეცვლა. ხშირია თვითმკვლელობის აზრები, ხან პაციენტს სისრულეში მოჰყავს კიდეც.

დეპრესია ეს არის დაავადება, განსხვავებული *დეპრესიული სიმპტომებისგან*, რომლებიც ნარმოადგენენ ადამიანის ქცევას გასაჭირზე, უბედურებაზე, ტანჯვაზე, ან ყოველდღიურ სასონარკვეთილებაზე. დეპრესიის მთავარ კრიტერიუმს ნარმოადგენს გუნება-განწყობის ხანგრძლივი ან მუდმივი დაქვეითება.

მანია

მანია ხშირად დაკავშირებულია დეპრესიასთან და გვევლინება ორი პოლუსური სახის დარღვევით (***ბიპოლარული აშლილობა იგივე მანიაკალურ-დეპრესიული სინდრომი***), კერძოდ, დეპრესიული და მანიაკალური ეპიზოდების მონაცვლეობით. მანიაკალური მდგომარეობის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს კარგად ყოფნის ჰიპერბოლიზირებული შეგრძნება და ეიფორია. ეს შეგრძნება მთლიანად ავსებს ადამიანს და ზემოქმედებს მის აზრებსა და ფიქრებზე. იგი ვლინდება ქარბი მეტყველებით, იდეების გადმოფრქვევით და ძლიერი მოტორული აქტიურობით. კონცენტრაციის უნარი დაქვეითებულია, პაციენტი დაბნეული და აღზნებულია, უმეტესად ძილი ხანმოკლეა, ხოლო მადა გაძლიერებული.

მანიაკალური მდგომარეობის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს კარგად ყოფნის ჰიპერბოლიზირებული შეგრძნება და ეიფორია.

დეპრესია და ნევროლოგიური დაავადებები

თავის ტვინის ტრავმული ხასიათის დაზიანების ან ინსულტის შემდეგ, ზოგიერთ პაციენტს უვითარდება დეპრესია, რომელიც იწყება დაზიანებიდან რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ, ჩვეულებრივ, ნევროლოგიური დაავადების ახასიათებელი აღდგენის პირობებში. პაციენტებს, მარცხენა ჰემისფეროს წინა ნაწილის დაზიანებით, უფრო ხშირად აღენიშნებათ დეპრესია. დეპრესია შეიძლება განვითარდეს დემენციის ადრეულ ფაზაში, გამწვავების უნარის დაკარგვამდე.

პარკინსონის დაავადების მქონე პაციენტთა დაახლოებით 30-60%-ს აღენიშნება დეპრესია. იგი უმეტესად ვითარდება ახალგაზრდა ასაკში დაავადების დებიუტისას. დაავადების ქრონიკული გამოვლენა ხშირად ატიპიურად მიმდინარეობს, უმეტესწილად დეპრესიულ-შფოთვითი სიმპტომებით.

მეორადი მანია (მანიაკალური დარღვევა)

მანიაკალური და ჰიპომანიაკალური მდგომარეობა დაკავშირებულია მარჯვენა ჰემისფეროს ორბიტოფრონტალური ქერქის, ასევე კუდიანი ბირთვის, თალამური ან პერითალამური ბეგიონის და საფეთქლის ბაზალური ნაწილის დაზიანებასთან.

ნევროლოგიურ პაციენტებში ბუნებ-განწყობის დარღვევების მკურნალობის პრინციპები

ნევროლოგიური დაავადებით განპირობებული დეპრესიის მკურნალობა ძირითადად არ განსხვავდება დეპრესიის მკურნალობის ზოგადი პრინციპებისაგან. პაციენტთა ნაწილი არ საჭიროებს ანტიდეპრესანტებს, მათ უმრავლესობას თანდგომით უნდა აეხსნას მათივე პრობლემები. ანტიდეპრესანტების გამოყენების შემთხვევაში, მკურნალობა იწყება დაბალი დოზით, მისი თანდათანობითი ზრდით, გვერდითი მოვლენების გამორჩენამდე ან კლინიკური შედეგის მიღწევამდე. სელექციური, სეროტონინის უკუშეწოვის ინჰიბიტორები ნაკლებად განაპირობებენ გულყრის განვითარებას ან სედაციის ეფექტს.

ჰალუცინაციები, ილუზიები და ფსიქოზები

ნევროლოგიურ პრაქტიკაში, განსხვავებით ნევროზული მდგომარეობებისა და ბუნებ-განწყობის დარღვევებისგან, *ფსიქოზები* ძალზე იშვიათად გვხვდება. ***ჰალუცინაცია ნარმოადგენს რაიმეს აღქმას, შესაბამისი ობიექტური სტიმულის არარსებობის პირობებში;*** მისგან განსხვავებით ***ილუზია ნარმოადგენს აღქმულის არასწორ ინტერპრეტაციას.*** ილუზია, შეიძლება აღენიშნოს ნორმალურ ადამიანსაც, თუ იგი გადაღლილია, უყურადღებოდაა ან იმყოფება რაიმეს ძლიერ მოლოდინში. ***დელუზიის (მორწმენებითი მდგომარეობა) დროს პაციენტი მყარად არიან დარწმუნებული იმაში, რაც თვალსაჩინოდ არასწორია.*** დელუზიები უნდა განვასხვავოთ ზეღირებული იდეებისგან, რომლებიც მართალია მყარია, მაგრამ გადარწმუნება შესაძლებელია.

➡ *ჰალუცინაცია ნარმოადგენს რაიმეს აღქმას, შესაბამისი ობიექტური სტიმულის არარსებობის პირობებში; ილუზია ნარმოადგენს აღქმულის არასწორ ინტერპრეტაციას. დელუზიის (მორწმენებითი მდგომარეობა) დროს პაციენტი მყარად არიან დარწმუნებული იმაში, რაც თვალსაჩინოდ არასწორია.*

ჰალუცინაციის და დელუზიის ხასიათი და მათი გამომწვევი მიზეზები.

ჰალუცინაცია შეიძლება განვითარდეს ძლიერი ემოციური შეძენილი დაავადების ფონზე. ტვინის მწვავე და ქრონიკული ორგანული დაზიანების სინდრომის (დელირიუმი) დროს ჰალუცინაცია შეიძლება იყოს სასიამოვნო ან საშიში. ***ჰიპნაგოგური*** და ***ჰიპნოპომპული*** ჰალუცინაციები ემართებათ პაციენტებს, შესაბამისად მძინარე ან მოსიარულე მდგომარეობაში. ისინი უვითარდებათ ნორმალურ ადამიანებსაც, მაგრამ ნარკოლეფსიის ჯანდაბნალურ ნიშანს. ეს ჰალუცინაციები შეიძლება იყოს სმენითი, მხედველობითი ან ტაქტილური, ასევე არსებობს საშიში ხასიათის ჰალუცინაციები. სმენითი ხასიათის ჰალუცინაცია, რომელიც მოჯადოებულია საღ აზროვნებას, გვაფიქრებინებს შიზოფრენიის არსებობაზე. ამ დროს პაციენტს, ჩვეულებრივ, ესმის ხმამაღლა გამოთქმული საკუთარი აზრები და მისი მოქმედებების შესახებ სხვების კომენტარი, რომელიც ძირითადად ჯერიდული ხასიათის არის. შიზოფრენიას ნაკლებად ახასიათებს ვიზუალური ჰალუცინაციები, ისინი ძირითადად გვხვდება ტვინის ორგანული დაავადების დროს.

კატატონია

კატატონიური სინდრომი ხასიათდება მეტიზმით, ფსიქოზით, და არანორმალური მოტორული აქტივობით, დანყებული აგიტირებული, მღელვარე გამოხტომებით და დამთავრებული სტუპორით. ხშირია გაქვავებული პოზა და ცვილისებრი პლასტიურობა. დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ ნეგატივიზმი, ექოლალია, ექოპრაქსია, სტერეოტიპულობა, მანერიზმი და ავტომატური დამორჩილება. ლეტალური კატატონია წარმოადგენს იშვიათ ფსიქოზურ დარღვევას, მკვეთრი ვეგეტატური გამოვლინებით, სიცხით; ამ მდგომარეობას მიაკუთვნებენ ავთვისებიან, ნეიროლეპტიკურ სინდრომს, მაგრამ იგი ასევე აღინიშნებოდა პრენეოლეპტიკურ ეპოქაშიც.

7

ცნობიერება და მისი დარღვევის სახეები

ცნობიერება

განსაზღვრება – ცნობიერება ნახმოადგენს ინდივიდის მიერ სამყაროს შეცნობა-შემეცნებისა და გარემოს მხარეფერხვან გამღიზიანებლებზე ადეკვატური რეაგირების უნარს. ცნობიერება, თავის მხრივ, ორი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება. ეს კომპონენტებია ღვიძილის დონე ანუ გამოღვიძების უნარი და ცნობიერების შინაარსი.

ღვიძილის მაღალი დონე ნახმოადგენს ცნობიერების შინაარსის შეფასების აუცილებელ ნინაპირობას. ამის დასტურად ის გამოდგება, რომ მძინარე ადამიანის ცნობიერების შეფასება შეუძლებელია. მხოლოდ მაღალი ღვიძილის დონის პირობებში შეიძლება შეფასდეს ცნობიერების შინაარსი.

მკვლევრებმა დადგინდა, რომ ცნობიერების პირველი კომპონენტის – ღვიძილის დონე ემყარება ცენტრალური რეტიკულური ფორმაციის ფუნქციონირებას. რეტიკულური ფორმაცია მოთავსებულია ტვინის ღეროს ცენტრალურ ნაწილში – მოგრძო ტვინის, ვაროლიის ხიდის და შუა ტვინის ტეგმენტუმში, საიდანაც იგი ვრცელდება თალამუსის მიმართულებით. ღეროს ცენტრალურ ნაწილში ბადისებური (ანუ რეტიკულური) შენების ნეირონული სისტემების არსებობის გამო, რეტიკულური ფორმაცია მხოლოდ ანატომიურ ნარმონაქმნად აღიქმებოდა. 1949 წელს Moruzzi და Magoun-მა გამოაქვეყნეს ცნობილი სტატია „ტვინის ღეროს რეტიკულური ფორმაცია და ეეგ-ს აქტივაცია“, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ფიზიოლოგიურ კონცეფციას ტვინის აღმავალი გააქტივებელი სისტემის შესახებ. ტერმინები „რეტიკულური სისტემა“ და „ტვინის ღეროს აღმავალი გააქტივებელი სისტემა“ სინონიმებს არ ნარმოადგენენ, რადგან ეს უკანასკნელი თავის თავში უფრო რთულ კავშირებს მოიცავს, რომელიც ტვინის ჰემისფეროებზეც ვრცელდება. ამ სისტემის დაზიანება ექსპერიმენტულ ცხოველებში უგონო მდგომარეობის განვითარებას განაპირობებს, რასაც თან ახლავს ძილისათვის დამახასიათებელი ელექტროენცეფალოგრაფიული ცვლილებები.

ცნობიერების პირველი კომპონენტის – ღვიძილის დონე ემყარება ცენტრალური რეტიკულური ფორმაციის ფუნქციონირებას. *ცნობიერების შინაარსი,* ყოველ კონკრეტულ მომენტში შედგება ინდივიდის შეგრძნებების, ემოციების, აზრების, იდეების და მეხსიერების სხვადასხვა ტიპების ერთობლიობისაგან.

საერთოდ *ცნობიერების შინაარსი,* ყოველ კონკრეტულ მომენტში შედგება ინდივიდის შეგრძნებების, ემოციების, აზრების, იდეების და მეხსიერების სხვადასხვა ტიპების ერთობლიობისაგან. ცნობიერების შინაარსი შეიძლება შეიცვალოს დაკვირვების ზეგავლენით. მაგალითად, მხედველობის ველის გამოკვლევა ან სხეულის ნახევრის ანესთეზია ცვლის ცნობიერების შინაარსს, მაგრამ ღვიძილის დონე

შეცვლილი ცნობიერების ეთა- ➡ დეთი ნოჰმაღუი ფოჰმას ნაჰმოაღ- გენს *ძილი*.

ამ დროს შეიძლება აბსოლუტურად ნორმალური იყოს. ***ცნობიერების შინაარსი,*** გარკვეული მემთხვევებში, შესაძლოა გაღრმავდეს (დემენციების დროს) ან გაუჯერდეს (მაგ. შიზოფრენიისას). მეორეს მხრივ, ადამიანს შეიძლება ცნობიერება არ ჰქონდეს – იგი იმყოფებოდეს უგონო მდგომარეობაში, ამ შემთხვევაში ცნობიერების არარსებობა ნარმოადგენს ღვიძილის დონის მკვეთრი დაქვეითების ასახვას. შეცვლილი ცნობიერების ეთალებით ნორმალურ ფორმას ნარმოადგენს *ძილი*.

ნათელი ცნობიერება (სიფხიზლე) ნარმოადგენს ღვიძილის მაღალ დონეს, ნორმის დროსაც ცნობიერების შინაარსი შენახულია. *ღეთარგიის (ძილიანობის)* დროს ვერ ხერხდება მაღალი ღვიძილის დონის შენარჩუნება – გამღიზიანებლების შენყვეტისთანავე ადამიანი გადადის ძილში. *სტუპორის* დროს პაციენტი არ ჰგავიხებს გარეგან გამღიზიანებელზე და მისი გაღვიძებისათვის საჭიროა ძლიერი განმეორებითი სტიმულაცია. *კომის* დროს, მიუხედავად მტკივნეული სტიმულებისა, პაციენტის გამოღვიძება შეუძლებელია.

ნათელი ცნობიერება (სიფხიზლე) ნარმოადგენს ღვიძილის მაღალ დონეს, ნორმის დროსაც ცნობიერების შინაარსი შენახულია. *ღეთარგიის (ძილიანობის)* დროს ვერ ხერხდება მაღალი ღვიძილის დონის შენარჩუნება – გამღიზიანებლების შენყვეტისთანავე ადამიანი გადადის ძილში. *სტუპორის* დროს პაციენტი არ ჰგავიხებს გარეგან გამღიზიანებელზე და მისი გაღვიძებისათვის საჭიროა ძლიერი განმეორებითი სტიმულაცია. *კომის* დროს, მიუხედავად მტკივნეული სტიმულებისა, პაციენტის გამოღვიძება შეუძლებელია.

დელირიუმი ნარმოადგენს ნეიროქცევით დარღვევას და ხასიათდება ფსიქიური სტატუსის მწვავე ცვლილებებით, ორიენტაციის დარღვევით, და ყურადღების კონცენტრაციის უნარის დეფიციტით. *დელირიუმი* ცნობიერების მწვავე დაბინდვაა, რომელიც ხასიათდება გარეგან გამღიზიანებელზე ყურადღების მკვეთრი დაქვეითებით.

ᲜᲝᲩᲛᲐᲦᲘᲡᲣᲠᲘ (ᲜᲐᲗᲔᲚᲘ) ᲓᲐ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ნათელი ცნობიერება – ინდივიდის ღვიძილის მდგომარეობაა, რომელსაც იგი სრულად ჰასუხობს გარემოზე, ქცევით და მეტყველებით ათვითცნობიერებს საკუთარ თავს და გარე სამყაროს. ნათელი ცნობიერება დღის მანძილზე იცვლება მაქსიმალური სიფხიზლის ან ყურადღების კონცენტრაციიდან ზომიერ უყურადღებობამდე.

დაბინდული ცნობიერება confusion - ცნობიერების მწვავე დაბინდვა – კონფუზიური მდგომარეობა- acute confusional state – ზოგადად ეს ტერმინი გულისხმობს ჩვეული სისწრაფით და სიზუსტით ორიენტირების უნარის დაკარგვას, გარკვეულ უყურადღებობას და დეზორიენტაციას დროში და გარემოში. ზოგ შემთხვევაში დაბინდული ცნობიერების (კონფუზიური მდგომარეობის ხარისხი იმდენად უმნიშვნელოა, რომ პაციენტი ორიენტირებულია დროსა და გარემოში და მხოლოდ იშვიათად შეინიშნება უთავბოლო, არაგონივრული აზროვნების ელემენტები. ზომიერი

✓ *ფენომენოლოგიურად, მწვავე კონფუზიური მდგომარეობა დელირიუმის ანალოგიურია, მაგრამ სიმპტომატიკა უფრო მსუბუქად არის გამოხატული. ტრადიციული ნევროლოგიური ტერმინი მწვავე კონფუზიური მდგომარეობა შეიძლება გამოყენებულ იქნას დელირიუმის მსუბუქი ფორმების დახასიათებისთვის.*

ხარისხით ცნობიერების დაბინდვისას, პაციენტი მოკლე დროით ინარჩუნებს მარტივი საუბრის უნარს, მაგრამ აზროვნება შენელებული და უთავბოლოა, პასუხებისას ხშირად ყურადღება გადადის სხვა გამღიზიანებელზე. აგზნების პერიოდებს ენაცვლება ძილიანობა. ცნობიერების დონის დათრგუნვის ხარისხის აღსანიშნავად მიმავალი სინონიმები გამოიყენება.

ძილიანობა (სომნოლენცია) ნარმოადგენს მდგომარეობას, რომელსაც ღვიძილის დონის შენარჩუნება გარეგანი გამღიზიანებლების გარეშე არ ხდება. მას თან

ახლავს უყურადღებობა და ცნობიერების ზომიერი დაბინდვა. ქუთუთოები დაშვებულია და ბოლომდე არ იხუჭება. დამახასიათებელია სვრინვა, ყბის და ენიდების ჯუნთების მოდუნება. ძილიანობა თითქმის არ განსხვავდება ძილისაგან, დამახასიათებელია, რომ ჩაძახილზე ან ტაქტილური სტიმულაციის საპასუხოდ, გამოღვიძების ჩვეულია დაგვიანებით ვითარდება. *ძილიანი (სომნოლენტური) პაციენტი* ნევს თვალდახუჭული, მაგრამ სიტყვიერ მიმართვაზე აღვილად ფხიზლდება, კითხვებზე პასუხობს, მაგრამ დაგვიანებით და შესაძლოა არასწორად.

სტუპორი – მდგომარეობა, როდესაც გამოღვიძების ჩვეულია მიიღწევა მხოლოდ ძლიერი და განმეორებითი სტიმულაციით. (ჩესელენოვან ლიტერატურაში ამ ტერმინის დასახასიათებლად გამოიყენებოდა ტერმინი *სოპორი)* პაციენტი არ ეწერს თვალებს, უყურებს ექიმს. იგი არ ასრულებს ინსტრუქციას, ან საპასუხო მოქმედება ნელი და არაადეკვატურია. დამახასიათებელია მოსვენების ან სტერეოტიპული მოტორული აქტივობა. პოზის შეცვლა არ ხდება ისე ხშირად, როგორც ძილიანობის დროს. თუ არ ხდება პაციენტის გაღვიძება, ის მაშინვე გადადის ძილისმაგვარ მდგომარეობაში. სუნთქვის ტიპი, ძვალ-მყესთა ჩეფლექსების ცვალებადობა დამოკიდებულია დაავადების სიმძიმეზე. ფსიქიატრიაში ტერმინი სტუპორი განასხვავებს მდგომარეობას, როდესაც სენსორული სტიმულის აღქმა სავარაუდოდ ნორმალურია, მაგრამ აქტივობა შეჩერებულია ნეგატივიზმის გამო (კატატონური სტუპორი). *სტუპოროზული პაციენტი* უგონო მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ შესაძლოა სიტყვიერი ბრძანებით ან მტკივნეული გამღიზიანებლით, ხანმოკლე დროით, გამოყვანილ იქნას ამ მდგომარეობიდან და სიტყვიერი პასუხიც გაგვცეს. გამღიზიანებლის მოქმედების შეწყვეტისას იგი უბრუნდება ძილის მდგომარეობას.

კომა – მდგომარეობა, როდესაც თვალდახუჭული პაციენტი არავითარ გამღიზიანებელზე არ რეაგირებს და არავითარი შინაგანი მოტივაციით მისი გამოღვიძება არ ხდება. კომის სიმძიმის მიხედვით, აღგილი აქვს ნევროლოგიური სიმპტომატიკის სხვადასხვა ხარისხით გამოვლინებას. ყველაზე მძიმე ხარისხის კომის დროს არავითარი საპასუხო რეაქცია არ იწვევა – ჭრილობას, გუგის, ყლაპვის, ხველების, ძვალ-მყესთა რეფლექსები არ იწვევა. ნაკლები სიმძიმის კომას ახასიათებს შენახული ღეროს რეფლექსები (ოკულური, კორნეალური,) და კუნთთა ტონუსი.

- ✓ *კომატოზური პაციენტი* იმყოფება უგონო მდგომარეობაში და ვერბალური ბრძანება არ ესმის, მაგრამ მტკივნეულ გამღიზიანებელზე შესაძლოა მოტორული პასუხი გამოავლინოს.
- ✓ *კონფუზიის (აბნეული ცნობიერების) მდგომარეობაში მყოფი პაციენტი* გონზეა, მაგრამ დროსა გარემოსა და სივრცეში დეზორიენტირებულია.
- ✓ *დელირიულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი აგრეთვე კონფუზიის* მდგომარეობაშია, მაგრამ, ყურადღების დეფიციტი, დეზორიენტაცია, ჰალუცინოზი მკვეთრად არის გამოხატული.

დელირიუმი

✓ *განსაზღვრება – დელირიუმი წარმოადგენს მწვავე დასაწყისის მქონე გარდამავალ ორგანულ მენტალურ სინდრომს, რომელიც ხასიათდება ყურადღების უნარის მკვეთრი დაქვეითებით, კოგნიტური ფუნქციების გლობალური დარღვევით, აღქმის უნარის დაზიანებით, გაძლიერებული ან დაქვეითებული ფსიქომოტორული აქტივობით, ძილღვიძილის ციკლის დარღვევით და სიმპტომატიკის გამოხატული ფლუქტუაციით. დელირიუმი წარმოადგენს ხანდაზმულ პაციენტებში გამოვლენილი ქრონიკული დარღვევების ყველაზე გავრცელებულ სახეს და ხშირად გვხვდება ზოგადი პრაქტიკის კლინიკებში.*

სიმპტომატოლოგია: დელირიუმი ვითარდება მწვავედ ან ქვემწვავედ, რამდენიმე საათში ან დღეში. მას ახასიათებს დღის მანძილზე მდგომარეობის მერყეობა, რომლის დროსაც პერიოდულად ნათელი ცნობიერების პერიოდებიც აღინიშნება. დე-

➡ ძილიანი (სომნოლენტური) პაციენტი წევს თვალდახუჭული, მაგრამ სიტყვიერ მიმართვაზე აღვილად ფხიზლდება, კითხვებზე პასუხობს, მაგრამ დაგვიანებით და შესაძლოა არასწორად

➡ *სტუპორი* –მდგომარეობა, როდესაც გამოღვიძების ჩვეულია მიიღწევა მხოლოდ ძლიერი და განმეორებითი სტიმულაციით.

დელირიუმის ნამყვან ნიშანს წარმოადგენს ***ყურადღების დაქვეითება***. დელირიუმს ყოველთვის თან ახლავს ***დროსა და ადგილში დეზორიენტაცია***. გამოხატულია მყისიერი მეხსიერების მოცულობის მკვეთრი დაქვეითება.

დელირიუმის ნამყვან ნიშანს წარმოადგენს ***ყურადღების დაქვეითება***. დარღვეულია მისი თითოეული კომპონენტი: ინფორმაციის შეჩერებითი გადამუშავების, სწრაფი მობილიზაციის, გარე სამყაროს აღქმის და საჭიროებისას, ახალ სტიმულზე ყურადღების ადეკვატური გადატანის უნარი. დელირიუმს ყოველთვის თან ახლავს ***დროსა და ადგილში დეზორიენტაცია***. გამოხატულია მყისიერი მეხსიერების მოცულობის მკვეთრი დაქვეითება. ამასთან ერთად, უშუალოდ მეხსიერების დარღვევა მეორადია და უმთავრესად განპირობებულია ყურადღების უნარის დაქვეითებით. დელირიუმს აგრეთვე ახასიათებს აზროვნების მიმართულების დარღვევა, ფიქრების და შეგრძნებების ერთმანეთში არევა, გარკვეული სიმბოლოების თანმიმდევრულად დაგების შეუძლებლობა, თანმიმდევრული და მიზანმიმართული მოქმედებების შესრულება. არეული, შეცვლილი ცნობიერება დაკავშირებულია ამ უუნარობასთან, ჩვეული სიზუსტით და სისწრაფით შენარჩუნდეს ლოგიკური აზროვნების მიმართულება. პაციენტს არ ძალუძს კონცენტრირება და დიალოგის დროს ვერ მიყვება მის არსს. ლაპარაკის დროს ხდება ერთი თემიდან მეორეზე გადახტომა, მეტყველება ხშირად უაზრო და ჭარბსიტყვიანია, ადგილი აქვს ერთი და იგივეს განმეორებას. არეულ მეტყველებას აგრეთვე ახასიათებს შენელებული ტემპი და საგნების არასწორი დასახელება, იგი ხშირად დიზართრიულია. პაციენტების უმრავლესობა ძილიანია და უჭირთ გამოღვიძება, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში პაციენტი აგზნებული და მშფოთვარეა და ადვილად იღვიძებს (მაგალითად, თეთრი ცხელების დროს). შფოთვის მდგომარეობა არ გამორიცხავს ყურადღების დეფიციტს, ვინაიდან პაციენტები ვერ ეჯაჭვებიან თავიანთ შფოთვაში, ადვილად გადაეთვებიან უადგილო სტიმულზე და არ ძალუძთ ყურადღების კონცენტრაცია.

დელირიუმის დროს არსებული აღქმის (პერცეფციის) მოშლა, გარკვეულწილად ყურადღების დარღვევით არის პირობადებული. ამ დროს ხშირია გარემოს იღუზორული აღქმა, მხედველობითი და სმენითი ჰალუცინაციები.

ძილ-ღვიძილის ნორმალური ციკლადი ჩითმის დარღვევა წარმოადგენს დელირიუმის მუდმივ თანამგზავრს და ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გადამწყვეტ როლს ასრულებს დელირიუმის პათოგენეზში. ინსომნია თანხლებულია ღამე კონფუზიური მდგომარეობის გაღრმავებით. დღის ძილიანობას ხშირად თან ახლავს სიღვები და ჰეალუცინაციების სამყაროს შორის ორიენტაციის შეუძლებლობა.

7.1 დელირიუმის ძირითადი ნიშნები (DSM-IV მიხედვით)

დელირიუმის დამახასიათებელი ნიშნები
დელირიუმის ძირითადი ნიშნები
შეგნების დარღვევების მწვავედ განვითარება და ცვალებადი მიმდინარეობა
ყურადღების დეფიციტი
არაორგანიზებული აზროვნება
შეცვლილი ცნობიერების დონე
აღქმის უნარის დარღვევა
ძილ-ღვიძილის ციკლის დარღვევა
შეცვლილი ფსიქომოტორული აქტივობა
დეზორიენტაცია და მეხსიერების დარღვევა
ქცევითი და ემოციური დარღვევები
სხვა ორგანული დარღვევები

დელირიუმის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები

- ცნობიერების დარღვევა (გარემოს მკაფიოდ შეცნობის დაქვეითება), ყურადღების კონცენტრაციის, შენარჩუნების ან ყურადღების გადართვის უნარის დაქვეითებით.
- კოგნიტური დარღვევები (მეხსიერების დეფიციტი, დეზორიენტაცია, მეტყველების დარღვევა ან აღქმის დარღვევის განვითარება, თუ პაციენტს დადგენილი აქვს დემენცია, ეს ცვლილებები არ უნდა გავითვალისწინოთ.
- დარღვევა ვითარდება მოკლე დროის განმავლობაში (რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე) და ახასიათებს დღის განმავლობაში ფლუქტუაცია.
- ანამნეზის, ფიზიკალური გასინჯვის და ლაბორატორიული მონაცემების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ცნობიერების ეს დარღვევა წარმოადგენს ზოგადი დაავადების ფიზიოლოგიური გამოვლინების შედეგს.

დიაგნოსტიკა: დელირიუმის დიაგნოზის დასმა წარმოადგენს ორ საფეხურიან პროცესს. პირველი საფეხური მოიცავს დელირიუმის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმების გათვალისწინებით მის ამოცნობას, მენტალური სტატუსის შეფასებას, ყურადღების გამოკვლევაზე დამყარებით. მეორე საფეხურზე, სრულყოფილი ანამნეზური მონაცემების შეფასებით, ხდება გამომწვევი მიზეზის იდენტიფიცირება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ კლინიკური ნიშნებით ხშირია გამომწვევი მიზეზის დადგენა, ამიტომ დიფერენციული დიაგნოზისათვის გამოიყენება ბიოქიმ ანამნეზი, ასევე ფიზიკური გასინჯვა და ლაბორატორიული მონაცემები. მნიშვნელოვანია სისხლის საერთო ანალიზი, გლუკოზისა და ელექტროლიტების განსაზღვრა, სისხლში ნარჩენი აზოტის, კრეატინინის, ტრანსამინაზების და ამილაზის კონცენტრაციის განსაზღვრა. სპეციალურ სისხლში გაზების განსაზღვრა, გულმკერდის ენტგენოგრაფია, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის განსაზღვრა, ეკგ, შარდის ანალიზი და შარდში მედიკამენტების სკრინინგი. დელირიუმის დროს ყოველთვის აღინიშნება ეეგრაფიული ცვლილებები, ჩვეული ცერებრული ჰიპომების დეზორგანიზაციის და გენერალიზებული შენელების სახით. ეეგ-ზე ნელტალღოვანი აქტივობის ინტენსივობა კორელირებს დელირიუმის ხარისხთან. გაურკვეველ შემთხვევებში, საჭიროა ლიკვოროლოგიური გამოკვლევა. იმ შემთხვევებში, თუ ფოკალური ნევროლოგიური ნიშნები არ აღინიშნება, ნეიროვიზუალიზაციური გამოკვლევა არაინფორმატიულია, ხოლო ფოკალური ნევროლოგიური სიმპტომების არსებობისას, ნეიროვიზუალიზაცია პირველი რიგის გამოკვლევებს განეკუთვნება.

ხანდაზმული ასაკი, განსაკუთრებით >80 წელზე წარმოადგენს დელირიუმის მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს. იგი ხშირია მამაკაცებში.

დელირიუმის მიზეზები

1. მეტაბოლური ენცეფალოპათიები

- ✓ ჰიპოგლიკემია;
- ✓ სითხის, მჟავე-ტუტოვანი ან ელექტროლიტური დისბალანსი;
- ✓ ჰიპოქსია, ჰიპერკაპნია;
- ✓ ვერნიკეს ენცეფალოპათია და B ვიტამინის სხვა დეფიციტი;
- ✓ ენდოკრინული პათოლოგია;
- ✓ ჰოიპირია

2. თავის ტვინის დიფუზური ან ფოკალური დაზიანება

- ✓ დემენცია ან ტვინის სხვა არაგემენტური დაზიანება;
- ✓ ანოქსია, ცხიმოვანი ემბოლია;
- ✓ ცერებროვასკულური პათოლოგია;

- ✓ ვასკულიტი;
- ✓ ინტრაჰეპატიკური ჰიპერტენზია, ჰიდროცეფალია;
- ✓ თავის ტვინის ტრავმა;
- ✓ სხვადასხვა გენეზის ტვინის ფოკალური დაზიანება (განსაკუთრებით მარჯვენა ჰემისფეროს ეპილეფსია, ახალშობილთა გულყრების სტატუსის და გულყრის შემდგომი მდგომარეობის ჩათვლით).

3. *სისტემური (განსაკუთრებით ფილტვების და საშარდე გზების) და ინტრაჰეპატიკური ინფექციები (ენცეფალიტი და მენინგიტი)*
4. *მედიკამენტებით და მწამლებით მონამვლა*
   - ✓ ალკოჰოლი, ნარკოტიკები, ინჰალანტები;
   - ✓ მედიკამენტური პოლითერაპია (ანალგეტიკების, ანტიჰისტამინების, დიგოქსინის, ჰიპნოსედატური საშუალებების გამოყენება;
   - ✓ სანარმოო მწამლები.
5. *მოხსნის სინდრომები, განსაკუთრებით ალკოჰოლის და ჰიპნოსედატური საშუალებების*
6. *სხვადასხვა*
   - ✓ ჯარდიოფესპირატორული უკმარისობა;
   - ✓ საკვების ნაკლებობა, პრაზმაში ალბუმინის დაბალი დონე;
   - ✓ მძიმე სომატური დაავადებების თანაარსებობა;
   - ✓ მგრძნობელობითი დარღვევები, განსაკუთრებით მხედველობითი;
   - ✓ გადაჭარბებული სენსორული სტიმულაცია, „ინტენსიური თერაპიის ბლოკის ფსიქოზები'
   - ✓ სენსორული დეპრივაცია;
   - ✓ ცხელება, ჰიპოთერმია;
   - ✓ ძილის დარღვევები;
   - ✓ ფიზიკური ტრავმა ან მძიმე ხარისხის დამწვრობა;
   - ✓ მოტეხილობები;
   - ✓ დეპრესია;
   - ✓ სპეციფიური ოპერაციები – ***ჯარდიალური,*** განსაკუთრებით ოპერაცია ღია გულზე, ***ორთოპედიული,*** განსაკუთრებით ბარძაყის ყელის ან თეძოს ძვლის მოტეხილობა, მუხლის სახსრის ორმხრივი პროთეზირება, ***ოფთალმოლოგიური,*** განსაკუთრებით ჯგატარაქტის, ***არაჯარდიალური გულმკერდის ქირურგია, უროლოგიური*** პროსტატის ტრანსურეთრალური რეზექცია.

დელირიუმის აღმოვაფხვრელი მენეჯმენტი პირველ რიგში გულისხმობს დელირიუმის მიზეზის დადგენას და მის მოცილებას. შემდგომ ტარდება სიმპტომური მკურნალობა:

მკურნალობა: დელირიუმის აღმოვაფხვრელი მენეჯმენტი, პირველ რიგში, გულისხმობს დელირიუმის მიზეზის დადგენას და მის მოცილებას. შემდგომ ტარდება სიმპტომური მკურნალობა: აღმოვაფხვრელი სითხის და ელექტროლიტური ბალანსის მოწესრიგება, ჟანგბადით, ინფექციის აღმოფხვრელი მკურნალობა. პაციენტს უნდა შევუქმნათ ზომიერი სენსორული სტიმულაცია –ადგილი არ უნდა ჰქონდეს არც სენსორული სტიმულების დეპრივაციას და არც ჭარბ სენსორულ სტიმულაციას. გარემო პაციენტისათვის არ უნდა იყოს უცნაური, პირადი ნივთების გამოყენებით უნდა ვცადოთ მას ოჯახური გარემო შევუქმნათ. ასევე საჭიროა ოჯახის წევრების ხშირი, მაგრამ არამომქანცველი ვიზიტები. საჭიროა პაციენტს პერსონალისაგან ჰქონდეს სოციალური და ემოციური მხარდაჭერა. იგი მას უნდა ეხმარებოდეს ადგილსა, დროსა და სიტუაციაში ორიენტაციაში. პაციენტის ილუზიები და ჰალუცინაციები იმგვარივმყოფების მიერ არც უნდა დასტურდებოდეს, მაგრამ არც სადავო უნდა გახდეს. პაციენტი უნდა იმყოფებოდეს მშვიდ, კომფორტულ გარემოში. ზოგადად, დელირიუმის მიზეზის დადგენამდე, მედიკამენტები ძალზე ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ, რათა არ წარმალოს ღრმა ძილის მოწესრიგებით პაციენტის მდგომარეობა უმჯობესდება. ამ მიზნით გამოიყენება საძილე საშუალებები. მედიკამენტური თერაპია მიმართული უნდა იყოს აგზნების, შიშის, პარანოის, ჰალუცინაციების, ილუზიის, შფოთვის და აგრესიის მოსახსნელად (ჰალოპერიდოლი, ხისპერიდონი, ხანმოკლე მოქმედების ბენზოდიაზეპინები). ანტიქოლინერგული საშუალე-

ბებს და ბენზოდიაზეპინებს თავი უნდა მოვახიდოთ. დელიჩიუმის ჰიპოგნოზი დამოკიდებულია გამომწვევ ფაქტორებზე და იმაზე, თუ ჩა სისწრაფით ხდება ჯოხექსია.

ჯომა

განსაზღვრება – ჯომა (ბერძნული სიტყვა ჯომა ნიშნავს ღრმა ძილს) წარმოადგენს ძილის მსგავს მდგომარეობას, რომლის დროსაც პაციენტს გარემოს გამღიზიანებლების მიმართ არავითარი მიზანმიმართული ჩვეულება არ გააჩნია და ამ მდგომარეობიდან მისი გამოყვანა შეუძლებელია.

საკვანძო საკითხები

- ჯომა ვითარდება იმ პათოლოგიური პროცესების შედეგად, რომლებიც აზიანებს ჰემისფეროების ან ტვინის ღეროს აღმავალ, გამააქტივებელ რეტიკულურ ფორმაციას.
- ჯომის განვითარებას ჯონჯრეტული მიზეზები განაპირობებენ:, ესენია ტვინის მოცულობითი პროცესები, მეტაბოლური ენცეფალოპათია, თავის ტვინის ინფექცია (ენცეფალიტი, მენინგიტის), ტვინის მძიმე ტრავმა, სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა.
- ჯომატოზური პაციენტის გამოკვლევა მიზნამიმართულად და სწრაფად უნდა მოხდეს: უნდა შეფასდეს გუგების ჩვეულება სინათლეზე; ოკულოცეფალური ან ოკულოვესტიბულური რეფლექსები; მტკივნეული გაღიზიანებაზე მოტორული პასუხის სიმეტრიულობა ან ასიმეტრიულობა და მენინგური ნიშნების არსებობა/არარსებობა.
- დაუყოვნებლივ უნდა გამოირიცხოს ჰიპოგლიკემია.

პაციენტი, რომელსაც შეუძლია თვალების გაღება, ჯომაში არ იმყოფება.

ჯომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი დახუჭულ თვალებს სპონტანურად არ ახელს, არ ეპარაჯობს და ყიდულებს მიზანდასახულად არ ამოძრავებს. სიტყვიერ მიმართვაზე პაციენტი არავითარ პასუხს არ იძლევა. მექანიკურმა გაღიზიანებამ, მაგ. ტკივილმა, შეიძლება ჩვეულება არ გამოინვიოს, მაგრამ შესაძლოა არამიზანმიმართული რეფლექსური მოძრაობები განაპირობოს.

ჯომა წარმოადგენს ტვინის ღეროს (ვაროლის ხიდის ზემოთ) ან ორივე ჰემისფეროს აღმავალი რეტიკულური ფორმაციის ფუნქციონირების დარღვევის შედეგს. ამასთანავე, აღნიშნება მოტორული მოუსვენრობა და ჰიპერრეაქტიულობა. ჯომის ამგვარი სიტყვიერი დახასიათება სიზუსტეს მოკლებულია და სუბიექტურ მომენტს შეიცავს. ჯომის სიღრმის დასახასიათებლად შემოღებულ იქნა ჯომის საერთაშორისო სკალა (გლაზგოს სკალა) რომელიც ექიმებისა და ექთნებისათვის ყრინიჯის სახმინარობაში ადვილი გამოსაყენებელია. სკალა ქულობრივი შეფასებით ახასიათებს პაციენტის ვერბალურ, მოტორულ და თვალების პასუხს სიტყვიერ ან მტკივნეულ გამღიზიანებელზე და მათი მონაცემების ჯამური შეფასებით, ადგენს ჯომის სიღრმის ხარისხს. თითოეული კატეგორია ფასდება ნორმალურიდან (პაციენტი ორიენტირებულია, ასრულებს დავალებებს და სპონტანურად ახელს თვალებს) ღრმა ჯომატოზურ მდგომარეობამდე (პაციენტი არავითარ სტიმულზე არ იძლევა ვერბალურ პასუხს, არ ჩვეულებრივ რეაგირებს არავითარ ტკივილზე და სპონტანურად არც ერთ სიტუაციაში არ ახელს თვალებს). ამასთანავე, აუცილებელია შეფასდეს გუგების ჩვეულება სინათლეზე, ოკულოცეფალური და/ან ოკულოვესტიბულური რეფლექსების გამოწვევისას, თვალების ვერტიკალური და ჰორიზონტალური მოძრაობები. აუცილებელია აგრეთვე სუნთქვის, ტემპერატურის, არტერიული წნევის მონიტორინგი.

ეტიოპათოგენეზი: ჯომის გამომწვევი მიზეზები შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად: ტვინის დაზიანების სისტემურ-დიფუზური და ფოკალური მიზეზები.

7.2 ᲡᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲚᲐᲜᲑᲝᲡ ᲤᲝᲛᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲚᲐ

ᲗᲕᲘᲗᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲚᲔᲚᲘ	
ანელს სპონტანურად	*4 ქულა*
ანელს სიცყვიერ ბრძანებაზე	*3 ქულა*
ანელს ტკივილზე	*2 ქულა*
არ ანელს არავითარ სტიმულზე	*1 ქულა*
ᲛᲝᲢᲝᲠᲘᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ	
ალინიშნება სიცყვიერი ბრძანებაზე	*6 ქულა*
ახდენს ტკივილის ლოკალიზაციას	*5 ქულა*
ტკივილზე ჯიდური იხრება	*4 ქულა*
ტკივილზე ალინიშნება პათოლოგიური ფლექსია	*3 ქულა*
ტკივილზე ალინიშნება პათოლოგიური ექსტენზია	*2 ქულა*
ტკივილზე არავითარი რეაქცია არ ალინიშნება	*1 ქულა*
ᲕᲔᲑᲑᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ	
საუბრობს ადეკვატურად	*5 ქულა*
ჰეიოდეულად არაადეკვატურად პასუხობს	*4 ქულა*
პასუხობს გაუგებარი სიტყვებით	*3 ქულა*
ნარმოთქვამს გაუგებარ ბგერებს	*2 ქულა*
არავითარ ბგერებს არ წარმოთქვამს	*1 ქულა*

ტვინის დიფუზური დაზიანება, ჟომატოზური მდგომარეობის განვითარებას პირველ ხიგში განაპირობებს ცერებრული მეტაბოლიზმის დაზიანებით. ტვინის ენერგეტიკული მოთხოვნები ნორმაში უხვენველყოფილია გლუკოზის დაჟანგვით. ადამიანის თავის ტვინის 100 გრამი წუთში მოიხმარს გლუკოზის 5 მგ-ს, ხოლო მთლიანად ტვინი მოსვენებულ მდგომარეობაში მოიხმარს ორგანიზმის მიერ მოხმარებული ჟანგბადის 15-20%., რაც შეადგენს 3,3მლ O_2/100 გრ. ტვინის მასაზე/სთ-ში. ტვინის ნახშირწყლების მარაგი შეადგენს 2 გრ, ხოლო ჟანგბადის ჩეზერვი ტვინს არ გააჩნია. ამიტომ გლუკოზისა და ჟანგბადის დიდი მოთხოვნილების გამო, თავის ტვინი ჟრიტიკულად დამოკიდებულია სისხლმომარაგებაზე. მოსვენებულ მდგომარეობაში ტვინის სისხლნაკადი შეადგენს 50მლ/100გრ/წთ-ში, რაც შეადგენს გულის წუთმოცულობის 20%.

ტვინში ჟანგბადის ან გლუკოზის მინოდების შეფერხება განაპირობებს მისი ფუნქციური მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუარესებას და ცნობიერების სწრაფ დაკარგვას. პირველ ხიგში ქვეითდება ღვიძლის დონე და უმაღლესი ქერქული ფუნქციები.

ტვინში ჟანგბადის ან გლუკოზის მინოდების შეფერხება განაპირობებს მისი ფუნქციური მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუარესებას და ცნობიერების სწრაფ დაკარგვას. პირველ ხიგში ქვეითდება ღვიძლის დონე და უმაღლესი ქერქული ფუნქციები.

ტვინში ჟანგბადის ან გლუკოზის მინოდების შეფერხება განაპირობებს მისი ფუნქციური მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუარესებას და ცნობიერების სწრაფ დაკარგვას. პირველ ხიგში ქვეითდება ღვიძლის დონე და უმაღლესი ქერქული ფუნქციები. ტვინის ფოკალური დაზიანება ჟომატოზური მდგომარეობის განვითარებას განაპირობებს შემდეგი მექანიზმით: ტვინის ღეროს ზედა სტრუქტურების ფოკალური დაზიანება ინვევს ღვიძლის დონეზე პასუხისმგებელი აღმავალი გამააქტივებელი რეტიკულური ფორმაციის დაზიანებას. ფოკალური სუპრატენტორიული ან ინფრატენტორიული მოცულობითი პროცესები, ჟომას ინვევენ ზენოლით ან დისლოკაციით განაპირობებული ღეროს ფუნქციების დარღვევით. ტვინის ჰემისფეროების მცირე ზომის დაზიანება ჟომატოზური მდგომარეობის განვითარებას არ განაპირობებს, თუმცა, თავის ქალას სივრცეში სიმსივნის ან სისხლჩაქცევის მასის ზრდასთან ერთად, იწყება ტვინის ნივთიერების დისლოკაცია.

თავის ქალა და ხერხემლის არხი მყარ ძვლოვან სტრუქტურებს ნარმოადგენენ, მათი შიგთავსის ჯამური მოცულობა (ტვინის პარენქიმა, სისხლი, თავზურგტვინის სითხე) მუდმივია. ამიტომ ტვინში მზარდი მასის არსებობა (სიმსივნე, სისხლჩაქცევა), ჟომპენსაციის სტადიაზე, განაპირობებს სხვა ინტრაკრანიული მასის (სისხლი, თავზურგტვინის სითხე) მოცულობის შემცირებას. მასის შემდგომი მატება ინვევს

ქალას შიგნით ნერვის მომატებას და დაზიანებული უბნიდან ტვინის სტრუქტურების გადანაცვლებას. მან შესაძლოა განაპირობოს ლიქვოროცირკულაციური გზების ბლოკი, ინტრაკრანიული ნერვის მზარდი მატებით. ტვინის ნამგალი (falx cerebri) და ნათხემის ჯარავი (tentorium cerebeli) თავის ქალა შიგნით შედარებით ფიქსირებულ სტრუქტურებს წარმოადგენენ. მოცულობაში მომატებული ჰემისფეროს გადანაცვლება სორციელდება სანინააღმდეგო მხარეს და მისი ხაღაც ნაწილი, ზეწოლის შედეგად, გადაინაცვლებს ფალქსის ქვეშ – განვითარდება ჰორიზონტალური დისლოკაცია. შუა ტვინი და დიენცეფალონი ტენტორიუმის ამონაჭდევში გადაინაცვლებენ ინფრატენტორიულ სივრცეში. ამასთანავე, სანეთქლის ნიღის ქვედა მედიალური ნიდე ჯაუჭი (uncus) გადანაცვლდება ნათხემის ჯარავის მიმართულებით და განაპირობებს შუა ტვინის და მესამე წყვილი ნერვის კომპრესიას – განვითარდება ტრანსტენტორიული დისლოკაცია. ტვინის ღეროს გადანაცვლებასთან ერთად, მისი შედარებით ფიქსირებული სისხლძარღვებიც დაიჭიმება, დაიგრიხება და ამის შედეგად, ტრანსტენტორიულ დისლოკაციასთან ერთად, ღეროს ზედა სტრუქტურებში ვითარდება ჰემორაგია და ცნობიერების დაკარგვა.

დაავადების ხანგრძლივობის მიხედვით ისინი განსხვავდებიან მეტაბოლური და ნელი ვირუსული პათოლოგიისაგან. უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია მათი დასანყისის განსაზღვრა. ზოგჯერ პაციენტის ოჯახის ნევრები დაავადების დებიუტის ვადა ასახელებენ, მაგრამ ეს ორგორც ნესი დაკავშირებულია რაიმე მნიშვნელოვან პროცესთან (მძიმე ინფექცია, ტრავმა, ქირურგიული ჩარევა), რომელიც მეხსიერებისაში თანხვედრილია დაავადების ინიციალური სიმპტომების გამოვლენასთან. გულდასმით შეკრებილი ანამნეზი ზოგჯერ გამოავლენს, რომ მინიმალური სიმპტომები პაციენტს დიდი ხანია აღენიშნებოდა, მაგრამ ოჯახის ნევრები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. კლინიკური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია დაავადების ოჯახური შემთხვევების გამოვლენა, მაგრამ ეს ხშირად გაძნელებულია, ვინაიდან ოჯახის ნევრები მალავენ ამ ინფორმაციას, თვლიან რა, რომ ოჯახური დაავადების არსებობა "არცხვენს" მათ ოჯახურ პრესტიჟს.

დეგენერაციული დაავადებები, ორგორც ნესი, შეურჩეველი პროგრესირებით ხასიათდებიან, მათ მიმდინარეობაზე არავითარი სხვა (ინფექცია, ქირურგიული ჩარევა) პათოლოგიური პროცესი არ ახდენს გავლენას. მთელი ავადმყოფობის პერიოდში ამგვარ პაციენტთან ურთიერთობა, უმეტესად მისთვის შვების მოგვრის შეუძლებლობა, ექიმისათვის გარკვეული მორალურ-ფსიქოლოგიური სიმძიმეს ნარმოადგენს. ზოგ შემთხვევაში, მაგალითად ჰარკინსონის დაავადების დროს, ეფექტური მენეჯმენტის მეშვეობით, დეგენერაციული დაავადების მიმდინარეობაში შეიძლება აღინიშნებოდეს სტაბილიზაციის ხანგრძლივი პერიოდები, რომელიც თანხლებულია პროგრესირებით.

✔ *დეგენერაციული დაავადებების უმეტესობა ხასიათდება ანატომიურად და ფიზიოლოგიურად დაკავშირებული ნეირონული სისტემების დაზიანებით.* მაგალითად, გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი აზიანებს მოტორულ სისტემას, სქლებული ატაქსიები მხოლოდ ნათხემის პერკინიეს უჯრედებს, ჰარკინსონის და-

ვადება - ქრქქვეშა ბირთვებს. ამ დეგენერაციულ დაავადებებს ამიტომ აგრეთვე ეწოდებათ *სისტემური ნეირონული ატროფიები*. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაზიანების უბნის არჩევითობა არ ნიშნავენს მხოლოდ დეგენერაციული დაავადებების ჰეტეროგენულობას, ასე მაგალითად, დიფთერიის ტოქსინი აზიანებს ჰერიფერიული ნეირების მიელინს, ანოქსია ამორჩევითად მოქმედებს ჰიპოკამპის ნეირონებზე, ხოლო მანგანუმი ბაზალური განგლიების ნეირონებზე. მეორეს მხრივ, აღვნიშნავთ, რომ დაავადებას ახასიათებს პათოლოგიური დაზიანებების ნაკლები არჩევითობა და მათი განფენა, მაგრამ ამ დროსაც, მათი არჩევითი ლოკალიზაციის ადგილი ქერქული ნეირონებია, ხოლო დებიუტისას, პათოლოგიური ცვლილებები ძირითადად ჰიპოკამპის სტრუქტურები ვლინდება. დეგენერაციული პროცესების დროს ნეირონების ნელი დაღუპვა თანხლებულია დენდრიტების, აქსონების მიელინის განადგურებით, მაგრამ დაავადების ძალზე ნელი მიმდინარეობის გამო, მას არ ახლავს იმგვარვმყოფი ქსოვილოვანი სტრუქტურების რეაქტიული ცვლილებები. უფრო მეტიც, ვინაიდან ეს დაავადებები დაკავშირებულია ქსოვილის დაკარგვასთან (და არა ახალი ქსოვილის წარმოქმნასთან სიმსივნისა და ანთებითი პროცესის მსგავსად), *ადგილობრივად* ტვინის ქსოვილის საერთო მოცულობა ან უცვლელია, ან მისი მასა მცირდება – ვითარდება *ატროფია*, შესაბამისად, ტვინში ღრუების შემცველი სივრცის მატებით. ეს ადგილობრივი მახასიათებელი განასხვავებს ატროფიულ პროცესს ნელი სისტემის სხვა პროგრესირებადი დაავადებებისაგან, მაგ. სიმსივნეებისა და ინფექციურ-ანთებითი პათოლოგისაგან.

✓ *ტერმინები ატროფია და დეგენერაცია მიესადაგება ნეიროდეგენერაციული დაავადებების მთელ სპექტრს,* განურჩევლად სწორადული ან მემკვიდრული ფორმებისა და აღნიშნავს იმ ცვლილებებს რომელიც ვლინდება ნეირონებსა და ნეირონულ სისტემებში. უკრედული დონეზე ნეირონის დაღუპვას და ნეიროდეგენერაციას მიავალფეროვანი მექანიზმები განაპირობებენ, რომელთა აღსანიშნად გამოიყენება ტერმინი *აპოპტოზი*. ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობა გულისხმობდა ნორმალური ევოლუციის თანმხლებ უკრედების დაღუპვას, რომელიც განპირობებულია გარკვეული გენების, "თანატინების" ექსპრესიით, ინვევს ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ნეირონების ჭარბენობის შემცირებას (ე.წ. უკრედის "დაპროგრამებული" სიკვდილი), რომელიც არ არის თანხლებული პათოლოგიური ქსოვილოვანი რეაქციით. ნეირონთა პათოლოგიური დეგენერაციის პროცესი სრულებით განსხვავებულია, იგი ვითარდება ზრდასრულ ნორმალურ ნეირონებში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში და ხშირად თვეებს გულის ნანიბურს. აპოპტოზური სიკვდილი წარმოადგენს ნეიროდეგენერაციის ერთერთ, მაგრამ არა ერთადერთ მექანიზმს. სავარაუდოდ მასში მონაწილეობას იღებს სინაფსური გადაცემის დარღვევა და გულის ქსოვილის ფიზიოლოგიური დისფუნქცია.

✓ *ნეიროდეგენერაციული დაავადებების პათოგენეზის თანამედროვე კონცეფცია ემყარება შეხედულებას, რომ მათი წარმოქმნა განპირობებული ნორმალური უკრედული პროტეინების – ამილოიდის, სინუკლეინის, უბიკვიტინის, ჰანტინგტინის აგრეგატების წარმოქმნას.* თვალ მემთხვევაში აღგილი აქვს ცილის ჰიპერპროდუქციას, განპირობებულს მისი გენის ჰიპერაქტივობა/ამპლიფიკაციით ან ცილის ენზიმური გარღვევის დარღვევას, შემდგომში ცილოვანი აგრეგატების წარმოქმნით.

დეგენერაციული დაავადებები კლასიფიკაციები ემყარება გენეტიკურ ან მოლეკულურ დარღვევებს. ამასთანავე, თვალსაჩინოა, რომ მარკერული ნეირონული პათოლოგიური ცვლილებები თან ახლდეს ერთ გენეტიკურ დეფექტს, მეორეს მხრივ კი სხვადასხვა გენეტიკურმა მუტაციამ განაპირობოს მსგავსი ნეირონული ფენოტიპის მქონე პათოლოგიის განვითარება. ეს კლასიფიკაციები ნეირონული გამოყენებისათვის საკმაოდ მოუქნელია, პრაქტიკული მიზნისათვის უფრო მისაღებია დეგენერაციული დაავადებების კლინიკური კლასიფიკაცია.

➡ დეგენერაციული დაავადებების უმეტესობა ხასიათდება ანატომიურად და ფიზიოლოგიურად დაკავშირებული ნეირონული სისტემების დაზიანებით.

➡ *ადგილობრივად* ნეიროდეგენერაციების დროს ტვინის ქსოვილის საერთო მოცულობა ან უცვლელია, ან მისი მასა მცირდება – ვითარდება *ატროფია*, შესაბამისად, ტვინში ღრუების შემცველი სივრცის მატებით

➡ უკრედული დონეზე ნეირონის დაღუპვას და ნეიროდეგენერაციას მიავალფეროვანი მექანიზმები განაპირობებენ, რომელთა აღსანიშნად გამოიყენება ტერმინი *აპოპტოზი*.

ᲗᲐᲕᲘ 20.1 ᲓᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

I. ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ, ᲡᲮᲕᲐ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲘᲡᲖᲔ ᲐᲜ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲗ

- *ᲓᲘᲤᲣᲖᲣᲠᲘ ᲪᲔᲠᲔᲑᲠᲣᲚᲘ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲐ*
  - ᲐᲪᲪᲔᲮᲕᲘᲛᲔᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ
  - ᲐᲮᲐᲐᲪᲪᲔᲮᲕᲘᲛᲔᲘᲡᲘᲡ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲓᲘᲤᲣᲖᲣᲠᲘ ᲞᲝᲠᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲐ
  - ᲪᲔᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲔᲚᲐᲮᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲛᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ
- *ᲨᲔᲛᲝᲤᲐᲠᲒᲚᲘ ᲪᲔᲠᲔᲑᲠᲣᲚᲘ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲔᲑᲘ*
  - ᲞᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ
  - ᲤᲐᲠᲘᲜᲒᲢᲔᲛᲞᲝᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲔᲜᲪᲘᲐ

II. ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ, ᲗᲐᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲔᲕᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘᲗ

- ᲰᲐᲜᲢᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲥᲝᲠᲔᲐ
- ᲪᲔᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲔᲚᲐᲮᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ
- ᲞᲐᲮᲘᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲮᲝᲒᲘᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ
- ᲞᲝᲠᲢᲘᲣᲚᲝᲑᲐᲡᲮᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲐ
- ᲞᲐᲮᲘᲜᲡᲝᲜ–ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲘ ᲐᲛᲘᲝᲢᲠᲝᲤᲣᲚᲘ ᲡᲘᲔᲠᲝᲮᲘ-ᲓᲔᲛᲔᲜᲪᲘᲐ-ᲞᲝᲛᲞᲔᲥᲡᲘ
- ᲪᲔᲠᲔᲑᲠᲝ-ᲪᲔᲠᲔᲑᲔᲚᲣᲠᲘ ᲓᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲐ
- ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲔᲛᲔᲜᲪᲘᲐ ᲡᲞᲐᲡᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲐᲞᲐᲠᲔᲖᲘᲗ ᲐᲜ ᲛᲘᲝᲔᲚᲔᲜᲘᲘᲗᲝᲠᲘ ᲛᲧᲝᲤᲔᲚᲝᲜᲔᲡ
- ᲤᲠᲝᲜᲢᲝᲢᲔᲛᲞᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲔᲜᲪᲘᲐ ᲞᲐᲠᲐᲞᲐᲠᲔᲖᲘᲗ ᲐᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲘ ᲐᲛᲘᲝᲢᲠᲝᲤᲣᲚᲘ ᲡᲘᲔᲠᲝᲗᲘ A
- ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲐᲤᲐᲖᲘᲐ

III. ᲛᲝᲫᲠᲐᲮᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲖᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲔᲑᲘ

- ᲞᲐᲠᲙᲘᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ
- ᲡᲢᲘᲝᲛ-ᲜᲘᲒᲠᲐᲮᲐᲠᲘ ᲓᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘᲗ ᲐᲜ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ (ᲨᲐᲠᲙᲝᲡ ᲓᲘᲐᲤᲠᲐᲒᲛᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ) ᲓᲐ ᲝᲚᲘᲒᲝᲓᲔᲜᲓᲠᲝᲪᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲐ (ᲛᲔᲚᲔᲜᲘᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲐ)
- ᲰᲘᲞᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲑᲚᲐ
- ᲢᲝᲥᲡᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲢᲝᲜᲘᲐ
- ᲰᲔᲞᲐᲢᲝᲪᲘᲢᲣᲠᲘ ᲡᲜᲔᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ
- ᲰᲐᲜᲢᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ
- ᲞᲝᲠᲢᲘᲣᲚᲝᲑᲐᲡᲮᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲐ
- ᲪᲔᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲔᲚᲐᲮᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ
- ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲮᲚᲕᲘᲗᲘ ᲓᲘᲡᲢᲝᲜᲘᲔᲑᲘ (ᲛᲔᲘᲯᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ)
- ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲪᲘᲛᲝᲠᲘ ᲔᲡᲔᲜᲪᲘᲣᲠᲘ ᲪᲘᲛᲝᲠᲘ
- ᲛᲘᲮᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲢᲘᲯᲘ (ᲤᲘᲚ ᲓᲔ ᲚᲐ ᲢᲣᲠᲔᲢᲘ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ)
- ᲐᲯᲐᲜᲢᲝᲡᲘᲢᲣᲠᲘ ᲥᲝᲠᲔᲐ

IV. ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲔᲑᲘ

- ᲡᲞᲘᲜᲝᲪᲔᲠᲔᲑᲔᲚᲣᲠᲘ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲔᲑᲘ (ᲐᲠᲮᲔᲕᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲜᲣᲧᲘᲡᲘᲗ)
  - ᲤᲘᲖᲘᲝᲠᲰᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲐ (Friedreich ataxia)
  - ᲐᲮᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲠᲰᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲐ ᲐᲠᲮᲔᲕᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲜᲣᲧᲘᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲗ (ᲰᲘᲞᲝᲒᲝᲜᲐᲓᲘᲖᲛᲘ, ᲛᲘᲝᲙᲚᲝᲜᲘᲔᲑᲘ)
- ᲜᲐᲗᲮᲔᲛᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲞᲝᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲔᲑᲘ
  - ᲰᲝᲚᲛᲡᲘᲡ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲝᲚᲘᲒᲝ-ᲪᲔᲠᲔᲑᲔᲚᲣᲠᲘ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲐ
  - ᲒᲕᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲜᲣᲧᲘᲡᲘᲡ ᲪᲔᲠᲔᲑᲔᲚᲣᲠᲘ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲐ ᲛᲐᲮᲘ-ᲤᲔᲮᲐ-ᲐᲚᲐᲕᲔᲜᲘᲡ
- ᲒᲕᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲜᲣᲧᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲮᲗᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲪᲔᲠᲔᲑᲔᲚᲣᲠᲘ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲔᲑᲘ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲦᲔᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲔᲕᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲗ
  - ᲝᲚᲘᲒᲝᲓᲔᲜᲓᲠᲝᲪᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲐ (OPCA)
    - ✓ ᲚᲘᲜᲘᲯᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲣᲤᲗᲐ (ᲓᲔᲯᲔᲠᲘᲜ ᲢᲝᲛᲐᲡ ᲢᲘᲞᲘᲡ)
    - ✓ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲤᲣᲜᲥᲪᲘᲗ (ᲛᲔᲚᲔᲜᲘᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲐᲢᲐᲥᲡᲘᲐ)
    - ✓ ᲨᲔᲣᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲞᲘᲜᲝᲪᲔᲠᲔᲑᲔᲚᲣᲠᲘ ᲓᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ (ᲛᲔᲜᲘᲜᲯᲔᲠᲘᲡ ᲢᲘᲞᲘ)
- ᲓᲔᲜᲢᲐᲢᲝᲠᲣᲑᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲐ (ᲰᲐᲛᲡᲔᲜ-ᲰᲐᲜᲢᲘᲡ ᲢᲘᲞᲘᲡ)
- ᲛᲐᲭᲐᲓᲝ-ᲯᲝᲖᲔᲤᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ

20.1

- სხვა გაჩთულებული აუტოსომურ-დომინანტური ატაქსიები პიგმენტური ჰეტინოპათიით, ოფთალმოპლეგიით, პოლინეიროპათიით, ოპტიკური ატროფიით, ექსტრაპირამიდული დარღვევებით, სიყრუით, დემენცია.

V. ნელა პროგრესირებადი ჯენთოვანი სისუსტის და ატროფიის სინდრომები

- მოტორული სისტემის დაავადებები ამიოტროფიით
  - გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი
  - პროგრესირებადი სპინალური ჯენთოვანი ამიოტროფია
  - პროგრესირებადი ბულბური დამბლა
  - პროგრესირებადი ჯენთოვანი ატროფიის და სპასტიური პარაპლეგიის მემკვიდრეული ფორმები
  - მოტობეირონის დაავადება ფრონტოტემპორული დემენციით
- სპასტიური პარაპლეგია ამიოტროფიის გარეშე
  - პირველადი ლატერალური სკლეროზი
  - მემკვიდრეული სპასტიური პარაპლეგია (შტრუმპელის დაავადება)

VI. სენსორული და სენსომოტორული დაზიანებები (ნეირონათიები)

- მემკვიდრეული სენსომოტორული ნეირონათიები—პერონეული ჯენთოვანი ატროფია (შარკო-მარი-ტუტსის); ჰიპერტროფული ინტერსტიციული პოლინეიროპათია (დეჟერინ სოტასი) და სხვა

VII. პროგრესირებადი სიბრმავის ან ოფთალმოპლეგიის სინდრომები ნევროლოგიური დაზიანებით ან მის გარეშე

- ბადურას პიგმენტური დეგენერაცია
- მიტოქონდრიული დაავადებები, რომლებიც ზოგჯერ კლასიფიცირდება როგორც დეგენერაციული
  - პროგრესირებადი გარეგანი ოფთალმოპლეგია სიყრუით ან მის გარეშე სხვა სისტემების ატროფიით ან მის გარეშე (კეარნს-საირის სინდრომი)
  - ღებერის მემკვიდრეული ოპტიკური ატროფია

VIII. სინდრომები, რომლებიც ხასიათდება ნეიროსენსორული სიყრუით

- სუფთა ნეიროსენსორული სიყრუე
- სმენის მემკვიდრეული დაქვეითება თანხლებული ბადურას დაავადებებით
- სმენის მემკვიდრეული დაქვეითება თანხლებული ნერვული სისტემის ატროფიით

დემენცია – ისტორია

კაცობრიობისათვის უძველესი დროიდან ცნობილია დაბერებასთან ერთად ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების დაქვეითება, მაგრამ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მოხდა დემენციის განსხვავება გონებრივი ჩამორჩენილობისა და ფსიქოზისაგან. გამოვლინდა, რომ ჭკუასისტობის მიზეზს შეიძლება წარმოადგენდეს სიფილისი და ცერებრული ციტულაციის დარღვევა. დემენციების შესწავლის თანამედროვე ეტაპს საფუძველი ჩაეყარა 1907 წელს, როდესაც გერმანელმა ფსიქიატრმა ალოიზ ალცჰაიმერის აღმოაჩინა დემენციის ყველაზე გავრცელებული ფორმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. ამ ტიპის დემენციას შემდგომში მისი სახელი ეწოდა – ალცჰაიმერის დაავადება.

ფართოდ მიღებული თანამედროვე დეფინიციით დემენცია ეს არის ჯოგნიტურ-მნესტიური (შემეცნებით-ინტელექტუალური), მრავლობითი ფუნქციების დაქვეითება და ხლართვა, რაც გულისხმობს ✓ *ჰრობლემებს მეხსიერებაში, არითმეტიკული ოპერაციების შესრულებაში, დასმული ამოცანის აღქმას, გააზრებასა და შემდგომ მის გადაწყვეტაში, აბსტრაჰირებაში, ჰრაქსისსა და მეტყველებაში.* ხშირად ყოველივე ამას თან ახლავს პიროვნული და ქცევითი ცვლილებები საგულისხმოა, რომ აღნიშნული ცვლილებები ყალიბდება შენახული ცნობიერების ფონზე, განსხვავდება ფიზიოლოგიური დაბერების პროცესისაგან და საბოლოო ჯამში დაავადებული პიროვნების სრულ დეზადაპტაციასა და დეზინტეგრაციას იწვევს.

ნოზოლოგიურ ჭრილში დემენცია ანუ ჭკუასუსტობა კლინიკური და არა პათოლოგიურ-ანატომიური დიაგნოზია, მიუხედავად იმისა, რომ მას საფუძვლად უდევს სტრუქტურული ცვლილებები. უფრო მეტიც, იგი დაავადებას კი არა, კლინიკურ სინდრომს წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია გამომწვევი ეტიოლოგიური ფაქტორები და პათოგენეზური მექანიზმები. დემენციის კლასიფიცირებას ახდენენ ეტიოლოგიის, პათოგენეზის, დაწყების ასაკის, სიმპტომების, მიმდინარეობის შეღებადობის და სხვა ნიშნების მიხედვით ამჟამად ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაცია ემყარება ეტიოლოგიურ საფუძველს. მის მიხედვით გამოიყოფა ე.წ. "პირველადი" და "მეორადი" დემენციები. ამ უკანასკნელში იგულისხმება ჭკუასუსტობა, რომელიც გამოწვეულია ექსტრაცერებრული და ტვინის ისეთი დაავადებებით, როგორიცაა სიმსივნე, ინტოქსიკაცია, ინფექცია, ტრავმა და ა.შ.

ტერმინი - პირველადი დემენციები- გამოიყენება ნეიროდეგენერაციული ხასიათის იმ დაავადებათა ჯგუფის აღსანიშნავად, სადაც დემენცია წარმოადგენს დაავადების უმთავრეს, ღრმად პროგრესირებად სიმპტომს.

> *განსაზღვრება: დემენცია ეს არის ადრე შეძენილი, ფუნქციონირებადი დონის მქონე ადამიანში შემეცნებითი ფუნქციების სხვადასხვა ასპექტების შეძენილი, ჰეტეროგენული დარღვევა. იგი ხასიათდება შემეცნებითი ფუნქციების იმდენად გამოხატული და ჰეტეროგენული დარღვევებით, რომ აბრკოლებს პაციენტის ჩვეული სოციალური აქტივობის და ინვევს შრომისუუნარობას.*

ვასკულური - სისხლძარღვოვანი დემენცია, (მისი ხვედრითი წილი ყველა სახის დემენციებში დაახლოებით 15%-ია

ყველა ტიპის დემენციის დროს ზიანდება მეხსიერება, მეტყველება, დასწავლის უნარი, სივრცითი ორიენტაცია, მხედველობითი აღქმა, ემოცია, ქცევა, აბსტრაქტული აზროვნება, თუმცა ყოველივე ზემოთჩამოთვლილის გამოვლენის ხარისხი ვარიაბელურია. დემენციების შემთხვევათა 50% განპირობებულია ალცჰეიმერის დაავადებით.

ადამიანის კოგნიტური უნარ-ჩვევები ძალზე მრავალფეროვანია, დემენციამ შესაძლოა დააზიანოს მეტყველების, მეხსიერების, პრაქსონოლოგიის, ქცევითი გამოვლინებების ზოგიერთი ასპექტი, სხვები კი შეუცვლელი დარჩეს. ეს განსაკუთრებით ვლინდება დაავადების აღრეულ სტადიებზე. ამასთანავე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოგნიტური ინარჩენების სხვადასხვა ინტენსივობით დარღვევები (მაგ. აფაზია), არ შეიძლება განსხვავდეს ნორმალურ დემენციის დამახასიათებელი სიმპტომი ადგილად ამგვარი დარღვევები შესაძლოა ინსულტის შემდეგაც გვხვდებოდეს.

ეპიდემიოლოგია: დემენცია აღინიშნება 60-64 წლის პირთა მხოლოდ 1%-ში, ხოლო 85 წელზე უფრო მეტი ასაკის პირებში იგი 30-40%-ში გვხვდება. 60 წლის ასაკის ზემოთ დემენციის სიხშირე ყოველ 5 წელიწადში 2-ჯერ მატულობს. ხანშიშესულ ასაკში, მაღალი ინტელექტის და მრავალმხრივი ინტერესების მქონე პირებში,

> *დიაგნოსტიკური კრიტერიუმები და ობიექტური ფსიქოპათოლოგიური ნიშნები:*

✓ *მეხსიერების დარღვევა:* ხანმოკლე მეხსიერების დარღვევა გამოხატულია უფრო მეტად, მაშინ როდესაც დიდი ხნის წინ გადატანილ მოვლენებზე მეხსიერება შენახულია დაავადების გვიან სტადიებზეც კი.

✓ *პირობების შეცვლა:* გამოვლინდება არაადეკვატური, უტაქტო ქცევით, ინტერესთა სფეროს შეზღუდვით, კრიტიკის დაქვეითებით, აფექტური ლაბილობით, შფოთვით, დეპრესიულ-ჰიპოქონდრიული მოვლენებით და პრანოიდული ელემენტებით.

✓ *აბსტრაქტული აზროვნების, განსჯის, მეტყველების, აქტივობის, შემეცნების და აღქმის უნარის დარღვევა:* მათი გამოვლენა ხდება ანამნეზის შეგროვების დროს. ნეიროფსიქოლოგიური ტესტებით ვლინდება უმაღლესი ქერქული ფუნქციების დეფექტი და აფაზიის, აპრაქსიის, აგნოზიის, პრაქსიული ორიენტაციის დარღვევების ელემენტები.

ცხრილი 20.2 ხოდემენციების ძირითადი ტიპები და მათი შედარებითი სიხშირე

დემენციის ბამომწვევი დაავადება	შედარებითი სიხშირე %
ცერებრული ატროფია, ძირითადად აღმოსავლეთის დაავადება, აგრეთვე ღვიძლის სხვადასხვაგვარი დემენცია, ჰანტინგტონის დაავადება, პიკის დაავადება, ფრონტოტემპორული დემენცია	50
ვასკულური დემენცია	10
ალკოჰოლური დემენცია	7
ტვინის სიმსივნეების	5
ნორმოტენზიული ჰიდროცეფალია	5
ჰანტინგტონის დაავადება	2
ქრონიკული მენინგიტური ინფექციური	3
სხვადასხვა დაავადებები (ღვიძლის ანთება, ენცეფალოპათია, ჰიპო ან ჰიპერთირეოიდიზმი, დემენცია ამიოტროფიული გვერდითი სკლეროზით, ნათხემის ატროფია ნეირონოფიბრილის, კუშინგის სინდრომი, გაფანტული სკლეროზი,	6
ცერებრული ტრავმა	2
შიდსი - დემენცია	2
ფსევდოდემენცია (დეპრესია, ჰიპომანია შიზოფრენია, ისტერია, უნდიაგნოსტედ,	8

დაბალი ინტელექტის ადამიანებთან შედარებით, დემენციის განვითარების ხისტი უფრო მცირეა.

დემენციის ნევროლოგიური ნიშნები

ნევროლოგიური ნიშნები ხშირად ვლინდება, მაგრამ ისინი არ წარმოადგენს დემენციის აუცილებელ ნიშანს. დაავადების მანიფესტირებულ სტადიაზე ხდება მთელი რიგი *პრიმიტიული რეფლექსების* __ წარბზედა, ნოვითი, ხორთუმის, ნუხოცეფალური (თავის ტრიალია ველზე დაჯაჭვნების დროს), ხელისგულ-ნიკაპის, ტაცების _ *გამოვლინება,* რაც მიუთითებს პროცესში შუბლის წილის ჩართვაზე.

მამოძრავებელი ფუნქციების დარღვევა შეიძლება გამოვლინდეს პარკინსონიზმის დროს არსებული პოზის მსგავსი მდგომარეობით, მოძრაობათა შენელებით, რიგიდულობით, ატაქსიით, ტრემორით, ქორეოათეტოზით, სპასტიურობით ან დამბლებით, როგორც ეს, ისე ორივე მხარეს. მეტყველება შეიძლება იყოს ჰიპოფონიური ან დიზართრიული.

ცნობიერის პრაქტიკაში ინტელექტუალური უნარ-ჩვევების დაქვეითება, რომელიც შეფასებულია მინი-მენტალ ტესტით (Mini-Mental State Examonation- MMSE) 24 ან ნაკლებ ქულასთან, წარმოადგენს დემენციის დიაგნოზის ამოსავალ წერტილს.

დემენციების კლასიფიკაცია

ქერქული ან ქერქქვეშა ტიპის დემენცია

დემენციების კლასიფიკაციის პირველი მცდელობა მათ ჰყოფდა სენილურ და პრესენილურ ფორმებად, რაც ძალიან პირობითი იყო და აბსოლუტურად არ ასახავდა დაავადების ეტიოლოგიურ და ფენომენოლოგიურ თავისებურებებს. დემენ-

ცია შესაძლოა განვითარდეს მიავადმყოფოვანი პათოლოგიური პროცესის დროს დემენციების მიავადი ფორმის პათოგენეზი ჯერჯერობით ამოუცნობია და მათი დიაგნოსტირება საკმაოდ ჭირია. სხვადასხვა ტიპის დემენციით განპირობებული ჯგნიტური დაზიანების სინდრომები ხშირად გადაფარავენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, დემენციების ყველაზე გავრცელებული ფორმები ხასიათდებიან *დამახასიათებელი, მაგრამ არა სპეციფიური* ჯგნიტური დარღვევებით.

ტერმინები *ქერქული და ქერქქვეშა (ჯორტიკული, სუბჯორტიკული)* დემენციები გამოიყენება, რათა ჯერონიჯურად განირჩეს დემენციის ორი ძირითადი, განსხვავებული ტიპი. თუმცა, ეს ტერმინი სრულებით არ ნიშნავს რომ დემენციის ესა თუ ის ტიპი შემოფარგლულია მხოლოდ ქერქული ან მხოლოდ ქერქქვეშა სტრუქტურების დაზიანებით. განასხვავებენ აგრეთვე დემენციის შერეულ –ჯორტიკულ-სუბჯორტიკულ ფორმას. ყველაზე გამოხატული განმასხვავებელი ნიშანია მოძრაობითი დარღვევები ნარმოდგენილი ქერქქვეშა ტიპის დემენციის დროს, მაშინ როდესაც ქერქული ტიპის დემენციის დროს ისინი არ გვხვდება. მხოლოდ დაავადების გვიან სტადიებზე. ქერქქვეშა ტიპის დემენციის დროს პაციენტები ტოვებენ აპათიურობის, დეპრესიულობის შთაბეჭდილებას, მაშინ როდესაც ქერქული ტიპის დემენციის დროს აღინიშნება ეიფორია და აფექტური დარღვევები. ქერქული დემენციის დროს მეტყველების, პრაქსისის და სივრცითი ორიენტაციის დარღვევები მეტადაა გამოხატული, ვიდრე ქერქქვეშა დემენციის დროს. ქერქული დემენციის ტიპიური გამოვლინებაა აღცჰეიმერის დაავადება, ხოლო ქერქქვეშა დემენციის ყი- ჰოგიესული ბირთვულები დამბლა.

დემენციის სხვადასხვა ფორმების ეტიოლოგია და სიხშირე. დემენციის გამომწვევი მიზეზები მოყვანილია ცხრილში. ყველაზე ხშირია აღცჰეიმერის დაავადება, სისხლძარღვოვანი დემენცია, დემენცია ფსიქიური დაავადებების და აღკოჰოლიზმის დროს (იხილეთ ცხრილი 20.2). გერიატრიულ პოპულაციაში ხშირია დემენციის შერეული ფორმები, აღცჰეიმერის და ცერებროვასკულური დაავადების კომბინაციით.

✓ *აუცილებელია დემენციის სწორი შეფასება. ნეიროდეგენერაციული დაავადებებით განპირობებული დემენცია ძირითადად პროგრესული მიმდინარეობისაა. ასევე არსებობს დემენციის განკურნებადი და ქცევითი ფორმებიც.* აუცილებელია დემენციის დიფერენციაცია კონფუზიური, დეპრესიული ფსიქოტური, აფექტური და დეპრესიული მდგომარეობებიდან.

ჯორტიკული დემენციები (აღცჰეიმერის დაავადება, ან ფრონტო-ტემპორული დემენცია) დაავადების ადრეულ სტადიებზე ნარმოდგენილია მეხსიერების ან ქცევის სელექტიური, ტიპიური დარღვევებით, რაც განპირობებულია პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციით. პაციენტის უნარი შეიძინოს ცოდნა შეიძლება ნორმალური იყოს. მოტივაცია და ემოციური პასუხი, ისევე როგორც ანალიტური აზროვნება, შენარჩუნებული. ჯორტიკული დემენციის შემთხვევაში ფოკალური ნევროლოგიური ნიშნები ან ექსტრაპირამიდული დისფუნქცია იშვიათად ვლინდება.

სუბჯორტიკული დემენცია აღნიშნავს იმგვარი დემენციის ტიპს, რაღაც მენტალური პროცესების შენელება, მოტივაციისა და ინიციატივის გაღარიბება, გუნებ-განწყობის ცვლილებები უფრო ხელიფფრად არის გამოხატული, ვიდრე უშუალოდ ინტელექტუალური ფუნქციების დაქვეითება

დაავადებები, რომლებიც განაპირობებენ სუბჯორტიკული ტიპის დემენციის განვითარებას ხასიათდებიან სუბჯორტიკული სტრუქტურების დაზიანებით, ესქტრაპირამიდული და პირამიდული სისტემების დისფუნქციის ნიშნებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკაფიო საზღვრის გავლება დემენციის ტიპებს შორის ყოველთვის შესაძლებელი არ არის, ზოგიერთი მკვლევარის აზრით დემენციების ამგვარი დაყოფა უსარგებლოა, რადგან ჯორტიკული და სუბჯორტიკული სიმპტომატიკა ხშირად გადაფარავს ერთმანეთს.

ჯორტიკული დემენციები (აღცჰეიმერის დაავადება, ან ფრონტო-ტემპორული დემენცია) დაავადების ადრეულ სტადიებზე ნარმოდგენილია მეხსიერების ან ქცევის სელექტიური, ტიპიური დარღვევებით, რაც განპირობებულია პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციით. პაციენტის უნარი შეიძინოს ცოდნა შეიძლება ნორმალური იყოს. მოტივაცია და ემოციური პასუხი, ისევე როგორც ანალიტური აზროვნება, შენარჩუნებული. ჯორტიკული დემენციის შემთხვევაში ფოკალური ნევროლოგიური ნიშნები ან ექსტრაპირამიდული დისფუნქცია იშვიათად ვლინდება.

აუცილებელია დემენციის სწორი შეფასება. ნეიროდეგენერაციული დაავადებებით განპირობებული დემენცია ძირითადად პროგრესული მიმდინარეობისაა. არსებობს დემენციის განკურნებადი და ქცევითი ფორმებიც. აუცილებელია დემენციის დიფერენციაცია კონფუზიური, დეპრესიული ფსიქოტური, აფექტური და დეპრესიული მდგომარეობებიდან

დემენციის მქონე პაციენტის შეფასება და გამოკვლევა

დემენციის მქონე პაციენტის შეფასებისას, თანამედროვე ნევროლოგიაში შეძლებისდაგვარად უნდა დადგინდეს დემენციის გამომწვევი *მიზეზი*, პათოლოგიური ცვლილებების ხასიათი და უახლესი მონაცემების გათვალისწინებით, დემენტური დაავადების განმაპირობებელი გენეტიკური დეფექტი. (იხ. ცხრილი 20.4)

20.3 დემენციებისათვის დამახასიათებელი ძირითადი პოგნიტური სინდრომები

სინდრომი	ტიპიური ნიშნები	ტიპიური პათოლოგიური ცვლილებები
ტემპორო-პარიეტული დემენცია ("უკანა" დემენცია)	აფრაქსია სტადიებზე, განმეორების, გახსენების პროცესების დარღვევა სივრცეში დეზორიენტაცია, მეტყველების დარღვევები, ანგარიშის და აბსტრაქტული ამოცანების გადაჭრის გაძნელება,	ტვინის ქერქში ამილოიდური ფოლაქები ან ნეიროფიბრილური ნწლეები (ალცჰაიმერის დაავადება ან ლევის სხეულებიანი დემენცია ჰორტიკო/სუბკორტიკულად ნეიროფიბრილური ნწლეები)
ფრონტალური ან ფრონტო-ტემპორული დემენცია ("წინა" დემენცია)	აფრაქსია სტადიიდან ქცევის და პერსონოლოგიური ცვლილებები, სხვებისადმი თანაგრძნობის უნარის დაკარგვა, დისინჰიბიცია, ჰიპერაქტივობა, ჰიპოორალური, უსუსურობის ქცევა	შუბლის და საფეთქლის ნილებში ნეირონების დაღუპვა, ქერქსა და ჰიპოკამპში პიკის სხეულაკები, ნეირონის შეშუპება
სუბკორტიკული დემენცია	მენტალური პროცესების შენელება (ბრადიფრენია), ემოციური განადგურება, მოტივაციის და ინიციატივის დაკარგვა მეხსიერების დარღვევები აღინიშნება, მაგრამ მსუბუქად ან საშუალოდ ჰის გამოხატული ხშირია უსტრაპირამიდული სიმპტომები, მხედველობით სივრცითი დარღვევები ვლინდება გვიან სტადიებზე	მრავალი, მულტიინფარქტული დემენციის ჩათვლით, ჰანტინგტონის დაავადება, მიდსი-დემენცია კომპლექსი, უპირატესად ქერქქვეშა პათოლოგია

სუბკორტიკული დემენციის შესაძლო მიზეზები

ფსიქიატრული

დეპრესია (დეპრესიული ფსევდოდემენცია)

დეგენერაციული

ჰანტინგტონის დაავადება

ჰოგკინსონის დაავადება სუპრანუკლეური დამბლა

ჰორტიკოზაზული დეგენერაცია

ჰანტინგტონის დაავადება

ვილსონის დაავადება

გაფანტული სკლეროზი

დემენცია თალამური დეგენერაციით

ბაზალური განგლიების იდიოპათიური კალციფიკაცია (ფაჰრს დაავადება)

სპინოცერებელური ატაქსია

ვასკულური

მულტი-ინფარქტული დემენცია

ღრუნული მდგომარეობა

ბინსვანგერის დაავადება

თალამუსის ინფარქტი

პოსტტრავმული გენეზის

მოკრივეთა დემენცია

ინფექციური

მიდსი-დემენცია კომპლექსი

სხვა მიზეზები

ნორმოტენზიული ჰიდროცეფალია

* *მუქად აღნიშნულია სუბკორტიკული დემენციის ის მიზეზები, რომლებიც ზოგად კლინიკურ პრაქტიკაში საკმაოდ დიფერენცირებას*

20.4 ᲓᲔᲛᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲔᲢᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ᲜᲔᲘᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲓᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ:

- ალცჰეიმერის დაავადება*
- პიკის დაავადება
- შუბლის ტიპის დემენცია
- ჰანტინგტონის დაავადება*
- ჰიპოგიესული ბიითვზედა დამბლა*
- ჰაღევორდენ-შპაცის დაავადება
- მემკვიდრეული ატაქსიები
- ჰიპოგიესული მიოკლონური ეპილეფსია
- ღვიძლის სხეულაკების დაავადება
- პორტოზომაზალური დეგენერაცია

ᲡᲔᲮᲔᲑᲠᲝᲕᲐᲡᲙᲣᲚᲘᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ:

- მენინგოენცეფალური დემენცია*
- "სტრატეგიული ზონის" ინფარქტი*
- ბისვანგერის დაავადება*

ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ:

- შიდსი-დემენცია კომპლექსი
- სხვა ვირუსული ენცეფალიტები და პოსტვირუსული ენცეფალოპათიები*
- ჰიონული დაავადებები
  - ✓ ქუჩე
  - ✓ კრეიცფელდ-იაკობის დაავადება
  - ✓ გერსტმან-შტროისლე-შეინკერის დაავადება
  - ✓ ოჯახური ფატალური ინსომნია
  - ✓ ოჯახური ჰიოგიესული სუბკორტიკული გლიოზი
- სიფილისი (ჰიოგიესული დამბლა)**
- თავის ტვინის აბსცესი**
- ლიპიდის დაავადება**

ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ:

- ჰეპატოცერებრალური დეგენერაცია**
- ცხიმების, ცილების, შარდოვანას და ნახშირწყლების ცვლის დარღვევები*
- ღეროსტომიები

ᲡᲘᲛᲡᲘᲕᲜᲔᲔᲑᲘ:

- თავის ტვინის ჰიპოკამპი სიმსივნეები*
- პარანეოპლასტიური ენცეფალოპათიები*

ᲔᲞᲘᲚᲔᲤᲡᲘᲔᲑᲘ:

- ჰიოგიესული მიოკლონური ეპილეფსია*
- ეპილეფსია ხშირი გულყრებით,
- ეპილეფსიური სტატუსი

ᲡᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲔᲜᲓᲝᲙᲠᲘᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲔᲑᲘ:

- ჰიპოთირეოზი, ჰაშიმოტოს ენცეფალოპათია**
- ჰიპოფიზური უკმარისობა**
- თირკმლის უკმარისობა*
- ულემიური ენცეფალოპათია**
- ტვინის ჰიპოქსიური დაზიანება
- ჰიპოგლიკემიები*
- ელექტროლიტური ბალანსის დარღვევა*
- ჰიპერკალცემია, ჰიპერპარათირეოიდიზმი**
- ვასკულიტები, შემაერთებელი ქსოვილის დაზიანება**
- B_{12} ვიტამინის დეფიციტი**
- პელაგრა**
- ვერნიკეს ენცეფალოპათია*

ᲢᲝᲥᲡᲘᲣᲠᲘ ᲓᲔᲛᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲑᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ:

- ალკოჰოლით**
- მძიმე მეტალებით**
- ნახშირჟანგით
- ორგანული გამხსნელებით*
- სამკურნალო პრეპარატებით**

ᲤᲡᲘᲥᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘ:

- დეპრესია**
- შიზოფრენია**
- ისტერია**

ᲰᲘᲓᲠᲝᲪᲔᲤᲐᲚᲘᲐ:

- ობსტრუქციული ჰიდროცეფალია**
- არაბლოკირებული ჰიდროცეფალია**

ᲢᲠᲐᲕᲛᲔᲑᲘ:

- ქალას ღია მოტეხილობები ტვინის ნივთიერების დაზიანებით
- დახურული ქალა-ტვინის ტრავმა დიფუზური აქსონალური დაზიანებით*
- მოკრივეთა ენცეფალოპათია*
- დაავადებები, რომლებიც ეთერულად ინვევენ უპილეფსიას და დემენციას*

ᲐᲚᲔᲛᲘᲔᲚᲘᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ:

- გაფანტული სკლეროზი*

* დაავადებები, რომელთა გლისაც სიმპტომების შემცირების მიზნით, შესაძლებელია ჰორმონალური ღონისძიებების ან მედიკამენტოზური მკურნალობის ჩატარება

**დაავადებები, როდესაც შესაძლებელია სრული განკურნება ან მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება

ჰისტიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, პაციენტის ქცინიტური და პათქცინიტური პარამეტრების შეფასებისას, შეძლებისდაგვარად უნდა განისაზღვროს დემენციების სამი ძირითადი კატეგორიიდან რომელს მიეკუთვნება კონკრეტული შემთხვევა, *კერძოდ: 1) ეს არის დემენცია, რომელიც განვითარდა ზოგადი დაავადების ფონზე; 2) დემენცია, რომელიც აღმოცენდა ნევროლოგიური დაავადების სტრუქტურაში, სადაც იგი წარმოადგენს დაავადების ერთერთი სიმპტომს; 3) სახეზეა დაავადება, რომლის პათოლოგიური გამოვლინების ძირითად და პრაქტიკულად ერთადერთ ნიშანს წარმოადგენს დემენცია.* იხ. ქვემოთ

დემენციის და ფსიქიატრიის ურთიერთკავშირი

დემენცია შეიძლება აღინიშნებოდეს ფსიქიატრიული პათოლოგიის დროს, მაგრამ ამ პათოლოგიების ერთიერკავშირი უფრო ფართოა, რაც განსაკუთრებით ეხება ხანდაზმულ პაციენტებს, სადაც დეპრესიამ შესაძლოა მოახდინოს დემენციის იმიტაცია–განვითარდეს ე.წ. ***დეპრესიული ფსევდოდემენცია***.

დემენციების ქცინიტური კლასიფიკაცია

I. დაავადებები, სადაც ქცინიტური და ლაბორატორიული მონაცემების თანახმად, დემენცია განვითარდა სხვა, ზოგადი პათოლოგიის ფონზე

- შიდსი
- ენდოკრინული დარღვევები: ჰიპოთირეოზი, კუშინგის სინდრომი
- კვებითი დარღვევები: ვერნიკეს ენცეფალოპათია, B_{12} დეფიციტით განპირობებული ქვემწვავე კონბინირებული დეგენერაცია, პელაგრა
- ქრონიკული მენინგოენცეფალიტი: მენინგოვასკულური ნეიროსიფილისი, პროგრესული დამბლა, ქრიპტოკოკოზი
- ჰეპატოლენტიკული დეგენერაცია - ოჯახური (ვილსონის დაავადება), სპორადული, შეძენილი
- მედიკამენტებით ქრონიკული ინტოქსიკაცია
- გახანგრძლივებული ჰიპოქსია ან ჰიპოგლიკემია
- პარანეოპლასტიური "ლიმბური" ენცეფალიტი
- მძიმე მეტალებით ინტოქსიკაცია

II. ნევროლოგიური დაავადებები, სადაც დემენცია წარმოადგენს დაავადების ერთერთ სიმპტომს

- აუცილებლად სახეზეა სხვა ნევროლოგიური სიმპტომები
  - ✓ ჰანტინგტონის დაავადება (ქოროათეტოზი)
  - ✓ გაფანტული სკლეროზი და სხვა დემიელინიზაციური დაავადებები (სპასტიური პარეზი, სიბრმავე, ატაქსია)
  - ✓ ლიპიდების დაგროვების დაავადებები- ლიპიდოზები (მიოკლონური გულყრები, სიბრმავე, ცერებელური ატაქსია, სპასტიკობა)
  - ✓ მიოკლონური ეპილეფსია (დიფუზური მიოკლონიები, გენერალიზებული გულყრები, ნათხემისმიერი ატაქსია)
  - ✓ ქვემწვავე სპონგიფორმული ენცეფალოპათია კრეიცფელდ-ჯაკობის დაავადება
  - ✓ პარკინსონისმ დაავადება (არინეტეი-ჰიგიდეული სინდრომი)
  - ✓ პროგრესული supranuclear დამბლა (ვერტიკალური ცქერის დამბლა, დავარდნები)
  - ✓ გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი, კომპლექსი გას-პარკინსონი-დემენცია
- ხშირად თან ახლავს ნევროლოგიური სიმპტომები
  - ✓ მრავლობითი ცერებრული ინფარქტები და ბინსვანგერის დაავადება
  - ✓ ტვინის სიმსივნე (პირველადი ან მეტასტაზური) ან აბსცესი
  - ✓ თავის ტვინის ტრავმა კონტუზიური კერებით, ქრონიკული სუბდურული ჰემატომა
  - ✓ ღვიძლის სხვეულებრივი დაავადება (პარკინსონული სიმპტომები)
  - ✓ შეერთებული ნორმოტენზიული ჰიდროცეფალია
  - ✓ ვირუსული ენცეფალიტი (მარტივი ჰერპესით გამოწვეული)
  - ✓ პროგრესული მულტიფოკალური ლეიკოენცეფალიტი

♻ ✓ ტვინის სისხლძარღვების გჰანულომატოზური ან სხვა ტიპის ვასკულიტები

III. დაავადებები, სადაც დემენცია წარმოადგენს დაავადების ერთადერთ გამოვლინებას

- ალცჰაიმერის დაავადება
- პიკის დაავადება
- შიდსის ზოგიერთი ფორმები
- ფრონტოტემპორული ან ფრონტალურ ნილოვანი დემენცია
- პრიონული ანაზიის სინდრომი

დემენტური პაციენტის შეფასებისას დეტალურად უნდა იქნას შეფასებული დაავადების პირველი სიმპტომები, რაც დაავადების დებიუტში ტვინის დაზიანებული უბნის ლოკალიზაციას მიგვანიშნებს და დემენციათა ნოზოლოგიური დიფერენციების საფუძველს ნარმოადგენს. ასე მაგ. ალცჰაიმერის დაავადების დროს ხანმოკლე მეხსიერების დარღვევა ყველაზე ხშირი ადრეული სიმპტომია, რომლის აღმოცენება პირობადებულია საფეთქლის მედიალური სტრუქტურების და ჰიპოკამპის დეგენერაციით. ფრონტოტემპორული დემენციისას დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება ხასიათის და სოციალური ქცევის დარღვევით. პირველი სიმპტომები დემენტური პაციენტი ექიმს უხშირესად მიმართავს ოჯახის წევრების მოთხოვნით. ოჯახის წევრები უჩივიან პაციენტის გულმავიწყობას, ხოლო ამოცანების შესრულების მაგ. საღილის მომზადების საყიდლებზე წასვლის გაძნელებას. მნიშვნელოვანია სიმპტომატიკის პროგრესირების ტიპი. მაგ. სიმპტომების შემპარავი დებიუტი და თანდათანობითი პროგრესირება დეგენერაციული დემენციის სასარგებლოდ მეტყველებს, მაშინ როდესაც სწრაფი დებიუტი, საფეხურებრივი პროგრედიენტობით დემენციის ვასკულური პათოლოგიის გენეზის მიანიშნებელია. ანამნეზური მონაცემებიდან აუცილებელია გადატანილი ტრავმის, მენინგიტის ან გულყრების არსებობის შესახებ ზუსტი მონაცემების მოპოვება. ასევე მნიშვნელოვანია ზოგადსომატური პათოლოგიის გამორიცხვა, (მაგ. შაქრიანი დიაბეტი ჰიპო ან ჰიპერთირეოზი, გულის იშემიური დაავადება, ავთვისებიანი სიმსივნე, ალკოჰოლის ქრონიკული მოხმარება, შიდსი, სიფილისი). უნდა დაზუსტდეს ოჯახური ანამნეზი, განსაკუთრებით ფსიქიკური ან ფსიქიური დარღვევების გათვალისწინებით. დემენციის არსებობისას აუცილებელია გამოირიცხოს ვილსონის დაავადება და ჰანტინგტონის ქორეა.

☑ *პაციენტის გამოკვლევისას ექიმი უნდა შეეცადოს პასუხი გასცეს სამ ძირითად კითხვას*

1. *პაციენტის ზოგადი გამოკვლევის საფუძველზე, გვაქვს თუ არა რაიმე ისეთი მონაცემები, რომლებმაც შეიძლება ნათელი მოჰფინონ დემენციის მიზეზს?*
2. *გვაქვს თუ არა დემენციისაგან დამოუკიდებელი ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები?*
3. *რა ასაკის არის გამოკვლეული ფიზიკური დისფუნქცია?*

დემენციის დიაგნოსტიკის ქვაკუთხედს შეადგენს ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევა. დეტალური ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება დიდ დროს და გამოცდილი ნეიროფსიქოლოგების მონაწილეობას მოითხოვს, ამასთანავე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დაავადების ფიზიკური მონიტორინგისათვის განმეორებითი ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება ბევრად უფრო ინფორმატიულია, ვიდრე ნეიროვიზუალიზაცია ან სხვა პარაკლინიკური გამოკვლევები. პრაქტიკული მიზნებისათვის დემენციის არსებობის და მისი სიმძიმის შეფასებისათვის გამოიყენება ფოლსტეინის მიერ შემუშავებული მენტალური უნარების შესაფასებელი მცირე ტესტი – Mini Mental State Examination MMSE, რომელიც სწრაფად და ადვილად ჩასატარებელია. იხ. ქვემოთ??? . ამ ტესტის მეშვეობით ხდება ფუნქციური უნარების ყველა ასპექტის სწრაფი შეფასება. დღიური აქტივობის ინდექსის და მინი-მენტალ ტესტის მონაცემების შეჯერებით კლინიკის პრაქტიკაში ადვილად შეიძლება პაციენტის მონიტორინგი.

დემენტური პაციენტების ყოველმხრივი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს ჩატარებული ტესტის დიაგნოსტიკური ღირებულებას, დემენციის შესაძლო ეტიოლოგიური

ფაქტორის დადგენის თვალსაზრისით. იხ. ცხრილი

ასაკოვანი დემენტური პაციენტების 70% ექნებათ ან აღენიშნებათ დაავადება, ან ვასკულური დემენცია, ან ლევის სხეულებებიანი დემენცია. ახალგაზრდა ასაკში განვითარებული დემენცია უფრო ფართო ლაბორატორიულ გამოკვლევების ჩატარებას საჭიროებს, ვიდრე დადგინდეს დემენციის შესაძლო მიზეზი

დემენციების დროს ნარმოებული ლაბორატორიული გამოკვლევები

1. გამოკვლევები, რომელთა ჩატარება აუცილებელია ყველა პაციენტში, რათა გამოირიცხოს დემენციის შესაძლო განკურნებადი მიზეზი

- სისხლის ანალიზი, ესრ, C რეაქტიული პროტეინი,
- B12 და ფოლიუმის მჟავის განსაზღვრა
- თირკმლის და ღვიძლის ფუნქციის განსაზღვრა
- ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია
- სიფილისის სეროლოგიური დიაგნოსტიკა

2. გამოკვლევები, რომელთა ნარმოების აუცილებლობას განაპირობებს პაციენტის ასაკი ან სპეციფიური კლინიკური სიმპტომების არსებობა

- აუტოანტისხეულების გამოკვლევა
- ციკლოსპორინის გამოკვლევა
- ანგიოტენზინის გარდამქმნელი ენზიმის შესწავლა
- შარდის სეროლოგიური დიაგნოსტიკა
- ეეგ
- შარატში Cu და ცერულოპლაზმინის დონე და შარდში სპილენძის ექსკრეციის განსაზღვრა

ლაბორატორიული მონაცემების ინტერპრეტაციისას აუცილებელია გარკვეული სტრატეგიული სამიზნე მონაცემების გათვალისწინება: ასე მაგალითად, ესრის მომატება ნეოპლაზმის ან ვასკულიტის არსებობას მიანიშნებს, ანემია შეიძლება კვების დაქვეითებას, B_{12} ან ფოლიუმის მჟავის დეფიციტს ასახავდეს. ბიოქიმიური დარღვევების არსებობა მეტაბოლური დისბალანსის შედეგია. თირკმლის ან ღვიძლის პათოლოგიას მკაფიო კლინიკური ფენომენოლოგია ახასიათებს და მისი ამოცნობა შედარებით ადვილია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ დემენციის მქონე პაციენტების 2% აღინიშნება ჰიპოთირეოზი. ნეიროსიფილისი შედარებით იშვიათი პათოლოგიაა, მაგრამ მისი კლინიკური გამოვლინებები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი გამორიცხვა სეროლოგიური გამოკვლევების გარეშე შეუძლებელია.

უფრო ნატიფი ლაბორატიული გამოკვლევების ნარმოება მიზანშეწონილია კლინიკური საჭიროების შემთხვევაში.

ღებბალური პუნქციის არ უნდა განვიხილოთ როგორც დემენციის სადიაგნოსტიკო აუცილებელი გამოკვლევა. თავზურგტვინის გამოკვლევის აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ მისი ნარმოება შეიძლება მხოლოდ კომპიუტერული ან მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევის ცარიელების შემდეგ.

დემენციების უმეტესი ფორმების დროს ეეგრაფიული გამოკვლევის მონაცემები არასპეციფიურია და ა არა არაინფორმატიულია

ნეიროვიზუალიზაციური გამოკვლევები

დემენციების დიაგნოსტიკაში ნეირომგამოსახვითი მეთოდების გამოყენების უპირველესი დანიშნულებაა მოხდეს დემენციების *კურაბელური მიზეზების დიაგნოსტირება*. როგორც კომპიუტერული ასევე მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ეფექტურია ტვინის სიმსივნის ან ჰიდროცეფალიის გამო-


➡ დემენციების დიაგნოსტიკაში ნეირომგამოსახვითი მეთოდების გამოყენების უპირველესი დანიშნულებაა მოხდეს დემენციების *კურაბელური მიზეზების დიაგნოსტირება*. როგორც კომპიუტერული ასევე მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ეფექტურია ტვინის სიმსივნის ან ჰიდროცეფალიის გამოსავლენად.

ტომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია დეტალურად ასახავენ ტვინის სტრუქტურულ მდგომარეობას. ცერებრული ატროფია შეიძლება ნათლად ვლინდებოდეს მაგრამ მისი ხარისხი არ ეოხელირებს ეოგნიტური უნარჩვევების დაქვეითების ხარისხთან. იზოლირებულად ნეიროვიზუალიზაცია არ შეიძლება წარმოდგენდეს პირველადი ეორტიკული ატროფიის მტკიცებულებას.

სავლენად. ვასკულური დემენციის შემთხვევაში ვლინდება ტვინის ინფარქტები, თუმცა ღრუნური ინფარქტები შეიძლება არ გამოვლინდეს მაღალი გამოსახვითი უნარის ტომპიუტერული ტომოგრაფიით. მრ ტომოგრაფია ასევე ავლენს თეთრი ნივთიერების დიფუზურ იშემიურ დაზიანებას – ე.წ. ლეიეოარაიოზს, რომელიც თავისი არსით არასპეციფიურია და შეიძლება არ ეორელირებდეს ეოგნიტური დაზიანების ინტენსივობასთან. ლეიეოარაიოზი შეიძლება განპირობებული იყოს მრავალი პათოლოგიით, ალცჰაიმერის დაავადების და შერეული ტიპის დემენციის ჩათვლით. თავის ტვინის მეჯვეთრი, დიფუზური ატროფიული პროცესი, ეოგორც წესი, დაკავშირებულია დემენციასთან და უმეტეს შემთხვევაში მისი მიზეზს ალცჰაიმერის დაავადება წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დაავადების ადრეულ სტადიებზე, ამ დროს, ვლინდება ჰიპოკამპის და საფეთქლის წილის მედიალური სტრუქტურების ატროფია, რომელიც პეოგრედიენტული ხასიათისაა.

ცერებრული სისხლნაკადის განსაზღვრას ეითფოტონიანი ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიით ან პოზიტრონულ ემისიულ ტომოგრაფიას, დემენციების დიაგნოსტიკაში, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მათი მეშვეობით ეოგიონული სისხლნაკადის ცვლილებები შეიძლება უფრო ადრე გამოვლინდეს, ვიდრე მრ ტომოგრაფიით სტრუქტურული ცვლილებების აღნუსხვა მოხდება.

ალცჰაიმერის დაავადება



20.1 "ქილები" ფოლაქები: ალცჰაიმერის დაავადების ჰისტოპათომეის სტადიაზე (A), ბეტა-პროტეინი აკუმულირდება დიფუზურ ფოლაქებში. ფოლაქების მახლობლად და მათ შიგნით აქსონები და დენდრიტები სტრუქტურულად ნორმაში არიან. სიმპტომური სტადიის დროს (B) მრავალი ფოლაქი "მწიფდება". ბეტა პროტეინი აგრეგაციას განიცდის (კაჭვები), ხოლო სხვა ცერებრული პროტეინები (თეთრი ოვალები) აკუმულირდება. მიმდებარე უბნებში აქტივირდება მიკროგლია და ასტროციტები, რაც საბოლოო ჯამში აქსონების და დენდრიტების დეგენერაციას იწვევს.


განსაზღვრება: ალცჰაიმერის დაავადება (AD) აღწერილი ალოიზ ალცჰაიმერის (Aloiz Alzheomer) მიერ, ასევე ცნობილია *ალცჰაიმერის ტიპის დემენციის სახელწოდებით*. მას ახასიათებს წრების განმავლობაში პროგრესირებადი დემენცია, რომლის დროსაც, დაავადების მორხნასუე სტადიებზეც კი ნევროლოგიური სიმპტომატიკა გამოხატული არ არის.

ეპიდემიოლოგია: AD წარმოადგენს ხიგით მეოთხე დაავადებას, რომელიც აშშ-ში იწვევს ადამიანების სიკვდილს. დაავადების სიხშირე (ინსიდენსი) შეადგენს 123 შემთხვევა მოსახლეობის 100 000. მთლიანად დემენციებისათვის ეს მაჩვენებელი 187/100000 ტოლია. შემთხვევათა 15%-ში AD ოჯახის ხასიათს ატარებს. ჯინიკურად დიაგნოსტირებული აღ სიხშირე მსოფლიოში ერთნაირია და იგი არხრება ასაკის მატებასთან ერთად. 60 წლზე ნაკლებ ასაკში 3 ახალი შემთხვევა 100 000 ადამიანზე, ხოლო 60 წლზე მეტი ასაკის პოპულაციაში 125 შემთხვევა 100 000 ადამიანზე. ავადობა (პრევალენსი) 60-69 წლამდე შეადგენს 300/100000, 70-79 წლამდე 3200/100000, ხოლო 80 წლზე ზევით -10800/100000. ავადობა ქალებში სამჯერ უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში.

პათომორფოლოგია და ეტიოპათოგენეზი: მორხნასუე AD-ის დროს ვლინდება ტვინის დიფუზური ატროფია, ტვინის მასის 20%-ით შემცირებით. ატროფია უპირატესად მოიცავს შუბლის, საფეთქლის და თხემის წილებს. აღინიშნება მესამე და გვერდითი პარკუჭების სხვადასხვა ხარისხით გამოხატული სიმეტრიული გაფართოება. დიაგნოსტიკური მნიშვნელობის არის ჰიპოკამპის მეჯვეთრი ორმხრივი ატროფია, რაც კარგად აისახება მაგნიტურ-ჰეზონანსულ ტომოგრამაზე. მიკროსკოპულად ვლინ-


დება ნეირონების მასიური დაღუპვა (90 მმ³ მეტი დიამეტრის ნეირონების 40% მეტი განადგურებულია). მკვეთრად შემცირებულია მეინერტის ბაზალური ქოლინერგული ბირთვის და ღეჭვი არაგის ნეირონების ჩაოდენობა, რაც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რამეთუ მეინერტის ბირთვში ნეირონების განადგურება ად პათოგენეზის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ტვინის პარენქიმაში ვლინდება დამახასიათებელი სამი სახის მიკრომორფოლოგიური ცვლილებები, ✓ *ჯერჯერობით, 1. სენილური ფოლაქები, 2. ნეიროფიბრილური ნუცლები და 3. ნეირონების გრანულოვაკუოლური დეგენერაცია,* რომლებიც მრავლად არის ქერქის ასოციაციურ არეებში და განსაკუთრებით დიდ რაოდენობით არის ჰიპოკამპის პირამიდულ უჯრედებში. ნეიროფიბრილური ნუცლები ძირითადად შედგება ჰიპერფოსფორილირებული, უჯრედულ მიკროტუბულებთან ასოცირებული ტაუ ცილებისაგან. სენილური ფოლაქები შედგებიან ბეტა ამილოიდისაგან, რომელიც გარემოხვეულია ნეირონის დეგრადაციის პროდუქტებით. ამილოიდი აგრეთვე ვლინდება ტვინის სისხლძარღვების კედელში, ვითარდება ე.წ. კონგოფილური ანგიოპათია. აღსანიშნავია, რომ რომ დემენციის სიმძიმე კორელირებს ნეიროფიბრილური ნუცლების რაოდენობასა და ნეირონების დეგენერაციასთან და არა სენილური ფოლაქების რაოდენობასთან. ყველაზე გამოხატულია ჰიპოკამპის CA1 და CA2 ზონების, ენტორინული ქერქის ამიგდალას დაზიანება. ამ სტრუქტურებს მყარი კავშირები აქვთ საფეთქლის ნიქის ქერქთან, ჰიპოკამპის დაკბილულ ბირთვთან. მათი დაზიანება წარმოადგენს დემენციის ამნესტური კომპონენტის ძირითად მორფოლოგიურ სუბსტრატს.

AD-თვის პათოგნომონურ ნეიროქიმიურ დისბალანსს წარმოადგენს ჰიპოკამპსა და ნეოკორტექსში აცეტილქოლინის და ქოლინ-აცეტილ-ტრანსფერაზის რაოდენობის მნიშვნელოვანი დაქვეითება. ქოლინერგული გადაცემის დაქვეითებას განაპირობებს ტვინის ღეროს ბაზალურ, მეინერტის (სადაც ლოკალიზებულია ქერქული ქოლინერგული ნეირონების სხეულები) ქოლინერგულ ბირთვში ნეირონების განადგურება. მათი რაოდენობა 50%-ით მცირდება. ად ღეროს აგრეთვე გამოვლინდა მონოამინერგული ნეირონების დაკარგვა, გაბა-ერგული, სეროტონინერგული და ნორადრენერგული ნეიროტრანსმისიის შემცირება.



ნახ. 20.2 სტრუქტურული დისფუნქციასია ასაკთან შესაბამის ჯანმრთელ (A) და აღზრდილების დაავადებით დაზიანებულ (B) თავის ტვინს შორის.

აღზრდილების დაავადების გენეტიკური ასპექტები და ეტიოლოგია



ნახ. 20.3 ნეიროფიბრილური ნუცლი (A) და სენილური ფოლაქი (B)


აღზრდილების დაავადება წარმოადგენს ეტიოლოგიურად მულტიფაქტორული ეთიოლოგიის მქონე პათოლოგიას, რომლის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ როგორც გენეტიკური გარემოს, ასევე გენეტიკური ფაქტორები. დაავადების განვითარების სავარაუდო რისკ-ფაქტორებს წარმოადგენენ მშობიარობისას დედის ასაკი, დაუნის სინდრომი, თავის ტრავმა, განათლების დაბალი დონე. გარემოს აღზრდილების დაავადება შეიძლება დაიყოს **სპორადულ** და ოჯახურ შემთხვევებად და ასევე **ადრეული** (65 წლამდე) და **გვიანი** (65 წლის ზემოთ) დებიუტის მქონე ტიპებად. დაავადების ოჯახური ფორმები შემთხვევათა 5-10% გვხვდება, მათგან 1% ნაკლებ შემთხვევებში ვლინდება დამემკვიდრების აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. ოჯახური შემთხვევები უფრო ადრეული დებიუტით ხასიათდებიან, (ხანდახან მესამე ან მეოთხე ათწლეულში). ჭრილის სუსპენზიაში ჯოგნიტურ დისფუნქციასთან ერთად ვლინდება მიოკლონური შეკუმშ-

ამილოიდის პრეკურსორი ცილის გენი ლოკალიზებულია 21 ქრომოსომაზე. აღსანიშნავია, რომ დაუნის სინდრომის დროს ხდება ამ გენის დუპლიკაცია, ხოლო ასაკთან დაუნის სინდრომის მქონე ყველა პაციენტს აღენიშნება ეთად აღმჭაიმერის დაავადების სიმპტომები, ჩაც მათი საერთო გენეტიკური მახასიათებლით არის განპირობებული.

ბი, გელყრები, დეპრესია, თუმცა ალცჰაიმერის დაავადების ოჯახებს შორის განსხვავება ათინიშნება. ამასთანავე, სპორადული შემთხვევების დროსაც, გენეტიკური ფაქტორები ზრდიან დაავადების განვითარების ჩისკს. ამ მაჩვენებლის მნიშვნელოვანი სხვაობა ოჯახურ ად-სა და სპორადულ ად-ს შორის დადგენილი არ იქნა. იშვიათად, (4%) დაავადების ოჯახური შემთხვევები ასოცირებულია ამილოიდის პრეკურსორი ცილის გენის მუტაციასთან, რომელიც მიჩნეულია დაავადების განვითარების მიზეზად. დასანყისის დროს პაციენტს ასაკი არის დაახლოებით 50 წელი. უფრო აღრეული დასანყისის მქონე შემთხვევების მიზეზია 14 ქრომოსომაში პრესენილინ 1-ის გენის მუტაცია. უფრო გვიანი დასანყისის მიზეზი კი- აპოლიპოპროტეინ Ε-ს Ε4 აღელის დამემკვიდრება, რომელიც ასევე წარმოადგენს სპორადული დაავადების მიზეზსაც.

ალცჰაიმერის დაავადების ეტიოპათოგენეზში ამილოიდის ცენტრალური ჩოღის გაგება შესაძლებელია ამ დაავადების ოჯახური ფორმების გამომწვევი ოთხი გენის შესაძლო მექანიზმის განხილვით. ამ სპეციფიკური გენური მუტაციიდან სამი (APP ქრომოსომა 21-ზე, პრესენილინ-1 [PS 1] ქრომოსომა 14-ზე, და პრესენილინ-2 [PS 2] ქრომოსომა 1-ზე) განსაზღვრული იქნა პაციენტებში ალცჰაიმერის დაავადების ოჯახური, აღრეული დასანყისის აუტოსომურ-დომინანტური ფორმების დროს, თუმცა მუტაციის ეს ფორმები ძალიან იშვიათია და გვხვდება შემთხვევათა 1%-ზე ნაკლები სიხშირით. ყველა ეს გენი ზრდის Aβ42-ის უჯრედულ პროდუქციას APP-ს სელექციური გახლეჩის გაზრდით.

ალცჰაიმერის დაავადების მეოთხე გენი არის აპოლიპოპროტეინ ჯ (APOE, გენი, რომელიც მოთავსებულია ქრომოსომა 19-ის გრძელ მხარზე, არსებობს სამი აღელური ფორმით (APOE-2,-3,-4), ხოლო ერთმანეთისგან განსხვავდება ამინომჟავით. გამოვლენილია, რომ APOE-4 აღელი სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი ჰოგორც გვიანი, ისე აღრეული დასანყისის ალცჰაიმერის დაავადების პაციენტებში და დოზა-დამოკიდებული ურთიერთობაშია ალცჰაიმერის დაავადების რისკის მატებასთან და დანყების ასაკის შემცირებასთან. სხაზგასასმელია, რომ APOE-4 წარმოადგენს მხოლოდ რისკ-ფაქტორს, მისი არსებობა არც აუცილებელია და არც საკმარისია ალცჰაიმერის დაავადების განვითარებისთვის. იხ. ცხრილი 20.5



*მუტაციები APP-ში, β ან γ -სეკრეტაზებში და APOE-4 აღელის მომატებული ტოქსიკობა

20.4 ამილოიდის პრეკურსორი ცილის (აპპ;APP) პროტეოლიზის დიაგრამა. ჩვეულებრივ ხდება აპპ გახლეჩა β და შემდეგ γ სეკრეტაზების მეშვეობით აპპ-ის დაჩრენილი სეგმენტის შემადგენლობაში ან 40 ($Aβ_{40}$) ან 42 ($Aβ_{42}$) ამინომჟავა იქნება. უკანასკნელი განაპირობებს ამილოიდური პროტეინის ფიბრილური აგრეგატების (ფიბრილოგენეზი) წარმოქმნას და არა ცილის ნორმალურ დეგრადაციას. ამილოიდის ფიბრილური ფორმა ნეიროტოქსიკურია და ად დროს ინვევს უკრედების. $Aβ_{42}$ წარმოქმნა განპირობებულია ან უშუალოდ აპპ გენის მუტაციებით ან პრესენილინების მუტაციით. დაუნის სინდრომისას აპპ და $Aβ_{42}$ ჭარბ წარმოქმნას ინვევს 21 ქრომოსომის გრძელი მკლავის ტრიპლიკაცია. APOE-4 აღელი დაკავშირებულია $Aβ_{42}$ აჩაქერკვატის ლიპიდებთან და წარმოადგენს ფიბრილოგენეზის მეორე მექანიზმს.

სენილური ფოლაქები შეიცავს ბეტა ამილოიდს. ამ ცილის იდენტიფიკაციას მოჰყვა 21q ქრომოსომაზე ამილოიდი პრეკურსორი პროტეინის (APP) გენის იდენტიფიცირება. აღმოჩნდა, რომ არსებობს ასოციაცია მე19 ქრომოსომაზე ლოკალიზებულ ბიპოპროტეინ აპოლიპოპროტეინ Ε (APOE) მაკოდირებელი გენსა და გვიანი დასანყისის მქონე ალცჰაიმერის დაავადებას შორის. აპოლიპოპროტეინი არსებობს სამი აღელური ფორმის სახით Ε2 Ε3 Ε4. Ε4 აღელის სიხშირე მატულობს გვიანი დასანყისის მქონე ად პაციენტებში, მისი არსებობა განაპირობებს ად სპორადული

20.5

აღნიშვნა	ჰრომოსომა	გენი	დამემკვიდრება	ასაკი	ჭრილობრივი ნიშნები
APP	21	ამილოიდის პრეკურსორი	აუტოსომ-დომინატ	ადრეული	იშვიათია, ჭრილობრივად გავს სპორადიულად
PS1	14	პრესენილინ 1	აუტოსომ-დომინატ	ადრეული	იგივე ჩაც ზემოთნახსენები
PS2	1	პრესენილინ 2	აუტოსომ-დომინატ	ადრეული	იგივე ჩაც ზემოთნახსენები
Apo1	19	აპოლიპოპრ E	გვიანი	გვიანი	ტიპიურად ჭრილობრივი ვარიანტი
Trisomy 21	21	ამილოიდის პრეკურსორი	სამეული ასატი	ადრეული	ად მსგავსი სიმპტომები ტიპიურია დაუნის სინდრომისათვის

შემთხვევების დროს დაავადების უფრო ადრეული დასაწყისს.


ად ოჯახური შემთხვევებისას მუტაციები აგრეთვე აღმოჩენილ იქნა 1 და 14 ქრომოსომებზე. მე-14 ქრომოსომაზე მუტაცია აღმოჩენილ იქნა პროტეინ პრესენილინი1 მაჯოლიტებელი გენის ლოკუსში (S182), და ვლინდება ოჯახების 70%/ 1 ქრომოსომაში არსებული მუტაცია ახდენს პრესენილინ2 პროტეინის სინთეზს. პრესენილინები წარმოადგენენ ტრანსმემბრანულ პროტეინებს, რომლებიც მონაწილეობენ ინტეგრალური გადაცემაში.

სიმპტომატოლოგია: ად ჩვეულებრივ იწყება 45 ლის შემდეგ. დაავადების დასაწყისი ხშირად შეუმჩნეველია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პაციენტი ვეღარ აღიქვამს დაავადებას (ანოზოგნოზია). ✓ *ად ჭრილობის გამოვლინების ღრმული სინდრომს წარმოადგენს მეხსიერების დეფექტი.* დაავადება პირობითად სამ სტადიად შეიძლება დაიყოს. პირველი სტადია, რომელიც 1-3 წელი გრძელდება ხასიათდება მეხსიერების და ტოპოგრაფიული აღქმის პრობლემური დაქვეითებით, მინიმალური პრესონოლოგიური ცვლილებებით. ამ ეტაპზე მეტყველება და ლოგომოტორული ფუნქცია შენახულია. პაციენტს უჭირს ყოველდღიური სამუშაოს და ოჯახური საქმიანობის შესრულება, რაც პირობადებულია სივრცითი ორიენტაციის და მეხსიერების დარღვევით. დება კონცენტრაციის უნარი. ხანმოკლე (recent) მეხსიერებასთან შედარებით, ხანგრძლივი (Remote) მეხსიერება (ანუ მეხსიერება პირველების მოვლენებზე) უფრო დიდხანს ჩრება ინტაქტური. აფაზია ხშირად წარმოადგენს ჯარგან გამოხატული და ადრეული სიმპტომს. აპრაქსია ვლინდება მეხსიერების და მეტყველების პრობლემების შემდეგ.

✓ *დაავადების პროგრესირებასთან ერთად, მეორე სტადიაზე უფრო მკვეთრი ხდება მეხსიერების დარღვევები.* სახეზეა დროსა ადგილსა და სივრცეში უხეში დეზორიენტაცია. მეტყველება ხდება გაღარიბებული, ლოგიკის ღრმა მოკლებული. ყურადღებას იპყრობს, რომ მოტორული უნარ-ჩვევების შენახვის ფონზე, პაციენტი ჯარგავს ელემენტარული კონსტრუქციული ამოცანის შესრულების უნარს. პაციენტი ჯარგავს საკითხების არსსი წვდომის უნარს, ხდება გაღრიზიანებული და ინდიფერენტული. აღნიშნული მდგომარეობა შეიძლება გრძელდებოდეს 3-5-წლინადი, რომლის შემდეგდაავადების მიმდინარეობაში დგება მესამე სტადია, რომლის დროსაც ინტელექტუალური უნარ-ჩვევები აბსოლუტურად მოსპობილია, ვლინდება მარჯის შეუკავებლობა, ტემპორალურ ეტაპზე აღმოცენდება პრომიტული ჰეფლექსები, ლოკომოციის მკვეთრი შეზღუდვა, სპასტიურობა, ესტრაპირამიდული.

✓ *დაავადების ადრეული სტადიებზე, როდესაც მძარი გულმავიწყობა უხშირესად დაავადების ერთადერთ სიმპტომს, აუცილებელია იმის დიფერენცირება მეხსიერების პრობლემები წარმოადგენენ ნორმალური დაბერების შედეგს თუ ალცჰაიმერის დაავადების დებიუტს.* ალცჰაიმერის დაავადებისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ცვლილებები ვლინდება ძალიან ხანდაზმული ადამ-

პირველი სტადია, რომელიც 1-3 წელი გრძელდება ხასიათდება მეხსიერების და ტოპოგრაფიული აღქმის პრობლემური დაქვეითებით, მინიმალური პრესონოლოგიური ცვლილებებით. ამ ეტაპზე მეტყველება და ლოგომოტორული ფუნქცია შენახულია. პაციენტს უჭირს ყოველდღიური სამუშაოს და ოჯახური საქმიანობის შესრულება, რაც პირობადებულია სივრცითი ორიენტაციის და მეხსიერების დარღვევით.



ნებების თავის ტვინშიც, ჩომელთაც ჯოგნიტური უნარების დაქვეითება არ აღენიშნებათ ან ეს უკანასკნელი არ სცილდება ასაკობრივი ნორმალური ფარგლებს


AD-ის ნეიროფსიქიატრიული დარღვევები ნათლად არის გამოხატული ქცევითი ცვლილებებით, ჰალუცინოზით, პრესონილური ტიპის ცვლილებებით, ქცევის დარღვევებით. დეპრესია ნათლად ვლინდება ყველა ფორმის დემენციის თანმხლებ ნიშანს. ად-თან დაკავშირებული დეპრესია უფრო მეტად განპირობებულია ნევროლოგიური დისფუნქციით, ვიდრე, დაავადებაზე ფსიქოლოგიური რეაქციით. ჰალუცინოზი შეიძლება იყოს მხედველობითი, სმენითი, უფრო იშვიათად ყნოსვითი. პრესონილური ტიპის ცვლილებები ვლინდება აპათიით, არაადეკვატურობით და შეკავების პროცესების დარღვევებით და ხშირად ასოცირებული დეპრესიასთან. ქცევითი დარღვევები მოიცავს ვერბალის და ფიზიკურ აგრესიას, ხეტიალს, აფიტაციას, არაადეკვატურ სექსუალურ ქცევას, შარდის ინკონტინენციას, კატასტროფულ რეაქციებს, და თვითდაზიანების მცდელობას. სხვა დემენციებთან შედარებით, როგორც პრესონილური, ისე ქცევითი დარღვევები ვლინდება დაავადების უფრო გვიან სტადიებზე.

ზოგადი ნევროლოგიური გასინჯვით არაფერ პათოლოგია არ ვლინდება. დაავადების მოგვიანებით სტადიებზე ყველაზე ხშირია ექსტრაპირამიდული დარღვევები. გენერალიზებული გულყრები ვლინდება შემთხვევათა 20%-ში.


დიაგნოსტიკა: დიაგნოზის დადგენა ხდება კლინიკური სურათის, ანამნეზის, პარაკლინიკური გამოკვლევების საფუძველზე.

SPECT და PET მეთოდებით საფეთქლე- თხემის უბნებში ვლინდება ჰიპოპერფუზიის და მეტაბოლიზმის დაქვეითება, მაშინ როდესაც სხვა ფორმის დემენციების დროს ეს ცვლილებები ვლინდება უპირატესად შუბლის ნილებში. მიუხედავად ამისა, ეს მონაცემები არ ითვლება სპეციფიურად ალცჰეიმერის დაავადებისათვის.

CT და MRI მონაცემების დინამიური დაკვირვების შემთხვევაში ვლინდება თავის ტვინის მზარდი ატროფია. სისხლის და ცერებროსპინალური სითხის ცილების კონცენტრაცია, ჰემატოლოგიური, ბიოქიმიური და იმუნოლოგიური მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია. ელექტროენცეფალოგრაფიული ჩანაწერი დაავადების დასაწყისში ნორმის ფარგლებშია, ხოლო დაავადების პროგრესირებასთან ერთად ვლინდება ცერებრალური შენელება უკანა არეებში (ალფა რიტმის შემცირება) და დიფუზური ნელი ტალღების ჩაღრმავების მომატება (თეტა და დელტა ტალღები).



ნებების თავის ტვინის ატროფია. სისხლის და ცერებროსპინალური სითხის ცილების კონცენტრაცია, ჰემატოლოგიური, ბიოქიმიური და იმუნოლოგიური მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია. ელექტროენცეფალოგრაფიული ჩანაწერი დაავადების დასაწყისში ნორმის ფარგლებშია, ხოლო დაავადების პროგრესირებასთან ერთად ვლინდება რიტმის შენელება უკანა არეებში (ალფა რიტმის შემცირება) და დიფუზური ნელი ტალღების ჩაღრმავების მომატება (თეტა და დელტა ტალღები).



ნებების თავის ტვინის პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია (PET). სურათზე გამოსახულია, თუ როგორ ზემოქმედებს ალცჰეიმერის დაავადება ტვინის აქტივობაზე. მარცხნივ მოცემულია ჯანმრთელი ტვინი, ხოლო მარჯვნივ, - ად-პაციენტის. მარჯვენა სურათზე გამოსახული ღრმა და შავი უბნები ტვინის დაქვეითებულ აქტივობაზე მიუთითებენ, რაც ად შედეგად არის განვითარებული.

☑ ალცჰაიმერის დაავადების სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები

(მონოდებული ამერიკის ნევროლოგიური დაავადებების და ინსულტის ნაციონალური ინსტიტუტის და ალცჰაიმერის დაავადების შემსწავლელი ასოციაციის- (NINDS-ADRDA მიერ)

საჭიროა ალცჰაიმერის დაავადების კრიტერიუმები: A პლუს B, C,D,E პუნქტებში მოწოდებული ერთი ან მეტი დამადასტურებელი ნიშან-თვისება

ძირითადი დიაგნოსტიკური კრიტერიუმი Core diagnostic criteria

A. ეპიზოდური მეხსიერების გამოხატული და აღრეული დაზიანება, რომელიც მოიცავს შემდეგ ნიშნებს
- პაციენტის ან მისი ახლობლების მიერ წარმოდგენილი ჩივილი, 6 ან მეტი თვის განმავლობაში მეხსიერების თანდათანობით და პროგრესული შეცვლაზე.
- ტესტირებით ეპიზოდური მეხსიერების გამოხატული დაზიანება.
- ეპიზოდური მეხსიერების დაზიანება შეიძლება იზოლირებულად ვლინდებოდეს ან დაავადების დასაწყისში ან მოგვიანებით თანხლებული იყოს სხვა ჯოგნიტური დარღვევებით

დამადასტურებელი თანმხლები ნიშნებია:

B. საფეთქლის მედიალური ნილის ატროფიის არსებობა
- ჰიპოკამპის, ენტორინული ქერქის, ამიგდალას ზომაში შემცირება; რაც დასტურდება MRI თვისობრივი ან რაოდენობრივი, (ასაკობრივი ნორმის გათვალისწინებით. ვოლუმეტრიული შეფასების მონაცემებით.

C. ცერებროსპინალურ სითხეში ამილოიდის დაბალი კონცენტრაცია, ტაუს ტოტალური ან ფოსფორილირებული ტაუს კონცენტრაციის მატება, ან ამ სამივე მონაცემის კომბინაცია.

D. PET თანხლებული ფუნქციური ნეიროვიზუალიზაციით სპეციფიური პატერნების გამოვლენა.
- თხემ-საფეთქლის ჰეგიონებში ბილატერალურად გლუკოზის მეტაბოლიზმის შემცირება.
- მომავალში გამოვლენილი მეტაბოლური ცვლილებების არსებობა.

E. PA საკმაოდ ოჯახშიდ AD დასტურებული აუტოსომურ-დომინანტური მუტაციის არსებობა.

გამორიცხვის კრიტერიუმებია:

დაავადების ისტორია
- უეცარი დასაწყისი
- დებიუტში შემდეგი სიმპტომების არსებობა: წონასწორობის დარღვევა, გულყრები, ქცევითი დარღვევები.

ნეირონული ნიშნები:
- ფოკალური ნევროლოგიური ნიშნები, ჰემიპარეზის, მგრძნობელობის დარღვევის მხედველობის ველების გამოვარდნის სახით
- აღრეული ექსტრაპირამიდული ნიშნები

სხვა მძიმე დაავადებები, რომელთა არსებობა საკმარისია მეხსიერების დარღვევის განვითარებისათვის.
- დემენცია, რომელსაც არ იწვევს –AD
- დიდი დეპრესია
- ცერებროვასკულური დაავადებები
- ტოქსიკო-მეტაბოლური დარღვევები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ გამოკვლევებს.
- MRI FLAIR ან T2 რეჟიმში საფეთქლის მედიალური ნილის იმგვარი ცვლილებების არსებობა, რომლებიც შეესაბამებიან ინფექციურ ან სისხლძარღვოვან დაავადებებს.

დამადასტურებელი AD კრიტერიუმები

AD მიჩნევა დადასტურებულად თუ:
- *სახეზეა დაავადების ნეირონული და ჰისტოპათოლოგიური ნიშნები (ტვინის ბიოფსია ან აუტოფსია)*
- სახეზეა ოჯახურ ნეირონული ასევე გენეტიკური (AD პათოგნომური 1, 14, ან 21 ქრომოსომების მუტაცია) დამადასტურებელი ნიშნები

✓ *დასკვნის სახით: სავარაუდო აღ დიაგნოზი ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს: 1) დემენცია რომლის არსებობა დადასტურებულია ფსიქომეტრიული გამოკვლევით MMSE და შესაბამისი ნეიროფსიქოლოგიური ტესტებით; 2) მეხსიერების არ ან მეტ სფეროში დაზიანების არსებობა, 3) მეხსიერების და სხვა ჯოგნიტური ფუნქციების პროგრესირებული გაუარესება; 4) შენახული ცნობიერება; 5)დაავადების დებიუტი 40-90 წლის ასაკში; 6) ყველა სხვა პათოლოგიის არარსებობა, რომელიც შესაძლოა დემენციის მიზეზს წარმოადგენდეს.*

მკურნალობა: AD ეტიოტროპული მკურნალობა არ არსებობს. ეფექტურია მეორე თაობის ქოლინესთერაზის ინჰიბიტორები- *დონეზეპილი, რივასტიგმინი, გალანტამინი*. ისინი აუმჯობესებენ კოგნიტურ ფუნქციებს და ქცევას მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დემენციის დროს. უკანასკნელ წლებში მთელ მსოფლიოში ქოლინესთერაზის ინჰიბიტორებთან ერთად გამოიყენება NMDA-გლუტამატ რეცეპტორების ბლოკატორი *მემანტინი*, რომლის ეფექტურობაც დამტკიცებულია მთელ რიგ კონტროლირებად კვლევებში. გამოხატული დეპრესიის დროს გამოიყენება *ანტიდეპრესანტები*, უპირატესად სეროტონინის უკუმიტაცების ინჰიბიტორების ტიპის. ძილის დარღვევების კორექციის მიზნით გამოიყენება *ბენზოდიაზეპინები. ნეიროლეპტიკები*, მაგალითად *ჰალოპერიდოლი* ამცირებენ აგზნებას და სტერეოტიპულ გამოვლინებებს, მაგრამ უარყოფითად მოქმედებენ კოგნიტურ ფუნქციებზე.

ლევის სხეულებებიანი დემენცია

ექიმში ჭარბად ნარმოდგენილი ლევის სხეულები, სენილურ ფოლაქებთან და უფრო ნაკლები რაოდენობით ნეიროფიბრილურ ცილამენტებთან ერთად დაკავშირებულია სწრაფად პროგრესირებადი დემენციის სინდრომთან, რომელიც ხასიათდება კოგნიტური დარღვევების ფლუქტუაციით, მხედველობითი და ხანდახან სმენითი ჰალუცინოზით პარკინსონიზმით და საშუალოდ გამოხატული ექსტრაპირამიდული ნიშნებით

სინონიმებია: ლევის სხეულების დიფუზური დაავადება, ლევის სხეულების დიფუზური დაავადება, ალცჰაიმერის დაავადების ლევის სხეულებიანი ვარიანტი.

ზოგიერთი მონაცემების თანახმად, ADDDშემდეგ დეგენერაციული დემენციის ყველაზე ხშირი მიზეზია ლევის სხეულებიანი დემენცია. ლევის სხეულები - ინტრანეირონალური ჩანართებია, რომელთა ძირითად სტრუქტურულ ელემენტს ნარმოადგენს ალფა სინუკლეინის აგრეგირებული ფორმა რომლებიც ვლინდებიან შავ სუბსტანციაში. ისინი პათოგნომურია პარკინსონის დაავადებისათვის. დიდი ხანია ცნობილია, რომ ლევის სხეულების გამოვლინება შეიძლება ტვინის სხვადასხვა უბანში, მაგრამ უკანასკნელ წლებში ისინი დადასტურდა მათი არსებობა ტვინის ქერქში, განსაკუთრებით საფეთქლის მედიალურ და ღრმებულ ნილებში. დემენცია დამახასიათებელია პარკინსონიის დაავადების შემთხვევათა 30%, მაგრამ მისი კავშირი უშუალოდ ქერქში ლევის სხეულების დიდ რაოდენობასთან დადასტურებული არ არის. ლევის სხეულების დემენციისას სხეულები აღინიშნებიან ქერქულ ნეირონებში.

დაავადების კლინიკური სინდრომის ქვაკუთხედს ნარმოადგენს ხანდაზმულ ასაკში განვითარებული დემენცია, რომელიც კოგნიტური დარღვევების ფენომენოლოგიით (მეხსიერების დარღვევა, მეტყველების გაძნელება, აპრაქსია, სივრცითი დეზორიენტაცია) არ განირჩევა ალცჰაიმერის დაავადებისაგან. ალ-საგან განსხვავებულ სიმპტომებს ნარმოადგენს კოგნიტური დარღვევების ფლუქტუაცია, კონფუზიური მდგომარეობა, დეპრესიები, მხედველობითი, და ხანდახან სმენითი ჰალუცინოზით, პარკინსონიზმი, ორთოსტატიული ჰიპოტენზია, რომელიც განპირობებულია სიმპატიკის განგრძობასა თუ ზურგის ტვინის მედიო-ლატერალის ჩართული ნეირონების დაკარგვით. დაავადებას აგრეთვე ახასიათებს ნეიროლეპტიკების მიმართ მომატებული მგრძნობელობა, რაც გამოიხატება ამ პრეპარატების მიღებისას უხეში ექსტრაპირამიდული სინდრომის გამოვლენაში (რომელიც პაციენტს მანამდე შეიძლება არც ჰქონოდა)

ლევის სხეულების დაავადება ნარმოადგენს ცალკე პათომორფოლოგიურ, უფრო ზუსტად კი ლინიკურ ერთეულს. ლევის სხეულების რაოდენობა ქერქულ ნეირონებში კორელირებს დემენციის სიმძიმესთან. დემენციის მქონე ზოგიერთი პაციენტის პათომორფოლოგიური გამოკვლევებით, ლევის სხეულებთან ერთად შეიძლება აღინიშნოს ნეიროფიბრილური ნაცრების და სენილური ფოლაქების არსებობაც. ამ შემთხვევაში დიაგნოსტირდება *ალცჰაიმერის დაავადების ლევის სხეულების ვარიანტი.*

ლოგაღური ატროფიები (პიჯის დაავადება, ფრონტოტემპორული დემენცია)

განსაზღვრება: ფრონტოტემპორული დემენცია გვხვდება პრესენილური ატროფიების (65 წელზე ახალგაზრდა ასაკი) დაახლოებით 20%. აღინიშნება როგორც სპორადული შემთხვევები, ისე ოჯახური ფორმებიც დამემკვიდრების აუტოსომურ-დომინანტური ტიპით. აღწერილია დაავადებისაგან იგი განსხვავდება როგორც კლინიკურად, ასევე პათომორფოლოგიურად. პირველად პიკმა 1892-1904 წლებში აღწერა აფაზია ფრონტოტემპორული ატროფიით, მაგრამ საკუთრივ პიკის სხეულაკები, აღმოაჩინა ალოიზ ალცჰაიმერმა ფრონტოტემპორული დემენციის მქონე პაციენტებში და მათ პიკის სხეულაკები უწოდა. ტერმინი პიკის დაავადება უმჯობესია არ გამოვიყენოთ, ვინაიდან პიკის დაავადება ეს არის პათომორფოლოგიური და არა კლინიკური მცნება. ფრონტოტემპორული დემენციები მიეკუთვნება მემკვიდრეულ, სისტემურ ატროფიებს და განიხილება, როგორც შებრის წილის დეგენერაციის ვარიანტი. შემთხვევათა 40% ვლინდება ოჯახური შემთხვევები, ხშირად აუტოსომურ-დომინანტური დამემკვიდრების ტიპით. ერთ ოჯახში ნანახი იქნა დაავადების კავშირი მეხუთე ქრომოსომის მუტაციასთან, მეორე ოჯახში მე-17 ქრომოსომასთან.

პათოგენეზი: მაკროსკოპულად ვლინდება შებრის წილების და/ან საფეთქლის წილების ატროფია, რომელიც მოიცავს როგორც ქერქს, ისე თეთრ ნივთიერებას. შებრის წილებში დაზიანება ძირითადად ვლინდება ორბიტოფრონტალურ უბნებში, ხოლო საფეთქლის წილებში კი ძირითადად ზიანდება პოლუსის და ბაზალური უბნები. მიკროსკოპულად აღგილი აქვს ნეირონების ირგვლივ შემცირებას, მორფოლოგიურად ნეირონების დაკარგვასთან ასოციირებული ცვლილებები შეიძლება მოიცავდნენ პიკის სხეულაკებს (არგიროფილური ტაუ-პოზიტიური ან უბიქვიტინ-პოზიტიური ჩანართები) ნეიროფიბრილურ ნწულებს, პიკის უჯრედებს — ნეირონების ღრუბლისებურ (სპონგიოფორმულ) შეშუპებას (რომელიც განსხვავდება ჰეიცფელდ-ჯაკობის დაავადებისას გამოვლენილი ცვლილებებისაგან). შესაძლებელია, რომ დამახასიათებელი მორფოლოგიური პატერნები საერთოდ არ ვლინდებოდეს.

სიმპტომატოლოგია: დაავადების დასაწყისში ყურადღებას იქცევს პრესონოლოგიური ცვლილებები, განსაკუთრებით "კარგი მანერების" დაკარგვა. ჯერ კიდევ შენახული ინტელექტის და ორიენტაციის ფონზე აღინიშნება ქცევის შენელება, ჰიპერსექსუალობა, აქტივობის და ინიციატივის (აპათია, აბულია) შემცირება, ან პირიქით ბულიმია. შემდეგ ვლინდება სხვა ნეიროფსიქოლოგიური დარღვევები- შებრის და საფეთქლის წილების დაზიანების ნიშნები, განსაკუთრებით მეხსიერების დარღვევები და ამნესტიური აფაზია, ასევე ბრადილალია და ექოლალია, საბოლოოდ კი მეტყველების სრული გაჩუმება. დაავადების ადრეულ სიმპტომს მიეკუთვნება სხვებზე ზრუნვის უნარის და თანაგრძნობის განცდის დაკარგვა.

მგრძნობელობის და სივრცითი აღქმის დარღვევები პიკის დაავადებას არ ახასიათებს, მაშინ როდესაც ხშირად აღინიშნება ზოგიერთი ნევროლოგიური სიმპტომები, კონკრეტულად კი პირამიდული ნიშნები. როგორც წესი, იწვევა ხორთუმის და ტაცების რეფლექსი. დაავადების პროგრესირებასთან ერთად ჩნდება სტერეოტიპული, იტერული ქცევები. საფეთქლის წილების მედიობაზალური სტრუქტურების ორმხრივი ატროფიის დროს ვლინდება სიმპტომები, რომლებიც მსგავსია კლიუვერ-ბუსის კლინიკური სურათის, კერძოდ, პაციენტს აკვიატებული მიდრეკილება პირში ჩაიდოს ირგვლივმყოფი საგნები, ემოციური კონტროლის დაკარგვა, ჰიპერსექსუალობა. დისინჰიბიციამ შესაძლოა სოციოპათიური ქცევის ხასიათი მიიღოს და პაციენტი აქტიურ ფსიქიატრიულ მეურვეობას საჭიროებდეს.

ტერმინალურ სტადიაზე აღინიშნება მძიმე დემენცია ექსტრაპირამიდული დარღვევებით, ყველაზე მეტად გამოხატული აკინეზიის სახით.


ბარკვეულ შემთხვევები ფრონტოტემპორულ დემენციას შეიძლება თან დაერთოს მოტონეირონის დაზიანების სიმპტომები ამიოტროფია, რომელსაც თან ახლავს ფასციკულაციები, სისუსტე კუნთებში, ატროფიები და ბულბარული დამბლა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ლეტა-

→ ფრონტოტემპორული დემენცია. ფრონტოტემპორულიდემენცია ვლინდება ორი კლინიკური სინდრომის სახით, თუმცა ისინი შეიძლება ერთმანეთს გადაფარავდნენ. ერთი ფორმის დროს ადგილი აქვს დისინჰიბიციას, აგზნებადობას ჰიპერაქტიურობას, მეორეს დროს ვლინდება აპათია, ინერტულობა გარემოსაგან განრიდება

ლობის მიზეზს, ჰომელიც ვითარდება დაავადების დაწყებიდან 3 წლის შემდეგ. იმ პაციენტებში, სადაც ლეტალური გამოსავალი უფრო გვიან აღინიშნება, ვლინდება აჟინეზია და ჰიგიდობა. აღნიშნული ვარიანტი ნარმოადგენს ფრონტოტემპორული დემენციას და მოტონეირონის დაავადებით, ძირითადად გვხვდება ოჯახური შემთხვევებისას და დაჯავშირებული მე-17 ქრომოსომის ლოკუსის მუტაციასთან.



ნახ. 20.8 FDG PET-გამოსახულებებზე ჩანს ტვინის მეტაბოლური აქტივობის ჰატეხნები, ჩაც აღნჰაიმერისა და ჰიჯის დაავადებისთვის არის დამახასიათებელი. პირველ გამოსახულებაზე შედარებით ახალგაზრდა ასაკის ჯანმრთელი ტვინის სურათია, - დიფერენცირების გასაადვილებლად. ნითელი FDG-ის (2-[^{18}F] fluoro-2-deoxy-D-glucose) მომატებული ჩართვა, ლურჯი FDG-ის შემცირებული ჩართვა.



ნახ. 20.8 ჰიჯის დაავადება. CT. აქსიალური ჭრილი. შუბლისა და საფეთქლის წილების მკვეთრად გამოხატული სელექციური ატროფია.

დიაგნოსტიკა და დიფერენციული დიაგნოზი: ჰიჯის დაავადება- ეს არის დიაგნოზი, ჰომელის დასმაც ხდება სხვა მსგავსი დაავადებებისათვის დამახასიათებელი სპეციფიური კლინიკური და ჰარაკლინიკური ნიშნების არარსებობის შემთხვევაში. საბოლოო დიაგნოზის დასმა ხდება მხოლოდ თავის ტვინის ბიოფსიის ან აუტოფსიის ჰირობებში. ნეიროვიზუალიზაციის მეთოდებით ვლინდება თავის ტვინის ატროფია, უპირატესად შუბლ-საფეთქლის მიდამოში.

მკურნალობა: იგი მოიცავს სიმპტომატურ ღონისძიებებს პაციენტის მოვლის თვალსაზრისით და საჭიროების შემთხვევაში ნეიროლეპტიკების და სედატიური მოქმედების სხვა ფსიქოტროპული პრეპარატების გამოყენებას.

ფოკალური ქერქული ატროფიები

ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან (აღცჰეიმერის და ჰიჯის დაავადებების გარდა) სხვა დაავადებები, ჰომელთაც ახასიათებთ ფოკალური ქერქული ატროფიები. ამ დროს თავის ტვინში აღინიშნება გლიოზი და სპონგიოფორმული ცვლილებები. კლინიკური გამოვლინება დამოკიდებულია დაზიანების ლოკალიზაციაზე. ამ ჯგუფის ზოგიერთი დაავადება მემკვიდრეულია.

შუბლის (შუბლ-საფეთქლის) დეგენერაცია (შუბლის წილის დემენცია)

ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან დაავადებები (ბევრი ავტორის მონაცემებით ჰიჯის დაავადებაც), ჰომელთაც ახასიათებთ ჰისტოლოგიური ცვლილებები, ასოციაციური ქსოვილის, მეტყველების და არტიკულაციის დარღვევები, ჰომლებიც შეიძლება მეტიზმის სახითაც კი გამოვლინდეს. გვიან სტადიებზე აღინიშნება

პრიმიტიული ჰეფეიქსების გაცხოველება და ექსტრაპირამიდული დარღვევები პარკინსონიზმის და ჰიგიენობის სახით.

პირველადი პროგრესული აფაზია

პიკის მაგვარი ღობალური ატროფიის დროს შეიძლება ვლინდებოდეს ფოკალური დაზიანებები აფაზიის ან აპრაქსიის სახით, რაც მიანიშნებს მარცხენა შუბლის/საფეთქლის ნილების დაზიანებაზე. დაავადების დებიუტში პაციენტებს ალენიშნებათ ანომია (სიტყვების პივნის გაძნელება) მაგრამ მეტყველების სტრუქტურა ინტაქტურია, მოგვიანებით მეტყველება ღარიბი ხდება, იღებს ნყვეტილი, ერთანეთთან დაუკავშირებელი სიტყვების წარმოთქმის ხასიათს/ მოგვიანებით მას თან ერთვის დიზართრია, აპრაქსია და პაციენტი პრაქტიკულად მუნჯი ხდება. შემთხვევათა 60% პათოგნომური მორფოლოგიური ცვლილებები არ ვლინდება, 20% ჯი აღგილი აქვს პიკის სხეულების არსებობას, 20% ჯო აღმოჩენის დაავადების მორფოლოგიური მარკერებს. ოჯახური შემთხვევები აღწერილი არ არის.

თავლამური დემენცია

თავლამური დემენცია იშვიათად ვითარდება. იგი წარმოადგენს თავლამუსის ნეირონების იზოლირებულ დეგენერაციას, რომელიც ხასიათდება პროგრესირებადი მძიმე მიმდინარეობის დემენციით, და ხშირად თანხლებულია ქორეათეტოზით. დეგენერაცია უპირატესად მოიცავს მედიოდორზალურ და მედიალურ თავლამურ ბირთვებს. ზოგჯერ თავლამუსის დეგენერაციის მიზეზი შეიძლება იყოს პრიონული დაავადება. ჯლინიკური ფენომენოლოგია ხშირად ჯეიცფელდ-ჯაკობის დაავადების იდენტურია. ძალიან იშვიათად თავლამური დემენცია ასოცირებულია ოჯახურ ფატალურ ინსომნიასთან.

სისხლძარღვოვანი დემენცია

სისხლძარღვოვანი დემენცია - დემენციის ყველაზე ხშირი მიზეზია ალცჰეიმერის დაავადების შემდეგ. თანამედროვე ლიტერატურაში სისხლძარღვოვანი დემენცია განისაზღვრება როგორც ჯომპლექსური დაავადება, რომელსაც ახასიათებს იშემიური ან ჰემორაგიული ცერებროვასკულური დაავადებით ან ტვინის იშემიურ-ჰიპოქსიური დაზიანებით გამოწვეული ჯოგნიტური დისფუნქცია. სისხლძარღვოვანი დემენციის მქონე პაციენტებს ალენიშნებათ ვასკულური რისკფაქტორები. ✓ *სისხლძარღვოვანი დემენციის განსაზღვრა გულისხმობს გარკვეული ფაქტების თანაარსებობას, კერძოდ: 1) ავადმყოფი უნდა იყოს დემენტური; 2) უნდა არსებობდეს ანამნეზით, ჯლინიკური გასინჯვით ან ნეიროვიზუალიზაციის მონაცემებით დადასტურებული ცერებროვასკულური დაავადება და 3) ეს ორი ფაქტორი მიზეზ-შედეგობრივ ჯავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან.*

დემენციის მიზეზი შეიძლება იყოს მრავლობითი სუბჯოკიური ინფარქტები განპირობებული როგორც მიკროანგიოპათიებით, ისე ქერქულ-ქერქქვეშა ინფარქტებით, რომელთა მიზეზსაც წარმოადგენს ან მაკროანგიოპათია ან ემბოლია. ერთეული ინსულტის კერა იშვიათად არის დემენციის მიზეზი, მაგრამ ჩამდენჯერმე ზრდის მისი განვითარების რისკს. თავის ტვინის ინფარქტის დროს დემენციის განვითარება დამოკიდებულია არა მარტო დაზიანებული ქსოვილის მოცულობაზე, არამედ დაზიანების ლოკალიზაციაზეც. მაგალითად, თავლამუსში ან ანგულის ხვეულში განვითარებულმა ერთეულმა ინფარქტმა შეიძლება გამ-

სისხლძარღვოვანი დემენციის განსაზღვრა გულისხმობს გარკვეული ფაქტების თანაარსებობას, კერძოდ: 1) ავადმყოფი უნდა იყოს დემენტური; 2) უნდა არსებობდეს ანამნეზით, კლინიკური გასინჯვით ან ნეიროვიზუალიზაციის მონაცემებით დადასტურებული ცერებროვასკულური დაავადება და 3) ეს ორი ფაქტორი მიზეზ-შედეგობრივ კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან

ორივეს დემენცია, მაშინ როდესაც სხვა ჰეგიონების დაზიანებისას დემენცია ვითარდება ხანდაზმულ ინფარქტის შემდეგ.


პერივენტრიკულური თეთრი ნივთიერებიდან MRI კვლევით მიღებული, *ლეიკოარაიოზად* წოდებული *(Leuko- თეთრი, araiosis –გაშვებითება)* სიგნალის დიფუზური ცვლილებები ვასკულური დემენციის ჰისტ-ფარტოზად განიხილება. ეს არასპეციფიური ცვლილებები ნანახია განფანტული სკლეროზის, ლეიკოლისტროფიების, ინფექციების, მიტოქონდრიული ენცეფალოპათიების, გულის გაჩერებისას განვითარებული ცერებრული ანოქსიის შედეგად. ხშირ შემთხვევაში ლეიკოარაიოზი თანხლებულია კოგნიტური უნარების მკვეთრი დაქვეითებით, თუმცა ეს კავშირი არაერთგვაროვანია და პირდაპირი კორელაცია თეთრი ნივთიერების ცვლილებების მასშტაბსა და მენტალური ფუნქციების დარღვევებს შორის შეიძლება არც კი იყოს. გამოხატული ლეიკოარაიოზი დროს კოგნიტური უნარები შეიძლება შენახულიც იყოს.

სუბკორტიკული არტერიოსკლეროტული ენცეფალოპათია, რომელიც ხასიათდება დემენციასთან ერთად პერივენტრიკული თეთრი ნივთიერების მკვეთრი იშემიური დეგენერაციით, აგრეთვე ცნობილია ***ბინსვანგერის (Binswanger) დაავადების*** სახელით. ეს ტერმინი უპირატესად გამოიყენება არტერიული ჰიპერტენზიითა და მცირე არტერიების არტერიოსკლეროზით განპირობებული თეთრი ნივთიერების დაზიანების აღსანიშნად, რომლის კლინიკის გამოვლენას ნამთავარგენს ჰორგიედიენტული ***მიმდინარეობის სუბკორტიკული დემენციის განვითარება***. მისი დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებია, ***დემენცია, ფსევდობულბური ნიშნები და სიარულის დარღვევა***. მიჩნეულია, რომ ბინსვანგერის დაავადების დროს გამოვლენილი თეთრი ნივთიერების დაზიანება უფრო ინტენსიურია, ვიდრე მკვეთრია, ვიდრე ამას გულისხმობს ტერმინი ლეიკოარაიოზი.

სისხლძარღვოვანი დემენციების დროს, განსხვავებით მისი დეგენერაციული ფორმებისაგან, დაავადები დებიუტი და მისი გაუარესება ხშირად მწვავე ფორმით ვლინდება. დემენციის მიმდინარეობაში ზოგჯერ აღინიშნება დროებითი გაუმჯობესებაც კი. ვასკულურ დემენციას ახასიათებს შემდეგი სიმპტომები: გარდამავალი აფაზია, ფსევდობულბარული დარღვევები, სიარულის დარღვევები (ხშირად აღინიშნება სიარული ჰატარა, მაგრამ ფართო ნაბიჯებით ე.წ "marche a petit pas"), ექსტრაპირამიდული ნიშნები და სხვა კერძოვანი ნევროლოგიური სიმპტომები.

ხშირია ემოციური ლაბილობა ემოციური რეაქციების შეუკავებლობით: არადეკვატურ სიტუაციებში პაციენტები უცებ ან ტირიან, ან იცინიან. სისხლძარღვოვანი დემენციის დროს ძალიან ხშირად პირველ პლანზეა შუბლის წილის დისფუნქცია ან კერძოვანი ნეიროფსიქოლოგიური გამოვლინებები. თავისი ხასიათით ***სისხლძარღვოვანი დემენცია სუბკორტიკულია.***

ბინსვანგერის დაავადებისათვის დამახასიათებელი მოვლენები (არტერიული ჰიპერტენზიის გარეშე) ახასიათებს მე-19 ქრომოსომის მუტაციით გამოწვეულ აუტოსომურ დომინანტურ ოჯახურ დაავადებას, რომელიც წოდებულია *CADASIL-ად -ცერებრული აუტოსომურ დომინანტური არტერიოპათია სუბკორტიკული ინფარქტებით და ლეიკოენცეფალოპათიით (cerebral autosomal dominant arteriopathy with subcortical infarcts and leukoencephalopathy)* იგი წარმოადგენს ჰორგიესირებად მემკვიდრულ დემენციას, რომლის დროსაც პაციენტებს ახალგაზრდობიდანვე აღენიშნებათ განმეორებითი მცირე ინსულტები, რომელთა კუმულაციური ეფექტის შედეგად, მოგვიანებით ვითარდება დემენცია. ინსულტის ეპიზოდებს ხანდაზმულ ნლით შეიძლება წინ უსწრებდეს მაგრენის შეტევები. დაავადების ოჯახური ფორმა ყოველთვის თვალსაჩინო არ არის ვინაიდან 60 წლის ასაკამდე გენეტიკური პენეტრაცია 60 წლამდე სული არ არის. MR ტომოგრაფიული ცვლილებები შეიძლება აღენიშნებოდეს ოჯახის კანმრთელ წევრებსაც. აღსანიშნავია, რომ CADASIL-ის დროს მუტაცია მე-19 ქრომოსომის იმავე ლოკუსშია, როგორც ოჯახური ჰემიპლეგიური მაგრენის დროს.



20.8 CADASIL


21

მოძრაობითი დარღვევები

ექსტრაპირამიდული სისტემა მოძრაობათა ჰეგელაციაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. იგი უზრუნველყოფს მოძრაობების ჰარმონიზაციას და მათს ტემპს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მონაცვლეობითი მოძრაობების შესრულებისას. ექსტრაპირამიდული სისტემის ფუნქციის დარღვევა იწვევს კუნთების ტონუსის მომატებას *(კუნთების ჰიგიდობა)* ან მის დაქვეითებას *(კუნთების ჰიპოტონია)*. მოძრაობა შეიძლება გახდეს ღარიბი და შენელებული *(ჰიპოკინეზია)* ან აღმოცენდეს ზედმეტი, უნებლიე, ნაძალადევი მოძრაობები *(ჰიპერკინეზები)*.


ანატომია და ფიზიოლოგია

ფუნქციური ეთიუდი, რომელსაც უწოდებენ ექსტრაპირამიდულ სისტემას, მოიცავს კუდიან ბირთვს, ჩენჩოს, მკრთალ ბირთვს, სებთალამურ ბირთვს (მის გარეთა – GPe და შიგნითა სეგმენტებს - GPi), შავ სუბსტანციას (მის კომპაქტურ – SNc და რეტიკულურ – SNr ნაწილებს). კუდიანი ბირთვი და ჩენჩო ერთად წარმოადგენენ ე.წ. *ზოლიან სხეულს, ანუ სტრიატუმს*, ოსპირებრი ბირთვის შემადგენლობაში შედის ჩენჩო და მკრთალი ბირთვი. მკრთალ ბირთვს უწოდებენ ჰალიდემს, ხოლო სებთალამურ ბირთვს – *ლუისის სხეულს*. აღნიშნული ბირთვები ერთი ნეირონული *მარეგულირებელი წრეების* მეშვეობით. დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, თალამუსთან, დიდი ჰემისფეროების ქერქთან, შუა ტვინთან, ცერებრუმის სისტემასთან. სურათი 21.1



21.1 ბაზალური განგლიების მედიალური ხედი

ფსიქიკური ფუნქციების ნეიროფიზიოლოგიური საფუძვლების შესწავლის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ი.პ. პავლოვის მიერ პირობითი რეფლექსების აღმოჩენა. ამ აღმოჩენამ ფსიქიკური ფუნქციების ნეიროფიზიოლოგიური საფუძვლების შესწავლის ახალი ეპოქა გახსნა. ი.პ. პავლოვის მიერ აღმოჩენილი პირობითი რეფლექსების ფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლა ნათელს ფენს ფსიქიკური ფუნქციების ნეიროფიზიოლოგიურ საფუძვლებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ი.პ. პავლოვის მიერ აღმოჩენილი პირობითი რეფლექსების ფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლა ნათელს ფენს ფსიქიკური ფუნქციების ნეიროფიზიოლოგიურ საფუძვლებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ი.პ. პავლოვის მიერ აღმოჩენილი პირობითი რეფლექსების ფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლა ნათელს ფენს ფსიქიკური ფუნქციების ნეიროფიზიოლოგიურ საფუძვლებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ




ნახ. 21.2 ბაზალური განგლიების ძირითადი გამტარი გზები, რომლითაც ბაზალური განგლიები ნეირული სისტემის სხვა ნაწილებს უკავშირდება. სისტემა მარყუჟს ქმნის. ინფორმაცია თითქმის მთელი ცერებრული ქერქიდან იღებს სათავეს და ქერქშივე დაბრუნებამდე გაივლის ბაზალურ განგლიებს და თალამუსს. მოღებულ ინფორმაციას უპირატესად ქერქის სპეციფიკურ უბნებში (M-1 და SMA) ბრუნდება. F, P, O, T - შუბლის, თხემის, ნეფრის და საფეთქლის წილები. M-1 პირველადი მოტორული არე; S-1 პირველადი სენსორული არე; RF - ბადისებური ფორმაცია; SC - ზემო ორგორაჯა.

ვაცია. ამგვარად, ბაზალური განგლიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მარტო მოძრაობაში, არამედ ნერვული სისტემის სხვა ფუნქციებშიც. მიუხედავად ამისა, ბაზალური განგლიების დისფუნქციის ძირითად გამოვლინებას მოძრაობათა სხვადასხვაგვარი დარღვევები წარმოადგენს.

ქერქული მოტორული ზონები (მე-4, მე-6, დამატებითი მოტორული ზონა) და პირველადი სომატოსენსორული ქერქი სტრიატუმზე პროეცირდება სომატოტოპიურად. ბაზალურ განგლიებში მოტორული ზონა ღრმად ლოკალიზებულია დორსოლატერალურად. ქვედა ტიტრები „განლაგებულია“ დორსალურად, სახე ვენტრალურად, ხოლო ხელები მათ შორის.

სტრიარული ეფერენტული ნეირონები გაემ (გამა ამინოერბოსმჟავა) – ერგულია. ისინი უკავშირდებიან მჭოლავი ბირთვის გარეთა და შიგნითა სეგმენტებს ორი სხვადასხვა ნეირონული საპროექციო სისტემით: „არაპირდაპირი“ და „პირდაპირი“ გზით (სურ. 21-2). პირდაპირი გზის ნეირონები მიემართებიან ჩენჩოდან პირდაპირ GPi/SNr-საკენ. ამ გზის მოქმედება გამეორებულია D_1 დოფამინური ჰეტეროტრიმერებით და ახდენს შემაკავებელ გავლენას GPi/SNr ნეირონებზე. არაპირდაპირი გზა შეიცავს D2 დოფამინურ ჰეტეროტრიმერებს. არაპირდაპირი გზა პროეცირდება GPe-ზე და ახდენს მასზე შემაკავებელ გავლენას, რომელიც თავის მხრივ შეაკავებს სუბთალამურ ბირთვს (სბ). ამ უკანასკნელის ჟი ამგზნები მოქმედება აქვს GPi/SNr-ზე. GPi/SNr შემაკავებელ იმპულსებს აგზავნის თალამუსის ვენტროლატერალური ბირთვისაკენ (ვლბ). ამგვარად, ჩენჩოს ნეირონები, რომლებიც შეიცავენ D1 ჰეტეროტრიმერებს, ქმნიან პირდაპირ გზას და პროეცირდებიან GPi-ზე. ჩენჩოს ნეირონები, რომლებიც შეიცავენ D2 ჰეტეროტრიმერებს წარმოადგენენ არაპირდაპირი გზის ნაწილს და პროეცირდებიან GPe-ზე. დოფამინი (რომელიც შავი სუბსტანციის კომპაქტური ნაწილის ნეირომედიატორია) აქტივებს პირდაპირ გზას და აკავებს არაპირდაპირ გზას (სურ. 21-3)



ნახ. 21.3 ბაზალური განგლიების ფიზიოლოგიური კავშირები. ბაზალური განგლიების ძირითადი კავშირები; მითითებულია ამ კავშირების ნეირომედიატორები და მათი გამოხატული მოქმედება (შემკავებელი ან შემაკავებელი). *ENK* - ენკეფალინი; *GABA*- გამა ამინოერბომჟავა; *DA* - დოფამინი; SN_c - შავი სუბსტანცია, კომპ.ნაწილი; SN_r - შავი სუბსტანცია, ბადისებრი ნაწილი; GP_i - მჭოლავი ბირთვი, ღრმა ნაწილი; VA_{mc} - თალამუსის ვენტრ. ნიშა ბირთვი; მცირეუჯრედოვანი ნაწილი pars parvicelluralis; VA_o - თალამუსის ვენტრალური ბირთვი, ორალური ნაწილი pars oralis. D_1 და D_2 დოფამინური ჰეტეროტრიმერების ორი ჯგუფი.

თუ SNc-ს მიერ დოფამინის გამომუშავება მცირდება ხდება GPi/SNr მიერ შემაკავებელი იმპულსაციის მომატება ეს იწვევს თალამოკორტიკული გზის მოქმედების დათრგუნვას, რაც მოძრაობის უნარის დათრგუნვას განაპირობებს. არაპირდაპირი გზის გავლით დოფამინის დაბალი კონცენტრაცია GPi/SNr შეკავებას ამცირებს, რაც თალამუსის ჭარბ ინჰიბიციას განაპირობებს. არა-

პირდაპირ გზაში დოფამინის დაბალი კონცენტრაცია ინვევს სბ დისინჰიბიციას, ხოლო სბ თავის მხრივ ჭარბად აქტივებს GPi/SNr-ს ჩაც თალამუსის ინჰიბიციის მომატებას ინვევს. სწორედ ეს ხდება პარკინსონიზმის დროს.

ზემოთაღნეჩიღი კავშირების სისტემა უზრუნველყოფს ავტომატიზებული და ნახევრად ავტომატიზებული მოტორული პროგრამების განხორციელებას (მაგალითად სიარულს), კუნთების ტონუსის რეგულაციას და, საბოლოო ჯამში, მოძრაობების პრომონიზაციას. აღნიშნული ნაწილების ეთით ან ჰომოლენიმე კომპონენტის ფუნქციის დარღვევისას შეიძლება მოხდეს არასასურველი მოძრაობების ფიზიოლოგიური შეკავების დარღვევა რის შედეგად განვითარდება ჰიპერკინეზები; ან მოტორული აქტივაციის ფუნქციის დაქვეითება, ჩაც გამოიწვევს ჰიპოკინეზიას და კუნთების ჩიგიდობას. შესაბამისად, ექსტრაპირამიდული დარღვევები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: *მოძრაობათა შემცირებით მიმდინარე -აკინეტიკურ-ჩიგიდული სინდრომები და ზედმეტი, ნაძალადევი მოძრაობებით მიმდინარე -ჰიპერკინეზული სინდრომები.*

მოძრაობათა შემცირებით მიმდინარე სინდრომები
პარკინსონიზმი

ეპიდემიოლოგია. საერთო პოპულაციაში ადამიანთა 1-2% აღენიშნება პარკინსონიზმის სინდრომი. 60 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებს შორის დაავადებულია 1%. ნელური ავადობის მაჩვენებელია 0.1% ყოველ 1000 მოსახლეზე, ხოლო 65 წელზე უფროს ადამიანებს შორის 2 ყოველ 1000-ზე.

სიმპტომატოლოგია. 1817 წელს ინგლისელმა ექიმმა ჯეიმს პარკინსონმა აღწერა დაავადება, რომლის ძირითადი გამოვლინებები იყო მოძრაობის შეზღუდვა და კანკალი, და დაარქვა მას "shaking palsy" –„კანკალა დამბლა". 1877 წელს ფრანგმა ნევროლოგმა ჟან მარტენ შარკომ დაავადება უფრო დეტალურად შეისწავლა, აღმოაჩინა რომ კანკალი არ არის აუცილებელი სიმპტომი, და უწოდა მას პარკინსონის დაავადება (PD - Parkinson's disease). მე-20 საუკუნის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ PD-სათვის დამახასიათებელი სიმპტომები სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ამის გამო ნევროლოგიაში დამკვიდრდა ტერმინი პარკინსონიზმის სინდრომი (პარკინსონიზმი).

პარკინსონიზმი – ეს არის სინდრომი, რომელიც ხასიათდება ჰიპოკინეზიის ნებისმიერი კომბინაციით ჩიგიდობასთან, ტრემორთან და პოსტურულ არამდგრადობასთან.

განვიხილოთ თითოეული სიმპტომი ცალცალკე.

ტერმინით *ჰიპოკინეზია* აღინიშნება ნებისყოფითი, სპონტანური და ავტომატიზებული მოძრაობების ინიციაციის (დაწყების) გაძნელება. ჰიპოკინეზიის ეთ-ეთი გამოვლინებაა *ბრადიკინეზია* – მოძრაობების შენელება და მოძრაობათა ამპლიტუდის შემცირება, ჩაც განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს განმეორებითი მოძრაობების განხორციელებისას, მათი ამპლიტუდის პროგრესირებადი შემცირებით.

ჰიპოკინეზიის პირველი გამოვლინება შეიძლება იყოს თითებით ნატიფი მოძრაობების გაძნელება, ისეთების როგორიცაა ღილების შებნევა, თასმების შეკვრა, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, წერა. ჰიპოკინეზიის გამო დაავადებული ადამიანის ხელწერა იცვლება, ვითარდება *მიკროგრაფია,* ანუ ასოები მცირე ზომის ხდება, ზოგჯერ იმდენად, რომ დანერილის ნაკითხვას შეუძლებელს ხდის. პაციენტს უჭირს აგრეთვე გაპარსვა, ჯილების გახეხვა, თმის დავარცხნა. ჰიპოკინეზიის შედეგად გაღარიბებულია მიმიკური მოძრაობები (ჰიპომიმია), სახე იღებს ნიღაბისებურ გამომეტყველებას, მასზე ხშირად სევდის ან გაოცების გრიმასაა მეღმივად აღბეჭდილი. ქკთეთოების ხამხამი გაიშვიათებულია. სპონტანური მოძრაობების გაღარიბების გამო პაციენტის ჟესტიკულაცია შემცირებულია ან საერთოდ გამქრალია, ხშირად პაციენტი საუბრისას გაუნძრევლად ზის. ხმის ტემბრი იცვლება, ხმა ხდება ჩუმი და მოყრუებული, ამას

➡ ექსტრაპირამიდული დარღვევები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: *მოძრაობათა შემცირებით მიმდინარე -აკინეტიკურ-ჩიგიდული სინდრომები და ზედმეტი, ნაძალადევი მოძრაობებით მიმდინარე -ჰიპერკინეზული სინდრომები.*



ჯეიმს პარკინსონი James Parkinson (1755 -1824) ინგლისელი ექიმი, გეოლოგი, პალეონტოლოგი, პოლიტიკური მოღვაწე. მის ყველაზე ცნობილ ნაშრომს მიეკუთვნება 1817 წელს გამოქვეყნებული ესსე კანკალა დამბლის შესახებ - An Essay on the Shaking Palsy, რომელშიც მან პირველად აღწერა ის კლინიკური სიმპტომოკომპლექსი, რომელიც შემდგომში მისი პატივის მისემობით, „პარკინსონის დაავადების" სახელით გახდა ცნობილი.

➡ პარკინსონიზმი - ეს არის სინდრომი, რომელიც ხასიათდება ჰიპოკინეზიის ნებისმიერი კომბინაციით ჩიგიდობასთან, ტრემორთან და პოსტურულ არამდგრადობასთან.

ჰიპოფონია ეწოდება. გარდა ამისა, ხმა მონოტონურია, მისი მოდულაცია საუბრის პროცესში არ ხდება. ამას *აპროსოდია* ეწოდება. ზოგიერთი პაციენტი მუდმივად არტიკულაციების უნარს კარგავს და ამის გამო მეტყველება ძნელად გასაგები შეიძლება იყოს, ამ სიმპტომს *დიზართრია* ეწოდება. შეიძლება შეგვხვდეს ე.წ. *ცარიელმია* – პაციენტი თანხმოვანებს მკაფიოდ ვეღარ გამოთქვამს, რის გამო სიტყვები თითქოს ერთმანეთზე გადაბმულია.

სირაქლი არის ნელი, მოკლე ნაბიჯებით. იმის გამო, რომ ნაბიჯები დადაბლებულია არის, ხშირად დაავადებული ადამიანი ფეხებს „მიათრატუნებს". სირაქლისას შემცირებული ან გამქრალია ფიზიოლოგიური სინკინეზია ხელების ხეტევის სახით (*ჰიპოკინეზი*).

სხეულის კუნთების ჰიპოკინეზიის შედეგად დაავადებული ადამიანს უჭირს დაბალი სკამიდან წამოდგომა, ავტომობილიდან გადმოსვლა, სანოლში წოლისას გადაბრუნება ერთი გვერდიდან მეორეზე.

ჰიპოკინეზიის დროს განსაკუთრებით გაძნელებულია სხვადასხვა მოძრაობის ერთდროულად განხორციელება და კომპლექსური მოძრაობები.

ჰიპოკინეზიის ერთ-ერთი გამოვლინებაა გაძლიერებული ნერწყვდენა (*სიალორეა*). სანერწყვე ჯირკვლები ნერწყვს ნორმალური ოდენობით გამოყოფენ. თავისთავად ყლაპვაც პაციენტს დაღლილი არა აქვს, მას შეუძლია საკვების და სითხის ჩვეულებრივ გადაყლაპვა, მაგრამ ნერწყვის სპონტანური გადაყლაპვა ბრადიკინეზიის გამო იშვიათად ხდება. სწორედ ეს არის გაძლიერებული ნერწყვდენის მიზეზი.

ხშირად პაციენტი ჰიპოკინეზიით გამოწვეული მოძრაობის გაძნელების მიზეზად შეცდომით კუნთების სისუსტეს მიიჩნევს. დაავადებულს ქრონიკული დაღლილობის გრძნობა ანუხებს, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ჰიპოკინეზიასთან და ჰიგიენობასთან.

დაავადების დასაწყისში ჰიპოკინეზია უმნიშვნელოდ არის გამოხატული, ხშირად მხოლოდ ხელების ერთ ნახევარში და/ან კიდურების დისტალურ ნაწილებში. შემდგომში ის კუნთების მრავალ ჯგუფს მოიცავს ბილატერალურად. *ჰიპოკინეზია პარკინსონიზმის ყველაზე მეტად მაინვალიდიზებელი სიმპტომია.*

ჰიპოკინეზია პარკინსონიზმის ყველაზე მეტად მაინვალიდიზებელი სიმპტომია.

დაავადების დებიუტში ჰიპოკინეზიის გამოსავლენად საჭიროა გარკვეული სინჯების ჩატარება: მტევნის ცერისა და საჩვენებელი თითების ერთმანეთზე ხითხმელი სწრაფი დაკაკუნება, ტერფით იატაკზე ხითხმელი დაკაკუნება, მუშტის შეკვრა-გაშლა, ხელების ჰორნაცია-სუპინაცია, პაციენტის ხელწერის დათვალიერება (მიკროგრაფიის აღმოსაჩენად).


ჰიპოკინეზიის განსაკუთრებით მძიმე გამოვლინებაა ე.წ. *„გაყინვის ფენომენი"*. გაყინვის ფენომენი (მოძრაობის დაბლოკვა, ანუ უეცარი სწრაფი შენყვეტა) არის აქტიური მოძრაობების შესრულების გარდამავალი შეუძლებლობა. უმეტესწილად ის ვლინდება სირაქლის დროს ქვედა კიდურებში, შეიძლება შეეხოს აგრეთვე ქუთუთოების გახელას *(ქუთუთოების გახელის აპრაქსია)*, მეტყველებას *(ბრადილალია)*, ნერწყვს. „გაყინვა" მოულოდნელად ვითარდება, გარდამავალია და ჩვეულებრივ რამდენიმე წამი გრძელდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტერფები მიეწება მიწას, ხოლო შემდეგ უეცრად მოსცილდა მას და პაციენტმა გააგრძელა სირაქლი. ხშირად პაციენტი სირაქლის ხელახლა დაწყების მცდელობისას ერთი ფეხიდან მეორეზე სწრაფად ინაცვლებს, თითქოს ადგილს ტეპნის და ამასთანავე სულ უფრო და უფრო წინ იხრება. ტიპიურია „გაყინვის" განვითარება სირაქლის დაწყებისას (სტარტის შეფერხება), სირაქლისას მოხვევის მცდელობისას, სირაქლის მიზნის მიღწევისას (მაგალითად სკამთან მისვლებისას, რომელზეც პაციენტი უნდა დაჯდეს). გაყინვის ფენომენის მქონე პაციენტებს უჩნდებათ შიში იმისა, რომ ვერ გადალახავენ ბარიერებს, ისეთებს როგორებიცაა ავტომატური კარები, ლიფტის კარები, რომლებიც შეიძლება თავისით დაიხურონ, ასევე ტრანსპორტით დატვირთული ქუჩას. „გაყინვა" შეიძლება გადალახული იქნას თუ პაციენტს წინ ჩარმე მკრივე დაბრკოლებაზე გადავაბიჯებინებთ. „გაყინვა" ბევრად იშვიათად ხდება კიბეზე სირაქლისას, ვიდრე სწორ ზედაპირზე მსვლელობისას.

ტერმინით *პარადოქსული კინეზია* აღინიშნება ფენომენი როდესაც პაციენტი, რომელსაც მოძრაობათა საერთო შენელება აქვს, უეცრად, ემოციური

აფექტის (სიხარულის ან შიშის) ფონზე, მოულოდნელად ნორმალურად სიარულს, სირბილს, ცეკვას, სწრაფად მეტყველებას იწყებს.

ჰიპოკინეზიის პათოფიზიოლოგიური მექანიზმი ბოლომდე გარკვეული არ არის. ითვლება, რომ ჰიპოკინეზია ვითარდება ბაზალურ განგლიებს, ჰიპოთალამუსი და მოტორული ქერქს შორის ურთიერთობების დარღვევისას.

ჰიგიდობა არის კუნთების ტონუსის მომატება ექსტრაპირამიდული ტიპით (განსხვავდება პირამიდული სპასტიკურობისაგან). პაციენტის კიდურების, კისრის, ტორსის პასიური მოძრაობებისას სხვადასხვა მიმართულებით ექიმი შეიგრძნობს მუდმივ წინააღმდეგობას. ნახატზე 21.5 ასახულია კუნთების ექსტრაპირამიდული ჰიპერტონუსის შედარება პირამიდულ ჰიპერტონუსთან (სპასტიკურობასთან). უკანასკნელის დროს წინააღმდეგობა კუნთების მხრიდან აღინიშნება პასიური მოძრაობის დასაწყისში.



21.4 „დაკბილული ბორბლის“ ფენომენი. სახსრის პასიური მოხრისას თვალშისაცემია ე.წ. „ცვილისებური“ ტონუსის გაზრდა. ხშირად იტმული წყვეტილი წინააღმდეგობის არსებობა ანუ „დაკბილული ბორბლის“ ფენომენი.

ყველაზე ადრეგად ჰიგიდობა გამოვლინდება წინამხრის პასიური მოხრისა და გაშლისას. მტევნის კუნთების ჰიგიდობა ადრეგად შეიძლება შევიგრძნოთ პაციენტის მტევნის პასიური „შენჯღრევისას“ სხივ-მაჯის სახსარში.

კუნთების ჰიგიდობასთან ერთად აღინიშნება კუნთების *პოსტურული ტონუსის მომატება*. ეჭვმიტანილ, PD დროს შესაძლოა აღინიშნოს პასიური მოძრაობის ბოლოს იმ კუნთების აქტივაცია, რომლების პასუხს აგებენ კიდურისადმი (ან სხეულის სხვა ნაწილისადმი) მინიჭებული პოზის შენარჩუნებაზე. მაგალითად, თუ ზურგზე მწოლიარე პაციენტის თავს პასიურად ხრმლენადმე ზემოთ ავწევთ (მოვხრით) და შემდეგ სწრაფად გავუშვებთ, იგი კი არ დავარდება ბალიშზე, არამედ ნელ ნელა დაეშვება, ან მოხრილ მდგომარეობაში დარჩება გარკვეული დროის მანძილზე. პაციენტი შეიძლება საკმაოდ დიდი ხანი იწვეს ნამონეული თავით, ჩაც უხილავი ბალიშის შთაბეჭდილებას ქმნის. ამას *„ფსიქიური ბალიშის“ ფენომენს* უწოდებენ.


კუნთების ტონუსის გამოკვლევისას ხშირად ვლინდება ე.წ. *„დაკბილული ბორბლის ფენომენი“*. სახსარში განმეორებითი პასიური მოძრაობებისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ სასახსრე ზედაპირები წარმოადგენენ ორ დაკბილულ ბორბალს, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ნაბიჯ-ნაბიჯ წყვეტილად მოძრაობენ (სურ. 21.4) ყველაზე ხშირად ეს ფენომენი სხივ-მაჯის სახსარში ვლინდება.

ჰიგიდობის პათოფიზიოლოგიური მექანიზმებიც ბოლომდე ცნობილი არ არის. არსებობს მოსაზრება, რომ პარკინსონიზმის დროს კუნთოვანი თითისტარების მგრძნობელობა არის მომატებული, გამა-მოტონეირონების ჭარბი აქტივაციის შედეგად.


პარკინსონის დაავადების ყველაზე შთამბეჭდავ სიმპტომს წარმოადგენს ტრემორი, თუმცა იგი დაავადების ობლიგატური ნიშანი არ არის. იგი შეიძლება უმნიშვნელოდ იყოს გამოხატული ან საერთოდ არ არსებობდეს პარკინსონის დაავადების ასინეტო-ჰიპერკინეზიური ფორმის დროს. ეს არის ჩვეულებრივი ამპლიტუდა გააჩნია და ყველაზე მეტად კიდურების დისტალურ ნაწილშია გამოხატული. ამ დროს მტევნის თითები ხშირად ასრულებენ დამახასიათებელ ჩვეულებრივ მოძრაობას, რომელსაც ალწერენ როგორც „ფულის თვლას“. პარკინსონური ტრემორი მაქსიმალურად არის გამოხატული კიდურებში მათი მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნისას და მცირდება მათი ნებისყოფითი მოძრაობის დროს.


➡ პარკინსონური ტრემორი მაქსიმალურად არის გამოხატული კიდურებში მათი მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნისას და მცირდება მათი ნებისყოფითი მოძრაობის დროს.

თუ ტრემორი ქვედა კიდურებშიც არის, იგი ვლინდება ჯდომისა და წოლისას, ხოლო დგომის და სიარულის დროს ქრება. ტრემორმა შეიძლება მოიცვას ქვედა ყბა ან/და ტუჩები. მისი ამპლიტუდა იზრდება გონებრივი დატვირთვისას, სტრესის დროს, იმ კიდურების მოძრაობისას, რომლებიც ტრემორში არ არიან ჩართულნი (მაგალითად, ხელების ტრემორი ძლიერდება სიარულის დროს). ტრემორი ქრება ძილის დროს.



21.5 ტონუსის ცვლილებები





ნახ. 21.6 პარკინსონის დაავადებისთვის დამახასიათებელი ჰიპოკინეზია (A) და დგომის პოზა (B).

ტრემორის პათოგენეზში წამყვანი როლი ენიჭება თალამუსის ვენტროლატერალური ბირთვების ჯგუფს, განსაკუთრებით კი შუამდებარე ვენტროლატერალურ ბირთვს (VL), რომელიც აფერენტულ იმპულსებს იღებს სპინოთალამური გზიდან და ნათხემიდან. VL-ს აქვს უნარი 4-6 ჰც სიხშირის რითმული აქტივობის გენერაციისა. ეს უნარი ითრგუნება ძილის დროს და ნებისყოფითი მოძრაობებისას. რითმული იმპულსები გადაეცემა თალამუსიდან პრემოტორულ და მოტორულ ქერქს, შემდეგ კი პირამიდული გზის საშუალებით პერიფერიულ მოტონეირონებს. გარდა ამისა, ვარაუდობენ, რომ თალამუსის რითმული აქტივობის შენარჩუნებას ხელს უწყობს ტრემორში ჩართული კუნთებიდან აფერენტული ნაკადი. ამის შედეგად ყალიბდება ერთი თვითშენარჩუნებადი სისტემა, რომელშიც ნებისმიერი სისტემის სხვადასხვა სტრუქტურები მონაწილეობენ.

პოსტურული ჰეფლექსების დარღვევა *(პოსტურული დარღვევები)* ხშირ ნაკლებას განაპირობებს. პოსტურული ჰეფლექსების შემოწმება ხდება ე.წ. „ბიძგის ტესტის“ საშუალებით: ექიმი დგას პაციენტის უკან და წინასწარი გაფრთხილების შემდეგ მხრების არეში სწრაფად უბიძგებს მას უკან. ჯანმრთელი ადამიანი ამ დროს თავისუფლად ინარჩუნებს წონასწორობას, რისთვისაც შეიძლება უკან ერთი ნაბიჯის გადადგმა დასჭირდეს, პოსტურული დარღვევების მქონე ადამიანი ვერ შესძლო ნაკლებს ისე, რომ ნაბიჯის გადადგმა ვერც ვერ შეძლოს. ექიმი მზად უნდა იყოს რომ ასეთ შემთხვევაში ხელი შეაშველოს პაციენტს ჩათ იხსნას ნაკლებისაგან. ხელის ჯგრისას უკან (ან წინ) პაციენტს ხშირად აღენიშნება *ჰეტეროპულსია (ან ჰეტეროპულსია).* ამ ტერმინებით აღინიშნება ის, რომ პაციენტს არა აქვს უნარი წონასწორობის შენარჩუნებისა და თუ პაციენტს ვუბიძგებთ იგი მოკლე ნაბიჯებით სწრაფ სიარულს იწყებს სანამ გაჭირვებით არ აღიდგენს წონასწორობას ან, თუ საყრდენი ვერ იპოვა, ნაკლებს. ასეთივე ფენომენი აღინიშნება თუ პაციენტი უცებ ნაბოძიებდება, ან მის წინაშე უცებ გაიღება კარები. ჰეტეროპულსიები შესაძლოა სიარულის დროს სპონტანურადაც აღმოცენდეს. პარკინსონიზმის დროს ჰეტეროპულსიების გარეშე არაკეთილსაიმედო ჰეტეროზული ნიშანია მკურნალობის შემდგომი ეფექტურობის თვალსაზრისით.

პოსტურული ჰეფლექსების დარღვევის შემთხვევაში პაციენტი სკამზე დაჯდომის დროსაც სკამზე ვარდება. ძლიერ შემანუხებელია „გაყინვის“ ფენომენისა და პოსტურული დარღვევების კომბინაცია. ასეთ შემთხვევაში სიარულის უცებ „გაყინვის“ დროს, როდესაც სიარული წყდება, პაციენტი ძირს ვარდება. ნაკლები განპირობებულია იმით, რომ სხეულის ზედა ნაწილი ვერტიკალური პოზის სწრაფი აღდგენის შეუძლებლობის გამო, განაგრძობს წინ მოძრაობას, მაშინ, როდესაც ტერფები „მიკრულია“ მიწაზე. ხშირად პაციენტი იღებს ტრავმას, რადგან ვერ ასწრებს დაცვითი ჰეაქციის სახით ხელების წინ გამონაკლებას მათზე დასაყრდნობად.

ტანლეგობა პარკინსონიზმით დაავადებულთა უმრავლესობას შეცვლილი აქვს, რაც თვალში საცემია ჰოგორც დგომის, ასევე სიარულის დროს: პაციენტი მოხრილია მხრებში, გადაწეულია წინ, თავი დახრილია მკერდისაკენ, ფეხები ხარდენადმე მოხრილია მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრებში, ხელები- იდაყვის სახსრებში შესაძლოა სხეული გვერდზე იყოს გადახრილი (*პიზას კოშკის ნიშანი).*

პარკინსონიზმის დროს პირამიდული ნიშნები ჰოგორც წესი არ აღინიშნება, თუმცა ამ წესიდან არსებობს მთელი ჩიგი გამონაკლისებისა. პარკინსონიზმის დროს პირამიდული ნიშნები შესაძლოა თანმხლები ცერებრული მიელოპათიის გამოვლინება იყოს ან მიეთითებდეს პარკინსონიზმის სინდრომით მიმდინარე მულტისისტემურ ატროფიაზე (იხ. ქვემოთ). თითქმის ყოველთვის არის გამოცოცხლებული (ინვერსია განმეორებით, ანუ არ ქრება თანმიმდევრული რითმული მუსკულური დარტყმებისას) გლაბელარული ჰეფლექსი.

პარკინსონიზმით დაავადებული ადამიანები ხშირად უჩივიან სხვადასხვა ლოკალიზაციის ტკივილს, რასაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ჰიპოკინეზიამ: კუნთების მტკივნეულობა იმობილობის გამო, ხერხემლისა და სხვა ძვლოვანი სტრუქტურების დეგენერაციული ცვლილებები, მტკივნეული დისტონია.

სხვადასხვა ლოკალიზაციის ტკივილი, წვის ან სიცივის შეგრძნება, დაბუჟება და

სხვა სენსორული სიმპტომები პარკინსონიზმით დაავადებულთა დახლოებით ნახევარს ალენიშნება და საყრდენ- მამოძრავებელი აპარატის დაავადების შეცდომით დიაგნოსტიკის მიზეზი შეიძლება იყოს. მგრძნობელობა ჩვეულებრივ ნორმალური რჩება.

პარკინსონიზმის სინდრომის ყველაზე ხშირი ფორმაა *პარკინსონის დაავადება (PD)*. პარკინსონიზმი შეიძლება იყოს მეორადი, ანუ სხვა ცნობილი ეტიოლოგიური ფაქტორით გამოწვეული. პარკინსონიზმი გვხვდება აგრეთვე ნერვული სისტემის მთელი რიგი დეგენერაციული დაავადებების დროს.

პარკინსონიზმის კლასიფიკაცია

I. პარკინსონის დაავადება (იდიოპათიური პარკინსონიზმი, პირველადი პარკინსონიზმი)

II. მეორადი პარკინსონიზმი (სიმპტომური)

1) მედიკამენტებით გამოწვეული (ნეიროლეპტიკები, ანტიემეტიკები, ანტიფა-მეთილდოფა, კალციუმის ანტაგონისტები, ლითიუმის პრეპარატები, სეროტონინის უკუმიტაცების ინჰიბიტორები და სხვ)

2) ტოქსიური (მეტპ, მანგანუმი, ნახშირბადნგრ, გოგირდწყალბადი, ციანიდები, მეთანოლი, ფოსფორორგანული ნაერთები, ნახშირბადჰიდროქლორიდები და სხვ)

3) პოსტენცეფალიური (მეორადი ბირთვის ბილატერალური ნეკროზი)

4) ენდოკრინული (ენდოკრინული ენდოკრინოპათიების ჰიპოგონადიზმი ნაკლები მოვლენები, ვირილიზაციის მწვავე სტადიაზე მომდგომი ჰიპერსექსი, შიდსი, ნეირობორელიოზი და სხვ)

5) ტრავმული (ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა, მოკრივეთა ენცეფალოპათია)

6) თავის ტვინის მოცულობითი პროცესით გამოწვეული (სიმსივნე, აბსცესი, გუმა, ტუბერკულომა ბაზალური განგლიების ან შავი სუბსტანციის არეში)

7) ჰიდროცეფალიით გამოწვეული (ობსტრუქციული ან ნორმოტენზიული ჰიდროცეფალიის დროს)

8) სისხლძარღვოვანი

- *ბაზალური განგლიების და/ან თალამის ნიცების ბილატერალური ინფარქტი*
- *ბაზალური განგლიების არეში უნილატერალური ინფარქტი ან ჰემორაგია*
- *მრავლობითი ლაკუნური ინფარქტები*
- *თეთრი ნივთიერების დიფუზური იშემიური დაზიანება (ბინსვანგერის დაავადება)*
- *ინფარქტი ან ჰემორაგია შუა ტვინის არეში*

III. პარკინსონიზმი ექსტრაპირამიდული დარღვევებით მიმდინარე სხვა ნეიროდეგენერაციული დაავადებების დროს (ატიპიური პარკინსონიზმი)

1) მრავლობითი სისტემური ატროფია

- *სტრიონიგრალური დეგენერაცია*
- *ოლივოპონტოცერებელური დეგენერაცია*

2) ჰოგკინსონ-დენის დაავადება (სტიდ-ჰირჩბერგ ოლშევსკის დაავადება)

3) კორტიკობაზალური დეგენერაცია

4) ლევის სხეულაკებიანი დემენცია

5) პარკინსონიზმი-გას-დემენცია

6) ვილსონის დაავადება

7) ჰენტინგტონის დაავადება (ვესტფალის იუვენილური ვარიანტი)

8) ფარის დაავადება (ბაზალური განგლიების იდიოპათიური კალცინოზი)

9) ნეიროაკანთოციტოზი

10) ჰალერფორდენ-ჰაგობის დაავადება

11) მარგარო-ჯოზეფის დაავადება

12) ჰალერვორდენ-შპატცის დაავადება

13) სეგავას დაავადება

14) X-შეჭიდული სინდრომი „პარკინსონიზმი-დისტონია“

15) პალიდური, სტრიოპალიდური და პალიდოლუისონიგრალური დეგენერაციები

16) ჰემიპარკინსონიზმი-ჰემიატროფია

17) პიკის დაავადება

18) კრუტცფელდ-იაკობის დაავადება

19) სხვ

ᲞᲐᲠᲙᲘᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ

ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ. პარკინსონის დაავადება (PD) პარკინსონიზმის სინდრომის შემთხვევათა 75-80% შეადგენს. დაავადება დედამინის ყველა ქონტინენტის მოსახლეობას შორის გვხვდება. მისი გავრცელება სხვადასხვა მონაცემებით შეადგენს 60-140 შემთხვევას ყოველ 100000 მოსახლეზე და პოპულაციის ასაკის მატებასთან ერთად იზრდება. 60 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებს შორის დაავადების მაჩვენებელია 1%, ხოლო 85 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებში 2,5%.

დაავადება ყველაზე ხშირად დებიუტირებს 50 წელზე უფროს ასაკში, ძალზე იშვიათია მისი დაწყება 40 წლის ასაკის შემდეგ. იშვიათად დაავადება 40 წელზე ახალგაზრდა ასაკში ვითარდება. უკიდურესად იშვიათია დაავადება 20 წლამდე ასაკში (იუვენილური პარკინსონიზმი). მამაკაცები ოდნავ უფრო ხშირად ავადდებიან,ვიდრე ქალები.

PD ეტიოლოგია გაურკვეველი ან არის. ეტიოლოგიური ფაქტორებად მიიჩნევენ: სიბერეს, გენეტიკურ წინასწარგანწყობას, გარემოს ფაქტორების ზემოქმედებას. დაავადებულთა დაახლოებით 15% აქვს PD-ს ოჯახური ანამნეზი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევებში საქმე გვაქვს გენეტიკურად განპირობებულ დაავადებასთან. შესაძლოა ადგილი აქვს გარემოს ერთნაირი ფაქტორების ზემოქმედებას. აღწერილია ოჯახები პარკინსონიზმის აუტოსომურ-დომინანტური შემთხვევებით, სადაც იდენტიფიცირებულია გენეტიკური დეფექტი. უნდა აღინიშნოს, რომ პარკინსონიზმის ოჯახური ვარიანტები ფენოტიპურად, გენოტიპურად და პათომორფოლოგიურად განსხვავდებიან ჰოგორც ერთმანეთისაგან, ასევე იდიოპათიური PD-საგან. ლრასიული PD-ს განვითარებაზე პასუხისმგებელი გენი იდენტიფიცირებული არ არის.

PD ეტიოლოგია გაურკვეველი არ არის. ეტიოლოგიური ფაქტორებად მიიჩნევენ: სიბერეს, გენეტიკურ წინასწარგანწყობას, გარემოს ფაქტორების ზემოქმედებას.

გარემოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს PD-საგან ლრმად განსხვავებული სინდრომი, არის მეთილ (იხ. ქვემოთ). შესაძლოა სხვა ჯერჯერობით არაიდენტიფიცირებული ფაქტორებიც ასხელებდნენ ხოლმე.

ჰოგორც ჩანს, ადგილი აქვს სხვადასხვაგვარი ფაქტორის კომპლექსურ მოქმედებას, რაც საბოლოო ჯამში მარი სუბსტანციის დოფამინერგული ნეირონების დაღუპვას იწვევს აპოპტოზის ან ნეკროზის ტიპით.

პათომორფოლოგიურად დადგენილია, რომ ყველაზე ხშირ დეგენერაციას განიცდიან მარი სუბსტანციის კომპაქტური ნაწილის ნეირონები (სურათი 21.7). აღინიშნება პიგმენტირებული ნეირონების დაღუპვა და მათი ჩანაცვლება გლიური ქსოვილით. მიავადი, ჯერ კიდევ ცოცხალი ნეირონი დეპიგმენტირებულია. დეგენერაციას განიცდიან აგრეთვე ცისფერი ღაქისა და ღეროს მიმდებარე უბნების ნეირონები.



ნახ. 21.7

მარი სუბსტანციის ნეირონების დეგენერაცია იწვევს მარი სუბსტანციის ჯაგშირის *(ნიგროსტრიატული გზის)* დარღვევას სტრიატუმთან – ჩენჩოსთან და უფრო ნაკლები ხარისხით ჯუჯინ ბირთვთან. კომპრომენტირებულია აგრეთვე ცისფერი ღაქიდან დიდი ჰემისფეროების ქერქისაკენ და სხვა უბნებისაკენ მიმავალი ნორადრენერგული ჯაგშირები. ნეირონთა დეგენერაცია აღინიშნება აგრეთვე სიმპათიკურ განგლიებში.


დაავადების მოგვიანებით სტადიებზე ადგილი აქვს მეინერტის ბირთვის ნეირონების დეგენერაციას ხაც ქერქული ასეტილქოლინური ჰიპოქსიების დახარისხებას იწვევს.

PD-სათვის დამახასიათებელი ჰისტომორფოლოგიური მახასიათებელია ***ლევის სხეულაკები*** ხომლებიც ძირითადად კონცენტრირებულია მარი სუბსტანციის ნეირონებში. (სურათი 21.8). ლევის სხეულაკები შეიცავენ სფინგომიელინს და ნეირონოფიბრილების დეგრადაციის შედეგს წარმოადგენენ. მარ სუბსტანციასა და ცისფერ ღაქაში აღმოჩენილია აგრეთვე ე.წ. მკრთალი სხეულაკები – უკრედშიდა გარანულარული ჩანართები, რომლებიც დაშლილ მელანინს ჩაანაცვლებენ. შესაძლოა ისინი ლევის სხეულაკების წინამორბედე-

PD-სათვის დამახასიათებელი ჰისტომორფოლოგიური მახასიათებელია *ლევის სხეულაკები* ხომლებიც ძირითადად კონცენტრირებულია მარი სუბსტანციის ნეირონებში.

ბი არიან. არცერთი სხვა ნეიროდეგენერაციული დაავადების დროს მკრთალი სხეულაკები აღმოჩენილი არ არის.

PD ე.წ. *სინუკლეინოპათიებს* მიეკუთვნება. აღფა-სინუკლეინი არის ნორმალური ცილა, რომლის ერთ ერთი ფუნქციაა ნიგროსტრიატულ ნეირონებში დოფამინისშემცველი ვეზიკულების პრესინაფსური მემბრანისაკენ ტრანსპორტირება. PD დროს აღფა-სინუკლეინის ანომალიის გამო მისი მოლეკულების პათოლოგიური აგრეგაცია ხდება.



ნახ. 21.8 ლევის სხეულაკები

სიმპტომატოლოგია. PD-სათვის დამახასიათებელია ზემოთაღნერილი პარკინსონიზმის სინდრომის ყველა გამოვლინება. დაავადების დებიუტში შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში სიმპტომები (ჰიპოკინეზია და/ან რიგიდობა და/ან ტრემორი) მოიცავს ერთერთ კიდურს, უფრო ხშირად მარჯვენა ხელს. შემდგომში სიმპტომები თანამოსახელე მხარის მეორე კიდურზე ვრცელდება. ამას ჰემიპარკინსონიზმის სტადია ენოდება. შემდგომში პროცესში აქსიალური კუნთები და კონტრაქტურული კიდურები ჩაერთვება. დაავადების მოგვიანებით სტადიაზე ადგილი აქვს პოსტურულ დარღვევებს. ქვემოთ მოყვანილია PD კლინიკური სადიაგნოზო კრიტერიუმები.

✓ პარკინსონის დაავადების სადიაგნოზო კრიტერიუმები (1992., Hughes)

1. ჰიპოკინეზია და შემდეგი სიმპტომებიდან ერთერთის არსებობა: რიგიდობა, მოსვენების ტრემორი 4-6 ჰც, პოსტურული დარღვევები.

2. ლევოდოპას მყარი დადებითი ეფექტი

3. დაავადების ასიმეტრიული დებიუტი (ჰემიპარკინსონიზმის სტადია)

4. პროგრესირებადი მიმდინარეობა

5. ანამნეზში შესაძლო მეორადი პარკინსონიზმის მიზეზების არარსებობა (ნეიროლეპტიკების მიღება, დანამდვილებით გადატანილი ენცეფალიტი, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა, განმეორებითი ან მძიმე ჭრილობა-ტვინის ტრავმები)

6. შემდეგი სიმპტომების არარსებობა:

ა) დაავადების ყველა სტადიაზე

- ✓ *გამოხატული ნათხემის ან/და პირამიდული სიმპტომატიკა*
- ✓ *მხედველობის სუპრანუკლეარული დამბლა*
- ✓ *ოკულოგირული კრიზები*

ბ) დაავადების გვიანდელ სტადიებზე

- ✓ *ადრეული პოსტურული დარღვევები*
- ✓ ადრეული პროგრესირებადი ვეგეტატიური უკმარისობა
- ✓ ადრეული დემენცია

განასხვავებენ PD სამ კლინიკურ ვარიანტს: აკინეტიკო-რიგიდული ფორმა (ტრემორის გარეშე), კანკალა ფორმა (იზოლირებული მოსვენების კანკალი) და შერეული ფორმა (აღინიშნება აკინეზია, რიგიდობა და მოსვენების ტრემორი). ეს დაყოფა პირობითია, რადგან შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში აკინეტიკო-რიგიდული და კანკალა ფორმები გვიან შერეულ ფორმებად ყალიბდებიან. PD-ს მიმდინარეობაში გამოყოფენ რამოდენიმე სტადიას. ღრმადღეობით ფართოდ იხმარება PD სტადიურობის ჰენისა და იარის სკალა მოდიფიცირებული Lindvall et al (1989) და Tetrud, Langstone (1989) მიერ.

1,0 სტადია – სინდრომის ცალმხრივი გამოვლინებები (ჰემიპარკინსონიზმი)

1,5 სტადია – ცალმხრივი გამოვლინებები აქსიალური კუნთების პროცესში ჩართვით

2,0 – ორმხრივი გამოვლინებები პოსტურული არამდგრადობის გარეშე

2,5 – ორმხრივი გამოვლინებები, პოსტურული არამდგრადობა, რომლის დაძლევის უნარი პაციენტს აქვს

3,0 - იგივე, მაგრამ პერიოდულად ესაჭიროება დახმარება

4,0 – მოძრაობის უნარის მძიმე შეზღუდვა, მაგრამ „კარგ" დღეებში (ან საათებში) შეუძლია დაეხმარებლად დგომა ან სიარული.

5,0 – დახმარების გარეშე მიჯაჭვულია ღოგინს ან სავარძელს

PD-ს ღროს პაციენტთა 10-25% აღენიშნება დემენცია. უფრო ხშირია მსუბუქი ჯოგნიტიური დარღვევები, რომელიც დემენციის ხარისხს არ აღწევს. დემენცია უმეტესად ასაჯოვან ავადმყოფებში გვხვდება. დემენცია შეიძლება გამოვლინდეს ან გაღრმავდეს ანტიქოლინერგული პრეპარატების მიღებისას. თუ დემენცია სწრაფად ვითარდება, მძიმე ხარისხს აღწევს და ჯენიჯურ სურათში პირველ ადგილზე გამოდის, PD დიაგნოზი გადახედვას საჭიროებს, რადგან ჯოგნიტიური დარღვევების განვითარების ასეთი პატერნი PD-სათვის დამახასიათებელი არ არის.

PD-ს ღროს დაავადებულთა უმრავლესობას მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის დეპრესია აღენიშნება. შესაძლოა შემთხვევათა ნაწილში იგი ატარებს რეაქტიულ ხასიათს – არის პაციენტის რეაქცია ქრონიკულ მოტორულ დეფექტზე. მეორეს მხრივ არსებობს მრავალი მტკიცებულება იმისა, რომ PD ღროს დეპრესია თავის ტვინის ორგანული დაზიანების შედეგია.

ლევოდოპას პრეპარატებით ან დოფამინის რეცეპტორთა აგონისტებით ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ დაავადებულთა 10-30%-ს უვითარდება ილუზიები და ჰალუცინაციები, შესაძლოა პარანოიდალური ფსიქოზი. ფსიქოტური დარღვევების განვითარების რისკი მით მეტია, რაც უფრო ხანგრძლივია დაავადება და რაც უფრო ასაჯოვანია პაციენტი. რისკის ფაქტორებია აგრეთვე თანმხლები დემენცია და ანტიქოლინერგული პრეპარატებით მკურნალობა.

დამახასიათებელია ვეგეტატიური დარღვევები – ჰიპერუზელი ოფლიანობა, სხის პერიოდული ჰიპერემია, ჯანის მოჭარბებული ცხიმიანობა. სხვა ვეგეტატიური დარღვევებიდან აღსანიშნავია ყაბზობა, ორთოსტატული ჰიპოტენზია, შარდვის ფუნქციის დარღვევა. ეს უკანასკნელი იმპერატიული მოთხოვნების, გახშირებული შარდვის და შარდის პერიოდული შეუკავებლობის სახით ვლინდება, რაც უპირატესად ღამის საათებში აღინიშნება. ამ სიმპტომებს საფუძვლად უდევს „ჰიპერრეფლექსიური შარდის ბუშტის სინდრომის“ ნარისხარობა. მამაკაცების 2/3 აღენიშნება ერექციის დისფუნქცია. PD შემთხვევათა უმრავლესობაში აღინიშნება *ყნოსვის დაქვეითება*.

მოტორული ფლუქტუაციები და დისკინეზიები. მოტორული ფლუქტუაციები ენოდება მოძრაობის უნარის მერყეობას, ხოლო დისკინეზიები ჭარბ, ზედმეტ, უნებლიე მოძრაობებს. ეს მოვლენები უკავშირდება შავი სუბსტანციის ნეირონების პრეგანგლიონურად დეგენერაციას და ლევოდოპას პრეპარატების ხანგრძლივი მიღების შედეგად დოფამინური რეცეპტორების მგრძნობელობის ცვლილებას.

მოტორული ფლუქტუაციები ენოდება მოძრაობის უნარის მერყეობას, ხოლო დისკინეზიები ჭარბ, ზედმეტ, უნებლიე მოძრაობებს.

ლევოდოპას პრეპარატებით მკურნალობის დაწყებიდან საშუალოდ პირველი 5 წლის განმავლობაში PD დაავადებული ადამიანის მდგომარეობა მთელი ღლის მანძილზე სტაბილურად გაუმჯობესებულია (ოგორც წესი, დაავადების ამ ეტაპზე პრეპარატი მოქმედებს ღლეში სამჯერ). აღნიშნულ პერიოდს ხატოვნად უწოდებენ „ლევოდოპასთან თაფლობის თვეს“. შემდგომში ხდება პრეპარატის მოქმედების ხანგრძლივობის შემცირება, ამის გამო პრეპარატის მომდევნო დოზის მიღებამდე წინა მიღებული დოზის მოქმედება სუსტდება და პაციენტს დაავადების სიმპტომები (აკინეზია, რიგიდობა, ტრემორი) უძლიერდება. ამას ენოდება „დოზის გამოფიტვის ფენომენი“, ან „დოზის ბოლოს აკინეზია“.

პრეპარატით მკურნალობის დაწყებიდან 7-8 წლის შემდგომ ხდება პრეპარატის მოქმედების ხანგრძლივობის შემცირება, ამის გამო პრეპარატის მომდევნო დოზის მიღებამდე წინა მიღებული დოზის მოქმედება სუსტდება და პაციენტს დაავადების სიმპტომები (აკინეზია, რიგიდობა, ტრემორი) უძლიერდება. ამას ენოდება „დოზის გამოფიტვის ფენომენი“, ან „დოზის ბოლოს აკინეზია“.

ჰემატოენცეფალური ბარიერის გადალახვის შემდეგ, მიკროორგანიზმი ხვდება თავზურგ-ტვინის სითხეში. ამ სტადიის შემდეგ აღინიშნება ტიპიური ანთებითი რეაქცია ღრძოსში პოლიმორფონუკლეარული უჯრედების დიდი რაოდენობით გადასვლით, რომელიც ამის შედეგად ხდება მღვრიე ან ჩირქისმაგვარი შესახედაობის. ანთებითი რეაქცია განსაკუთრებით ინტენსიურად არის გამოხატული ბაზალურ ცისტერნებში და თავის ტვინის კონვექსიტალურ ზედაპირზე. ბრილი და ქსელისებრი გარსებში ვითარდება შეგუბება, შემღვრევა და ექსუდატი თანდათანობით ხდება ფიბრინოზულ-ჩირქოვანი. ანთება აღწევს ქერქის I და II შრეში და მოიცავს ქერქის ვენებს. შედეგად ვითარდება ქერქული თრომბოფლებიტი თანმხლებული თრომბოზით და ინფარქტით. მწვავე ანთებით რეაქციას მოსდევს გარსების გასქელება, ფიბროზი და ტვინის ნივთიერებასა და გარსებს შორის არეზრის ჩამოყალიბება. ყოველივე აღნიშნული ინვევს ღრძოს ცირკულაციის მოშლას და თავის ტვინის ბაზალურ ზედაპირზე კანიული ნერვების გარშემო ნაწიბურის ჩამოყალიბებას.


➡ ეტიოპათოგენეზი: პათოგენეზი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
- სუბარაქნოიდულ სივრცეში შეღწევა
- ღრძოში შეღწევა
- ანთებითი რეაქცია
- ჩირქოვან-ფიბრინოზული ექსუდატის გაჩენა
- გარსების დაზიანება (გასქელება, ფიბროზი, არეზრია)
- ღრძოჰოცირკულაციის მოშლა
- ნაწიბურის ფორმირება


სიმპტომატოლოგია: მენინგიტის კარდინალური ნიშანია კისრის კუნთების რიგიდობა და მტკივნეულობა, კერნიგის ნიშანი, ბრუძინსკის ნიშანი, მაღალი ტემპერატურა და ზოგადი ჰიპერესთეზია. კერნიგის ნიშანი მდგომარეობს შემდეგში: ძნელდება პაციენტის ფეხის გაშლა მუხლის სახსარში, როდესაც იგი მოხრილია მუხლის და მენჯ-ბარძაყის სახსრებში. ფეხის გაშლას ხელს უშლის ტკივილი ნელის და ბარძაყის უკანა ნაწილებში. ბრუძინსკის ნიშანი გულისხმობს თავის პასიური მოხრისას ორივე ფეხის მოხრას მუხლის და მენჯ-ბარძაყის სახსრებში. ჩირქოვანი მენინგიტის დროს შესაძლოა განვითარდეს სტუპორი ან კომა, კანიული ნერვების დაზიანება, ოპისტოტონუსი, გულყრები (განსაკუთრებით ხშირად 18 თვემდე ასაკის ბავშვებში). მხედველობის ნერვის დვრილის შეშუპება იშვიათია და იგი მიუთითებს ტვინის აბსცესის, სუბდურული ემპიემის, ან ვენოზური სინუსების თრომბოზის არსებობაზე.

➡ სიმპტომატოლოგია:
- კისრის კუნთების რიგიდობა და მტკივნეულობა
- კერნიგის ნიშანი
- ბრუძინსკის ნიშანი
- მაღალი ტემპერატურა
- ზოგადი ჰიპერესთეზია
- ზოგჯერ ცნობიერების დარღვევები, კანიული ნერვების დაზიანება, ოპისტოტონუსი, გულყრები

დიფერენციული დიაგნოზი: მენინგიტის დიფერენციული დიაგნოზის ემყარება მისი სხვადასხვა ფორმის დიფერენცირებას, ანუ ბაქტერიული, ვირუსული, ტუბერკულოზური ან სოკოვანი ეტიოლოგიის მენინგიტების ძირითადი განმასხ-

ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲛᲔᲜᲘᲜᲒᲘᲢᲘᲡ ᲛᲙᲣᲜᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲒᲝᲠᲘᲗᲛᲘ





ვავებელი მაჩვენებლების ანალიზს. მათი დიფერენცირება ხდება ღიპოთის მაჩვენებლების მიხედვით.

მიმდინარეობა: დაავადება შესაძლოა გამოვლინდეს ელვისებური მიმდინარეობით, როდესაც პაციენტის მდგომარეობა აღწევს მაქსიმალურ სიმძიმეს პირველი 24 საათის განმავლობაში. უფრო ხშირია შედარებით ნელი მიმდინარეობა სიმპტომების პროგრესირებით რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში. საერთოდ, სწრაფი პროგრესირებით მიმდინარე ფორმები პროგნოზის თვალსაზრისით, ნაკლებად ხელსაყრელია. ადეკვატური მკურნალობის დანყებისთანავე, ტემპერატურის მაჩვენებლები მცირდება და 72 საათში ღიპოთში პოლინუკლეარული უჯრედებს ჩანაცვლება მონონუკლეარული უჯრედები. მწვავე რინოგენული მენინგიტის დროს სიყრუე ნარმოადგენს ყველაზე ხშირ ნეზიდუალურ დეფიციტს.

ადეკვატური ანტიბიოტიკოთერაპიის დანყებიდან 7 დღის შემდეგ განვითარებული ცხელების ყველაზე ხშირი მიზეზები მოყვანილია 3 ცხრილში.

ადეკვატური ანტიბიოტიკოთერაპიის დანყებიდან 7 დღის შემდეგ განვითარებული ცხელების ყველაზე ხშირი მიზეზები

1. ანტიბიოტიკების ინტრავენური გამოყენებით გამონვეული ფლებიტი
2. ინტრაკრანიალური, ღრძილებში შეძენილი ინფექცია ან სპეციფიური ღოკალიზაციის მქონე ინფექციის რესისტენტობა (მაგ; შუა ყურის ოტიტი)
3. მიმდინარე ცერებრული აბსცესი
4. ნამლისმიერი ცხელება
5. სუბდურალური გამონაღენი
6. სუბდურალური ემპიემა
7. ვენტრიკულიტი

ცხრილი 24.2 სხვადასხვა ეტიოლოგიის მენინგიტების ღვძლისებური პუნქციის მაჩვენებლები

	ნორმა	ჩირქოვანი	ვირუსული	ტუბერკულოზური
წნევა	70-120მმ/ვ.წყ.სვტ	250-700მმ/ვ.წყ.სვტ	70-120მმ/ვწყ.სვტ	200-450მმ/ვ.წყ.სვტ
შესახედაობა	გამჭვირვალე	მღვრიე	გამჭვირ/ოპალესცირებული	გამჭვირვ/ოპალესცირ
უჯრედები	0-5/მმ3	5-2000/მმ3	5-500/მმ3	5-1000/მმ3
უჯრედთა ტიპები	ლიმფოციტები	პოლიმორფული	ლიმფოციტები	ლიმფოციტები
ბლუკოზა	2,2-3,3მმოლ/ლ*	დაბალი	ნორმა†	დაბალი
ცილა	200-400მგ/ლ	>900მგ/ლ	400-900მგ/ლ	>1გ/ლ
სხვა ტესტები		ბაქტერიოსკოპიის ნესით შეღებვისას; ბაქტერიული ანტიგენის აღმოჩენა PCR მეთოდით შეღებვისას		ბაქტერიოსკოპიის ნესით ან ფლუორესცენტული

* სისხლში მისი შემცველობის დაახლოებით 60%

** შეიძლება იყოს დაბალი ყბაყუჭას ვირუსით გამოწვეული მენინგიტის დროს

გართულებები:

1. ანტიდიურიული ჰორმონის არაადეკვატური სეკრეცია. იგი აღინიშნება ბაქტერიული მენინგიტის 80%-ში. მას ახასიათებს სისხლის შრატში Na+ დონის დაქვეითება, შარდში მისი კონცენტრაციის მომატება, შარდის ოსმოლარობის მომატება.

2. სუბდურული გამონადენი. იგი აღინიშნება ახალშობილთა და ბავშვთა 32%-ში. მის არსებობაზე ეჭვის მიტანა ხდება, როდესაც ადგილი აქვს განმეორებით ღებინებას, ცხელებას, ყოფილბანდის პულსაციას, თავის ქალას ზომაში მომატებას, ან გულყრებს. დიაგნოსტირება ხდება CT ჯვედვით, ასევე გამონადენის ანალიზით. თუ ცილის შემცველობა ნაკლებია 100 მგ%-ზე, მაშინ სითხე სუბდურული გამონადენი არ არის.

3. აბსცესი. ფოკალური ნევროლოგიური ნიშნების ჰიპერგენერირება ან ინტრაქრანიული წნევის მომატება შეიძლება მიუთითებდეს ტვინის აბსცესის არსებობაზე.

4. სისხლძარღვშიდა შედედების სინდრომი. იგი ხშირია მენინგოკოკური ან გრამ-ნეგატიური მენინგიტების დროს და ახასიათებს პურპურა, პეტექია და ჰიპოტენზია. დიაგნოზი ისმება დაბალი ფიბრინოგენის, გახანგრძლივებული პროთრომბინის დროის და თრომბოციტების ნორმალური რაოდენობის შემცირების საფუძველზე.

5. ჰიდროცეფალია. გარსებსა და ტვინის ნივთიერებას შორის შეხორცებების გაჩენა ინვევს ლიქვორის ცირკულაციის ბლოკირებას და შედეგად ჰიდროცეფალიის ან სუბარაქნოიდული სპისტის ჩამოყალიბებას. მისი დიაგნოსტირება ხდება ლიქვორში გლუკოზის დაბალი შემცველობის და ბავშვებსა და ახალშობილებში თავის ქალას ზომაში მომატების საფუძველზე. ჰიდროცეფალია ქრება ინფექციის ადეკვატური მკურნალობის შემთხვევაში.

6. სუბდურული ემპიემა. სუბდურულ სივრცეში ანთებითი პროცესის და ინფექციის გავრცელების შემთხვევაში ინვევს სუბდურული ემპიემის ჩამოყალიბებას. იგი იშვიათი გართულებაა და მისი დიაგნოსტირება ხდება CT ან MRI ჯვედვით.

7. ვენტრიკულიტი. ვენტრიკულიტის არსებობაზე ეჭვის მიტანა ხდება ბავშვებში, როდესაც ისინი არ ემორჩილებიან ადეკვატურ ანტიბიოტიკოთერაპიას. იგი განსაკუთრებით ხშირია გრამ-ნეგატიური მენინგიტის მქონე ახალშობილებში. დიაგნოსტირება ხდება პარკუჭების პუნქციის გზით. მკურნალობა გულისხმობს ანტიბიოტიკების ინტრავენტრიკულურ მიღებას.

დიაგნოსტიკა:

♦ ღვმბაღუჩი პუნქცია. ღვმბაღუჩი პუნქცია წარმოადგენს მენინგიტის დიაგნოსტიჩების აუცილებელ დიაგნოსტიკურ მეთოდს. თავზურ-ტვინის სითხის ცვლილებები მენინგიტის სხვადასხვა ფორმის დროს მოწოდებულია ცხრილში. პრობლემატურია, *როდესაც ღიქვორის ანალიზით დასტრდება ბაქტერიული ეტიოლოგია, მაგრამ გრამის წესით შელებვისას, მიკროორგანიზმის აღმოჩენა ვერ ხერხდება*. მისი ძირითადი მიზეზია პაციენტის მიერ სპონტანურად ჩატარებული არაადეკვატური ანტიბიოტიკოთერაპია. ძალზე მნიშვნელოვანია ბაქტერიული ანტიგენის გამოვლენა იმუნოელექტროფორეზით, ლატექს აგლუტინაციით ან ენზიმ-დაკავშირებული იმუნოსორბენტის შეფასების მეთოდების გამოყენებით (ELISA). პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქცია (PCR) მნიშვნელოვანია ბაქტერიული დნმ-ის აღმოსაჩენად.

24.1 ღვმბაღუჩი პუნქცია



ღვმბაღუჩი პუნქციის ჩარმოებისას მთავარია პაციენტის სწორი პოზა შევუჩარჩიოთ. ჯერჯერობით, პაციენტის თავი და პუნქციის ჩარმოების ადგილი ერთ სიბრტყეში უნდა იმყოფებოდეს. ასევე ერთ ხაზზე უნდა იყოს მხრები, ჩალთა თავიდან იწყას აცილებული მაღების ერთმანეთის მიმართ შეჩარიაება. პაციენტს მაქსიმალურად უნდა მოვუხარხოთ ჯისური და ფეხები და შევაცალოთ ჩაკ შეიძლება ერთმანეთს მივუახლოვოთ პაციენტის შუბლი და მუხლები. პუნქციის ჩატარების ადგილის განსაზღვრის ორიენტირს წარმოადგენს წარმოსახვითი ხაზი, რომელიც აერთებს თეძოს ძვლების ქედებს. ეს ხაზი ჩვეულებრივ გაივლის წელის მეოთხე მალის დონეზე. პუნქცია უნდა ჩატარდეს ამ ნეჩტილიდან ერთი სეგმენტით მაღლა ან დაბლა.

საპუნქციო ასრის სადეზინფექციო ხსნარით დამუშავების და ადგილობრივი ანესთეზიის წარმოების შემდეგ 8-10 სმ სიგრძის სპეციალური მანდრენიანი ნემსით ხდება პუნქციის წარმოება. ნემსი შებღვყავს მკაცრად შუა ხაზზე, თავის მიმართ 30° კუთხით. ნემსი გაივლის ოგოგონა აპონევროზს და მოხვდება სუბარაქნოიდულ სივრცეში. მანდრენის ამოღების შემდეგ ნემსიდან ნვეთნვეთად გამოვა თავზურჩაგტვინის სითხე

♦ სისხლის კულტურის გამოკვლევა. იგი დადებითია შემთხვევათა 50%-ში.

♦ ჩენტგენოგრაფია. იგი გამოიყენება გულმკერდის, თავის ქალას, დვრილისებრი მოჩრის და პარანაზალური მიდამოების გამოკვლევისათვის. ამ დაავადების ფინალი ყოველთვის ღრმაულია.

♦ მოტეხილობის, სინუსიტის, მასტოიდიტის გამორიცხვა, რადგან ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ ინფექციის წყაროს.

♦ ღიქვორში ფერმენტების ანალიზი. მომატებული რაოდენობით აცილ-დეჰიდროგენაზას იზოფერმენტი 4 და 5, და მომატებული გლუტამინ-ოქსალოცეტ-ტრანსამინაზა აღინიშნება ბაქტერიული მენინგიტის დროს. C რეაქტიული ცილას ღიქვორში ნახულობენ მწვავე ბაქტერიული და ტუბერკულოზური მენინგიტის დროს, მაგრამ იგი ყოველთვის ნეგატიურია ვირუსული (ასეპტიური) მენინგიტის შემთხვევაში.

♦ MRI ან CT გამოკვლევა. შეიძლება აღმოჩნდეს სუბდურალური ემპიემა, თავის ტვინის აბსცესი ან ინფარქტი. MRI კვლევით, T_2 რეჟიმში, თავის ტვინის ღრილში, როდესაც იგი ჩართულია პათოლოგიურ პროცესში, ნახულობენ მაღალი ინტენსივობის უბნებს.

მკურნალობა: პირველ ეტაპზე ანტიბიოტიკების შერჩევა ხდება ემპირიულად, პაციენტის ასაკის და ეტიოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. შემდეგ ღიქვორის ანალიზის, გრამის მეთოდით შელებვის შედეგად მიღებული მონაცემების და ანტიბიოტიკების მიმართ მგრძნობელობის გამოკვლევის საფუძ-

მკურნალობა: მკურნალობის ძირითადი პრინციპი ემყარება ანტიბიოტიკების შერჩევას ღიქვორის ანალიზის, გრამის მეთოდით შეღებვის შედეგად მიღებული მონაცემების და ანტიბიოტიკების მიმართ მგრძნობელობის გამოკვლევის საფუძველზე. (იხილეთ ცხრილი 3). მკურნალობის ეფექტურობის დასადგენად შესაძლებელია განმეორებითი ღუმბაღური პუნქციის ჩატარება. ღიქვორი უნდა გახდეს სტერილური ადეკვატური ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყებიდან 24 საათის შემდეგ, ხოლო ციტოზის და ნეიტროფილების ნიღის შემცირება ხდება 3 დღე-ღამის განმავლობაში. არსებობს მოსაზრება ანტიბიოტიკოთერაპიასთან კომბინაციაში კორტიკოსტეროიდების გამოყენების შესახებ. დადგინდა, რომ ბავშვებში, H. influenaza-თი გამოწვეული მენინგიტების დროს, ისინი ამცირებენ სმენის დაქვეითებას და სხვა ნევროლოგიურ სიმპტომატიკას. ამიტომ, 2 თვეზე უფრო ხანდა ასაკის ბავშვებში, რეკომენდირებულია ინტრავენურად დექსამეტაზონის დანიშვნა, დოზით 0,15 მგ/კგ-ზე ყოველ 6 საათში ანტიბაქტერიული მკურნალობის დაწყებიდან პირველი 4 დღის განმავლობაში. დექსამეტაზონი აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ მოზრდილებში, რომელთაც ალერგიშენებათ ინტრაკანალური პენიცილინია და ღიქვორში დადებითი პასუხი გრამის წესით ნაცხის შეღებვის დროს.

პროგნოზი: პაციენტთა 10-20%-ში გამოსავალი ლეტალურია. მათ ძირითად ნაწილს შეადგენენ ახალშობილები. ცუდი პროგნოზის მაჩვენებლებია:

- ✓ ახალშობილობის პერიოდი და ხანშიშესული ასაკი
- ✓ დაგვიანებული და არაადეკვატური ანტიბიოტიკოთერაპია
- ✓ თანმხლები სისტემური დაავადება
- ✓ გამოხატული ლეიკოციტოზის არარსებობა
- ✓ ცხელების მაღალი მაჩვენებლები
- ✓ არტერიული ჰიპოტენზია (მოზრდილებში სისტოლური წნევა ნაკლები 100 მმ. ვ.წყღ. სვეტი, ხოლო ბავშვებში ნაკლები 70 მმ. ვ. წყღ. სვეტზე.
- ✓ გულყრები
- ✓ კომა
- ✓ თრომბოციტოპენია

24.3 ᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲜᲘᲜᲒᲘᲢᲘᲡ ᲔᲛᲞᲘᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

პაციენტის ასაკი	ანტიმიკრობული თერაპია
0–4 კვირა	Cefotaxime + ampicillin
4–12 კვირა	მესამე თაობის ცეფალოსპორინი + ampicillin + dexamethasone
3 თვე–18 წელი	მესამე თაობის ცეფალოსპორინი +vancomycin ± ampicillin
18–50 წელი	მესამე თაობის ცეფალოსპორინი +vancomycin ± ampicillin
50 წელი	მესამე თაობის ცეფალოსპორინი +vancomycin+ ampicillin
იმუნოკომპრომენტირებული მდგომარეობა	Vancomycin + ampicillin da ceftazidime
ქალა-ფუძის ძვლების მოტეხილობა	Third-generation cephalosporin +vancomycin
თავის ტრავმა ნეიროქირურგიული ჩარევა	Vancomycin + ceftazidime
თავსხამა-ტვინის სითხის შუნტი	Vancomycin + ceftazidime

ᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲜᲘᲜᲒᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ

NEISSERIA MENINGITIDIS (მენინგოკოკი)

განსაზღვრება: მენინგოკოკული მენინგიტის წარმოადგენს გრამ-უარყოფითი დიპლოკოკით გამოწვეული თავის ტვინის გარსების ანთებით მიმდინარე დაავადებას.

ეპიდემიოლოგია: წარმოადგენს მენინგიტის ყველაზე ხშირ ფორმას, რომელიც უპირატესად ზამთრის პერიოდში ვითარდება. იგი შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ ასაკში, მაგრამ ყველაზე ხშირია ბავშვებში და ახალგაზრდა ასაკის

24.4 ბაქტერიული მენინგიტის მკურნალობა ბამომწვევის მიხედვით

გრუპირებანიზმი	თერაპია	ალტერნატიული მკურნალობა
ბაკტერია *Haemophilus influenza* β-lactamase-უარყოფითი β-lactamase-დადებითი	Ampicillin მესამე თაობის ცეფალოსპორინი*	მესამე თაობის ცეფალოსპორინი*; chloramphenicol Chloramphenicol; cefepime
Neisseria meningitidis	Penicillin G ან ampicillin	მესამე თაობის ცეფალოსპორინი*; chloramphenicol
Streptococcus pneumonia Penicillin MIC** 0.1g/mL (sensitive) Penicillin MIC 0.1–1.0 g/mL (intermediate sensitivity) Penicillin MIC 2.0 g/mL (highly resistant)	Penicillin G ან ampicillin მესამე თაობის ცეფალოსპორინი* Vancomycin + მესამე თაობის ცეფალოსპორინი	მესამე თაობის ცეფალოსპორინი*: chloramphenicol; vancomycin plus rifampin Vancomycin; meropenem Meropenem
ენტერობაქტერია	მესამე თაობის ცეფალოსპორინი*	Meropenem; fluoroquinolone***; trimethoprim/ sulfamethoxazole, ან cefepime
Pseudomonas aeruginosa	Ceftazidime or cefepime ***	Meropenem; fluoroquinolone***; pipericillin
Listeria monocytogenes	Ampicillin ან penicillin G***	Trimethoprim/sulfamethoxazole
Streptococcus agalactiae	Ampicillin ან penicillin G***	
Staphylococcus aureus Methicillin-მგრძნობიარე Methicillin-ჰეზისტენტული	Nafcillin or oxacillin Vancomycinc	Vancomycin Linezolid, quinupristan-dalfopristan, daptomycin****
Staphylococcus epidermidis		Vancomycinc****

*cefotaxime ან ceftriaxone

**Penicilin MIC- penicillin-მინიმალური მაინჰიბირებელი კონცენტრაცია minimal inhibitory concentration

*** შესაძლებელია საჭირო გახდეს ამინოგლიკოზიდის დამატება

****Linezolid, quinupristan-dalfopristan, daptomycin წარმოადგენენ მეტიცილინ-ჰეზისტენტული სტაფილოკოკური ინფექციის მკურნალობის ახალ ალტერნატიულ პრეპარატებს, მაგრამ მათი მოქმედება მხოლოდ მცირეოდენი კვლევებით არის დასტურებული.

***** შესაძლებელია საჭირო გახდეს rifampicin-ის დამატება

პირებში. არსებობს მენინგოკოკის ცხრა სხვადასხვა სეროჯგუფი; ჯგუფი B ყველაზე ხშირი სეროჯგუფია, ხოლო ჯგუფი C, A და W135 -ი იშვიათი სეროჯგუფებია.

სიმპტომატოლოგია: გამომწვევი შესაძლოა ცხვირ-ხახაში ასიმპტომურად არსებობდეს. მისი გავრცელების გზაა ჰაერ-წვეთოვანი. მტარებლობის სიხშირე საერთო პოპულაციის დაახლოებით 10%-ს შეადგენს, მაგრამ ბაქტერიემია და მენინგიტი მხოლოდ მცირე ნაწილში ვითარდება. ამ ფორმის მენინგიტს ახასიათებს უეცარი დასაწყისი და ჯომატოზურ მდგომარეობამდე ცნობიერების დაქვეითების სწრაფი პროგრესირება. *მენინგიტი ყოველთვის წარმოადგენს ბაქტერიემიული პროცესის ნაწილს და პაციენტთა 2/3-ს აქვს დამახასიათებელი გამონაყარი (ჰოგორც წვრილი ერითემატოზული ან მაკულარული სანყის სტადიებზე., ხოლო შემდეგ პეტექიური ან პურპურა).* მწვავე ეღვისებრ მენინგოკოკცემიას, ხშირად მენინგიტი გარსების ანთების გარეშე, ახასიათებს ჯანის გავრცელებული დაზიანება, სისხლძარღვშიდა შედედების სინდრომი და გულსისხლ-

24.5 ანტიმიკრობული თერაპიის ჩატარებული დროზე თირკმელების და ღვიძლის ნორმალური ფუნქციის მქონე პაციენტებში*

ანტიმიკრობული პრეპარატი	დღიური დოზა	მიღებას შორის შუალედი
Amikacin**	15 მგ/კგ	8 საათში ერთხელ
Ampicillin	12 გ	4 საათში ერთხელ
Cefepime	4–6 გ	8–12 საათში ერთხელ
Ceftazidime	6 გ	8 საათში ერთხელ
Ceftriaxone	4 გ	12–24 საათში ერთხელ
Chloramphenicol	6 გ	6 საათში ერთხელ
Ciprofloxacin	800–1200 მგ	12 საათში ერთხელ
Gentamicin *b*	5 მგ/კგ	8 საათში ერთხელ
Linezolid	1200 მგ	12 საათში ერთხელ
Meropenem	3–6 გ	8 საათში ერთხელ
Nafcillin	9–12 გ	4 საათში ერთხელ
Oxacillin	9–12 გ	4 საათში ერთხელ
Penicillin G	24 მლნ ერთეული	4 საათში ერთხელ
Quinupristan-dalfopristan	22.5 მგ/კგ	8 საათში ერთხელ
Rifampin	*e* 600 mg	24 საათში ერთხელ
Tobramycin	5 მგ/კგ	8 საათში ერთხელ
Trimethoprim/sulfamethoxazole	20 მგ/კგ	6–12 საათში ერთხელ
Vancomycin	2–3 გ	6–12 საათში ერთხელ


*ანტიმიკრობული თერაპია გამოიყენება ინტრავენურად, თუ არ არის მითითებული სხვა გზა
**მენინგიტების მკურნალობისას ამინოგლიკოზიდები ზოლიხებულად არ გამოიყენება

ძირითა მნვავე ჯმარისობით შედეგად განვითარებული ციკულატორული ჯოლფსი. ეს არის *უოტერჰაუზ-ფრიდერიქსენის (Waterhouse-Friderichsen)* სინდრომი. ამ დროს შეიძლება განვითარდეს სახსრების, მიოკარდიუმის და ფილტვების მეტასტაზური ინფექცია. *თუ პაციენტს არ აღენიშნება სისხლძარღვოვანი ჯოლფსი, მენინგოკოკცემიური მენინგიტის დროს ნევროლოგიური გართულებები იშვიათად ვითარდება და პროგნოზი ჯეთილსაიმედოა,* დაავადების დაწყებიდან 10-14 დღეს აღინიშნება იმუნური მექანიზმებით განპირობებული ჰაქტიური ართრიტი, პერიკარდიტი და ცხელება.


დიაგნოსტიკა: იგი ემყარება ლიქვორში *N.meningitidis*-ს აღმოჩენას. დიაგნოზს დასტურების პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქციის (PCR) ან ანტიგენის აღმოჩენის მეთოდით თავზურგ-ტვინის სითხეში *N.meningitidis*-ის დნმ-ის ან ანტიგენის აღმოჩენა.

მკურნალობა: მკურნალობის სქემა მოიცავს ყოველ 4 საათში ინტრავენურად 20-30 მგ/კგ ბენზილპენიცილინის მიღებას ან 5-7 დღის განმავლობაში მესამე თაობის ცეფალოსპორინების გამოყენებას (ცეფოტაქსიმი ან ცეფტრიაქსონი). დეტალურად იხ. ცხრილი. არ არსებობს მტკიცებითი მონაცემები მენინგოკოკცემიის დროს სტეროიდების ან ჰეპარინის ეფექტურობის შესახებ, მაგრამ პრაზმაფერეზის ან ღეროფერეზის გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში ეფექტურია.

მკურნალობა: იხილეთ ცხრილი 24.4




24.2 პნევმოკოკური ბაქტერიული მენინგიტი



24.3 ჩიჩქოვანი ექსუდაციური მენინგიტი

STREPTOCOCCUS PNEUMONIAE (PNEUMOCOCCUS)



24.4 მენინგოკოკური მენინგიტი

ეპიდემიოლოგია: ამ ეტიოლოგიის მენინგიტის განვითარების ხისხი მატულობს ორ ასაკობრივ ჯგუფში - ბავშვებში და 50-60 წლის ზემოთ. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა ფაქტორებით განპირობებული ინფექციისადმი მიდრეკილება: მაგ; ელენთის დისფუნქცია (ნამგლისებრი ანემია) აღრპოლიზმი, ჰუმორული იმუნიტეტის დარღვევები (მაგ: პაციენტები მრავლობითი მიელომით) და თავის ქალას მოტეხილობით განპირობებული ღიქვორიული ფისტულა. შემთხვევათა დაახლოებით 50% ინფექციის წყაროს დადგენა ვერ ხერხდება და მენინგიტი შესაძლოა ცხვირხახაში არსებული მიკროორგანიზმების ჯოლონიზაციის შედეგად განვითარებული პირველადი ბაქტერიემიის შედეგი იყოს. ზოგჯერ მისი მიზეზია პნევმონია ან შუა ყურის ან პარანაზალური სინუსებიდან განვითარებული ინფექცია.

სიმპტომატოლოგია: ✓ *პნევმოკოკური მენინგიტი ხშირად მენინგიტის სხვა ფორმებთან შედარებით მძიმედ მიმდინარეობს, მას უმეტესად დაავადების ადრეულ სტადიებზე ახასიათებს კომა და გულყრები.*

ნევროლოგიური გართულებები (ვენური სინუს-თრომბოზი, ჰემიპლეგია, ვენტრიკულიტი, ჰიდროცეფალია) საკმაოდ ხშირია და ლეტალობა 20-40%-ს შეადგენს.

მკურნალობა: იხილეთ ცხრილი

HAEMOPHILUS INFLUENZAE

ეპიდემიოლოგია: იგი **ნარმოადგენს მხოლოდ 4** თვიდან **6** წლამდე ბავშვების დაავადებას. მისი მიზეზია გრამ-უარყოფითი ბაცილის კაფსულიანები ფორმა. ბოლო წლებში შემოღებული ვაქცინაციის გამო ამ ტიპის მენინგიტების გავრცელება მნიშვნელოვნად შემცირდა.

სიმპტომატოლოგია: ✓ *ამ ტიპის მენინგიტი ხშირად ნარმოადგენს პირველადი ჩესპირატორული ინფექციის ან ყურის ინფექციის შედეგს. იგი იწყება თანდათან, პაციენტის ძილიანობით და აგზნებადობით.* ძირითად გართულებებს წარმოადგენს ანტიდიურეზული ჰორმონის არაადეკვატური სეკრეცია, სიყრუე, კოხლეარული ვენების თრომბოზი და სტერილური სუბდურული გამონაყარის განვითარება

მკურნალობა: იხილეთ ცხრილი 24.4

ᲜᲔᲘᲠᲝᲜᲐᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲜᲘᲜᲒᲘᲢᲘ

ახალშობილთა მენინგიტი ნახ-
შოადგენს სეპიოზულ პჰობ-
ემას ავადობის და სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლების გამო. მისი სიხშირე შეადგენს 1/2500 ყოველ ახალშობილზე. იგი განსაკუთრებით ხშირია დაბალი წონის ახალშობილებში (< 2500 გრამზე).

ეპიდემიოლოგია: ახალშობილთა მენინგიტი წარმოადგენს სეპიოზულ პჰობ-ემას ავადობის და სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლების გამო. მისი სიხშირე შეადგენს 1/2500 ყოველ ახალშობილზე. იგი განსაკუთრებით ხშირია დაბალი წონის ახალშობილებში (< 2500 გრამზე). მისი ძირითადი გამომწვევია B ჯგუფის სტრეპტოკოკი და *Escherichia coli,* უფრო იშვიათ ეტიოლოგიურ აგენტებს მიეკუთვნება *Listeria monocytogens, Pseudomonas aeruginosa* და *Staphylococcus aureus*. ბაქტერიათა უმეტესობა ახალშობილებს გადაეცემა დედის გენიტალური ტრაქტიდან და დაბადების დროს ჯოლონიზება ახალშობილის ორგანიზმში, სხვა შემთხვევაში მისი გადაცემა ხდება გარემოდან ინვაზიური პროცედურების ჩატარების შეგად.

სიმპტომატოლოგია: ამ ტიპის მენინგიტის დროს მენინგიტის ჯვარედინა სიმპტომატოლოგია ხშირად არ ვლინდება, ხოლო გამოვლენილი კლინიკური ნიშნები კი მენინგიტისთვის არასპეციფიურია. ნამყვანი ნიშნებია ცხელება, ღებინება, აპათია და აგზნებადობა. დიარეა, აპნოე, ჰესპირატორული დისტრესს სინდრომი ან სიყვითლე მიანიშნებს სხვა სისტემის დაზიანებაზე და ხანმოკლე ტონური სპაზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც გულყრა. კისრის ჯუნთების რიგიდობა იშვიათია.

B ჯგუფის სტრეპტოკოკის მიერ გამოწვეული მენინგიტი ვლინდება ორი ძირითადი ტიპით:

1. ადრეული დასაწყისი (სიცოცხლის პირველი კვირა). იგი ხშირად გამოწვეულია ღრენაკლეობით ან გინეკოლოგიური გართულებით. ახალშობილის დაავადება ელვისებური მიმდინარეობით და მაღალი ლეტალობით ხასიათდება. ნამყვან სიმპტომებს წარმოადგენენ სეპტიცემია და ჰესპირატორული სიმპტომები (ხშირად განსაზღვრული, როგორც ჰესპირატორული დისტრესს სინდრომი).

2. გვიანი დასაწყისი (სიცოცხლის პირველი კვირის შემდეგ). ამ ფორმის დროს ნამყვანია მენინგიტის სიმპტომატიკა, ხოლო ლეტალობის მაჩვენებელი 15%-ს შეადგენს. ინფექციისა გადაეცემის წყაროს ხშირად ქინიკის პერსონალი ან აპარატურა წარმოადგენს.

დიაგნოსტიკა: დიაგნოსტიკა ეფუძნება თავზურგტვინის სითხის მონაცემებს, მაგრამ აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ახალშობილთა ნორმალურ ლიქვორში უჯრედების რაოდენობა შეიძლება აღწევდეს 30 უჯრედს/მმ3-ში (ხშირად ნეიტროფილების), ხოლო ცილის კონცენტრაცია კი - 1,5გ/ლ-ში და მეტს.

მკურნალობა: იხილეთ ცხრილი 24.4

ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲜᲘᲜᲒᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲢᲘᲞᲔᲑᲘ

ᲨᲔᲜᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲜᲘᲜᲒᲘᲢᲘ

მენინგიტის განვითარების ეთიოლოგიის ხშირ მიზეზს წარმოადგენს ჰიდროცეფალიის კომპენსირების მიზნით გამოყენებული სხვადასხვა სახის შუნტები.

ჰიდროცეფალიის გამო წარმოებული ვენტრიკულოატრიალური ან ვენტრიკულოპერიტონეული მაშუნტირებელი ოპერაციების 25% ვითარდება მენინგიტი.

ჰიდროცეფალიის გამო წარმოებული ვენტრიკულოატრიალური ან ვენტრიკულოპერიტონეული მაშუნტირებელი ოპერაციების 25% ვითარდება მენინგიტი.

მენინგიტის ეთიოლოგიის ფაქტორს უმრავლეს შემთხვევებში წარმოადგენს *Staphylococcus epidermis,* მენინგიტის აგრეთვე შეიძლება გამოიწვიოს *Staphylococcus aureus* ან სხვა გრამ უარყოფითმა ბაქტერიამ. ინფიცირების გზას ძირითადად წარმოადგენს უშუალოდ შუნტის იმპლანტაციისას ინფექციის ლოკალური შეჭრა ე შემთხვევათა 70% მენინგიტის ვითარება შუნტის იმპლანტაციიდან 2 თვის განმავლობაში. ანტიბიოტიკების სისტემური და ინტრავენტრიკულური გამოყენება (ინტრავენტრიკულური ვანკომიცინი + სისტემური ცეფტრიაქსონი ან ამინოგლიკოზიდები + ცეფალოსპორინები, გამომწვევი აგენტის მიხედ-

ვით) შეეღებული უნდა იყოს შენტის ამოღებასთან და ცხოებით გახეთა ვენტრიკულური ცხენაჟის გამოყენებასთან.

დიაგნოსტიკა: ემყარება ჯრიპტოკოკული ანტიგენის აღმოჩენას ღრუბოში ან სისხლში ლატექს აგლუტინაციის ან ELISA მეთოდის გამოყენებით.

მკურნალობა: მკურნალობის ეფექტის მეთოდს წარმოადგენს მესამე თაობის ცეფალოსპორინები, ცეფოტაქსიმი ან ცეფტაზიდიმი. ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება ვანკომიცინის ინტრავენური გამოყენება. ხშირად აუცილებელი ხდება შენტის ამოღება და ცხოებითი ვენტრიკულური ცხენაჟის დაყენება.

ღიმფოციტური მენინგიტები

თუ თავზურგტვინის სითხის გამოკვლევით ვლინდება ღიმფოციტური ციტოზი და ცილის მომატება, ხოლო გრამის წესით შეღებვისას მიკროორგანიზმები არ იდენტიფიცირდება, ინფექციის მიზეზს ვირუსი უნდა წარმოადგენდეს. თუმცა არსებობს ღიმფოციტური მენინგიტის სპეციფიური გამომწვევი მიზეზები, რომლებიც სპეციფიური თერაპიას საჭიროებენ და მათი შესაძლო არსებობა ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული.

➡ თუ თავზურგტვინის სითხის გამოკვლევით ვლინდება ღიმფოციტური ციტოზი და ცილის მომატება, ხოლო გრამის წესით შეღებვისას მიკროორგანიზმები არ იდენტიფიცირდება, ინფექციის მიზეზს ვირუსი უნდა წარმოადგენდეს. თუმცა არსებობს ღიმფოციტური მენინგიტის სპეციფიური გამომწვევი მიზეზები, რომლებიც სპეციფიური თერაპიას საჭიროებენ და მათი შესაძლო არსებობა ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული.

ტუბერკულოზური მენინგიტი


განსაზღვრება: ტუბერკულოზური მენინგიტი წარმოადგენს *Mycobacterium tuberculosis*-ით გამოწვეულ გართულებას ინფექციას.

ეტიოპათოგენეზი: მიკობაქტერია იწვევს ქრონიკული ინფექციის განვითარებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია გრანულომების განვითარება. უმთავრესად ზიანდება ფილტვები. ტვინის გართულება ჰოცესში შესაძლოა ჩაეთრონ ბავშვებში ჰირველადი ინფიცირებისას, ხოლო მოზრდილებში ჰირველადი ინფიცირებიდან მრავალი წლის შემდეგ. მენინგიტი ვითარდება "მენჯი" გრანულომის რეაქტივაციის და სუბარაქნოიდული სივრცის მეორადი მოთესვის შემდეგ. გამომწვევის მოხვედრას სუბარაქნოიდულ სივრცეში თან ახლავს ხბილი და ქსელისებრი გართულების და მოსაზღვრე ქერქის უბნის ინტენსიური გრანულომატოზური ანთება. წარმოიქმნება სქელი, მძიმე, ფიბრინოზული და ნეკროზული ექსუდატი, რომელიც ძირითადად გროვდება თავის ტვინის ბაზალურ ზედაპირზე. ჰოცესში ერთვება თავის ტვინის ბაზალური ზედაპირზე არსებული სისხლძარღვები, და ვითარდება აღნიშნული სისხლძარღვების ადვენტიციური და მედიალური შრეების ანთებითი ჰოცესი, მათი შევიწროვებით და თრომბოზების ჩამოყალიბებით. აღნიშნული სქელი ექსუდატი ახდენს II და III ჯრანიული ნერვების, და იშვიათად VI და VII ჯრანიული ნერვების კომპრესიას.

მენინგიტი შესაძლოა განვითარდეს ფილტვის ტუბერკულოზის კლინიკური ნიშნების არსებობის გარეშეც.

სიმპტომატოლოგია: მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზური მენინგიტის სიხშირე შემცირდა, იგი მაინც გავრცელებული დაავადებას წარმოადგენს. დაავადება ვითარდება ნებისმიერ ასაკში, მაგრამ იგი ხშირია ახალშობილებში, ბავშვებში და ხანშიშესულ პირებში. ტუბერკულოზი განსაკუთრებით გავრცელებულია დაბალი ჰიგიენური პირობების მქონე ჰოპულაციაში და კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში. პაციენტთა 30-50%-ში აღინიშნება კონტაქტი ინფიცირებულ პირებთან ან მანამდე აქტიური ტუბერკულოზური ჰოცესის არსებობა. დაავადების დრეული სტადიებზე წამყვანია ანორექსია, მსუბუქად გამოხატული თავის ტკივილი, ძილიანობა, ტკივილი კუნთებში და ცხელება ტემპერატურეს დაბალი მაჩვენებლებით. ახალშობილებში აგზნებადობა და ცუდად კვება შეიძლება იყოს დაავადების ერთადერთი გამოვლინება. ტემპერატურის დანყებიდან დაახლოებით 2 კვირის შემდეგ იწყება ჩივილები მუდმივ თავის ტკივილზე და

➡ ტუბერკულოზური მენინგიტი წარმოადგენს *Mycobacterium tuberculosis*-ით გამოწვეულ გართულებას ინფექციას.



ნახ. 24.5 ტუბერკულოზური მენინგიტი

ჯისხის ჯუნთების ჩიგიდობაზე. აღნიშნული ვლინდება მენინგეური გაღიზიანების სხვა ნიშნებთან, ინტრაკრანიულ ჰიპერტენზიასა და ფოკალურ ნევროლოგიურ დეფიციტთან (ჯრანიული ნერვების დაზიანება ან ჰემიპარეზი) ერთად. ახალშობილებს შეიძლება ჰქონდეთ დაქიმული, მოპლესილე ყიფლიბანდი. დაავადება ნელა პროგრესირებს, ჩამდენიმე კვირის ან თვის მანძილზე. პაციენტი თანდათან ხდება ძილიანი, ნევროლოგიური დეფიციტი პროგრესირებს, ვითარდება კომა და ღეტალური გამოსავალი. იშვიათად, პროცესი შემოისაზღვრება მხოლოდ ზურგის ტვინით და ვლინდება ჩადიკულომიელოპათიით. დაავადების მიმდინარეობა დამოკიდებულია გარსების ჩართვის მასშტაბზე, ორგანიზმის იმუნური სისტემის მდგომარეობაზე, ორგანიზმის ვირულენტობაზე და აგრეთვე მკურნალობის დაწყების დროზე.

გართულებები:

✓ *ინფარქტი.* ვასკულიტს შეიძლება თან ახლდეს არტერიის თრომბოზი, რაც ინვევს ტვინის ინფარქტს.


✓ *ჰიდროცეფალია.* გრანულომატოზური ექსუდატი ან არაქნოიდიტი ინვევს სიღვიის წყალსადენის, ღუძურას და მაჟანდის ხვრელების, ან სუბარაქნოიდული სივრცის დახშობას. შედეგად იწღვევა ღიქვორის ცირკულაცია და ვითარდება ჰიდროცეფალია.

✓ *გულყრები.* გულყრები შეიძლება განვითარდეს დაავადების ნებისმიერ ეტაპზე. იგი ხშირია 2 წლამდე ასაკის ბავშვებში.

დიფერენციული დიაგნოზი: დიფერენციული დიაგნოზი უნდა გატარდეს ვირუსულ ენცეფალიტთან, ნაწილობრივ ნამკურნალებ ჩირქოვან მენინგიტთან, სოკოვან ინფექციებთან და მთელ რიგ ანთებით დაავადებებთან, რომლებიც ინვევენ პროგრესულ ნევროლოგიურ დისფუნქციას. ნებისმიერი ორგანოს ტუბერკულოზური პროცესი და ღიქვორის ანალიზი უტყუარს ხდის ტუბერკულოზური მენინგიტის დიაგნოზს.

სიმპტომატოლოგია:
- თავის ტკივილი
- ღებინება
- ტკივილი კუნთებში
- ცხელება დაბალი მარკერებებით
- კისრის კუნთების რიგიდობა
- ინტრაკრანიული ჰიპერტენზია
- ფოკალური ნევროლოგიური დეფიციტი (კრანიული ნერვების დაზიანება ან ჰემიპარეზი) ახალშობილებს შეიძლება ჰქონდეთ დაქიმული, მოპლესილე ყიფლიბანდი

დიფერენციული დიაგნოზი:
- ვირუსული ენცეფალიტი
- არასპეციალური ნამკურნალები ჩირქოვანი მენინგიტი
- სოკოვანი ინფექციები



ნახ. 24.6 ტუბერკულოზური მენინგიტი; გამოხატული ჰიდროცეფალია. A - CT; B - MRI

დიაგნოსტიკა:

◆ *ღუმბაღური პუნქცია. ღიქვორის ანალიზი* წარმოადგენს აუცილებელ და ყველაზე სარწმუნო დიაგნოსტიკურ მეთოდს. ღიქვორის მარკერებები იხილეთ ცხრილში. დაავადების აღრეულ სტადიებზე შეიძლება გამოვლინდეს ნეიტროფილური პლეოციტოზი, რაც ბადებს ეჭვს ჩირქოვანი მენინგიტის არსებობაზე. ცილის შემცველობა მეტია 100მგ%-ზე და შეიძლება მიაღწიოს 500მგ%-ს, განსაკუთრებით იმ პაციენტებში, რომელთაც აქვთ სპინალური სუბარაქნოიდული

სივრცის გამავლობის დახლვევა. ღრუბლოვანი შეღებვა მეავაგამძლე ბაქტერიებზე (ცრც-ნიღბენის წესით) უნდა მოხდეს ტუბერკულოზურ მენინგიტზე ეჭვის არსებობის ყველა შემთხვევაში, მაგრამ იგი იშვიათად არის დადებითი. საბოლოო დიაგნოზის დადგენა ხდება *M. tuberculosis* -ის ამოთესვით ღრუბლოვანიდან, რაც მოითხოვს ხანგრძლივ ჯვრის და ჯანსაღი შედეგის მისაღწევად საჭიროებს დიდი ხანგრძლივობით ღრუბლოვანს. დიაგნოსტიკისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (PCR).

- ნეიროვიზუალიზაცია CT/ MRI სკანირებით. დგინდება ბაზალური ცისტერნების სუბარაქნოიდული ბლოკადა, ასევე ჩანს ტუბერკულომა. ჯანსაღ ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის არსებობა და პერიფერიულად ბეჭდისებური ჩრდილი მიუთითებს ტუბერკულომის არსებობაზე. სერიული CT სკანირება მნიშვნელოვანია ისეთი გართულების დასადგენად, როგორიცაა ჰიდროცეფალია. MRI უფრო სენსიტიურია, ვიდრე CT და ამიტომაც ამ მეთოდით უფრო ადვილად ხდება ტუბერკულომის აღმოჩენა.
- სისტემური დაავადების არსებობა. პაციენტთა 50%-ზე მეტს აღენიშნება ესრ-ის მომატება და ჯანის ტუბერკულინის დადებითი ტესტი

დიაგნოსტიკა:
- ღრუბლოვანის ანალიზი-ყველაზე სანდო და უცვლელი მეთოდი.
- ნეიროვიზუალიზაცია CT/ MRI სკანირება
- სისტემური დაავადების არსებობა

მკურნალობა: მკურნალობა უნდა დაიწყოს ჩვენ შეიძლება ადრე- ღრუბლოში ციმფოციტური პლეოციტოზის და გლუკოზის დაბალი შემცველობის აღმოჩენისთანავე - ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგების მიღებამდე. მკურნალობა მონოდებულია ცრც-ნიღბენის წესით შეღებვით უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაშიც კი.

მკურნალობა:
- იზონიაზიდი
- რიფამპიცინი
- პირაზინამიდი
- ეთამბუტოლი

ბაქტერიოლოგიური კვლევის და ანტიბიოტიკებისადმი მგრძნობელობის მაჩვენებლების მიღებამდე საწყისი თერაპიისთვის მონოდებულია შემდეგი ოთხი პრეპარატი: იზონიაზიდი (300მგ), რიფამპიცინი (600მგ), პირაზინამიდი (25მგ/კგ), ეთამბუტოლი (15მგ/კგ). ყველა ეს პრეპარატი ინიშნება დღეში ერთხელ. შტამის მგრძნობელობის დადგენისთანავე ეთამბუტოლის მიღება წყდება, ხოლო დანარჩენი სამი პრეპარატის მიღება გრძელდება 2 თვის მანძილზე, ხოლო შემდეგ 4-10 თვიანი კურსის სახით გრძელდება იზონიაზიდის ან რიფამპიცინის მიღება. იზონიაზიდით გამოწვეული პოლინეიროპათიის პრევენციის მიზნით მკურნალობის სქემას ემატება პირიდოქსინი 50მგ/დღე-ღამეში. მკურნალობის გართულებებს მიეკუთვნება ღვიძლის ფუნქციის დარღვევა (იზონიაზიდის, რიფამპიცინის, პირაზინამიდის გამო), პოლინეიროპათია (იზონიაზიდის გამო), მხედველობის ნერვის ნევრიტი (ეთამბუტოლის გამო), ეპილეფსიური გულყრები (იზონიაზიდის გამო), კოხლეოვესტიბულური ნერვის დაზიანება (სტრეპტომიცინის გამო).

კორტიკოსტეროიდები (მაგ. პრედნიზოლონი 60 მგ/დღე-ღამეში მოზრდილებში, ხოლო 1-3მგ/კგ/დღე-ღამეში ბავშვებში, თანდათანობითი შემცირებით 3-4 კვირის მანძილზე), მოწოდებულია დამხმარე თერაპიის სახით იმ პაციენტებში, რომელთაც აქვთ სპინალური სუბარაქნოიდული სივრცის ბლოკი, ასევე მძიმე შემთხვევებში; მაგ, ტვინის შეშუპებით გამოწვეული ენეოვანი ნევროლოგიური სიმპტომების ან ინტრაკრანიული ჰიპერტენზიის დროს. თუმცა კორტიკოსტეროიდების გამოყენება დაკავშირებულია დიდ რისკთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სოკოვანი ინფექცია შეცდომით დიაგნოსტირდა, როგორც ტუბერკულოზური მენინგიტი. ამიტომ იმ შემთხვევებში, როდესაც მაინც არსებობს ეჭვი სოკოვანი ინფექციის არსებობაზე, კორტიკოსტეროიდებთან ერთად მოწოდებულია ანტიმიკოზური მკურნალობის დანიშვნა.

მკურნალობის გართულებებია:
- ღვიძლის ფუნქციის დარღვევა
- პოლინეიროპათია
- მხედველობის ნერვის ნევრიტი
- გულყრები
- კოხლეოვესტიბულური ნერვის დაზიანება

პროგნოზი: აღენიშნება პირობებშიც კი პაციენტთა 10% ილუპება, 10-30% აღგილი აქვს ნეშიერული ნევროლოგიური დეფიციტის არსებობას. ყველაზე არასეთილსაიმედო პროგნოსტული ფაქტორია კომის განვითარება.

დამხმარე თერაპიის სახით კორტიკოსტეროიდები იმ შემთხვევაში, თუ გამორიცხულია სოკოვანი ინფექციის არსებობა. თუ ეჭვი მაინც არსებობს, მაშინ კორტიკოსტეროიდები ინიშნება ანტიმიკოზურ პრეპარატებთან ერთად.

სპაჟოიდიტი

სპაჟოიდიტი ნაიმოადგენს იდიოპათიის გიანულომატოზუის დაავადებას, იომელიც ახიანებს ნებისმიეი ოიგანოს

განსაზღვიება: სპაჟოიდიტი ნაიმოადგენს იდიოპათიის გიანულომატოზუის დაავადებას, იომელიც ახიანებს ნებისმიეი ოიგანოს.

ეტიოპათოგენეზი: ჯონჯოკეთი ეტიოლოგიური ფაქტოიი უცნობია, პათოგენეზუიად სპაჟოიდიტი ნაიმოადგენს გაძლიეებულ უჯიელეულ იმუნუი პასუხს ანტიგენების ან აუტოანტიგენების მიმათ.

ეტიოპათოგენეზი: სპაჟოიდიტის ინფექციუი ბუნება ჯი დასტუიდება, მაგიამ იგი ნეიიოინფექციებთან ეითად განიხიდება, ვინაიდან ჯინიკუიად და პათომოიფოლოგიუიად სპაჟოიდიტი ჩამოგავს ტუბეიკულოზს და სხვა გიანულომატოზუის ინფექციებს. ეითეითი გავიცელებული თეოიით, სპაჟოიდიტი ნაიმოადგენს ტუბეიკულოზუი ბაციდის მოდიფიციიებულ ფოიმას. მათთაიია ეს დადასტუიებული ჯი ათის და იგივე შეიძლება ითქვას სხვა ინფექციუი აგენტების მიმათაც, იომლებიც პეიიოდულად ნაიმოიჩინდებიან, იოგოიც სპაჟოიდიტის მიზეზი. თანამედიოვე შეხედულებით, სპაჟოიდიტი ნაიმოადგენს გაძლიეებულ უჯიელეულ იმუნუი პასუხს ანტიგენების ან აუტოანტიგენების მიმათ. დაზიანების ფოკუსი შედგება ეპითელიუი უჯიელების გიოვებისაგან, იომლებიც შემოსაზღვიულია ლიმფოციტებით, გიგანტუი უჯიელებით. სპაჟოიდული გიანულომები ყველა ოიგანოში შეიძლება იყოს, ცენტიალუი და პეიიფეიული ნეივული სისტემის ჩათვლით, მაგიამ ყველაზე ხშიიად ისინი ლოკალიზებული ჯიან შუასაყაიში, პეიიფეიულ ლიმფუი კვანძებში, ფილტვში, ღვიძლში, კანში, თვალებში.

ᲜᲔᲘᲕᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲢᲘᲞᲘᲣᲠᲘ ᲚᲝᲙᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ:

- გასისები თავის ტვინის ბაზალუიი ზედაპიიის იშგვიდ.
- ძაბიი და III პაიკუჭის ფსკუიი.
- მხედველობის ნეივი და ქიაზმა.
- თავის და ზუჭგის ტვინის გიანულომატოზუი დაზიანება.
- ნებისმიეი ჯიანიელი ან პეიიფეიული ნეივის მონონეიოპათია ან პოლიმონონეიოპათია.

სიმპტომატოლოგია: ნეიოსპაჟოიდიტი ვითაიდება ზოგადი სპაჟოიდიტის 5%-ში. დაავადება ეითნაიი სიხშიიით გვხვდება ოიივე სქესის პიიებში დასაშიოა 20-40 წლის ასაკში.

სიმპტომატოლოგია:
- ლიმფადენოპათია
- ფილტვის ინფილტიაცია
- პაიოტიტი, უვეიტი, ქოიიოიეტინიტი, მხედველობის ნეივის დვიდის შეშუპება,
- მიოპათიის გამო პიოქსიმაღუი ჯუნთების სისუსტე,
- პოლიათიიტი;
- სპაჟოიდიტის დიოს შეიძლება დაზიანდეს ნებისმიეი ჯიანიელი ნეივი, მაგიამ ყველაზე ხშიიის სახის ნეივის დაზიანება. სასიათობივი ცვლილებები და დემენცია

სიმპტომატოლოგია: ნეიოსპაჟოიდიტი ვითაიდება ზოგადი სპაჟოიდიტის 5%-ში. დაავადება ეითნაიი სიხშიიით გვხვდება ოიივე სქესის პიიებში დასაშიოა 20-40 წლის ასაკში.

ზოგადი სპაჟოიდიტის ჯლინიკუი სუიათში ნამყვანია ლიმფადენოპათია, ფილტვის ინფილტიაცია, პაიოტიტი, უვეიტი, ქოიიოიეტინიტი, მხედველობის ნეივის დვიდის შეშუპება, პიოქსიმაღუი ჯუნთების სისუსტე მიოპათიის გამო, პოლიათიიტი, იომელსაც ზინ უსზიებს ტკივილი ოიივე ქუსლში.

სპაჟოიდიტის დიოს შეიძლება დაზიანდეს ნებისმიეი ჯიანიელი ნეივი, მაგიამ ყველაზე ხშიიის სახის ნეივის დაზიანება. სასიათობივი ცვლილებები და დემენცია ვითაიდება მოცულობითი გიანულომატოზის დიოს, ან ბაზალუი მენინგიტიტით გამოწვეული ჰიდიოცეფალიისას მენინგეუი სპაჟოიდიტი ვლინდება ქიონიკული მენინგიტის სახით (ლიქოიში პლეოციტოზი, გლუკოზის ნოიმაღუი ან დაქვეითებული დონე, ციდის დონის მომატება). სპაჟოიდიტის დიოს აღნეშნიდია პაიციალუი ან გენეიალიზებული გულყვიები. სპაჟოიდული გიანულომა ხშიიად ტოვებს თავის ტვინის სიმსივნის შთაბეჭდილებას და იწვევს თავის ტვინის ფოკალუი ნიშნების გაიჩენას და ინტიაკიანიულ ჰიპეიტენზიას. ჰიპოთალამუსის და ჰიპოფიზის დაზიანება ნაიმოადგენს ინტიაკიანიული სპაჟოიდიტის ყველაზე ხშიი გამოვლინებას. უმეტესი დიაბეტი ვითაიდება ნეიოსპაჟოიდიტის მქონე პაციენტთა 1/3-ში. სპაჟოიდიტის დიოს ხშიიად ენდოკიინოპათიები. თავის ტვინის ღეიოს და ნათხემის დაზიანება იშვიათია. ასევე იშვიათია მიელოპათია, თუმცა გიანულომები შეიძლება განვითაიდნენ ზუჭგის ტვინის გასისებში, ნეივულ ფესვებსა და პაიენქიმაში. ტიანზიტოიული იშემიული შეტევები შეიძლება იყოს ინტიაკიანიული სპაჟოიდიტის ეითადეითი გამოვლინება. ცეიებიული ან ღეიოს იშემია შეიძლება განვითაიდეს სისხლძაიღვების გიანულომატოზუი

დაზიანების გამო. მონონეიროპათიები ან პოლიმონონეიროპათიები ინვევს პარესთეზიებს, დაბუჟებას, ტკივილს, კუნთების სისუსტეს და მათ განლევას.

☑ დიაგნოსტიკა:

- *თავის ქალას და გულმკერდის ჩენტგენოგრამები.* ფილტვების ჩენტგენოგრამაზე უმეტეს შემთხვევებში აღინიშნება პათოლოგია ჰილუსების გაფართოების სახით.
- *სისხლის პარამეტრები.* მომატებულია ესრ. შარდის ცილები მატულობს გლობულინური ფრაქციის ზრდის ხარჯზე. შარდის ჟანგიანის და ფოსფატების დონე მომატებულია.
- *ელექტრონეიროგრაფია.* ეეგ-ზე ვლინდება ფოკალური შენელება, ეპილეპტიფორმული აქტივობა, ან გენერალიზებული შენელება.
- *მხედველობითი გამოწვეული პოტენციალები.* ხშირია მხედველობის ნერვის და მისი ჯვარედინის დაზიანება, რაც ინვევს პათოლოგიურ ვიზუალურ პასუხს.
- *ნეიროვიზუალიზაციით* (MRI/ CT) თავის ტვინის ბაზალური ზედაპირზე, ჯონვექსიტალური ზედაპირის ირგვლივ, ჰემისფეროებს შორის ან იშვიათად პერივენტრიკულურად ვლინდება გრანულომატოზური დაზიანება. იშვიათად აღინიშნება ჰიდროცეფალია.
- *ლუმბალური პუნქცია.* ლიქვორში ვლინდება ლიმფოციტური პლეოციტოზი, ცილის დონის მომატება. გლუკოზის დონე დაქვეითებულია. სითხეში ისევე როგორც სისხლში შესაძლოა აღინიშნებოდეს ანგიოტენზინის გარდაქმნის ენზიმის დონის მატება.
- *ანგიოგრაფია.* ანგიოგრაფიულად ვლინდება არტერიტის სურათი.
- *ნერვის გამტარებლობის გამოკვლევა.* ამ კვლევით ნახულობენ პერიფერიული ნეიროპათიის სურათს.
- *ბიოფსია.* სარკოიდოზის ჰისტოლოგიური დადასტურება ხდება კუნთის, ნერვის, ღვიძლის, ლიმფური კვანძის ბიოფსიის საშუალებით.
- *ენდოკრინული კვლევა.* იგი ჩვეულებრივ ინტარკრანიული გამოვლინების ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან არსებობს ჰიპოთალამუსის და ჰიპოფიზის დაზიანების მაღალი რისკი.
- *კანის ტესტები.* ტუბერკულინის ტესტები ჩვეულებრივ ნეგატიურია. Kveim-ის ტესტი (სარკოიდული ქსოვილის სუსპენზიის კანქვეშ ინოკულაცია) ინვევს გრანულომატოზურ პასუხის გარჩენას 6 კვირაში პაციენტთა 80%-ში.

☑ მკურნალობა:

- კორტიკოსტეროიდების ეფექტი ნეიროსარკოიდოზის დროს არ არის დადასტურებული, მაგრამ ზოგჯერ ამ პრეპარატების მიღების დროს აღინიშნება დრამატული გაუმჯობესება. დექსამეტაზონი 12 მგ ღღეში ან მეთილპრედნიზოლონი (მედროლი) 80 მგ ღღეში შეიძლება იყოს ეფექტური.
- გარდიც ინტარკრანიული ნგვევას და ჰიდროცეფალიას მკურნალობენ ვენტრიკულოპერიტონეული შუნტით.
- იშვიათად დიდი გრანულომატოზური მასის მოცილება ხდება ქირურგიული გზით.

პროგნოზი: ხშირად აღინიშნება სპონტანური რეგრესია და გამოჯანმრთელება, მაშინ როცა ზოგჯერ დაავადება ხდება ქრონიული-რემისიული მიმდინარეობის. ეს უკანასკნელი მდგომარეობა ფატალურია. იმ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ მხოლოდ პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანება პროგნოზის უკეთესია.

ბეჭრეტის დაავადება

ბეჭრეტის დაავადება წარმოადგენს უცნობი ეტიოლოგიის, ქრონიული ანთებითი დაავადებას მულტისისტემური დაზიანებით. ყრინიკულად ის ვლინდება ოროგენიტალური მიდამოში ნყლულოვანი ანთების განვითარებით, რომელიც ხშირად თანხლებულია მხედველობის დაზიანებით, უხშირესად უვეიტის, ირიდოციკლიტის ან მხედველობის ნერვის ნევრიტის სახით, ქრონული ვასკულიტით. კანის მხრივ დაზიანება მოიცავს კვანძოვან ერითემას, ფურუნკულოზს. ხშირია პოლიართრიტი და აგრეთვე ღრმა ვენების თრომბოზი და ზედაპირული ვენების თრომბოფლებიტი.

ბეჭრეტის დაავადების შემთხვევათა ერთ მესამედში შესაძლოა მოხდეს ნერვული სისტემის დაზიანება, რომელიც გამოვლინდება მენინგოენცეფალი-

ცით, ჰისტიული ნეჭვების დაზიანებით, ჰემიპლეგიით, სქიზოიდული ვენების თრომბოზით, დემენციით.

ბეჭრეტის დაავადება ნაჰმოაგენს უცნობი ეტიოლოგიის, ხშირად ანთებითი დაავადებას მულტისისტემური დაზიანებით. ალინიშნება ის ვლინდება ოროგენიტალური მიდამოში ნყლიანი ანთების განვითარებით, რომელიც ხშირად თანხლებელია მხედველობის დაზიანებით, უხშირესად უვეიტის, ირიდოციკლიტის ან მხედველობის ნეჭვის ნევრიტის სახით, ხშირად ვასკულიტით.

პათომორფოლოგიაში აღგილი აქვს პერივასკულურ მენინგეურ ინფილტრაციას, თეთრი და ჩალი ნივთიერებების მრავლობითი ნეკროზის კვანძებით. თავზურგტვინის სითხეში დაავადების განვითარების პროცესი აგილი აქვს ციტოზს, თუმცა ქიმიისას სითხეში ცვლილებები არ აღინიშნება. აღინიშნება ელის მომატება. აუცილებელია გამორიცხოს მენინგიტის სხვა სპეციფიური მიზეზები, მაგ. ტუბერკულოზი და სოკოვანი ინფექცია. მრ ტომოგრაფიის ვლინდება თეთრი ნივთიერების დაზიანების ნინები, რომლებიც ჩამოგავს გაფანტული სკლეროზის დაზიანების MR მახასიათებლებს.

სპეციფიური თერაპია არ არსებობს თუმცა გამწვავების მკურნალობისას გამოიყენება სტეროიდები და ციტოსტატიკები, მაგ. ციკლოსპორინი.

ᲕᲘᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲔᲜᲘᲜᲒᲘᲢᲘ

ვირუსული მენინგიტის განვითარებაში ვირუსების დიდი სპექტრი მონაწილეობს, მაგრამ ყველაზე ***ხშირ გამომწვევად ითვლება***

- ენტეროვირუსები (კოქსაკის, ECHO და პოლიომიელიტის)
- არბოვირუსები
- ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
- მარტივი ჰერპესის ვირუსი

იშვიათ გამომწვევ ვირუსებს მიეკუთვნებიან

- ქრონიკული ლიმფოციტური ქორიომენინგიტის ვირუსი
- ეპიდემიური პაროტიტის ვირუსი
- ადენოვირუსები
- ციტომეგალოვირუსი
- ეპშტეინ-ბარის ვირუსი
- გრიპის A და B ვირუსები
- პარაგრიპის ვირუსი
- ნეთერლის ვირუსი
- Herpes Zoster-ის ვირუსი

სიმპტომატოლოგია არასპეციფიურია, იგი მოიცავს თავის ტკივილს, ცხელებას და მენინგეური სინდრომს. შესაძლო ეტიოლოგიის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეპიდემიოლოგიური ანამნეზის შესწავლას. ენტეროვირუსული ინფექცია ვრცელდება ფეკალურ-ორალური გზით და ხშირია ზაფხულის ბოლო თვეებში. მას ახასიათებს მაკულარული გამონაყარი (იშვიათად სხვა ტიპის გამონაყარიც). პაროტიტის არსებობა მიუთითებს ყბაყურას ვირუსით გამოწვეულ მენინგიტზე.



ნახ. 24.7 ლიმფოციტური ვირუსული მენინგიტი

დიაგნოსტიკა ემყარება ღვიძლის მონაცემებს, რომელიც მნიშვნელოვანია ცხრილში.

დიაგნოსტიკა: ემყარება ღვიძლში ვირუსის აღმოჩენას. სეროლოგიური მეთოდები ინფორმატიულია ენტეროვირუსების შემთხვევაში, მაგრამ ტიტრის ზრდის განსაზღვრა ხერხდება ყბაყურას და სხვა ვირუსებით გამოწვეული ინფექციების დროს. მიზეზის მიუხედავად, ვირუსული მენინგიტი არის სიმპტომა-

ტური და გამოჯანმრთელება ჩვეულებრივ სწრაფად და სრულყოფილად ხდება მკურნალობიდან ხამდენიმე დღის შემდეგ.

მკურნალობა: სიმპტომატურია და ჰოგნოზი, ჰოგორც წესი, ჯეთილსაიმედოა. ანტივირუსული თერაპია მოიცავს აციკლოვირის გამოყენებას. შესაძლებელია ფამციკლოვირის ან ვალაციკლოვირის გამოყენებაც, იმ შემთხვევებში, თუ ვირუსული მენინგიტის განპირობებულია შემოსარტყმელი ჰერპესის ვირუსით.

➡ ვირუსული მენინგიტის განვითარება ყველაზე *ხშირად განპირობებულია შემდეგი ვირუსებით. გამომწვევად ითვლება*

- ენტეროვირუსები (კოქსაკის, ECHO და პოლიომიელიტის ვირუსი)
- არბოვირუსები
- ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
- მარტივი ჰერპესის ვირუსი


თავის ტვინის აბსცესი

განსაზღვრება: თავის ტვინის აბსცესი წარმოადგენს თავის ტვინის ნივთიერებაში არსებულ შემოფარგლულ ჩირქოვან კონგლომერატს.

➡ თავის ტვინის აბსცესი წარმოადგენს თავის ტვინის ნივთიერებაში არსებულ შემოფარგლულ ჩირქოვან კონგლომერატს.

ეტიოპათოგენეზი: აბსცესის მიზეზია ჩირქმბადი ბაქტერია, რომელიც შედარებით შორს არსებული ინფექციის კერიდან ცნს-ში შეაღწევს ჰემატოგენური გზით, ან ახლოს მდებარე ინფექციის კერიდან ნერვული სისტემაში მოხვდება პირდაპირი გავრცელების გზით. ჰემატოგენური გზით აბსცესი ვრცელდება დაახლოებით 25%, ხოლო პირდაპირი გავრცელებით, შემთხვევათა 50%. საფეთქლის ნილის აბსცესები აღინიშნება ოტიტების, მასტოიდიტის დროს, შუბლის ნილის აბსცესები შუბლის ნიაღის ანთების – სინუსიტის ან ყბილების ფესვების გარნულომების დროს. აბსცესის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ტრავმა ან ნეიროქირურგიული მანიპულაციები, ან იგი შეიძლება წარმოადგენდეს ჩირქოვანი მენინგიტის იშვიათ გართულებას. თავის ტვინის აბსცესის ძირითადი მიზეზია ინფექციის პირდაპირი გავრცელება შუა ყურის ანთების ან სინუსიტის დროს. ✓ *აბსცესის მნიშვნელოვან, მაგრამ მივიწყებულ მიზეზს წარმოადგენს ქვემწვავე ბაქტერიული ენდოკარდიტი.*

➡ ეტიოპათოგენეზი: დაავადების ძირითადი მიზეზია სხვადასხვა ჩირქმბადი ბაქტერია, რომელიც შეაღწევს ცნს-ში ან ჰემატოგენური გზით, ან პირდაპირი ინვაზიის გზით. აბსცესის მიზეზს ხშირად წარმოადგენს სინუსიტი, შუა ყურის ანთება, ტრავმა, ნეიროქირურგიული მანიპულაციები.



ნახ. 24.8 თავის ტვინის აბსცესი. CT და MRI პროექციით და ეპროექციაში

თავის ტვინის აბსცესი იწყება ფოკალური ცერებრიტის გამოვლინებით. აბსცესს გააჩნია ცენტრალური ღრუ, რომელიც შეიცავს პოლიმორფონუკლეარ უჯრედებს. მათ გარს აკრავს კაფსულა, რომელიც შეიცავს გრანულაციის ქსოვილს, ხოლო მის გარეთა ნაწილს კი წარმოადგენს კომპაქტური, ფიბრობლური გლიური უჯრედების შრე. იმგვარ მომყოფ ქსოვილებში ჩვეულებრივ აღინიშნება შეშუპება. ჰემატოგენური გავრცელებით განვითარებული აბსცესი ჩვეულებრივ ვითარდება ხუთი და თეთრი ნივთიერების საზღვარზე და შემდეგ ვრცელდება თეთრ ნივთიერებაში.

სიმპტომატოლოგია: იგი ვითარდება ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში. გარ

სიმპტომატოლოგია: ნამყვანია ინტრაჯანიული ჰიპერტენზია და მისთვის დამახასიათებელი ნიშნები

- მაღალი ტემპერატურა
- თავის ტკივილი
- ჰოგიესისებადი ჯერ ნიშნები
- ბრადიკარდია
- ცნობიერების სხვადასხვა ხარისხის დარღვევები

ცელების სიხშირე შეადგენს დაახლოებით 1/100,000. ქალებთან შედარებით, მამაკაცებში იგი ორჯერ უფრო ხშირია. ჰოსპიტალში ჩასათვის სიხშირით პირველ ადგილზეა შუბლის ნიღა, შემდეგ თხემის და საფეთქლის ნიღები. შემთხვევათა 9%-ში აღინიშნება მრავლობითი ბლაცერები.

პაციენტის ძირითადი ჩივილია მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი და ჯერ ნიშნების ჰოგიესისება. ინტრაჯანიული ჰიპერტენზიის, გულისრევის და ღებინების, მხედველობის ნერვის დგრილის შეშუპების, ბრადიკარდიის და ჯერ ნიშნების გამო, ხშირად ინფექციაზე ეჭვის მიტანა არც ისე ძნელია და მდგომარეობა დიაგნოსტირდება, როგორც თავის ტვინის სიმსივნე. ამგვარ სიტუაციაში ძალიან მნიშვნელოვანია ეტიოლოგიური ფაქტორების არსებობა.

ნევროლოგიური გამოკვლევით ვლინდება მხედველობის ნერვის დგრილის შეშუპება და ბლაცერების ლოკალიზაციის შესაბამისი ჯერ ნიშნები. მრავლობითი ბლაცერის შემთხვევაში ინტრაჯანიული ჰიპერტენზია უფრო სწრაფად ჰოგიესისებს და პაციენტს ანუხებს ძლიერი თავის ტკივილი, ძალიანობა, რომელიც გადადის ცნობიერების უფრო ღრმა დარღვევებში და ნევროლოგიური დისფუნქციის ნიშნების მომატება.

მიმდინარეობა: ბლაცერის ჯლინჯური მიმდინარეობა ვარიაბელურია. შესაძლოა იგი განვითარდეს ასტროციტომის ან მენინგიომის ჯლინჯური მიმდინარეობის მსგავსად, სიმპტომების ნელი ჰოგიესისებით. შეიძლება ჯლინჯური მიმდინარეობა იყოს სწრაფი და პაციენტის მდგომარეობა გაუარესდეს დროის ძალიან მცირე მონაკვეთში. მუხნარობის გარეშე მიმდინარე ბლაცერი მიმდინარეობს თავის ტვინის ჰოგიესული შეშუპებით, რომელიც საბოლოოდ იწვევს თავის ტვინის გარკვეული სტრუქტურების ჩაქცევას და ღროს მეორად ჯომჰიესის და სიკვდილს.

გართულებები: თავის ტვინის ბლაცერის გართულებებს მიეკუთვნება: ჩაქცევა, გულყრები და ბლაცერის გასკდომა სუბარაქნოიდულ სივრცეში ან პარენქიმებში. ჩაქცევის გამოცნობა ხდება თავის ტვინის ღროს ჯომჰიესიის ნიშნების გაჩენით. ამგვარი მდგომარეობა მოითხოვს უმგენტულ ჩარევას. ბლაცერის გასკდომას, სუბარაქნოიდული სივრცის ინფიცირების გამო, მოყვება მწვავე ჩირქოვანი მენინგიტის განვითარება. ბლაცერის გასკდომა პარენქიმებში იწვევს სწრაფ ლეტალურ გამოსავალს.

☑ დიფერენციული დიაგნოზი:

- *ინტრაჯანიული სიმსივნე.* ანამნეზში ინფექციის არსებობა და CT მონაცემები საშუალებას იძლევა ერთმანეთისაგან დიფერენცირდეს ტვინის სიმსივნე და ბლაცერი;
- *მენინგიტი.* ბლაცერის ჯლინჯური სურათი დასაწყისში ძალიან გავს მენინგიტის სიმპტომატოლოგიას, მაგრამ ჯარგად ჩამოყალიბებული ჯლინჯური სურათის პირობებში, ფოკალურ ნიშნებთან და მხედველობის ნერვის დგრილის შეშუპებასთან ერთად, მენინგიტის დროს ვლინდება დიფუზური დაზიანების სიმპტომატოლოგია. ნეიროვიზუალიზაციის და ლიკვოროლოგიის მონაცემების შეჯერება იძლევა ამ ორი დაავადების დიფერენცირების საშუალებას.
- *ქრონიკული სუბდურული ჰემატომა.* ტრავმა, ინფექციის არარსებობა, CT ან MRI მონაცემები აღასტურებენ ქრონიკული სუბდურული ჰემატომის დიაგნოზს.
- *სუბდურული ემპიემა.* ბლაცერის დიფერენცირება სუბდურული ემპიემისაგან შესაძლებელია CT ან MRI მონაცემებით.
- *ტუბერკულომა.* ანამნეზში ტუბერკულოზის არსებობა და CT ან MRI მონაცემებით ხდება ამ ორი დაავადების დიფერენცირება.

დიაგნოსტიკა:

- ინფექციის არსებობა, ლეიკოციტოზი სისხლში და ერითროციტების დალექვის სიჩქარის მომატება.
- ბლაცერზე ეჭვის შემთხვევაში ლუმბალური პუნქცია არ უნდა ჩატარდეს. იგი ნაკლებად ინფორმატიულია და შეიძლება გამოინვიოს ჩაქცევა.

◆ ნეიროვიზუალიზაციური ჯვლევა შესაძლებელია აბსცესის ფორმირების სტადიების შეფასება. CT –ზე დასაწყისში ვლინდება აქვს დაბალი სიმკვრივის ცენტრალური უბანი, რომელიც დიფუზიად იხთავს კონტრასტს და რომელსაც გარს აკრავს შეშუპების ზონა. მოგვიანებით, კონტრასტირებისას, ეტის იჩგვლივ ვლინდება ბეჭდისებრი ზონა, რომელიც აბსცესის კაფსულას ნარმოადგენს. MRI-ით T_2 ხევიმში ვლინდება ჰიპერინტენსიური ეჯა, რომელიც ჰომოგენურია და ავლენს ორგორც აბსცესს, ისე მის გარშემო არსებულ ტვინის ქსოვილის შეშუპებას.

◆ ბაქტერიული ენდოკარდიტი. მისი აღება შეიძლება ნებისმიერი უბნიდან, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ინფექციის წყაროს.

მკურნალობა: იგი ემყარება ანტიბიოტიკოთერაპიას ან ქირურგიული გზით დრენირებას. მნიშვნელოვანია ადეკვატური ანტიბიოტიკის შერჩევა, ტრადიციულად მონოდებულია მაღალი დოზით მიზანმიმნონილია მესამე თაობის ცეფალოსპორინების და (ცეფოტაქსიმი ან ცეფტრიაქსონი) და მეტრონიდაზოლის კომბინაცია.მ თავის ტრავმული დაზიანების ან ნეიროქირურგიული მანიპულაციის შემდეგ განვითარებული აბსცესის დროს დროს მიზანმიმნონილია მესამე თაობის ცეფალოსპორინის ცეფტაზიდიმის ორმელიც ფარავს *Pseudomonas* და ვანკომიცინის კომბინაცია, რომელიც ფარავს სტაფილოკოკებს. მხოლოდ მედიკამენტური თერაპია არ არის ოპტიმალური ტვინის აბსცესის მკურნალობისათვის, ხშირად საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც აბსცესს აქვს კარგად ჩამოყალიბებული კაფსულა. Mონოდებულია აბსცესის სტერეოტაქსიური ასპირაცია შემდგომი დრენირებით ან კრანიოტომიის მეშვეობით აბსცესის ამოკვეთა

პროგნოზი: თავის ტვინის აბსცესის დროს ლეტალობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. იგი შეადგენს 49%-ს. სიკვდილიანობა განსაკუთრებით დიდია მრავლობითი აბსცესის და ღრმაში ან ეტის ნილში არსებული აბსცესის დროს. კომა, ღრმად მდებარე აბსცესი, გამსკდარი აბსცესი და ანაერობული სტრეპტოკოკული ინფექციის არსებობა ამძიმებს პროგნოზს.

თავის ტვინის აბსცესის დროს ლეტალობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. იგი შეადგენს 49%-ს. სიკვდილიანობა განსაკუთრებით დიდია მრავლობითი აბსცესის და ღრმაში ან ეტის ნილში არსებული აბსცესის დროს. კომა, ღრმად მდებარე აბსცესი, გამსკდარი აბსცესი და ანაერობული სტრეპტოკოკული ინფექციის არსებობა ამძიმებს პროგნოზს.

ენცეფალიტი

მენინგიტების უმეტესი შემთხვევების დროს ადგილი აქვს თავის ტვინის ისეთ ანთებით პროცესს, რომელსაც ანთება თავის ტვინის გარსებიდან ვრცელდება ტვინის ნივთიერებაზე. ამგვარ შემთხვევებში ადგილი აქვს ***მენინგოენცეფალიტის არსებობას.***

არსებობს ცნს-ის ინფექციების ჯგუფი, რომელთაც ახასიათებთ თავის ტვინის ქსოვილის უმეტესი ნაწილის ჩართვა პროცესში, რის შედეგადაც ვითარდება ორგორც ცნობიერების, აზროვნების და სხვადასხვა კოგნიტური პროცესების, ისე მოტორული ფუნქციების დარღვევები. ზოგიერთი მათგანს, მაგალითად, მარტივ ჰერპესის ან ცოფის ვირუსით გამოწვეული ენცეფალიტებს განაპირობებს ტვინის **უკრედების პირდაპირი ინვაზია ვირუსით,** ხოლო დანარჩენ მათგანს კი- **ინფექციის ან იმუნიზაციის (პარაინფექციური ან პოსტინფექციური** ენცეფალიტი) შედეგად განვითარებული მეორადი იმუნოლოგიური ჩვაქცია.


ეტიოლოგიური ფაქტორების დადგენა ხშირად ხდება ეპიდემიოლოგიური და ანამნეზური მონაცემებით, ან ლინიკური გასინჯვით (იხილეთ ცხრილი 5).

განსაზღვრება: უკანასკნელ ათწლეულებამდე არავინ იცოდა ტერმინი ბორელიოზი არ იყენებდნენ ნევროლოგთა ყურადღებას. მაგრამ 1970 ნლების ბოლოს კონექტიკუტის შტატის ქალაქ ლაიმში გამოვლინდა მენინგოენცეფალიტის დაავადების შემთხვევები, ნერვული სისტემის გამოხატული დაზიანებით. მისი მიზეზი გამოვლინდა 1982 წელს. ხოლო Burgdorfer-მა გამოყო დაავადების დამომნვევი სპიროქეტა, რომელსაც ეწოდა ავტორის სახელი, ხოლო დაავადებას ლაიმის დაავადება. ლაიმის დაავადება წარმოადგენს მენინგოენცეფალიტის დაავადებას, რომელიც გამონვეულია სპიროქეტა *Borrelia burgdorferi*-თი. მისი გადაცემა ხდება ტკიპების *Ixodes dammini* ბენის საშუალებით.ინფიცირების ადგილას ვითარდება კანის ლოკალური სინითლე რომელიც ფართოვდება (ქრონიკული მიგრირებული ერითემა) და თანხლებულია გრიპოზული მოვლენებით. აცრუული სტადიებზე ვითარდება მწვავე დისემინირებული ბორელიოზი ხოლო მოგვიანებით ქრონიკული ბორელიოზი. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელი პოპულაციის 10-15% აღენიშნება ბორელიაზე დადებითი სეროლოგიური რეაქციები, ამიტომ ნებისმიერი მწვავე ნევროლოგიური პათოლოგია განვითარებისას აუცილებელია ბორელიოზის გამორიცხვა.

ლაიმის დაავადება წარმოადგენს მენინგოენცეფალიტის დაავადებას, რომელიც გამონვეულია სპიროქეტა *Borrelia burgdorferi*-თი. მისი გადაცემა ხდება *Ixodes dammini* ბენის საშუალებით

სიმპტომატოლოგია: აცრუულ სტადიებზე აღინიშნება მიგრირებული ერითემა, დაავადებას ახასიათებს დისემინირებული სტადიის დროს ვითარდება თავის ტკივილი, ცხელება, დაღლილობა, მსხვილი სახსრების ანთებადობა, გამონაყარი კანზე. თანდათან დაღლილობა ჰეპატიტებს, ტკივილი სახსრებში მიგრირებს და ვლინდება ხანმოკლე, ექსუდენტული, შეტევითი ტკივილის სახით, რომელსაც მოსდევს შეშუპება მსხვილ სახსრებში, ყველაზე ხშირად მუხლის სახსრაში. აღნერილია მიოკარდიტის, პერიკარდიტის, გულის გამტარებლობის დარღვევების შემთხვევებიც. ნევროლოგიურად ვლინდება ასეპტური მენინგიტის, ენცეფალიტის, ჭრანული ნეირობათიის, ბრადიკარდიულ-ნევრიტის, სუსტი ან მათი შეკრება. ყველაზე ხშირად გვხვდება ლიმფოციტური მენინგიტი, კანის ნერვის ცალმხრივი ან ორმხრივი დაზიანებით. აღნერილია Guillain-Barre-ს მსგავსი სინდრომიც.

სიმპტომატოლოგია: ამ დაავადებას ახასიათებს:

- ცხელება
- დაღლილობა
- მსხვილი სახსრების ანთებადობა
- გამონაყარი კანზე
- ეოზინოფილია
- შეშუპება მსხვილ სახსრებში, ყველაზე ხშირად მუხლის სახსრაში.
- აღნერილია მიოკარდიტის, პერიკარდიტის, გულის გამტარებლობის დარღვევების შემთხვევებიც.





24.13; 24.14 Erythema migrans მიგრირებული ერითემა

დიაგნოსტიკა: მწვავე ბორელიოზის დროს სისხლში ვლინდება ლიმფოციტური პლეოციტოზი, ქრონიკული ფორმების დროს ციტოზი ან ნორმის ფარგლებშია ან მცირედ არის მომატებული. ინფორმატიულია სეროლოგიური ტესტები: ენზიმ-შეკრული იმუნოსორბენტული მეთოდი (ELISA) და ან პირდაპირი იმუნოფლორესცენტული ანალიზი (IFA). მწვავე პერიოდში 90% აღინიშნება დადებითი IgM ანტისხეულები, ქრონიკულ პერიოდში კი IgG G ტიპის ანტისხეულები.

ნევროლოგიურად ვლინდება:

- ასეპტური მენინგიტი
- მენინგოენცეფალიტის სურათი

მკურნალობა: ეფექტურია პენიცილინ G-ს ინტრავენური მიღება დოზით 24 მილიონი ერთეული 10 დღის მანძილზე, დოქსიციკლინი 100 მგ, ან ცეფტრიაქსონი 2გ დღეში 14 დღის მანძილზე.

მკურნალობა: ეფექტურია პენიცილინ G-ს ინტრავენური მიღება დოზით 24 მილიონი ერთეული 10 დღის მანძილზე ან ცეფტრიაქსონი 2გ დღეში 14 დღის მანძილზე.

ᲚᲔᲯᲢᲝᲡᲞᲘᲠᲝᲖᲘ

სისტემური სპიროქეტული ინფექცია, რომელსაც *Leptospira interrogans* ნახმოადგენს ბიფაზუის დაავადებას. ასწყის ეტაპზე იგი ვირნდება ჰეპატიტით, მაგრამ დაავადების მეორე ეტაპზე შეიძლება გამოინვიოს ასეპტური მენინგიტის, რომელიც დებიეტში ვირნდება შემცივნებით, მაღალი ცხელებით, მუცლის ტკივილით, ხველით. მენინგიტისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებით მწვავე ჯონიუქტივიტი და მკვეთრი ფოტოფობია. ღიქვოჩის ციტოზი 1 მკლ-ში დაახლოებით 100 უჯრის, თუმცა შეიძლება იყოს უფრო მაღალი მაჩვენებლებიც. ზოგ შემთხვევაში თანდათანობით ვასკულიტის შედეგად ვითარდება სუბარაქნოიდული ან ინტრაპარენქიმული ჰემორაგია. დაავადების დიაგნოსის დასმა ხდება სეროლოგიური მეთოდების გამოყენებით (კომპლემენტის შებოჭვის რეაქცია და აგლუტინაციის ტესტები) ადრეულ და ლეპტოსპირების აღმოჩენით სისხლსა და ღიქვოჩში. ღიმფოციტური მენინგიტი ჯი ადის მეორე, იმუნური ფაზის ნაწილი და იგი ხშირად შეუღლებულია ღვიძლის და თირკმლის ფუნქციის დარღვევებთან. მისი გადაცემა ხდება ძუძუმწოვრებიდან და ამიტომ ხშირად ავადდებიან ის პირები, რომლების შეხებაში ადიან სოფლის მეურნეობის დარგთან. მკურნალობა ტარდება პენიცილინით.

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝᲡᲣᲠᲘ ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ

განსაზღვრება: ამ დაავადებას ადრე ენოდებოდა ბავშვთა სპინალური დამბლად, ითვლებოდა მძიმე პათოლოგიად და გავრცელებული იყო ეპიდემიის ან ენდემიის სახით. დღესდღეობით ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ხდება აქტიური ვაქცინაცია, ეს დაავადება პრაქტიკულად არ აღინიშნება. ✓ *მას იწვევს პოლიომიელიტის სამი სახეობა, ამავე ტიპის ინფექცია შეიძლება გამოინვიოს ენტეროვირუსებმა, კერძოდ, ყოქსაკი A და B ვირუსებმა და ექოვირუსებმა.* ადგილი აქვს ასიმპტომატურ ან მსუბუქ, არასპეციფიურ ინფექციას. ხშირია ასეპტური მენინგიტი და იშვიათად ძლიერი, განსაკუთრებით ზურგის ტვინის ნივთიერების გამო, ვითარდება პარალიტური დაავადება.

ეპიდემიოლოგია: იგი საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა აფრიკასა და აზიაში. ვირუსები ცხელდება ორგორც ჰაერ-წვეთოვანი, ასევე ალიმენტარული გზით.

სიმპტომატოლოგია: 3-20 დღიანი ინკუბაციური პერიოდის შემდეგ ვითარდება არასპეციფიური პროდრომული ფაზა სუბფებრილიტეტით თავის და კუჭის ტკივილით, ღებინებით. 1-2 პროცენტში ამას თან მოსდევს ვირუსული მენინგიტი, ხშირ შემთხვევაში კი ინფექცია (90-95%) ჭლინიკურად არ მანიფესტირდება. 1-4 დღის შემდეგ ვითარდება დამბლა, რომელიც არის ქვედა მოტონეირონის დაზიანების შედეგი. იგი არის ასიმეტრიული, უფრო პროქსიმალური, ვიდრე დისტალური, უფრო ახიანებს ქვდა კიდურებს ვიდრე ზედას და პროგრესირებს 24-48 საათში. შემთხვევათა მცირე ნაწილში პროცესში ერთვება კრანიული ნერვების ბირთვები, განსაკუთრებით IX და X წყვილი. ამის გამო აღინიშნება დისფაგია, ცხვირისმიერი მეტყველება, სუნთქვის სირთულეები. ძალიან იშვიათად პროცესში ჩაერთვება სუნთქვის და ვაზომოტორული ცენტრები.

მწვავე ფაზის შემდეგ იწყება სტაბილიზაცია, მაგრამ პაციენტთა დიდ ნაწილში ვითარდება კუნთების სისუსტის ახალი ეპიზოდები, ზოგადი სისუსტე და ტკივილი. სინდრომის მიზეზია მოტორული ერთეულის გახანგრძლივებული ანასტაბილურობა და დენერვაცია.

დიაგნოსტიკა: ნეიროლოგიური პოლიომიელიტის ნებისმიერი ფორმის დროს ღიქვოჩის მაჩვენებლები მსგავსია ასეპტური მენინგიტის დროს არსებული მაჩვენებლების. ვირუსის გამოყოფა შესაძლებელია განავალიდან ან საყლაპავის ამონარეცხიდან.

ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ხდება აქტიური ვაქცინაცია, პოლიომიელიტი პრაქტიკულად არ აღინიშნება. მას იწვევს პოლიომიელიტის სამი სახეობა, *ამავე ტიპის ინფექცია შეიძლება გამოინვიოს ენტეროვირუსებმა, კერძოდ, ყოქსაკი A და B ვირუსებმა და ექოვირუსებმა.* ადგილი აქვს ასიმპტომატურ ან მსუბუქ, არასპეციფიურ ინფექციას. ხშირია ასეპტური მენინგიტი და იშვიათად, ძლიერი, განსაკუთრებით ზურგის ტვინის ნივთიერების გამო, ვითარდება პარალიტური დაავადება.

3-20 დღიანი ინკუბაციური პერიოდის შემდეგ ვითარდება არასპეციფიური პროდრომული ფაზა სუბფებრილიტეტით თავის და კუჭის ტკივილით, ღებინებით. 1-2 პროცენტში ამას თან მოსდევს ვირუსული მენინგიტი, ხშირ შემთხვევაში კი ინფექცია (90-95%) ჭლინიკურად არ მანიფესტირდება. 1-4 დღის შემდეგ ვითარდება დამბლა, რომელიც არის ქვედა მოტონეირონის დაზიანების შედეგი. ღენე, არეფლექსით. იგი არის ასიმეტრიული, უფრო პროქსიმალური, ვიდრე დისტალური, უფრო ახიანებს ქვდა კიდურებს ვიდრე ზედას და პროგრესირებს 24-48 საათში.

მკურნალობა: დამბლის განვითარების შემთხვევაში არც ერთი სახის მკურნალობა არ არის ეფექტური. მკურნალობა გულისხმობს სუნთქვის მართვას, ჯონტრაქტურების პრევენციას და რეაბილიტაციას.

პრევენცია: პოლიოს პრევენცია ხდება იმუნიზაციით ან ინაქტივირებული ან ცოცხალი ორალური ვაქცინებით. ორივე ფორმას ფართოდ გამოიყენებენ, რის შედეგადაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, 2000 წლისთვის, პოლიოს ფორმის ინფექციები სრულიად აღმოიფხვრა. ახალშობილებში სავალდებულოა ვაქცინაცია პირველადი იმუნიზაციის სახით. იშვიათად აღნიშნულია ვაქცინასთან დაკავშირებული დამბლა.

ცერებრული ბრუცელოზი

ბრუცელოზური ინფექცია, გამოწვეული *Brucella abortus, melitensis,* და *suis*-ის მიერ მნიშვნელოვნად აზიანებს ცნს-ს. ინფექცია ჩვეულებრივ გადაეცემა შინაური ცხოველებით ან დაინფიცირებული ხძის მიღების დროს. პაციენტი უჩივის მაღალ ტემპერატურას, ძლიერ თავის ტკივილს, მიალგიას, სისუსტეს. შეიძლება განვითარდეს მენინგომიელიტი, ხაღარულონევრიტი, სპონდილიტი. მენინგოენცეფალიტი იწვევს ჭანიული ნერვების დაზიანებას, ჰემიპლეგიას, პარაპლეგიას.

არანამკურნალები ინფექცია ან მკურნალობის შემდეგ რეციდივის გარჩენა წარმოადგენს დაავადების ქრონიკული ფორმის ჩამოყალიბების მიზეზს. ყველაზე ეფექტის დიაგნოსტიკის მეთოდს წარმოადგენს სეროლოგიური ტესტები. ბრუცელოზის მკურნალობისათვის გამოიყენება დოქსიციკლინი ან ტეტრაციკლინი მონოთერაპიის სახით ან კომბინაციაში სტრეპტომიცინთან.

ტეტანუსი

განსაზღვრება: ტეტანუსის კლინიკური მანიფესტაცია განპირობებულია ანაერობული, გრამ-დადებითი ჩხირების, *Clostridium tetani*-ის მიერ გამოყოფილი ეგზოტოქსინის მოქმედებით. მას ახასიათებს პერიოდული, კუნთების მწვავე ტკივილი. განვითარებულ ქვეყნებში, ტეტანუსის ვაქცინაციის შედეგად, დაავადება ძალიან იშვიათად გვხვდება.

განსაზღვრება: ტეტანუსი წარმოადგენს მწვავე ტოქსემიას, რომელიც გამოწვეულია *Clostridium tetani*-ის ბაცილიდან გამოყოფილი ნეიროტოქსინით. ამ დაავადებას ახასიათებს პერიოდული, მწვავე კუნთების ტკივილი.

ეტიოპათოგენეზი: *Clostridium tetani* არის გრამ-დადებითი, სპორის წარმომქმნელი ბაცილა. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ტეტანუსის განვითარებაში არის ანაერობული გარემოს არსებობა. ხელსაყრელ გარემოში სპორა მწიფდება და მიკროორგანიზმი გამოყოფს ძალიან ტოქსიკურ ნეიროტოქსინს-ტეტანოსპაზმინს. ყველა დამახასიათებელი სიმპტომი წარმოადგენს აღნიშნული ტოქსინის მოქმედების შედეგს. იგი უკავშირდება პერიფერიული ნერვული დაბოლოებებს და აღწევს ცნს-ში, ან ჰეტეროგარდაღებად პერიფერიული ნერვული აქსონების საშუალებით, ან სისხლის ან ლიმფის გზით. ტოქსინის მოქმედება ხორციელდება სელექტიურად ზურგის ტვინის პრესინაფსური ინჰიბიტორული ნეირონების ბლოკირებით. ეს განაპირობებს კუნთების ჰიგიდრობას და სპასმს, თანხლებული სიმპათიკური ნერვული სისტემის ჰიპერაქტიურობით.

სიმპტომატოლოგია: ტეტანუსი სპორადული დაავადებაა. მისი განვითარების მიზეზია ღრმა ჭრილობაში დაბინძურებული ნიადაგის მოხვედრა. თუმცა აღნიშნულია ტეტანუსის განვითარების იშვიათი შემთხვევები, რომლებიც ვითარდება ცხოველების დაკბენით, მწერების კბენით, ვაქცინაციით. იშვიათად, ჭრილობის არსებობის ფაქტი შეიძლება არც კი არსებობდეს.

➡ ეტიოპათოგენეზი: *Clostridium tetani* გამოყოფს ძალიან ტოქსიკურ ნეიროტოქსინს-ტეტანოსპაზმინს. იგი უკავშირდება პერიფერიულ ნერვულ დაბოლოებებს და აღწევს ცნს-ში, ან ჰეტეროგარდაღებად პერიფერიული ნერვული აქსონების საშუალებით ან სისხლის ან ლიმფის გზით. ტოქსინი სელექტიურად აზიანებს მოტორული ნეირონების ფუნქციას, ხადგან ახდენს სინაფსური ინჰიბიციის ბლოკირებას და აზიანებს უჯრედების სხეულებს.

სიმპტომატოლოგია: ინკუბაციური პერიოდი გრძელდება ინფიცირებიდან 4-10 დღე ხოლო სიმპტომები ვლინდება დაზიანებიდან ჰამდენიმე საათის ან ჯვირის შემდეგ. თავიდან პაციენტს ანუხებს:

- შემცივნება
- ცხელება
- ტკივილი და შესიება ჭრილობის არეში.

იშვიათად აღინიშნება მისი ღოკალიზებული ფორმა, ხოდესაც ვლინდება მხოლოდ ჭრილობის იარგლივ არსებული კუნთების ხიგიდობა და ტკივილი. უფრო ხშირად აღინიშნება გენერალიზებული ფორმა, ხოდესაც ტოქსინი ვრცელდება მთელ ცნს-ში. ტეტანოსპაზმინს აქვს სპეციფიური აფინიტეტი მხოლოდ იმ მოტონეირონების მიმართ, ხომლებიც აინერვირებენ სახეს და ყბას, ჰაც იწვევს ტეტანუსის ყველაზე არხეულ კლინიკურ სიმპტომს ტრიზმს და risus sardonicus-ს (სარდონული ღიმილი). დაავადება თანდათან მოიცავს სხვადასხვა ჯგუფის კუნთებს და ვითარდება კუნთების ძალიან ძლიერი, სპაზმური შეკუმშვები. აღნიშნული სპაზმები, ხოგორც წესი, ხანმოკლეა, მაგრამ ძალიან მტკივნეული. მათი სიხშირე თანდათან მატულობს. ისინი შეიძლება აღმოცენდეს უეცარი ხმაურის ან შეხების დროს ან შეიძლება დაიწყოს სპონტანურად. დაავადება გრძელდება ხამდენიმე ჯვირა.

გართულებები: ◆სპაზმი იმდენად ძლიერია, რომ ზოგჯერ იწვევს ძვლების მოტეხილობას. ◆თუ სპაზმი გავრცელდა დიაფრაგმაზე, ნეკნთთაშორისი კუნთებზე და/ან ხორხსარქველზე, მაშინ ვითარდება ასფიქსია.

დიაგნოსტიკა: ტეტანუსის დიაგნოზი ემყარება კლინიკურ სურათს. მნიშვნელოვანია *C. tetani*- ს აღმოჩენა და აგრეთვე ანამნეზში ჭრილობის არსებობა.

მკურნალობა: ◆ადამიანის ტეტანუსის იმუნოგლობულინი (ანტიტოქსინი) უნდა დაინიშნოს დოზით 100 U/კგ კუნთებში ან ინტრავენურად, რათა მოხდეს ტოქსინის ნეიტრალიზება. ◆ჭრილობა უნდა გაიხსნას და დამუშავდეს. ◆ჰოკაინ პენიცილინ G ინიშნება დოზით 1.2 მილიონი ერთეული ყოველ 6 საათში 10 დღის მანძილზე კუნთებში ან ინტრავენურად. ტეტრაციკლინი 2 გ/დღეში ეს ანტიბიოტიკები ხრგად მოქმედებენ ტეტანუსის ვეგეტატიკურ ფორმებზე. ◆პაციენტს უნდა ჩაუტარდეს სედაცია და მოთავსდეს წყნარ, ბნელ ოთახში. ◆მძიმე შემთხვევებში ინიშნება ნერვ-კუნთოვანი გადაცემის ბლოკატორები, გამოიყენება ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია ან ტრაქეოსტომია.

აუცილებელია ყველა ბავშვის იმუნიზაცია სათანადო სქემით. ✓ *პირველი იმუნიზაციიდან ყოველ 10 წელიწადში განმეორებით ხდება ტეტანუსის ანატოქსინის (ტოქსოიდის) შეყვანა. თუ ჭრილობის მიღების პერიოდისათვის პაციენტს განმეორებითი იმუნიზაცია არ აქვს ჩატარებული, ტეტანუსის ანტიტოქსინთან ერთად, ხდება ტეტანუსის ანატოქსინის (ტოქსოიდის) შეყვანა.*

პროგნოზი: პროგნოზი არაკეთილსაიმედოა, ხოდესაც ინკუბაციური პერიოდი ხანმოკლეა, ჭრილობა ახლოსაა თავთან, დაავადება სწრაფად პროგრესირებს, სპაზმების ხშირი და ძალიან მტკივნეულია. ასეთ შემთხვევებში პაციენტი იღუპება სწრაფად. რაც დიდხანს მიმდინარეობს დაავადება, მით უკეთესის იგი პროგნოსტულად. სიკვდილიანობის მაჩვენებელი შეადგენს 15 %-ს ნამყვან სამედიცინო ცენტრებშიც კი.

ᲑᲝᲢᲣᲚᲘᲖᲛᲘ

ბოტულიზმი წარმოადგენს მწვავე, პოტენციურად ფატალურ ტოქსემიას, რომლის მიზეზია ბოტულინური ნეიროტოქსინის მოხვედრა ორგანიზმში

განსაზღვრება: ბოტულიზმი წარმოადგენს მწვავე, პოტენციურად ფატალურ ტოქსემიას, რომლის მიზეზია ბოტულინური ნეიროტოქსინის მოხვედრა ორგანიზმში. მას ახასიათებს სიმეტრიული ჩრანული ნეიროპათია, რომლესაც მოსდევს დალმავალი სიმეტრიული კუნთების სისუსტე და დამბლა.

ეტიოპათოგენეზი: ***Clostridium botulinum*** არის ანაერობული, გრამ-დადებითი, სპორის შემქმნელი ბაცილა. ბოტულინო-ტოქსინი გამოთავისუფლდება მიკროორგანიზმის სიკვდილის და აუტოლიზისის დროს. ეს უკანასკნელი ვითარდება სხლის პირობებში მომზადებულ კონსერვებში. ორგანიზმში მოხვედრილი ტოქსინი შეინთქმება ნაწ-ნაწლავის ტრაქტში და ვრცელდება მთელ ორგანიზმში.

ტოქსინი ხელს უშლის ასეტილქოლინის გამოთავისუფლებას ჰესინაფსური ნერვული დაბოლოებებიდან. ქოლინერგული ფუნქცია ინტაქტური ჩრება.

სიმპტომატოლოგია: ანამნეზში ყოველთვის ფიგურირებს სახლის ჰიონობებში დაჯონსეხებული ჰოდუქტის მიღება. იშვიათად დაავადების მიზეზია ჭრილობა. *C. botulinum*-ით გამოწვეული სინუსების ინფექცია ვითარდება დაინფიცირებული ჯოჯოხეთის შესუნთქვის დროს. აღრეული სიმპტომები ვითარდება დაინფიცირებიდან 12 საათი-10 დღის შემდეგ. ამ ეტაპზე ნამყვანი ჩივილია დიპლოპია, ფტოზი, დაბინდული მხედველობა, ფოტოფობია. უფრო ჯაფდაული ჯგუფის ნერვების ჩართვისას აღინიშნება დისფონია, დისფაგია, დიზართრია. ძალიან სწრაფად ვითარდება ჯუნთების დაღლადობა, დენე, სიმეტრიული დამბლა, რაც იწვევს სუნთქვის გაძნელებას. პარასიმპათიკური ავტონომიური დისფუნქცია ვლინდება ოფლიანობით, პირის და თვალების სიმშრალით, შარდის ჩატენციით. პაციენტის ცნობიერება, ორიენტაცია და მგრძნობელობა ინტაქტურია. ბოტულიზმს ცხელება არ ახასიათებს.

დიფერენციული დიაგნოზი: ბოტულიზმის აღრეული სტადიები ძალიან გავს Guillain-Barre-ს სინდრომს, Myasthenia gravis-ს, თავის ტვინის ღეროს ინფარქტს, ოჯახურ პერიოდულ დამბლას, დიფტერიას, პოლიომიელიტს, ფსიქიატრიულ დაავადებებს. ანამნეზი, ნორმალური ლიქვორი, დაავადების სწრაფი ჰოგრესირება აღასტურებს ბოტულიზმის დიაგნოზს.

დიაგნოსტიკა:

- პაციენტის შარატი, განავალი, ჯუჭიდან ამორეცხილი მასა, საეჭვო საჭმელი არის ტოქსინის პოტენციური წყარო. მისი იდენტიფიცირება ხდება ტოქსინის ნოკულაციით თაგვის ორგანიზმში.
- ელექტრომიოგრაფიული ჯვლევები. იგი მოიცავს ნერვების განმეორებით სწრაფ სტიმულაციას.

მკურნალობა:

✓ პაციენტს უნდა ჩაუტარდეს ჯანის ტესტი ანტიტოქსინის შეყვანამდე, რადგან პაციენტთა 20%-ს აღენიშნება აღრეული რეაქცია ამ ანტიტოქსინის მიმართ და ისინი მკურნალობამდე საჭიროებენ დესენსიტიზაციას. მიუხედავად ამისა, ანტიტოქსინი უნდა შეიყვანონ რაც შეიძლება სწრაფად.

✓ რეკომენდირებულია ჭარბი ტოქსინის გამოტანა ნაწლავებიდან, თუ ეს შესაძლებელია.

✓ მნიშვნელოვანის სუნთქვის რეგულირება. საჭირო ხდება ტრაქეოსტომიის, ინტუბაციის, მექანიკური ვენტილაციის ჩატარება.

✓ უნდა მოხდეს სითხეების და ელექტროლიტური ბალანსის მონიტორინგი.

✓ გუანიდინი 15 მგ/კგ/დღეში გაყოფილი დოზებით, მაქსიმალური დოზით 50 მგ/კგ ზრდის ნეშვული დაბოლოებებიდან გამოთავისუფლებული ასეტილქოლინის რაოდენობას. გუანიდინის ეფექტურობა დადასტურებული არ არის.

პროგნოზი: სიკვდილიანობის მაჩვენებელი შეადგენს 50-70%-ს.

სოკოვანი ინფექცია

განსაზღვრება: სისტემურ სოკოვან ინფექციებს შესწევთ უნარი შეაღწიონ ცნს-ში ან პირდაპირი გზით ან სისხლის ნაკადის საშუალებით. ისინი იწვევენ სეპტიურ, ხშირად ფატალურ დარღვევებს, რომელთა მკურნალობა ძალიან ძნელია.

ეტიოპათოგენეზი: არსებობს სოკოთა დაახლოებით 20 ტიპი, რომლებიც აზიანებენ ცნს-ს. ნეშვული სისტემის სოკოვანი დაზიანებების სპექტრი ძალიან მრავალფეროვანია და მოიცავს ნეშვული სისტემის ყველა სახის დაზიანებას. *ნორმალური იმუნური სტატუსის მქონე პაციენტებს უმეტესად ვერთიანებათ ჰისტოპლაზმოზი, იმუნოდეფიციტის შემთხვევაში აღგილი აქვს კანდიდოზს, ან ასპერგილოზს.* სოკოვანი ინფექციები უფრო გავრცელებულია განვითარებად

ეტიოპათოგენეზი: ბოტულინური ტოქსინი გამოთავისუფლდება მიკროორგანიზმის სიკვდილის და აუტოლიზისის დროს. ტოქსინი ხელს უშლის ასეტილქოლინის გამოთავისუფლებას ჰესინაფსური ნეშვული დაბოლოებებიდან. ქოლინერგული ფუნქცია ინტაქტური ჩრება.

სიმპტომატოლოგია: აღრეული სიმპტომები ვითარდება დაინფიცირებიდან 12 საათი-10 დღის შემდეგ. ამ ეტაპზე ნამყვანი ჩივილია:

- დიპლოპია, ფტოზი, დაბინდული მხედველობა, ფოტოფობია.
- დისფონია, დისფაგია, დიზართრია.
- ჯუნთების დაღლადობა, დენე, სიმეტრიული დამბლა, რაც იწვევს სუნთქვის გაძნელებას
- ოფლიანობა, პირის და თვალების სიმშრალე, შარდის ჩატენცია. პაციენტის ცნობიერება, ორიენტაცია და მგრძნობელობა ინტაქტურია. ბოტულიზმს ცხელება არ ახასიათებს.

დიაგნოსტიკა:

- პაციენტის შარატი, განავალი, ჯუჭიდან ამორეცხილი მასა, საეჭვო საჭმელი არის ტოქსინის პოტენციური წყარო.
- ელექტრომიოგრაფიული ჯვლევები. იგი მოიცავს ნერვების განმეორებით სწრაფ სტიმულაციას.

მკურნალობა:

- პაციენტს უნდა ჩაუტარდეს ჯანის ტესტი ანტიტოქსინის შეყვანამდე.
- ჭარბი ტოქსინის გამოტანა ნაწლავებიდან, თუ ეს შესაძლებელია.
- მნიშვნელოვანია სუნთქვის რეგულირება.
- სითხეების და ელექტროლიტური ბალანსის მონიტორინგი.
- გუანიდინი 15 მგ/კგ/დღეში გაყოფილი დოზებით, მაქსიმალური დოზით 50 მგ/კგ. გუანიდინის ეფექტურობა დადასტურებული არ არის.

ეტიოპათოგენეზი: სოკო ვი-
ცენდება სუბახალნოიდენ სივიცეში და ინვევს ქრონიკენ ბაზალეს მენინგიტს ეპითელიური უჯრედების, გიგანტური უჯრედების, ღიმფოციტების და პლაზმური უჯრედების შემცველი გრანულომატოზური დახიანებით. ზოგიერთ სოკოს შესნევს უნარი პირდაპირ დაზიანოს ჰარენქიმა და გამოინვიოს ქსოვილის დესტრუქცია, რომელსაც მოსდევს აბსცესის ან ცისტის ფორმირება. ცერებრული სისხლძარღვების დაზიანება ინვევს თრომბოზის ან იშემიის განვითარებას. ***ნორმალური იმუნური სტატუსის მქონე პაციენტებს უმეტესად ვითარდებათ ქრიპტოკოკოზი, იმუნოდეფიციტის შემთხვევაში აღგილი აქვს კანდიდოზს, ან ასპერგილოზს.***

დიაგნოსტიკა:
- ღუმბაღეული პუნქცია
- ჯანის ტესტები, კომპლემენტის ფიქსაციის ტესტი, ფლეოროსცენტული ანტისხეულების ტესტი, და შიატში Ag და Ab ტიტრი ნარმოადგენს ინფორმატიულ მეთოდებს სოკოვანი ინფექციების დიაგნოსტიკაში.
- სისხლის ანალიზი
- გულმკერდის ჩენტგენოგრაფია
- თავის ქალას ჩენტგენოგრაფია.

მკურნალობა:
- Amphotericin B.
- სიმპტომატური მკურნალობა საჭიროა გულყრების, ჰიდროცეფალიის, გაზრდილი ინტრაკრანიული ჰიპერტენზიის დროს.
- Miconazole ეფექტურია ისეთი სოკოვანი ინფექციების დროს, რომელიც *Creptococcus, Histoplazma* და *Candida*

ქვეყნებში, ვიდრე ევროპაში. აშშ-სა და სამხრეთ ამერიკაში გავრცელება ტოქსიდიოიდოზი, ჰისტოპლაზმოზი, ასპერგილოზი – ბლასტომიკოზი. სოკოვანი გამომწვევების უმეტესობა აღწევს ცნს-ში ჰემატოგენური დისემინაციით, შედარებით მოშორებული ჯერიდან. ზოგიერთი მათგანი მაგ; Phycomycetes შეიძლება აღმოჩნდეს ცნს-ში დაინფიცირებული თავლებელიდან ან სინუსიდან. სოკო ვიცენდება სუბახალნოიდენ სივიცეში და ინვევს ქრონიკენ ბაზალეს მენინგიტს ეპითელიური უჯრედების, გიგანტური უჯრედების, ღიმფოციტების და პლაზმური უჯრედების შემცველი გრანულომატოზური დახიანებით. ზოგიერთ სოკოს შესნევს უნარი პირდაპირ დაზიანოს ჰარენქიმა და გამოინვიოს ქსოვილის დესტრუქცია, რომელსაც მოსდევს აბსცესის ან ცისტის ფორმირება. ცერებრული სისხლძარღვების დახიანება ინვევს თრომბოზის ან იშემიის განვითარებას..

სიმპტომატოლოგია: პაციენტთა უმეტესობას ანამნეზში აღენიშნება ქრონიკული ან ქვემწვავე, მორეციდივე დაავადება. ფაქტორები, რომლებიც ხელს უნყობენ სოკოვანი ინფექციების განვითარებას მრავალია, მათ მიეკუთვნება ანტიბიოტიკოთერაპია, მედიკამენტური იმუნოსუპრესია, ავთვისებიანი სიმსივნეები, ქრონიკული დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი ან ალკოჰოლიზმი, ტრავმა, ვენტრიკულო-პერიტონეული შუნტი, ნარკომანია, ენდემურ არეებში პაციენტთა მოხვედრა ან მანამდე არსებული სოკოვანი ინფექცია. ნევროლოგიური გამოვლინების სანყისი სიმპტომები არასპეციფიურია და მოიცავს თავის ტკივილს, ანორექსიას, გულისრევას, ღებინებას, ინსომნიას. შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს მენინგეური ირიტაციის ნიშნები, მხედველობის ნერვის დვრილის შეშუპება, ქრანიული ნერვების დაზიანების ფოკალური სიმპტომები ან ჰემიპარეზი. ამავე დროს შეიძლება მოხდეს სხვა ორგანოების დაზიანების გამოვლინება, როგორიცაა ღვიძლი, ელენთა, თირკმელები.

მიმდინარეობა: სოკოვანი ინფექციების უმეტესობას აქვს ქვემწვავე ან ქრონიკული მიმდინარეობა, თუმცა Phycomycetes ხშირად სწრაფად ინვევს ფატალურ შედეგს. სიკვდილიანობა არანამკურნალებ სოკოვან ინფექციებში შეადგენს 100%-ს. სიკვდილის მიზეზია მენინგიტი, თავის ტვინის ჩაქედვა ან სისტემური დაზიანებანი.

გართულებები: მათ მიეკუთვნება ჰიდროცეფალია, ხერხემლის დაზიანება ზურგის ტვინის კომპრესიის გამო, სოკოვანი მიკოტური ანევრიზმების ჩამოყალიბება, ან მორეციდივე მიმდინარეობა აღებკვატური ქიმიოთერაპიის მიუხედავად.

დიაგნოსტიკა: ◆ *ღუმბაღეული პუნქცია:* ღიქვორი შეიძლება იყოს ჩვეულებრივზე გამჭვირვალე, ისე ქსანთოქრომული. მისი ნევრა მომატებულია. აღინიშნება მონოციტური პლეოციტოზი, ცილის დონის მომატება, გლუკოზის დონის დაქვეითება. ზოგჯერ 10%-იანი ჯაგრის ჰიდროქსიდით შეღებილ ცენტრიფუგირებულ შტამებში ვლინდება მიკროორგანიზმები. ხოლოსაც ღუმბაღეული პუნქციით სოკოვანი ინფექცია არ დადასტურდა, ხელმეორედ ჩატარებულია ცისტერნალური პუნქცია, მაგრამ გამოყენებულ ღრინცისტს მაინც ეპარება ეჭვი სოკოვანი ინფექციის არსებობაზე.

დიფერენციული დიაგნოზი: იგი ტარდება ტუბერკულოზურ მენინგიტთან, ბაქტერიულ მენინგიტთან, თავის ტვინის აბსცესთან, ნეოპლაზმასთან.


მკურნალობა: ◆ Amphotericin B და ფლუციტოზინი ნარმოადგენენ არჩევის პრეპარატებს ყველა ტიპის სოკოვანი ინფექციის დროს, გარდა აქტინომიკოზის და ნოკარდიოზისა. მისი სანყისი ი/ვ დოზაა 0.1-0.25მგ/კგ/დღეში. მაქსიმალური დღიური დოზა კი-1.0 მგ/კგ. სამწუხაროდ, Amphotericin B ტოქსიური პრეპარატია უმრავი გვერდითი მოვლენებით, რომელიც თავის ტკივილი, გულისრევა, ღებინება, ჰიპოტენზია. იგი მაღალი დოზები ნეფროტოქსიურია და ინვევს აზოტემიას, ჰიპერკალიემიას. ასევე ანემიას ძვრის ტვინის სუპრესიის გამო. ინფუზიის დროს ხშირია ფლებიტი. ◆ სიმპტომატური მკურნალობა საჭიროა გულყრების, ჰიდროცეფალიის, გაზრდილი ინტრაკრანიული ჰიპერტენზიის დროს.

ითვლება, რომ Miconazole ეფექტურია ისეთი სოკოვანი ინფექციების დროს, რომელიც *Creptococcus, Histoplazma* და *Candida*. იგი Amphotericin B-თან შედარებით ნაკლებ ტოქსიურია. მისი ინტრავენური დოზაა 30 მგ/კგ/დღეში. გვერდითი მოვლენებია: გულისრევა, ღებინება, ანემია, ფლებიტი, ტრომბოზი.

ჰისტოპლაზმოზი

ეპიდემიოლოგია: ჰისტოპლაზმოზი ნახმოადგენს *Cryptococcus neoformans* განპირობებულ ქვემწვავე ან ქრონიკულ ინფექციას, რომელიც უმეტესად უვითარდებათ შიდსის ან სხვა სომატური დაავადებების მქონე პაციენტებს, რომელთაც აღენიშნებათ უჯრედული იმუნიტეტის დაქვეითება (ლიმფომები, ორგანოთა ტრანსპლანტაცია, სტეროიდებით ხანგრძლივი მკურნალობა). ნორმალურ მასპინძელ ორგანიზმში ინფექცია პერსისტირებს ფილტვებში, მაგრამ T უჯრედების დისფუნქციის მქონე პირებში ხშირია გართულებები და სხვა ორგანოებში ინფექციის დისემინაცია. *✓ ნერვულ სისტემაში ინფექციის დისემინაციისას ვლინდება მენინგიტით, მენინგოენცეფალიტით, ან იშვიათ შემთხვევებში, ნერვულ სისტემაში ჰისტოპლაზმის განვითარებით.*

➡ ჰისტოპლაზმოზი ნახმოადგენს *Cryptococcus neoformans* განპირობებულ ქვემწვავე ან ქრონიკულ ინფექციას, რომელიც უმეტესად უვითარდებათ შიდსის ან სხვა სომატური დაავადებების მქონე პაციენტებს, *ნერვულ სისტემაში ინფექციის დისემინაციისას ვლინდება მენინგიტით, მენინგოენცეფალიტით, ან იშვიათ შემთხვევებში, ნერვულ სისტემაში ჰისტოპლაზმის განვითარებით.*



24.14 ჰისტოპლაზმული მენინგიტი.

A. MRI T1- მენონილი გამოსახულების აქსიალური ჭრილი. სურათზე შავი ისრებით მითითებულია დილატირებული პერივასკულური (ვირხოვ-ჩობინის) სივრცეები ბაზალური განგლიების მიდამოში ბილატერალურად.

B. MRI T2- მენონილი გამოსახულების აქსიალური ჭრილი. სურათზე მოჩანს ცერებრული შეშუპება მარჯვნივ, ჯეძოდ, ოსპისებრი ბირთვის (nucleus lentiformis), შიგნითა და გარეთა კაფსულებსა (capsulae externa et interna) და კუნძულის ქვემდებარე უბნის ქერქული ნაწილის (cortex subinsularis)) იზოგნივ (თეთრი ისრები). დილატირებული სივრცეები იზოდენსიურია თეთრი ნივთიერების მიმართ და ჰიპოდენსიური ცერებროსპინალური სითხის (ცსს) მიმართ (მოხრილი შავი ისრები). მარცხენა მხარეს პერივასკულური სივრცეები იზოდენსიურია ცსს-ს, ხოლო ჰიპერდენსიული – ტვინის თეთრი ნივთიერების მიმართ (დიდი თეთრი ისრები).

C.MRI T2- მენონილი გამოსახულების აქსიალური ჭრილი კონტრასტის (გადოლინიუმის) შეყვანის შემდეგ. მარჯვენა მხარეს,პერივასკულური სივრცეების შიგნით გაძლიერებული ინტენსივობის პათოლოგიური უბანი შეინიშნება, რაც მათ შიგნით მცირე ზომის ჰიპერტოპომას შეესატყვება (შავი ისარი). მარცხენა მხარეს გაძლიერებული ინტენსივობის ჯერ არ ვლინდება (შავი ისრის თავები).

სიმპტომატოლოგია: სიმპტომები ძირითადად ნახმოდგენილია ცხელებით, ცნობიერების შეცვლით და მეხსიერების დარღვევით. შესაძლოა გამოვლინდეს მხედველობითი დარღვევები და ჯანიული ნერვების დაზიანების ნიშნები. ზოგიერთ შემთხვევაში დაავადების ერთადერთ გამოვლინებას ნახმოადგენს ზომიერი ტოგნიტური დეფიციტი. მწვავე ან ქვემწვავე მიმდინარეობის მენინგიტი ნახმოადგენს ჰისტოპლაზმოზის ყველაზე ხშირ გამოვლინებას (85%). ლიქვორში ვლინდება ქრონიკული მენინგოენცეფალიტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, შიდსის შემთხვევაში ისინი მინიმალურად ვლინდება. გამოხატული იმუნოდეფიციტის პირობებში ჰისტოპლაზმოზმა მენინგიტმა შეიძლება ფატალური ჰისტოპლაზმომა ნახმოადგენს ჰისტოპლაზმოზის იშვიათგამოვლინებას და ხასიათდება თავის ტვინში მკვრივი, სიმსივნის მაგვარი ნახმონაქმნების განვითარებით, ომლებიც უპირატესად ჰემისფეროებსა და ნათხემში არიან ლოკალიზებული. ცლინიკური სიმპტომატიკა მოიცავს ტვინის ნეოპლაზმებისათვის დამახასიათებელი ზოგადტვინივანი და ფოკალური ნიშნებით, რაც ახასიათებს დიაგნოსტიკას.

დიაგნოსტიკა: ემყარება ჯიჰტოპლაზმოზის ანტიგენის აღმოჩენას ღვიძლში ან სისხლში ღატექს აგლუტინაციის ან ELISA მეთოდის გამოყენებით.

მკურნალობა: მკურნალობის ეფექტის მეთოდს წარმოადგენს ინტრავენურად ამფოტერიცინ B (0,7მგ/კგ დღეში) გამოყენება. ნაკლები დოზირებით ჰეპარინის გამოყენება ამცირებს მის ტოქსიკურობას, მაგრამ ნაკლებად ეფექტურია. მკურნალობა უნდა გაგრძელდეს სულ მცირე 6 კვირის განმავლობაში, რომლის დროსაც სისხლში ჯიჰტოპლაზმური ანტიგენის ტიტრი უნდა შემცირდეს. შიდსის მქონე პაციენტებში, მდგომარეობის სტაბილიზაციის შემდეგ ამფოტერიცინი შეიძლება ჩანაცვლდეს ფლუკონაზოლით.

ᲚᲐᲜᲓᲘᲒᲝᲖᲘ

ლანდიგოზი იშვიათად შემოიფარგლება ნერვული სისტემის დაზიანებით და უმეტეს შემთხვევებში წარმოდგენს სისტემურ სოკოვან ინფექციას. ხშირად იგი წარმოადგენს შინაგან ორგანოებზე წარმოებული ქირურგიული ჩარევის, ხანგრძლივი ვენური ლათეტერიზაციის, ენდოტოქსტერიოდებით მკურნალობის, ნარკოტიკების მოხმარების გართულებას. დაავადებას შეიძლება ჰქონდეს მწვავე ან ქრონიკული მიმდინარეობა. დიაგნოსტიკა ეფუძნება ღვიძლში ლანდიდების გამოვლენას.

ᲞᲘᲝᲢᲝᲖᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ტოქსოპლაზმოზი, ამებიაზი და მალარია წარმოადგენენ პროტოზოულ ინფექციებს, რომლებიც ვრცელდებიან ცნს-ზე, ისინი უპირატესად გავრცელებულია აფრიკასა და ამერიკაში.

ᲢᲝᲥᲡᲝᲞᲚᲐᲖᲛᲝᲖᲘ

Toxsoplazma gondii წარმოადგენს უჯრედშიდა პარაზიტს. *Toxsoplazma gondii* ჩვეულებრივ ინვევს ასიმპტომატურ ინფექციას მოზრდილებში, მაგრამ დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პირებში, შეუძლია მძიმე და პოტენციურად ფატალური ენცეფალიტის განვითარება,, განსაკუთრებით ტრანსპლანტაციის შემდეგ და შიდსის დროს გართულების სახით. ტრანსპლაცენტარული გზით გადაცემის შემთხვევაში, ტოქსოპლაზმა, ინვევს ნაყოფის თავის ტვინის მძიმე დაზიანებას გრანულომატოზური მენინგოენცეფალიტის განვითარების სახით.

განსაზღვრება: *Toxsoplazma gondii* წარმოადგენს უჯრედშიდა პარაზიტს. ამ პარაზიტის მნიშვნელობა გაიზარდა უკანასკნელ წლებში, ვინაიდან აღმოჩნდა, ტოქსოპლაზმოზი ძალზე ხშირად ვითარდება აივ ვირუსითი ინფიცირება ხდება ან მკურნალობისას ან პოსტნატალურად. თანდაყოლილი ინფიცირება იმ შემთხვევაში ვითარდება, თუ ორსულობისას დედას აღენიშნება პარაზიტემია, რომელიც განპირობებულია ტოქსოპლაზმით პირველი, ასიმპტომური ინფიცირებისას. მოზრდილ ასაკში პარაზიტის გადაცემის ორმაგნიმე გზა არსებობს.: კატის ექსკრემენტებთან კონტაქტი, რომელიც წარმოადგენს ტოქსოპლაზმის ბუნებრივ მიმღებს; უმი ხორცის გასინჯვა: ნფიცირებული პაციენტების თავის ტვინში. შიდსის ინფიცირება ხდება მკურნალობისას ან ნებისმიერ ასაკში, აიმენტური გზით. დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პირებში, შეუძლია მძიმე და პოტენციურად ფატალური ენცეფალიტის განვითარება, განსაკუთრებით ტრანსპლანტაციისას და შიდსის დროს. ტრანსპლაცენტარული გზით გადაცემის შემთხვევაში, თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზი ინვევს ნაყოფის თავის ტვინის მძიმე დაზიანებას გრანულომატოზური მენინგოენცეფალიტის განვითარების სახით. შიდსის მქონე პაციენტებში ტოქსოპლაზმოზი ვითარდება. ✓ *თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზი განაპირობებს ახალშობილის თავის ტვინის მძიმე დაზიანებას.* ინფიცირების დამადასტურებელია ცხელება, გამონაყარი, ჰეპატოსპლენომეგალია, გულყრები. ქოროიდიტი, ნეირომენინგიტების შეფერხება, ცერებრული კალციფიკატების არსებობა.


სიმპტომატოლოგია: ინფიცირებულ მოზრდილებში, ჩვეულებრივ მიმდინარეობ-




24.15 თავის ტვინის ტოქსოპლაზმოზის მაგნიტურ-რეზონანსული სურათები

ბა ასიმპტომურია ან იწვევს მონონეიროზის მსგავს ჭრილობის სურათს ღიმფადენოპათიით, ეგზანთემით, მიალგიითა და ჰეპატოსპლენომეგალიით.

იმუნოსუპრესიის დროს, განსაკუთრებით შიდსის შემთხვევაში ხშირია ენცეფალიტის განვითარება. ნამყვანი სიმპტომებია თავის ტკივილი, დეზორიენტაცია, გულყრები, ჰემიპარეზი.



24.16 თავის ტვინის ტოქსოპლაზმოზი. CT.



24.17 თავის ტვინის ტოქსოპლაზმოზი, ეიდი ხეარა MRI.

თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის დროს აღინიშნება ჰეპატოსპლენომეგალია, სიყვითლე, ჰიდროცეფალია, ენცეფალიტი. იმ ბავშვებში, რომელთა ინფექციის გამოსავალი ფატალური არ არის ხშირად აღინიშნება მიკროცეფალია, ქორიორეტინიტი, გულყრები, მენტალური ჩამორჩენა.

დიაგნოსტიკა:

- ღვიძლის პუნქცია. ღიქვორში ვლინდება ღიმფოციტური პლეოციტოზი, ჭარბტკივილია, ცილის დონის მომატება.
- თავის ქალას ჩონჩხის ნახულობენ ინტრაკრანიულ კალცინოზებს და ინტრაკრანიული ჰიპერტენზიის ნიშნებს.
- MRI ან CT სკანირებით ვლინდება ინტრაკრანიული კალცინოზი და ჰიდროცეფალია.
- ენცეფალიტის დიაგნოზისთვის ხშირად საჭიროა თავის ტვინის ბიოფსია.
- სეროლოგიური ტესტები: შრატის ანტისხეულების ტიტრი 1:32 მეტად მიუთითებს ბოლო პერიოდში გადატანილ ინფექციაზე.

დიფერენციული დიაგნოზი: თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის დროს აუცილებელია თანდაყოლილი ნაწლავსამიანი ენცეფალიტის და თანდაყოლილი ციტომეგალოვირუსული ენცეფალიტის გამორიცხვა.

მკურნალობა: დათგუნული იმუნიტეტის მქონე პირებში ჩვეულებრივ გამოიყენება Pyrimethamine-ის მაღალი დოზები; ჯერჯერობით, 50-100 მგ/დღეში ჯამბინირებული Sulphadiazine-თან დოზით 2-6 გ/დღეში და ფოლიუმის მჟავასთან დოზით 5-50 მგ/დღეში ჯუნთებში 2 თვის მანძილზე. მკურნალობა უნდა განმეორდეს ქსენიდის შემთხვევაში. აღნიშნული ჰეპატიტების ტოქსიურობა ვლინდება ღეიკოპენიის, თრომბოციტოპენიის, და გამონაყარის სახით

ამებიაზი
ამებიაზი

პირველადი ამებური მენინგოენცეფალიტი ნამრავდგენს მწვავე, მძიმედ მიმდინარე მენინგოენცეფალიტს, რომლის მიზეზსაც წარმოადგენს *Naegleria*- ს შტამის ამება. ინფექცია ხშირია ბავშვებში და ახალგაზრდა პირებში. იგი შეიჭრება ორგანიზმში სასუნთქი გზებიდან დაინფიცირებული წყალში ბანაობის დროს. დაავადება იწყება მწვავედ, ცხელებით, ღებინებით, ძლიერი თავის ტკივილით, მენინგური გაღიზიანების ნიშნებით. იგი სწრაფად პროგრესირებს და ვითარდება სტუპორი, გულყრები, კომა. ღვიძლის პუნქციით ვლინდება მღვრიე ღიქვორი მომატებული ნეიტროფილური პლეოციტოზი გლუკოზის დაბალი და ცილის მომატებული შემცველობით. სვეი ჰეპატიტზე ნახულობენ ამებას. მკურნალობა გულისხმობს Amphotericin B-ს და Rifampin-ის მიღებას. სიკვდილობა შეადგენს 100%-ს.

- სიმპტომატოლოგია:. ნამყვანი სიმპტომებია:
  - თავის ტკივილი
  - დეზორიენტაცია
  - გულყრები
  - ჰემიპარეზი.
- თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის დროს აღინიშნება:
  - ჰეპატოსპლენომეგალია
  - სიყვითლე
  - ჰიდროცეფალია
  - ენცეფალიტი.
- დიაგნოსტიკა:
  - ღვიძლის პუნქცია.
  - თავის ქალას ჩონჩხის რენტგენოგრაფია.
  - MRI ან CT სკანირება.
  - ენცეფალიტის დიაგნოზისთვის ხშირად საჭიროა თავის ტვინის ბიოფსია.
  - სეროლოგიური ტესტები.

მალარია


ცნს-ის დაზიანება აღინიშნება *Palsmodium falciparum*-ით დაინფიცირების 1.2%-ში. იშვიათ, პოტენციურად ფატალურ გართულებებს მიეკუთვნება ვასკულიტი, რომელიც ამძიმებს ახსნებულ ანემიას და შოკს. დაავადება იწყება მწვავედ ჯონ-ფუზიით და ცნობიერების დაბინდვით, რომელიც სწრაფად გადადის სტუპორსა და კომაში. შეიძლება განვითარდეს პარკუალური ან გენერალიზებული გულყრები, დისფაზია, ჰემიანოფსია, ან ჰემიპარეზი. პერიფერიული სისხლის ნიმუშის გამოკვლევისას ნახულობენ მალარიის პარაზიტებს.

მკურნალობა: იგი გულისხმობს დარტყმითი დოზებით ქინინი ან ქინიდინი ინტრავენურ მიღებას ელექტროკარდიოგრაფიის მუდმივი მონიტორინგით. ამის შემდეგ იწყება ორალური ქინინის სულფატის და ტეტრაციკლინის მიღება.

ცისტიცერკოზი

განსაზღვრება: *Cysticercus cellulosae* ნარმოადგენს *Taenia solium*-ის განვითარების ჭუპრის სტადიას.

განსაზღვრება: *Cysticercus cellulosae* ნარმოადგენს ღორის სოლიტერის - *Taenia solium*-ის - განვითარების ჭუპრის სტადიას, რომელსაც შეუძლია ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა უბნებში ნარმოქმნას ცისტური დაზიანებები. ცისტისერკოზის ენდემიურ კერებს ნარმოადგენს ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა, აზიის, აფრიკის და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნები. სოლიტერის მიერ ჭუჭ-ნაწლავში დადებული კვერცხებს შესწევთ უნარი გაარღვიონ ღორწოვანის გარსი და ჰემატოგენური გზით გავრცელდნენ სხვადასხვა ქსოვილებში და იქ მიაღწიონ მონიფული ჭუპრის - ცისტიცერკოზის სტადიას. მათი ზომა, რაოდენობა, სიმწიფის სტადია და ტვინის ქსოვილის რეაქციულობა განსაზღვრავენ ნევროლოგიურ სიმპტომატიკას.



24.17 ნეირისტიცერკოზი. სოლიტარული პარენქიმული ნეიროცისტიცერკოზის CT და MRI გამოსახულებები (შესაბამისად, A და B). ცისტები ისრით არის მითითებული.

სიმპტომატოლოგია: ცისტიცერკოზი ჩვეულებრივ ვითარდება ბავშვებში ან ახალგაზრდა პირებში. პაციენტები უჩივიან ტკივილს კუნთებში, ძლიერ თავის ტკივილს, გულისრევას, ღებინებას ცნობიერების დაბინდვას, დელირიუმს. ცისტიცერკოზის ყველაზე ხშირ ლოკალიზაციას ნარმოადგენენ პარენქიმული ან გენერალიზებული ეპილეფსიური გულყრები. ფოკალური გამოკვლევით ვლინდება კანქვეშა კვანძები და კუნთების სისუსტე. ხშირია მხედველობის ნერვის დვრილის შეშუპება და ბადურის დაზიანება მხედველობის დაქვეითებით და მხედველობის ველის შევიწროვებით, მენინგიტის, ხერხემლის ტვინის დაზიანების ნიშნები. დაღუპული ცისტიცერკოზი იწვევს ირგვლივმყოფი ქსოვილების ანთებით რეაქციას შემდგომი შეშუპებით და ფიბროზით.

დიაგნოსტიკა:

- განავლის ანალიზით ნახულობენ პარაზიტის კვერცხებს.
- ღებინებული პუნქციით აღებულ ლიქვორში ვლინდება მსუბუქად გამოხატული ეოზინოფილური პლეოციტოზი, ცილის და გლუკოზის შემცველობის მომატება, გლუკოზის დონის დაქვეითება, დადებითი კომპლემენტის ფიქსაციის ტესტი.
- CT ან MMRI სკანირებით ვლინდება ჰიდროცეფალია ან კალციფიცირებული ცისტები.

- ჯუნთების ჩენტგენოგრაფიით ჩანს ჯაღისფისრისებული ცისტები. თავის ქალას ჩენტგენოგრაფიით ჯი- ბაფანტუე ჯაღისფისრისებული ცისტებს და გაზრდილ ინტრაჩანიულ წნევას, თუჩქული ჯეხის ეროზიას, და ნაჯეჩების დაცილებას.
- ბიოფსია. ჯანქვეშა ჯვანძის ან დაზიანებული ჯუნთის ბიოფსიით ნახულობენ პრაზიტს.
- ახაპრიპაპრიი ჰემაგლუტინაციის ტესტი დადებითია სისხლში და ღიქვოჩში, მაგრამ ნეიროცისტიცეჩოზის დროს შეიძლება ტესტი იყოს უარყოფითი.

მკურნალობა: Praziquantel დოზით 50 მგ/კგ/დღეში 2 ჯვიჩის მანძილზე დექსამეტაზონთან ერთად. . ნეიროცისტიცეჩოზის ჩოს უფრო ეფექტურია Albendazole- დოზით 15 მგ/კგ/დღეში


პროგნოზი: პიროცეფალიის განვითარების შემთხვევაში სიკვდილობის მაჩვენებელია 50%.

➡ დიაგნოსტიკა:

- განავლის ანალიზი.
- ღემბალური პუნქცია.
- გადამწყვეტია CT ან MRI სკანირება.
- ჯუნთების ჩენტგენოგრაფიით და თავის ქალას ჩენტგენოგრაფია.
- ბიოფსია
- ახაპრიპაპრიი ჰემაგლუტინაციის ტესტი დადებითია სისხლში და ღიქვოჩში, მაგრამ ნეიროცისტიცეჩოზის დროს შეიძლება ტესტი იყოს უარყოფითი

ჰიდატიდური დაავადება (ექინოკოკოზი)

ექინოკოკოზი ნაჩმოადგენს *Echinococcus granulos*-ის ქსოვილებში არსებობის შედეგად განვითარებულ დაავადებას. პრაზიტის ჯვერცხი ხვდება ორგანიზმში დაავადებული ძაღლის მოვლის ან ჯვების დროს. დაავადება ყველაზე ხშირია ბავშვებში. ჰიდატიდური ცისტის გასკდომა ჯუნთებში ინვევს ინტენსიურ ფოკალურ მიოზიტს. ჰიდატიდური ცისტა თავის ტვინში ვლინდება, როგორც ნელა მიმდინარე მასიური დაზიანება. ცისტის გასკდომა და მისი შიგთავსის გამოსვლა ინვევს მძიმედ მიმდინარე მენინგიტის განვითარებას. ჰერიფერიულ სისხლში აღინიშნება ეოზინოფილია. დიაგნოზი ემყარება ჰიდატიდური ანტიგენის ინტრადერმალური ინექციის დროს დადებითი რეაქციის მიღებას. MRI ან CT სკანირებით ადვილად დგინდება ცისტების რაოდენობა და ლოკალიზაცია, რაც იძლევა ინფორმაციას ქირურგიული ჩარევის ტაქტიკის შესახებ. ცისტის მოცილება ძნელია, რადგან ამოღების პროცესში არსებობს მისი გასკდომის აღბათობა, ხოლო გასკდომის შემთხვევაში ეს ხდება ფერტილური შვილეული ცისტების გავრცელება თავის ტვინში და ხერხემლის განვითარება.



ნახ. 24.18 დიდი ზომის პარენქიმული ჰიდატური ცისტა (ექინოკოკოზი), როგორც ნაჩვენებია ფრონტალურ (A) და აქსიალურ (B) ხედებში კომპიუტერულ ტომოგრამაზე. ცისტა მრავალკამერიანია და დაფიქსირებულია ძგიდეებით შვილობილი ცისტების არსებობის გამო. ცისტის შემადგენლობას ცერებროსპინალური სითხის მსგავსი დენსიტომეტრია აქვს. ფალქსი და ვენტრიკულური სისტემა შეზღუდულად მარჯვნივ არის გადახრილი, მარცხენა გვერდითი პარენქიმის უკანა ქერქის მკვეთრად გამოხატული გადანაცვლებითა და კომპრესიით.

25

პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანებები

პერიფერიული ნეიროპათიები

განსაზღვრება: პერიფერიული ნეიროპათიები ეწოდება იმ პათოლოგიურ პროცესებს, რომლებიც მოიცავს პერიფერიულ ნერვს.

ნებისმიერი მექანიკური დაზიანება, რომელიც ინვევს აქსონის განყვეტას, ინვევს ვალერიის დეგენერაციის განვითარებას (აქსონისა და მისი მიელინის გარსის დეგენერაცია) გადაჯვეთიდან დისტალურად. დაზიანებული ნერვის სანერვაციო ზონაში მაშინვე ვითარდება ჯუნთოვანი სისუსტე და ანესთეზია. დისტალური გამტარებლობა ქვეითდება 3-9 დღის შემდეგ, ხოლო დენერვაციის პოტენციალები დაზიანებულ ჯუნთებში აღმოცენდება 10-14 დღის შემდეგ. ნერვის ფუნქციებისა და სტრუქტურის აღდგენა დამოკიდებულია დაზიანების სიღრმეზე, დაზიანებული ადგილის დაშორებაზე ნეირონის სხეულიდან და დაავადებული პირის ასაკზე.

ეპიდემიოლოგია: პერიფერიული ნერვების დაზიანება წლიურად გვხვდება 15/100 000 მოსახლეზე, ხოლო პირველადი გავრცელება შეადგენს 30 ყოველწლიურად. ყველაზე ხშირად პერიფერიული ნერვებიდან გვხვდება იდაყვის და ბაძაყის მკლავის ნერვების ტრავმული დაზიანება. ქალებში უპირატესად გვხვდება შუათანა ნერვის დაზიანება (გვირაბული სინდრომის გამო). იდიოპათიური ნეიროპათიები ყველაზე ხშირად სახის ნერვს მოიცავს, გვხვდება თანაბრად ორივე სქესში და გვხვდება ყოველწლიურად სიხშირით 5/100 000 მოსახლეზე.

ეტიოპათოგენეზი: ყველაზე ხშირად პერიფერიული ნერვების დაზიანებას ინვევს ჭრილობები და ტრომპირული დაზიანებები. ასევე ხშირია მრავალფეროვანი მიზეზებით გამოწვეული დემიელინიზაციური პროცესები. მათ შორის უხშირესია დისმეტაბოლური ცვლილებებით განპირობებული დემიელინიზაცია. პერიფერიული ნერვების დაზიანებას ინვევს პირველადი სიმსივნეები, ჯერჯერობით ეპიდერული განგლიების და გლომუსური სიმსივნეები, ნევრინომები, ნეიროფიბრომები და შედარებით იშვიათად – ნეიროფიბროსარკომა. პირველად სიმსივნეებზე უფრო ხშირად ადგილი აქვს მეტასტაზურ ინფილტრაციას, რომელიც ვითარდება კარცინომის, ლიმფოზული ლეიკემიის, ჰოჯკინის დაავადების და მიელომის დროს. ნერვის სრული გადაჯვეთის შედეგად ვითარდება ვალერიის დეგენერაცია. გარკვეული დაავადებების დროს ვითარდება უშუალოდ ნერვული ღეროს – აქსონის დაზიანება – აქსონოპათია, ხოლო გარკვეული დაავადებების დროს ხიანდება მიელინის გარსი – ვითარდება დემიელინიზაცია. შედგონ-ის მიერ მონოდებულია ნერვის დაზიანების სხვადასხვა ხარისხი:

➡ პერიფერიული ნეიროპათიები ეწოდება იმ პათოლოგიურ პროცესებს, რომლებიც მოიცავს პერიფერიულ ნერვს დაზიანებული ნერვის სანერვაციო ზონაში მაშინვე ვითარდება ჯუნთოვანი სისუსტე და ანესთეზია. დისტალური გამტარებლობა ქვე- 14 დღის შემდეგ

➡ პერიფერიული ნერვების დაზიანება წლიურად გვხვდება 15/100 000 მოსახლეზე ყველაზე ხშირად პერიფერიული ნერვებიდან გვხვდება იდაყვის და ბაძაყის მკლავის ნერვების ტრავმული დაზიანება. ქალებში უპირატესად გვხვდება შუათანა ნერვის დაზიანება (გვირაბული სინდრომის გამო).

ნეირაპრაქსია – ნეჰვის სტრუქტურული დაზიანების გარეშე მიმდინარე პათოლოგიური პროცესი, რომლის მიზეზია გამტარებლობის ხანმოკლე მოშლა.
აქსონოთმეზისი – აქსონის მთლიანობის დარღვევა მისი მფარავი გარეთა შრის დაზიანების გარეშე. თანხლებულია ვალერის დეგენერაციით ნერვის დისტალურ ნაწილში.
ნეიროთმეზისი – ნერვის მთლიანობის სრული დარღვევა, ვალერის დეგენერაცია დაზიანების დისტალურად და მოტორული პასუხის არარსებობა ელექტრული გაღიზიანების შემდეგ.

სისტემური მეტაბოლური დარღვევები, ინტოქსიკაცია და რამდენიმე მემკვიდრული ნეიროპათია არის აქსონური დეგენერაციის ძირითადი მიზეზი. აქსონის დაზიანებას თან სდევს მიელინის გარსის დარღვევა. აღნიშნულ დაავადებათა უმრავლეს შემთხვევაში პირველად აქსონი ზიანდება და პროცესი პროგრესირებას განიცდის ნეირონის სხეულის მიმართულებით. იგი ხასიათდება ანესთეზიისა და კუნთოვანი სისუსტის სიმეტრიული, დისტალური, თანდათანობითი განვითარებით ქვედა ჯიდურებში, შემდგომი პროქსიმალური გავრცელებით. აღგილი აქვს მგრძნობელობის დარღვევას "ხელთათმანებისა" და "წინდების" სახით, დისტალურ კუნთოვან სისუსტესა და ატროფიას და აქილევსის რეფლექსის გაქრობას. აქსონოპათია განაპირობებს სენსორულ და მოტორულ ნერვულ ბოჭკოებში მოქმედების პოტენციალის ამპლიტუდის დაქვეითებას (SNAPs), ხოლო ნერვის გამტარებლობა მხოლოდ მცირედ ქვეითდება. ვინაიდან აქსონური რეგენერაციის პროცესი მიმდინარეობს 2-3 მმ/დღეში სიჩქარით, გამოჯანმრთელება ხანგრძლივდება და ხშირად არასრულია.

ნეირონოპათია ნიშნავს ნერვული უჯრედის სხეულის პირდაპირ დესტრუქციასა და სიჯგიდის მისი პერიფერიული და ცენტრალური აქსონების დეგენერაციასთან ერთად. მოტორული ნეირონოპათია იწვევს კარგოვან სისუსტეს მგრძნობელობის დეფიციტის გარეშე. ნეირონოპათიებისა და აქსონოპათიების ერთმანეთისაგან დიფერენცირება, მხოლოდ კლინიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, ძნელია. სენსორული ნეირონოპათია წარმოადგენს სპინალური კვანძის ნეირონების დაზიანებას, რაც იწვევს ღრმა მგრძნობელობის დარღვევას, დიფუზურ არეფლექსიას და სენზიტიურ ატაქსიას.

სეგმენტური დემიელინიზაცია წარმოადგენს აქსონის მიელინის გარსის ან შვანის უჯრედების დაზიანებას, რასაც, რამდენადმე შენახული აქსონის ფონზე, ასევე მიელინის გარსის დარღვევამდე მივყავართ. დემიელინიზაციის ფუნქციური კორელატი არის გამტარებლობის ბლოკი, რაც იწვევს კუნთოვან სისუსტესა და იოლად გამოხატულ ჰიპესთეზიას. გამოჯანმრთელება დამოკიდებულია რემიელინიზაციაზე, რაც შედარებით სწრაფი პროცესია და, ამიტომ გაუმჯობესება შეიძლება დღეებისა ან კვირების მანძილზე მოხდეს. ნეირონოპათიების დროს ხშირად აღინიშნება დემიელინიზაციის და აქსონოპათიის თანარსებობა.

დიაგნოსტიკა: ნეირონოპათიების კლინიკური სიმპტომატიკა წარმოდგენილია მოტორული, სენსორული ან ავტონომური (ვეგეტატიური) დარღვევებით. პოზიტიური მოტორული სიმპტომებია კუნთოვანი ჯარმები, ფასციკულაციები ან მიოკიმია. პოზიტიური სენსორული სიმპტომებია ქავილის, წვის, სასტყვის შემოჭერის მსგავსი შეგრძნებები. **დიზესთეზია** უსიამოვნო ანომალური შეგრძნებაა, რომელსაც ჩვეულებრივი უმტკივნეულო სტიმული იწვევს, ხოლო **პარესთეზია** არასასიამოვნო შეგრძნებაა, რომელიც სპონტანურად აღმოცენდება. **აღდგინია ან ჰიპერპათია** წარმოადგენს უმტკივნეულო სტიმულის მტკივნეულად აღქმას. პარესთეზიები შეძენილი ნეირონოპათიების დროს სამჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მემკვიდრული ნეირონოპათიებისას. **ნეირონოპათიული ტკივილი** ხშირად ღრმა, მწველია, **ზოგჯერ** შეიძლება ატარებდეს გამჭოლ, მჩხვლეტავ ხასიათს. მისი **ინტენსივობა** მოსვენებულ მდგომარეობაში იმატებს.

ნეირონოპათია ნიშნავს ნერვული უჯრედის სხეულის პირდაპირ დესტრუქციასა და სიჯგიდის მისი პერიფერიული და ცენტრალური აქსონების დეგენერაციასთან ერთად. მოტორული ნეირონოპათია იწვევს კარგოვან სისუსტეს მგრძნობელობის დეფიციტის გარეშე. ნეირონოპათიებისა და აქსონოპათიების ერთმანეთისაგან დიფერენცირება, მხოლოდ კლინიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, ძნელია.

სეგმენტური დემიელინიზაცია წარმოადგენს აქსონის მიელინის გარსის ან შვანის უჯრედების დაზიანებას, რასაც, რამდენადმე შენახული აქსონის ფონზე, ასევე მიელინის გარსის დარღვევამდე მივყავართ.

დიზესთეზია უსიამოვნო ანომალური შეგრძნებაა, რომელსაც ჩვეულებრივი უმტკივნეულო სტიმული იწვევს, ხოლო პარესთეზია არასასიამოვნო შეგრძნებაა, რომელიც სპონტანურად აღმოცენდება. აღდგინია ან ჰიპერპათია წარმოადგენს უმტკივნეულო სტიმულის მტკივნეულად აღქმას.

დაავადების ხასიათის (მწვავე, ქვემწვავე თუ ქრონიკული), მიმდინარეობის ტიპის (მონოფაზური, ჰოგჩესიებადი ან მოხეტიალე) და დაავადების დებიუტის ასაკის გათვალისწინება, შესაძლო დიაგნოზების ჩიცხვს ამცირებს. ანამნეზში ჰერმოხბილული ან თანაარსებული პათოლოგია, ტოქსინების ან სხვადასხვა ჰეპატიტის გამოყენება, ავტონომიური დისფუნქცია ხშირად ამტკიცებს სავარაუდო დიაგნოზს.

მონონეირიპათია ნიშნავს პათოლოგიურ პროცესში ერთი ცალკეული ნერვის ჩართვას, რაც ლოკალური დაზიანების განვითარებას იწვევს. ჰიდროპიური ტარვამ, ჯომჰესია, ვასკულური დაზიანება ან ნეოპლაზმური ინფილტრაცია ამ პათოლოგიის უხშირესი მიზეზია. მრავლობითი მონონეირიპათია ნარმოადგენს მრავალი, ერთმანეთთან ტავშირში არმყოფი ნერვის უეცრად ან თანდათანობით განვითარებულ დაზიანებას. პოლინეირიპათია გამოწვეულია პათოლოგიით, რომელიც იწვევს პერიფერიული ნერვული სისტემის დიფუზურ დარღვევებს და ხასიათდება სიმეტრიული, მეტნილად დისტალური სიმპტომატიკით.

ავტონომიური დარღვევები ვითარდება სხვადასხვა სახის მწვავე თუ ქრონიკული მიმდინარეობის სენსომოტორული პოლინეირიპათიების დროს, მაგრამ იშვიათად ნარმოადგენს ერთადერთ სიმპტომს პერიფერიული ნეირიპათიების შემთხვევაში. ანესთეზია, აღნიშნული პათოლოგიის დროს, ძირითადად, ყველა სახის მგრძნობელობის დარღვევას მოიცავს, თუმცა იშვიათად, შეიძლება ნაწილობრივიც იყოს. პოლინეირიპათიები, რომლებიც უპირატესად თხელმიელინიან ნერვულ ბოჭკოებს აზიანებს, იწვევს ტკივილისა და თერმომგრძნობელობის დაქვეითებას, მტკივნეულ ჰიპერთეზიასა და, ზოგჯერ, ავტონომურ დისფუნქციას. მყეს-ძვალთა რეფლექსები, სხეულის წონასწორობა და მოტორული ფუნქცია შედარებით შენახულია. პირფერქსია, სენზიტიური ატაქსია, ფსევდოათეტოზი, ჯიდუსის მდებარეობისა და ვიბრაციული მგრძნობელობის დაქვეითება ამორჩევითად ახასიათებს **სქელმიელინიანი ნერვული ბოჭკოების** პათოლოგიას. მდებარეობის მგრძნობელობის დაქვეითება საფეხურებელს ხდის სენსორული ნეირონების პირველად დაზიანებას.

➡ მონონეირიპათია ნიშნავს პათოლოგიურ პროცესში ერთი ცალკეული ნერვის ჩართვას, რაც ლოკალური დაზიანების განვითარებას იწვევს

25.1 ნეირიპათიები ძირითადად ავტონომიური სიმპტომებით

მწვავე
- მწვავე პანავტონომიური ნეირიპათია (იდიოპათიური, პარანეოპლაზმური)
- გიენ-ბარეს სინდრომი
- პორფირია
- ინტოქსიკაცია: ვინკრისტინით

ქრონიკული
- შაქრიანი დიაბეტი
- ამილოიდური ნეირიპათია (ოჯახური და პირველადი)
- პარანეოპლასტიური სენსორული ნეირიპათია (ავთვისებ-ანთებითი სენსორული პოლიგანგლიონოპათია)
- ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსთან დაკავშირებული ავტონომიური ნეირიპათია
- მემკვიდრული სენსორული და ავტონომიური ნეირიპათია

სიზუსტით ჩატარებული ელექტრომიაგნოსტიკური გამოკვლევა ამტკიცებს ნეირიპათიის არსებობას, მიუთითებს ნერვის ძირითადი დაზიანების ზუსტ ლოკალიზაციას და იძლევა ინფორმაციას აღნიშნული ნეირიპათიის ბუნების შესახებ. ზოგიერთი ნეირიპათიის დროს პერიფერიული ნერვის ბიოფსიით ვლინდება სკლეროზები, რაც სპეციფიკური პათოლოგ-ანატომიური დიაგნოზის დასმის საშუალებას იძლევა, მაგრამხოლაც: ვასკულიტი, ანთებითი ნეირიპათია, ამილოიდური ნეირიპათია, ხახვის ბოლქვისებრი ნეირიპათია, დიაბეტური ვასკულოპათია, "ტომაკულური" ნეირიპათია და სხვა. მრატის აუტოანტისხეულები, რომლებიც მიმართულია პერიფერიული ნერვების სხვადასხვა კომპონენტის წინააღმ-

25.2 ᲗᲮᲔᲚᲛᲘᲫᲦᲝᲛᲘᲜᲐᲜᲢ ᲜᲔᲮᲕᲘᲡ ᲑᲝᲭᲝᲗᲐ ᲜᲔᲘᲠᲝᲞᲐᲗᲘᲔᲑᲘ

- მწვავე
  - მწვავე პანავტონომიური ნეიროპათია (იდიოპათიური, პარანეოპლაზმური)
  - გიენ-ბარეს სინდრომი
  - პორფირია
  - ინტოქსიკაცია: ვინკრისტინით
- ქრონიკული
  - შაქრიანი დიაბეტი
  - ამილოიდური ნეიროპათია (ოჯახური და პირველადი)
  - პარანეოპლასტიური სენსორული ნეიროპათია
  - (ავთვისებ-ანთებითი სენსორული პოლიგანგლიონოპათია)
  - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსთან დაკავშირებული ავტონომიური ნეიროპათია
  - მემკვიდრული სენსორული და ავტონომიური ნეიროპათია

დებ, ხშირადაა ასოცირებული პერიფერიული ნეიროპათიის სინდრომებთან. მრავალი ანტისხეულის როლი პათოლოგიურ პროცესში დადგენილი არ არის. ღრძოსის გამოკვლევა სასარგებლოა მენინგეული კარცინომატოზისა და ლიმფომატოზის ფონზე განვითარებული სავარაუდო დემიელინიზაციური ნეიროპათიისა და პოლინეიროპათიის დიაგნოზის დასადასტურებლად.

უმეტესად დაზიანების შემდეგ განვითარებული დენე დამბლა მიუთითებს ნეკნის მთლიანობის სრულ დარღვევაზე. პარესთეზიები უპირატესად დამახასიათებელია ნეკნის ქრონიკული პომპრესიული დაზიანების დროს.

მნიშვნელოვანია ნერვის დაზიანების აღმოცენების შესახებ არსებული ანამნეზური მონაცემები. უმეტესად დაზიანების შემდეგ განვითარებული დენე დამბლა მიუთითებს ნერვის მთლიანობის სრულ დარღვევაზე. მექანიკური გაღიზიანებით აღმოცენებული მრხვლეტავი ტკივილი უხშირესად ასოცირებულია ნერვის დაზიანების ხანგრძლივ ანამნეზთან (აღდგენის პროცესი). პარესთეზიები უპირატესად დამახასიათებელია ნერვის ქრონიკული პომპრესიული დაზიანების დროს.

გამოკვლევისას ყურადღება უნდა მივაქციოთ კუნთების ტონუსს, რეფლექსების გამოვარდნას ან დაქვეითებას, ტროფიკული ცვლილებების არსებობას და მგრძნობელობის დაზიანებას. დიაგნოსტიკურად მნიშვნელოვანია ოფლის გამოყოფის დარღვევის არის განსაზღვრა. ნებისმიერი არის კაუზალგიური ტკივილი მიუთითებს პომპლექსური რეგიონალური ტკივილის სინდრომის არსებობაზე (complex regional pain syndrom – CPRS) - სიმპატიკური რეფლექსოდისტროფია. აღნიშნული სინდრომი ვითარდება უპირატესად სიმპატიკური ბოჭკოებით მდიდარი ნერვების (n. medianus, n. tibialis) დაზიანების დროს. კაუზალგიური ტკივილი შესაძლებელია დაზიანებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ აღმოცენდეს. გარდა არსებული სენსორული და მოტორული ცვლილებებისა, შესაძლებელია განვითარდეს დიფუზური პერიარტიკულური ოსტეოპოროზი უპირატესად ტერფის და მტევნის არეში (Sudeck-ის სინდრომი)

ელექტრომიოგრაფიულად ნერვის დაზიანების შემდეგ 3 კვირაში, ნორმალურ მოტორულ პასუხთან ერთად, ვლინდება დენერვაციის პოტენციალები (ფიბრილაციური პოტენციალები და პოზიტიური მახვილი ტალღები).

ელექტრომიოგრაფიულად ნერვის დაზიანების შემდეგ 3 კვირაში, ნორმალურ მოტორულ პასუხთან ერთად, ვლინდება დენერვაციის პოტენციალები (ფიბრილაციური პოტენციალები და პოზიტიური მახვილი ტალღები). ნერვერვაციის პროცესი ხასიათდება პოლიფაზური გახანგრძლივებული პოტენციალებით. მოტორული და სენსორული ბოჭკოების გატარების სიჩქარე დაქვეითებულია.

კუნთის ბიოფსია ავლენს კუნთოვანი ბოჭკოების დაზიანებას და გვეხმარება მიოგენური და ნეიროგენული ატროფიების დიფერენცირებაში.

⁂ *ᲑᲝᲠᲔᲚᲘᲝᲖᲘ:* ტკიპის ნაკბენის შემდეგ გამომწვეული ბორელიოზი, შემთხვევათა ნახევარში, ინვევს ხადიკულეტის ტკივილებს, ასიმეტრიულად გამოხატულ მგრძნობელობის დარღვევას და პარეზებს. ხშირია ჭრანიული ნერვების დაზიანება. პერიფერიულ ნერვებში ვითარდება ვასკულიტური დაზიანებები ვაღეის დეგენერაციით.

⁂ *ᲓᲘᲤᲢᲔᲠᲘᲐ:* ხახის მიდამოს დიფტერიის დროს Corynebacterium diphtherie-ს მიერ გამომქმედებული ტოქსინი ინვევს ჯაჭვისებური ჭრანიული ნერვების მიელინის დაზიანებას, უპირველეს ყოვლისა ზრდადობის ხანაში. ხშირად ავადმყოფობა იწყება ცხელებით, ანგინით, ლიმფური ჯირკვლების ანთებით. ამის შემდეგ ვითარდება ნერვული სისტემის დაზიანების სიმპტომები. ხშირად ადგილი აქვს ბულბარული ნერვების დაზიანებას. ხშირია ნაზოფარინქსის ანთება, ხმის ჩახლეჩა, ნაზალური ხმა, ყლაპვის დარღვევა, ნაზალური რეგურგიტაცია. ხშირია ოკულომოტორული ნერვების პარეზები, ნისტაგმი, ანიზოკორია, ფოტოფობია. ხშირია ტეტრაპარეზი, ატაქსია, ჰიპერესთეზია, ჰიპერპათია. ხშირია ტაქიკარდია, ორთოსტატული ჰიპოტენზია, ანჰიდროზი, ნაწლავების ატონია, შარდის შეკავება. ხშირია ნეიროფსიქიატრიული სიმპტომები: ფსიქოზი, ჰალუცინაციები, ეიფორია, ამნეზია, დეპრესია, ფსიქომოტორული აგიტაცია.

ხახის მიდამოს დიფტერიის დროს Corynebacterium diphtherie-ს მიერ გამომქმედებული ტოქსინი ინვევს ჯაჭვისებური ჭრანიული ნერვების მიელინის დაზიანებას, უპირველეს

მოშლა პეჩიოხაღეს მიდამოში და სახის ნერვის ოჰმხრივი პარეზი (Diplegia facialis). ჯანიული ნერვების პარეზე მოსდევს სასუნთქი კუნთების პარეზი და სუნთქვის უკმარისობა, მოგვიანებით – სენსომოტოჩული ტეტანპარეზი.

ანტიდიფტერიული ალრისას ზოგჯერ შესაძლებელია განვითარდეს მხრის მიდამოს კუნთების ატროფიული პარეზი (სეჩონეგატიური პოლინევრიტი) ან ნწულის ცალმხრივი დაზიანება ინიექციის მხარეს – მხრის ნევრალგიური ამიოტროფია.

⁂ *ბოტულიზმი:* ბოტულინოტოქსინით (გამოიმუშავებს Clostridium botulinum) ხდება აცეტილქოლინის გამოსჩოლის ბლოკირება ნერვ-კუნთოვანი კავშირის არეში. კონსერვირებული საკვების მილების (ანაერობული ჩხირი) შემდეგ პაციენტი ეწრის ყლაპვის დარღვევას და აბდომინალურ სიმპტომებს. თვალის მამოძრავებელი კუნთების დაზიანებასთან ერთად (დიპლოპია) ვითარდება სუნთქვის უკმარისობა, შარდის შეკავება. სენსორული დაზიანებები არასოდეს ვლინდება.

⁂ *ლეპრა (ჯემრი):* Mycobacterium leprae Vasa nervorum-ის სამუალებით აღწევს კანის ნერვების შვანის უჯრედებში. ბაქტერიის ლოკალიზაციის მიხედვით ასხვავებენ ტუბერკულოიდურ, ლეპრომატოზულ და დიმორფულ მიმდინარეობას:

- *ტუბერკულოიდური ლეპრა:* მაკროსკოპულად ვლინდება ტუბერკულოიდური კერები უპირატესად სახსრის გამშლელ ზედაპირებზე, ჰისტოლოგიურად – ეპითელოიდუჯრედული გრანულომები დაზიანებული ნერვის მიდამოში. ნევროლოგიური გასინჯვისას ობიექტურად აღინიშნება დაზიანების მიდამოში ჰიპესთეზია, პალპაციით შესაძლებელია გასქელებული ნერვის მოსინჯვა, დაავადების ჰოროგრესირებისას ვითარდება ატროფიული დამბლა.
- *ლეპრომატოზული ჯემრი:* უჯრედული იმუნური სისტემის დაქვეითების გამო უპირატესად სახის არეში არსებული მონითალო შეფერილობის ლეპრომატოზული კვანძები ვრცელდება მთელს სხეულზე. კანიული ნერვების დაზიანების გარდა (სამწვერა ნერვი, სახის ნერვი) ვითარდება ცროფიის და მგრძნობელობის მოშლა.
- *დიმორფული ჯემრი:* წარმოადგენს ტუბერკულოიდური და ლეპრომატოზული ჯემრის კომბინაციას ("Borderline-lepra").

ებზობენულ-ტოქსიკური (ნეტრისიულ-ტოქსიკური) პოლინეიროპათია

ყველაზე ხშირი მიზეზია ალკოჰოლის და გარემო ფაქტორის დამაბინძურებელი ტოქსიკური ნივთიერებები. გამომწვევი მიზეზები ჩამოთვლილია ცხრილში:

ცხრილი 25.12 ებზობენულ-ტოქსიკური პოლინეიროპათიის მიზეზები

ნარკოტიული საშუალებები	ჰეროინი, ჰექსაგარბონი
საყოფაცხოვრებო შხამები	ალკოჰოლი, ბენზინი, ტყვია, ვერცხლისწყალი, ნახშირბადები, გოგირდმჟავა, ტეტრაეთილფოსფატი, ტრიქლორეთილენი, დდტ, არსენიუმი, თალიუმი

⁂ *თალიუმით გამოწვეული ნეიროპათია:* ეს იშვიათი პოლინეიროპათია ყველაზე ხშირად ვითარდება ვიტხის შხამით ინტოქსიკაციის დროს. ახასიათებს ტკივილი, ფსიქო-მოტორული მოუსვენრობა, თმის ცვენა, ფრჩხილების მიდამოში დამახასიათებელია ღარები. ზოგჯერ დისტალური და სიმეტრიული ნეიროპათია თანხლებულია კანიული ნერვების მხრივ სიმპტომებით და ეპილეფსიური გულებით.

⁂ *დარიშხანით გამოწვეული პოლინეიროპათია:* ქრონიკული ინტოქსიკაციისას ვითარდება ჰიპერკერატოზი, კანის პიგმენტაცია (არსენიული მელ-

➡ ბოტულინოტოქსინით (გამოიმუშავებს Clostridium botulinum) ხდება აცეტილქოლინის გამოსჩოლის ბლოკირება ნერვ-კუნთოვანი კავშირის არეში. კონსერვირებული საკვების მილების (ანაერობული ჩხირი) შემდეგ პაციენტი ეწრის ყლაპვის დარღვევას და აბდომინალურ სიმპტომებს. თვალის მამოძრავებელი კუნთების დაზიანებასთან ერთად (დიპლოპია) ვითარდება სუნთქვის უკმარისობა, შარდის შეკავება. სენსორული დაზიანებები არასოდეს ვლინდება.

ანოზი), ფიჩხიების ცვლილება, დისტალური და სიმეტრიული პოლინეიროპათია. უპირატესად ზიანდება ღრმა მგრძნობელობა. ჰისტოლოგიურად ინტოქსიკაცია ინვევს დისტალურ აქსონოპათიას.

ტყვიით გამოწვეული პოლინეიროპათია ყველაზე ხშირია ავტომეღარტოხების ნარმოებაში და ქუჩქლის ნარმოებაში მომუშავე თანამშრომლებში. იგი უპირატესად (თითქმის ყოველთვის) მოტორულია მრავლობითი მონომეირონული ტიპით. უფრო ხშირად ზიანდება ზედა ჯიდურები, განსაკუთრებით მტევნების და თითების გამშლელები (ჩამოვარდნილი მტევნის სინდრომი).

ალკოჰოლური პოლინეიროპათია ვითარდება უპირატესად სენსორული, დისტალური და სიმეტრიული პოლინეიროპათია. ჰეროცესის ჰეროგენეზის შემდეგ ვითარდება ნერვის ატროფიული პარეზი. იშვიათად ვითარდება იზოლირებული კომბინირებული ნეირონოპათია და მიელინოპათია. ნეირის გამტარებლობის სიჩქარე ხშირად ნორმალურია ან მცირედ დაქვეითებული.

ალკოჰოლური ნეირონოპათიის განვითარებისთვის კრიტიკული ოდენობა შეადგენს 80-100 გ ალკოჰოლი/დღეში.

ვარაუდობენ, რომ ნეიროტოქსიკური მოქმედება თანდართულია ვიტამინების დეფიციტით.

ვიტამინოდეფიციტური პოლინეიროპათია: თიამინის (B_1) დეფიციტური უპირატესად ახალის ქვეყნებში გვხვდება და გამოწვეულია საკვებთან ერთად არასაკმარისად ამ ვიტამინის მიღების შედეგად (უპირატესად დამუშავებული ბრინჯის მოხმარების დროს). სხვა შემთხვევაში მისი მიზეზია ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება. თვალის მამოძრავებელი ნერვების პარეზი და ცნობიერების დონის ცვლილება ყოველთვის ეჭვს ბადებს ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომის არსებობაზე.

პელაგრის დროს არსებული პოლინეიროპათია: ახასიათებს ტრიადა: დერმატიტი, დიარეა, დემენცია. მიზეზია უპირატესად განვითარებად არსებული მალნუტრიცია (ძირითად საკვებად სიმინდის გამოყენებისას). ასევე გვხვდება ალკოჰოლიზმის დროს არსებული ვიტამინი B_2-ის (რიბოფლავინი) და ნიკოტინის მჟავის დეფიციტისას.

ვიტამინი B_6-ის ან ფოლიუმის მჟავის დეფიციტით გამოწვეული ნეირონოპათია: ხშირია ალკოჰოლის და იზონიაზიდის მკურნალობის ფონზე.

ფარმაკოგენული პოლინეიროპათია: ვიტამინი B_6-ის ჰიპერვიტამინოზი ასევე თანხლებულია პოლინეიროპათიით, ამიტომ ვიტამინების დანიშვნისას საკვლიებელია დოზირებისას სიფრთხილე. იგივე ჰინციპია საქირო ციმეტიდინის, ქლორჰიოკვინის და ეგრეთვე ჰიპერტენზიის სამკურნალოების გამოყენებისას, მათი ჭარბი და ხანგრძლივი მოხმარება თანხლებულია ტოქსიკური ნეირონოპათიით.

25.13 ნეტრიტულ-ტოქსიკური პოლინეიროპათიები

(განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული ტიპის ნეირონოპათიების მიზეზი არის ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება)

პოლინეიროპათია ვიტამინდეფიციტისას	დაავადება
B_1 თიამინი	ბერიბერი
B_2 რიბოფლავინი	პელაგრა
B_6 პირიდოქსინი ფოლიუმის მჟავა	იზონიაზიდი
B_{12} ციანკობალამინი	შინაგანი ფაქტორის დეფიციტი
პანთოთენის მჟავა	
ნიკოტინის მჟავა	პელაგრა
E ტოკოფერილი	

სხვა ნეირონოპათიების ჩამონათვალი, რომელთა მიღება თანხლებულია პოლინეირონოპათიით, იხილეთ ცხრილში 25.14.

ცხრილი 25.14 მედიკამენტურ-ტოქსიკური პოლინეიროპათია

მედიკამენტების ჯგუფი	მოქმედი ნივთიერება
ანაბეზიური საშუალებები	ქლომბლიტონის მჟავა
ანტიარითმიული საშუალებები	ამიოდარონი
ანტიბიოტიკები/ინფექციის საწინააღმდეგო საშუალებები/ქიმიოთერაპიული საშუალებები	ამფოტერიცინი ბ, ქლორამფენიკოლი, ქლოროქვინი, დაპსონი, ეტამბუტოლი, ეთიონამიდი, ბენტამიცინი, ჰიდროქსიქინოლინი, იზონიაზიდი, მეტრონიდაზოლი, ნეოსალვარსანი, ნეირეოზიდის ანალოგები, ნიტროფურანები, ნიტროიმიდაზოლი, პენიცილინი, სალვასარტანი, სტრეპტომიცინი, სერამინი
ანტიდეპრესანტები	ამიტრიპტილინი, დოქსეპინი, იმიპრამინი, ლითიუმი
ანტიეპილეფსიური საშუალებები	სულტიამი
ანტიჰიპერტენზიული საშუალებები	ენალაპრილი, ჰიდრალაზინი
ანტირევმატიული საშუალებები	ქლოროქვინი, ოქროს პრეპარატები, ინდომეტაცინი, მეთოტრექსატი, თალიდომიდი
თირეოსტატიური პრეპარატები	ჯარბამაზოლი, მეთილთიოურაცილი
ციტოსტატიკები	ცისპლატინი, ციტარაბინი, ჰიდროქსიბაზინი, ჰიდროქსიურეა, ვინბლასტინი

ენდოგენურ-ტოქსიკური პოლინეიროპათია

ენდოკრინულ-მეტაბოლური პოლინეიროპათია

⁂ *დიაბეტური პოლინეიროპათია.* დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის და ლოკალიზაციის სიმპტომები. ტკივილის და დისტალურ-სიმეტრიული ნეიროპათიის გარდა ვითარდება სიმეტრიული დისტალური პარეზები. ხშირია მრავლობითი მონონეიროპათია: დაზიანება მოიცავს სხვადასხვა პერიფერიულ ნერვს და მათ შორის ჭანიან ნერვებსაც (დიაბეტური ამიოტროფია). 10% ვითარდება ჭანიანი ნერვების პარეზი, უპირატესად III, IV, VI და VII წყვილი ნერვების.

შემთხვევათა ნახევარზე მეტში ვითარდება ავტონომურ-ტროფიკული ცვლილებები: ანჰიდროზი, შეშუპება და წყლულები, ართროპათია, დიარეა. მარდის ბუშტის ატონია და იმპოტენცია შემთხვევათა 80%-ში გვხვდება. ყოველ მეოთხე პაციენტს აქვს ჯარდიალური ჩივილები: მიოკარდიუმის იშემია და ინფარქტი. დიაბეტის მქონე პაციენტებში მიოკარდიუმის ინფარქტი მუნჯად, ტკივილის გარეშე მიმდინარეობს, რომლის მიზეზიც არის ავტონომიური ჯარდიალური ნეიროპათია.

პათოგენეზში მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი: ნერვების მეტაბოლური დაზიანება და დიაბეტური მიკროანგიოპათია.

⁂ *სხვა ენდოკრინოპათიით გამოწვეული პოლინეიროპათია.* პოლინეიროპათია ვითარდება აკრომეგალიის, ჰიპერ- და ჰიპოპარათირეოიდიზმის, ჰიპოთირეოზის (მიქსედემა) და ადისონის დაავადების დროს.

⁂ *ნეფროგენული (ურემიული) პოლინეიროპათია.* უპირატესად დიალიზზე მყოფ პაციენტებში ვითარდება ღამის პერიოდში ნვივის ჯუნთების ჭამპი და ტერფების ნვა. სენსომოტორული პარეზი დისტალურადაა უპირატესად გამოხატ-

➡ დიაბეტური პოლინეიროპათისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის და ლოკალიზაციის სიმპტომები. ტკივილის და დისტალურ-სიმეტრიული ნეიროპათიის გარდა ვითარდება სიმეტრიული დისტალური პარეზები. ხშირია მრავლობითი მონონეიროპათია: დაზიანება მოიცავს სხვადასხვა პერიფერიულ ნერვს და მათ შორის ჭანიან ნერვებსაც (დიაბეტური ამიოტროფია). 10% ვითარდება ჭანიანი ნერვების პარეზი, უპირატესად III, IV, VI და VII წყვილი ნერვების.

ული. სავარაუდოდ აღგილი აქვს ტოქსიჯენს, პირველადად აქსონის დაზიანებას, რომლის მიზეზია თირკმლის ფილტრაციის დარღვევის შედეგად სისხლში მოცირკულირე ტოქსიური ნივთიერებების პირდაპირი მოქმედებით.

ᲕᲔᲜᲐᲢᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲜᲔᲘᲠᲝᲞᲐᲗᲘᲐ: ზოგჯერ ღვიძლის ქრონიკული უკმარისობისას, მათ შორის ჰეპატო-ცერებრალური დეგენერაციისას აღინიშნება პოლინეიროპათია.

პორფირიული ნეიროპათია

მნვავე გარდამავალი პორფირია ნარმოადგენს იშვიათ, დისმეტაბოლურ, მემკვიდრეობით დაავადებას, რომელსაც საფუძვლად უდევს ჰემის ბიოსინთეზში მონანილე ფერმენტის- პორფობილინოგენ-დეზამინაზას დეფიციტი. შედეგად ხდება ჰემის სინთეზის დარღვევა და ორგანიზმში პორფირინების დაგროვება. რომელიც ტოქსიურად მოქმედებს სხვადასხვა ორგანოებზე, განსაკუთრებით ჯი ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე.

მნვავე, სწრაფად პროგრესირებადი, ქვედა ტიდურებში აქცენტრირებული, მოტორული, უპირატესად პროქსიმალური პოლინეიროპათია, ან პოლი-მონონეიროპათია, დენე ტეტრაპარეზით, მძიმე ბულბური სინდრომით, სასუნთქი კუნთების დამბლით, რომელიც ხშირად თანხლებულია მუცლის ტკივილით და დეპრესიით, შეიძლება ნარმოადგენდეს გარდამავალი პორფირიის გამოვლინებას. დაავადების გამწვავება შესაძლებელია გარკვეული მედიკამენტების (ბარბიტურატები, ნეიროლეპტიკები, ბენზოდიაზეპინები, ანტიკონვულსური საშუალებები) მოხმარების, ალკოჰოლის მიღების და ფიზიკური დატვირთვის (ორსულობა) შემდეგ. ტარკისტიასთან და არტერიულ ჰიპერტენზიასთან ერთად აღინიშნება აბდომინური კოლიკები. ხშირად ამ უკანასკნელის გამო პაციენტი ქირურგიულ განყოფილებაშიც ხვდება. თანმხლები ფსიქოპათოლოგიური სიმპტომების გამო, პაციენტის ჩივილები არასწორად ფასდება როგორც ნევროზი და ისტერია.

ლეტალობა 10-30% აღნევს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა დაავადება დროულად არ არის ამოცნობილი და პაციენტს ენიშნება პორფირინოგენული პრეპარატები.

მარტივფეროვანი კლინიკური გამოვლინებების გამო, ამ დაავადების დიაგნოსტირება ხშირად გართულებულია და დროულად ვერ ხერხდება, რამაც შესაძლოა გამოინვიოს სიცოცხლისათვის ისეთი საშიში გართულებები, როგორიცაა ვეგეტატიური არასტაბილურობა. დიაგნოსტიკისათვის მნიშვნელოვანია შარდის შეფერილობა, რომელიც უხშირესად მონითალო-მოყავისფერ ფერისაა (ჯოჯა-ჯოლის, ბურგუნდიული ღვინის ფერი). დიაგნოსტიკებისათვის აუცილებელია ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება– დღელამის შარდში პორფობილინოგენისა და დელტა ამინოლევულინის მჟავის ხარებენობის განსაზღვრა, რაც მნიშვნელოვნად მომატებულია შეტევის დროს. სიმპტომების პიკურესირების შემთხვევაში, ამ მონაცემების ნორმალური მაჩვენებლები გამორიცხავს პორფირიის დიაგნოზს.

მკურნალობის ძირითადი ამოცანაა დაითრგუნოს ამინოლევულინისმჟავა-სინთეტაზის აქტიურობა. ამისათვის მონოდებულია ჰემის პრეპარატები – 2-5 მგ/კგ10 დღის განმავლობაში (ჰემატინი, ჰემ-არგინატი, ჰემ-არბუმინი) და ნახშირწყლები (გლუკოზა) სიმპტომური თერაპიის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მედიკამენტების პორფირინოგენული მოქმედება.

ვასკულური პოლინეიროპათია

არტერიოსკლეროზის და ფლებოგენოზების დროს, რომლებიც ვასკულიტთან ერთად ასოცირებული, ხშირად ვითარდება პერიფერიული ნერვების იშემიური დაზიანება. იგი შეიძლება ნარმოდგენილი იყოს როგორც პოლინეიროპათიის, ასევე პოლი-მონონეიროპათიის სახით, რომელიც შერეული სენსომოტორული ხასიათს ატარებს.

ᲞᲐᲠᲐᲜᲔᲝᲞᲚᲐᲖᲛᲣᲠᲘ ᲜᲔᲘᲠᲝᲞᲐᲗᲘᲐ

ავთვისებიან სიმსივნეებთან ასოცირებულ ერთერთ ხშირ გამოვლინებას ნარმოადგენს პოლინეიროპათია, რომელიც უმეტესად დისტალური, სიმეტრიული, სენსორული, ან სენსომოტორული ხასიათს ატარებს. პარანეოპლაზმური სენსომოტორული პოლინეიროპათია ოთხჯერ უფრო ხშირად ვითარდება, ვიდრე ნმინდა სენსორული პოლინეიროპათია. დისტალური სისუსტე, ატროფია, ატაქსია და მგრძნობელობის დაქვეითება პროგრესირებს და პაციენტის მზარდ უნარშეზღუდულობას

განაპირობებს. პოლინეიროპათია თანხლებულია ღიქვორში ცილის ზომიერი მატებით. პოლინეიროპათია შეიძლება განვითარდეს ავთვისებიანი სიმსივნის გამოვლინამდე ხამდენიმე თვით ან ეთით წლით ადრეც პარანეოპლაზმური პოლინეიროპათია უხშირესად ვითარდება წვრილეჯრედოვანი ბრონქული კარცინომის და ავთვისებიანი ლიმფომების დროს, იგი ხშირად ასოცირებულია ანტი-Hu და B უჯრედოვან ლიმფომებთან.

კლინიკური ფენომენოლოგიით განასხვავებენ პარანეოპლაზმური პოლინეიროპათიების შემდეგ ფორმებს:

✓ *სენსომოტორული პოლინეიროპათია პირველადად აქსონის დაზიანებით, რომელიც ანდრის ალმავალი ტიპის დამბლის კლინიკური გამოვლინებებით ხასიათდება და ოთხჯერ უფრო ხშირია, ვიდრე წმინდა სენსორული პოლინეიროპათია.*

✓ *დენი –ბრაუნის (Denny-Brown) მიერ აღწერილი წმინდა სენსორული პოლინეიროპათია, რომელიც დისტალური სეგმენტებიდან პროქსიმალურად ვრცელდება.*

პარანეოპლაზმური პოლინეიროპათიების განვითარებას განაპირობებს აუტოიმუნური მექანიზმები, ეჭვიდან, მოცირკულირე პოლიკლონური IgG ანტისხეულები, (ანტინეირონული ანტი Hu ანტისხეულები), რომლებიც ახიანებენ ნეირონთა სხეულებს, უკანა რქების განგლიონურ უჯრედებს, ავტონომიური ნერვული სისტემის ნეირონებს, ანტი Hu ანტისხეულების გამოვლენა პარანეოპლაზმური და ანთებითი პოლინეიროპათიების დიფერენციების მნიშვნელოვან ტესტად ითის მიჩნეული.

პარანეოპლაზმური პოლინეიროპათიების პროგნოზი ცუდია. მიუხედავად მათი აუტოიმუნური ხასიათისა, იმუნომოდულაციური თერაპია (სტეროიდები, პლაზმაფერეზი, IgG ინფუზია) არაეფექტურია. პაციენტის ანამნეზში სხივური ან ქიმიოთერაპიის არსებობა დიაგნოსტიკურ დიელმას ნარმოქმნის, რამეთუ პოლინეიროპათია შესაძლოა უშუალოდ ამ თერაპიის შედეგს ნარმოადგენდეს.

პერიფერიული ნერვების დაზიანება

პლექსის წნული


ნარმოქმნება C1-C4 სპინალური სეგმენტებიდან. მდებარეობს მკერდ-ღავიწ-დვრილისებრი კუნთის ქვემოთ. მისგან იღებს სათავეს მრავალი ნერვი, განვიხილავთ რამდენიმე მათგანს:

N. occipitalis minor (კეფის მცირე ნერვი) (C1-C3) –მგრძნობიარეა. ახდენს თავის უკანა ნაწილის კანის და აგრეთვე ნაწილობრივ ყურის უკანა ნაწილის ინერვაციას. ნერვის გაღიზიანებისას აღმოცენდება ძლიერი ტკივილი (კეფის ნევრალგია), პარეზისას მტკივნეულია ნერვის გამოსვლის წერტილები (M. სტერნოკლეიდომასტოიდეუს-ის უკან). დაზიანებისას აღინიშნება მგრძნობელობის მოშლა შესაბამის საინერვაციო მიდამოში.




N. auricularis magnus (ყურის დიდი ნერვი) (C3) –მგრძნობიარეა. ახდენს სახის ქვედა გვერდითი ნაწილის კანის და აგრეთვე ნაწილობრივ ყურის ნიჟარის ინერვაციას. ნერვის დაზიანებისას აღინიშნება მგრძნობელობის მოშლა, ხშირად აღნიშნულ მიდამოში ტკივილი.


Nn. supraclaviculares (ღავიწზედა ნერვები) (C3-C4) - მგრძნობიარეა. მათი საშუალებით ხდება ღავიწზედა, ღავიწქვედა, ბეჭზედა და მხრის ზედა გარეთა ზედაპირის კანის ინერვაცია. დაზიანებისას ვითარდება შესაბამის საინერვაციო მიდამოში მგრძნობელობის მოშლა და ტკივილი.



სინდრომი: C8 სეგმენტი
პარეზი: მტევნის მცირე კუნთები
დერმატომი: ნინამხარი დოხზაღრმად, შუა, პარათითი და ნეკა




სინდრომი: C5 სეგმენტი
პარეზი: დელტისებრი და ორთავა კუნთები (mm. deltoideus et biceps)
დერმატომი: მხარი და ღატერალური ნინამხარი



სინდრომი: C6 სეგმენტი
პარეზი: ორთავა და მხარ-სხივის კუნთები (mm. biceps et brachioradialis)
დერმატომი: მხარი და ღატერალური ნინამხარი



სინდრომი: C7 სეგმენტი
პარეზი: სამთავა, მრგვალი პრონატორი და მკერდის დიდი კუნთები (mm. triceps, pronator teres et pectoralis major)
დერმატომი: ნინამხარი დოხზაღრმად. შუა სამი თითი.



ნახ. 25.2 PLEXUS CERVICO-BRACHIALIS

1. ენისქვეშა ნ. (N. hypoglossus)
2. ჯეფის მცირე ნ. (N. occipialis minor)
3. ყურის დიდი ნ. (N. auricularis magnus)
4. ყისჰის განივი ნ. (N. transversus colli)
5. ყისჰის მარყუჟი (Ansa cervicalis C1-C3)
6. ღავიწ'ზედა ნეჰვები (N. supraclaviculares)
7. ბეჭის დორსალური ნ. (N. dorsalis scapulae)
8. ბეჭ'ზედა ნ. (N. suprascapularis)
9. ჯუნთ-ჯანის ნ. (N. musculocutaneus)
10. იღლიის ნ. (N. axillaris)
11. გულმკერდის გრძელი ნ. (N. thoracicus longus)
12. მკერდის მედიალური ნ. (N. pectoralis mesialis)
13. შუასაძგიდის ნ. (N. phrenicus)

N. phrenicus (დიაფრაგმის ნეჰვი) (C3-C4) –შეჰეული. მოტორული ბოჭკოები აინეჰვრისებს დიაფრაგმის ჯუნთს, მგრძნობიარე – პლევრას, პერიკარდიუმს, დიაფრაგმას და მის მფარავ პერიტონეუმს. ამ ნეჰვის დ'ზიანება ინვევს დიაფრაგმის პარე'ზს, ქოშინს, ხველის გაძნელებას. ნეჰვის გაღიზიანებისას აღინიშნება სლოკინი, ქოშინი და ტკივილი, რომელიც ვრცელდება წინამხარში, მხრის სახსარში, ყისჰის და გულმკერდის მიდამოში. დიაფრაგმის დაზიანების ამოსაცნობად მნიშვნელოვანია გულმკერდის ჩენტგენოსკოპია: დაზიანების მხარეს აღინიშნება დიაფრაგმის "პარადოქსული" მოძრაობა.


მხრის სარტყლის ნეჰვების დაზიანება

მხრის სარტყლის ნეჰვების დაზიანება უპირატესად ნნულის დაზიანების შედეგია. N6. სუპრასკაპულარის და ახილარის ხშირად იზოლირებულადაა დაზიანებული. N. suprascapularis-ის დაზიანება ინვევს ბეჭის ჯუნთების ატროფიას და მხრის აბდუქციის და გარეთ როტაციის დარღვევას. იღლიის ნეჰვის დაზიანება ინვევს დელტისებური ჯუნთის ატროფიას და მგრძნობელობის მოშლას მხრის ლატერალურ ზედაპირზე.

ზედა კიდურების ნეჰვების დაზიანება

N. axillaris (იღლიის ნეჰვი) (C5, C6, C7) – შეჰეული ნეჰვია და წარმოიქმნება C5, C6, C7 ფესვებისგან. C5, C6 ფესვების დაზიანების დროს (ღავიწზედა ფოსოში), როგორც ეს გვხვდება ეიბის დამბლისას, ნეჰვის დაზიანება კომბინირებულია ჯან-ჯუნთის ნევრის დაზიანებასთან. ღავიწქვეშა ფოსოში დაზიანებისას მის დაზიანებას ეთვის სხვისებური ნეჰვის დაზიანება. მოტორული ბოჭკოები აინეჰვრისებს დელტისებურ ჯუნთს (m. deltoideus) და გულმკერდის მცირე ჯუნთს (m. teres minor), მგრძნობიარე ბოჭკოები – მხრის გარეთა ზედაპირს (n. cutaneus brachialis lateralis).


N. musculocutaneus-ის (ჯან-ჯუნთის ნეჰვის) (C 5 - C 7) შეჰეული ნეჰვია. ღავიწზედა ფოსოში მისი დაზიანება თანდართულია იღლიის ნეჰვის დაზიანების სინდრომით. მოტორული ბოჭკოები აინეჰვრისებს ორთავა ჯუნთს (m. biceps), ასევე m. brachialis და m. coracobrachialis-ს. მგრძნობიარე ბოჭკოები ანეჰვრისებს წინამხრის გარეთა (რადიალურ) ზედაპირს (n. cutaneus antebrachii lateralis). იზოლირებული დაზიანებისას ვითარდება წინამხრის მომხრეების და სუპინატორების პარეზი (Mm. brachialis და biceps). წინამხრის მოხრა აქვეც-



ნახ. 25.3 სპინალური ფესვების, სპინალური ნერვებისა და პერიფერიული ნერვების სებმენტური განაწილება.

სპინალური ფესვები მგრძნობიარე (სენსორული) ან მამოძრავებელია (მოტორული). სპინალური ნერვები შერეულია, ემსახურებიან ჰა ორგორც მოტორულ, ასევე სენსორულ ფუნქციას. აქსონი თითოეული სპინალური ნერვიდან იყოფა და შემდგომში ხელახალ ანასტომოზს ნარმოქმნის სხვა სპინალური ნერვების აქსონებთან მას შემდეგ ჰაც ისინი გამოდიან მხრისა და ღუმბოსაჰარღული მიდამოს ნნეულებიდან. სწორედ ამის გამოა, ჰომ პერიფერიული ნერვი შესაძლებელია იყოს ორგორც მოტორული, ასევე სენსორული ან შერეული. ორგორც ამ სურათზე ახის ნაჩვენები, C7 სპინალური სეგმენტი ინერვირებს შუამდებარე (n.medianus) და იდაყვის (n.ulnaris) ნერვებს. C8 და T1 სპინალური სეგმენტები ორივე ინერვირებს იდაყვის ნერვს.

ბერძ სუპინაციის პოზიციაში უნდა შემონმდეს, იმისათვის, ჰომ გამოირიცხოს მ. ბიცეპსორადიალის-ის თანამონანილეობაც (ჰომლის ინერვაციას ადგენს სხივის ნერვი). ოთავას ეფექტი დაქვეითებულია, მგრძნობელობა ქვეითდება წინამხრის ადიალურ ზედაპირზე. აღინიშნება ოთავა ჯუნთის ატროფია. გამომწვევი მიზეზებიდან ყველაზე ხშირია ნარხვლეტი და ცეცხლნასროლი ჭრილობები და ოპერაციული ჩარევა მხრის სახრის მიდამოში.



ნახ. 25.4 სხივის ნერვის (N. radialis) პარალიჩის ნაწილის დაზიანება: ჩამოკიდებული მტევნის გარდა აღინიშნება მგრძნობელობის მოშლა მტევნის ზურგის ადიალურ ზედაპირზე.

N. radialis (სხივის ნერვი) (C 5 - C 8, უპირატესად C7).

შერეული ნერვია. მოტორული ბოჭკოები ინერვირებს წინამხრის გამშლელებს: სამთავა (m. triceps), m. anconeus-ს, მტევნის გამშლელებს: სხივის და იდაყვის თავისკენ გამშლელებს (mm. extensores carpi ulnaris და radialis) და თითების გამშლელებს (mm. extensores digitorum), წინამხრის სუპინატორებს (m. supinator), ცერის განმზიდველ ჯუნთს (m. abductor pollicis longus) და m. brachioradialis-ს, ჰომელიც მონაწილეობს წინამხრის მოხრაში. მგრძნობიარე ბოჭკოები ინერვირებს მხრის უკანა ზედაპირის კანს (n. cutaneus brachii posterior), წინამხრის დორზალური ზედაპირის კანს (n. cutaneus antebrachii dorsalis), მტევნის და ნაწილობრივ I, II და III თითების დორზალური ზედაპირს.

სიმპტომატოლოგია: მხრის მიდამოში სხივის ნერვის დაზიანება mm. extensores carpi radialis longus და brevis-ის დაზიანების გამო იწვევს ე.წ.

ჩამოყიდებული მტევანს. მტევნის და თითების გამშლელ ჯუნთებში, ასევე m. brachioradialis-სა და supinator-ში ვითარდება პარეზი. მუშტის შეკვრა გაძნელებულია. მტევნის ხუჭგზე აღინიშნება შეშუპება. მას გუბლერის (Gubler) შეშუპება ეწოდება. დაზიანების ჰოროსიმაღური გავრცელების შესაბამისად პარეზი მეტადაა გამოხატული გამშლელ ჯუნთებში. იღლიის მიდამოში დაზიანებისას აღგილი აქვს სამთავა ჯუნთის ფუნქციის დარღვევას. ამ დროს მკრთალდება სამთავას რეფლექსი.

მიკვლეულ ტესტებს შორის, რომელიც გამოიყენება სხივის ნერვის სადიაგნოზოდ აღსანიშნავია შემდეგი:

1) მტევნის და თითების გაშლის შეუძლებლობა
2) ცერის განზიდვის შეუძლებლობა
3) ერთად შეერთებული მტევნებისას გასწორებული თითებით დაზიანების მხარეს თითები არ იშლება და თითქოს "ცურავს" ჯანმთელი მტევნის ზედაპირზე.

ეტიოპათოგენეზი: ყველაზე ხშირი მიზეზია მოტეხილობები, უფრო იშვიათად ჯომბრესია. სუპინატორის სარქველის სინდრომი შეიძლება ტრავმული იყოს ცეცხლნასროლი ან ნაჩხვლეტი ჭრილობის შედეგად, ასევე ამოვარდნილობების და ვენური ინექციების დროს.

დიაგნოსტიკა: ხდება m. triceps და m. brachioradialis-ის ფუნქციის გამოკვლების შედეგად. ენმგ კვლევა საჭიროა პეროპარეზიულად და დინამიკაში დაკვირვების დროს.

დიფერენციული დიაგნოზი: უნდა გატარდეს ტყვიით ინტოქსიკაციის დროს განვითარებულ მონონეიროპათიასთან.

თერაპია: ფიზიოთერაპიული მკურნალობა, ჯერჯერობით - ელექტროსტიმულაცია ეფექტურია. თუკი აღნიშნული კონსერვატიული თერაპიის ფონზე ეფექტი არადამაკმაყოფილებელია, აუცილებელია ოპერაციული ჩარევა – ნეიროლიზისი, m. flexor carpi ulnaris-ის გადაადგილება.

პროგნოზი: ხელა დაზიანების დროს, უმრავლეს შემთხვევაში ეთილსაიმედოა და სრულად უკუგანვითარება. დისტალური დაზიანებისას, ქირურგიული ჩარევის შემთხვევაშიც კი – პროგნოზულად ცუდია.

N. medianus (მკლავებარე ნერვი) (C5, C6, C7, C8, D1).

შერეული ნერვია. მოტორული ფუნქცია ძირითადად განისაზღვრება m. pronatores და quadratus-ის ინერვაციით, რომელიც პრონაციაში მონაწილეობენ. m. flexor carpi radialis და m. palmaris longus-ის ინერვაციის შედეგად, აგრეთვე ახდენს მტევნის მოხრას ხელისგულისკენ (m. flexor carpi ulnaris-თან ერთად, რომლის ინერვაცია ხდება იდაყვის ნერვით). მისი საშუალებით ხდება I, II და III თითების მოხრა (m. lumbricales, flexor digitorum sublimis და profundus, flexor pollicis) და II და III თითების შეა და საბოლოო ფალანგების გაშლა (m. lumbricales).

მგრძნობიარე ბოჭკოები აინერვიულებს I, II და III და ნაწილობრივ IV თითების ხელისგულისმხრივ ზედაპირს, მათ შესაბამის ხელისგულის ზედაპირს და აღნიშნული თითების საბოლოო ფალანგების ჯანს.



ნახ. 25.5 მკლავებარე ნერვის (N. medianus) პროქსიმალური ნაწილის დაზიანება: "მაიმუნის თათისებური" მტევნის ფორმის შეცვლა, მგრძნობელობის მოშლა ხაზიანური ნაწილის $3_{1/2}$ თითში, ამავე თითების შეა და საბოლოო ფალანგები.

სიმპტომატოლოგია: პროქსიმალური დაზიანება ინვევს ე.წ. "მაიმუნის თათის" მაგვარი მტევნის განვითარებას. პრონაცია შეზღუდულია. იშვიათად, წინამხრის დონეზე ხდება ამ ნერვის მიჭყლეტა m. pronator teres-ით (ე.წ. pronator-teres-ის სინდრომი). ამ დროს ვითარდება პარესთეზია პირველ სამ თითში, ზოგჯერ ასევე ვითარდება ცერის განმზიდველი ჯუნთის და საბოლოო ფალანგის მომხრელი ჯუნთის პარეზი. იშვიათად არსებული ფალანგთაშორისი ნერვების (n. interosseus) დაზიანება ინვევს ცერის და II თითის საბოლოო ფალანგი მოხრის სისუსტეს მგრძნობელობის მოშლის გარეშე (interosseus-anterior სინდრომი).

კარპალური გვირაბული სინდრომი, რომელიც შუამდებარე ნერვის დაზიანებას ინვევს, ყველაზე ხშირად ვლინდება ღამის პერიოდში თითებში დაბუჟებით, რომელიც დროთა განმავლობაში ვრცელდება მტევანზე და მთელს წინამხარზე (brachialgia paraesthetica nocturna). პაციენტები ეჩივიან ღიღის საათებში

შეშუპებას და მოძრაობის შეზღუდვას თითებში. ტკივილს თითქოს ამცირებს ცივი, მასაჟი და ხელის "დაფეთხვა". ტიპიურია მტკივნეული ნეირეტილის არსებობა reitinaculum flexorum-ის არეში. ჰორცესის ჰოგჩესიჩებასთან ერთად ვითარდება პარესთეზიები ღამის საათებში. მოგვიანებით აღინიშნება ერთვის მგრძნობელობის მოშლა ცალიერის ზედაპირზე 3 1/2 თითებში, ამას ერთვის ტროფიკული მოშლა კანის და ფრჩხილების მიდამოში, m abductor pollicis brevis-ის და M. opponens pollicis, M. lumbricales I და II პარეზი და თენარის ატროფია. შუამდებარე ნერვის ნაწილობრივი დაზიანებისას ვითარდება კარპალური ტკივილი.

ეტიოპათოგენეზი: N. medianus-ის დაზიანება წინამხრის და მტრის მიდამოში ხშირად ცივი იარაღით ჭრილობისას. უფრო იშვიათი მიზეზია მოტეხილობების შედეგად განვითარებული კომპრესია. კომპრესია შეიძლება განვითარდეს წინამხრის ხშირი ჰიპერკინეზის და სუპინაციის მონაცვლეობითაც, მაგალითად, ჭანჭიკების დაჭერისას. მტევნის მიდამოში უფრო ხშირია კომპრესიის შედეგად ნერვის დაზიანება. ამ ნერვის დაზიანების ყველაზე ხშირი მიზეზი მაინც კარპალური გვირაბული სინდრომია – ამ დროს ნერვის კომპრესია ხდება canalis carpi-ს მიდამოში retinaculum flexorum-ის (ligamentum carpi transversum) ქვემოთ. კარპალური გვირაბული სინდრომი გვირაბულ სინდრომებს შორის ყველაზე ხშირია. მაჭიანი დიაბეტის დროს კარპალური გვირაბული სინდრომი ოთხჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ჯანსაღ პოპულაციაში. პაციენტების ნახევარში დამატებითა გვხვდება პოლინევროპათია. ოსტეოპორობის ჰირვე ტიპის ქალთა 25% აღწევს კარპალური გვირაბული სინდრომის ტიპიურ ჩივილებს. ბავშვებში ეს პათოლოგია იშვიათობაა.

დიაგნოსტიკა: გამოკვლევისას ისინჯება ჰიპერკინეზია მოხრილი წინამხრის პოზიციაში, თითების მოხრა და ცეხისა და ნეკის ოპოზიცია. ე.წ. "ბოთლის ნიშანი" ამ დროს დადებითია – ცეხის დიდი განმზიდავი კუნთის სისუსტის გამო შეუძლებელია ბოთლზე ხელის მოკიდება. ზედაპირული მგრძნობელობა დაქვეითებულია ცალიერის I, II და III თითების და IV თითის ცალიერა ზედაპირის, ხოლო მტევნის ზურგზე – შუა და საბოლოო ფალანგების მიდამოში. ხშირად, ამავე მიდამოში გამოხატულია ოფლის სეკრეციის დარღვევა (ჰიპო- ან ანჰიდროზი). კარპალური გვირაბული სინდრომის არსებობის დროს ვხვდებით ჰოფმან-ტინელის (Hoffmann-Tinel) ნიშანს: retinaculum flexorum-ის პერკუსია იწვევს ელექტროდენის დარტყმის შეგრძნებას მტევანში. ხშირად დადებითია ე.წ. ფალენის (Phalen) ნიშანი: მტევნის ვოლარული ზედაპირისკენ ფლექსია გაშლილი თითებით 30-40 წმ-ის შემდეგ იწვევს ტკივილს ან/და პარესთეზიას.

ელექტრონეიროგრაფიულად: ვლინდება დისტალური მოტორული ლატენციების გახანგრძლივება n. medianus-ის მიდამოში. დაქვეითებულია სენსორული გამტარებლობის სიჩქარე და ამპლიტუდა. კარპალური გვირაბის სივრცითი შესაძლებელია გაიზომოს CT-კვლევით. ბმრტ-კვლევით შესაძლებელია ნერვის მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა. გამომდინარე იქიდან, რომ გვირაბული სინდრომი უპირატესად მექანიკური დაზიანების შედეგია, ნაკლებად სავარაუდოა სომატური დაავადების არსებობა, თუმცა, აუცილებელია ღრმა ატროფიული კვლევების ნარმოება, რომელიც დაგვეხმარება სხვა (მაგალითად, მაჭიანი დიაბეტი) დაავადების გამორიცხვაში.

დიფერენციული დიაგნოზი: ცერვიკული სინდრომის დროს ხშირია პარესთეზიები ცალიერის ზედაპირზე. C7 ან C7/C8 ფესვების დონეზე კომპრესია ხშირად იწვევს ცეხის მიდამოში კუნთების ატროფიას, თუმცა, ამ დროს გვირაბული სინდრომისგან განსხვავებით, გვხვდება სამთავარა ჰიფექსის გამოვარდნა და მგრძნობელობის მოშლა წინამხრის მიდამოში. იშვიათად, თენარის ატროფია თანდაყოლილია და მემკვიდრეობით იზოლირებულ დაზიანებას წარმოადგენს. თითებში პარესთეზიის არსებობა გვხვდება სისხლის მიმოქცევის მოშლისას A. ბრაქიალის-ის აუზში ერგოტიზმის დროს (ერგოტამინის პრეპარატების ქარბი გამოყენება). ეს უკანასკნელი იწვევს n. medianus-ის იშემიურ დაზიანებას.

თერაპია: n. medianus-ის დაზიანების აღდგენა მიკროქირურგიულად ხდება. კარპალური გვირაბული სინდრომის დროს მონდობილია სანყის ეტაპზე კონსერვატიული მკურნალობა: ღამის პერიოდში მოძრაობის შეზღუდვის მიზნით სპე-

➡ კარპალური გვირაბული სინდრომი, რომელიც შეამდებარე ნერვის დაზიანებას იწვევს, ყველაზე ხშირად ვლინდება ღამის პერიოდში თითებში დაბუჟებით, რომელიც დროთა განმავლობაში ვრცელდება მტევანზე და მთელ წინამხარზე (brachialgia paraesthetica nocturna).

➡ მაჭიანი დიაბეტის დროს კარპალური გვირაბული სინდრომი ოთხჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ჯანსაღ პოპულაციაში. პაციენტების ნახევარში დამატებითა გვხვდება პოლინევროპათია

➡ გამოკვლევისას ისინჯება ჰიპერკინეზია მოხრილი წინამხრის პოზიციაში, თითების მოხრა და ცეხისა და ნეკის ოპოზიცია. ე.წ. "ბოთლის ნიშანი" ამ დროს დადებითია – ცეხის დიდი განმზიდავი კუნთის სისუსტის გამო შეუძლებელია ბოთლზე ხელის მოკიდება. ზედაპირული მგრძნობელობა დაქვეითებულია ცალიერის I, II და III თითების და IV თითის ცალიერა ზედაპირის, ხოლო მტევნის ზურგზე – შუა და საბოლოო ფალანგების მიდამოში.

ᲪᲮᲠ. 25.14 ᲯᲐᲮᲕᲐᲚᲘᲡᲘ ᲑᲕᲘᲠᲐᲑᲔᲚᲘ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ

მექანიკური	ჯომჰესია, ჯონსტიტუციისად ვიწრო ჯახვალისი გვირაბი, მტევნის მოტეხილობა და ამოვარდნილობა
ენდოკრინულ-მეტაბოლური	შაქრიანი დიაბეტი, ცუმია, უროემია, აცეტონემია, მიქსედემა, ოსტეოპოროზი, ოვულაციის ინჰიბიტორების მიღება, ენიმაქტისული პეჩიოდი, პირველადი ამილოიდოზი, მეტაპოლისაქარიდოზი
ეგზოგენურ-ტოქსიკური	ალკოჰოლი
ანთებითი	ტენდოვაგინიტი, ბურსიტი, ტუბერკულოზი, ლეპრა
ნევმატიული	პოლიართრიტი, სისტემური წითელა მგლურა
ვასკულური	თრომბოზი, იშემია, ჰემატომა (ანტიკოაგულანტების მიღების ფონზე), არტერიულ-ვენური ფისტულა (დიალიზის დროს)

ი. mediaNus-ის დაზიანების აღ- გენა მიკროქირურგიულად ხდება. ჯახვალისი გვირაბული სინდრომის დროს მონოდებულია სანყის ეტაპზე ჯონსერვატიული მკურნალობა: ღამის პეჩიოდში მოძრაობის შეზღუდვის მიზნით სპეციალური არტამნების დადება. პერენიზოლონის ინიექცია ჯახვალის არხში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ არის ჩვენებული. არჩევის მეთოდია აღნიშნული ქირურგიული დეკომპრესია. ამ ოპერაციის დროს ხდება ligamentum carpi transversum-ის გახლეჩვა და ი. mediaNus-ის გამოთავისუფლება.

პროგნოზი: პაციენტთა სამ მეოთხედში, მიუხედავად ნამატებული ოპერაციული ჩარევისა, მტევნის ფუნქციის სრული აღდგენა შეუძლებელია. ზოგჯერ ჯონსერვატიული ღონისძიებებიც ჯერ საკმარისია იმისათვის, რომ აღდგეს ნერვის ფუნქცია და უკუგანვითარდეს ჩივილები. აღნიშნული ოპერაციული ჩარევისას, მოსალოდნელია მგრძნობელობის მოშლის და პარეზის სრული უკუგანვითარება. ხშირია ჯახვალისი გვირაბული სინდრომის ალცდივი მეორე მტევანზე.

N. ulNaris (იდაყვის ნერვი) C8 – Th1

შერეული ნერვია. მოტორული ფუნქცია მოიცავს მტევნის ხელისგულისკენ მოხრას (m. flexor carpi ulNaris), V, IV და ნაწილობრივ III თითების მოხრას (m m. lumbricales, flexor digitorum profuNdus, interossei, flexor digiti V brevis), თითების მოხრას და გაშლას (mm. interossei) და ცერის მოზიდვას (m. addductor pollicis), გარდა ამისა, თითების შუამდებარე და საბოლოო ფალანგების გაშლა mm. lumbricales, interossei). მგრძნობიარე ბოჭკოები ახდენენ მტევნის ულნარული ნაწილის კანის, V და ნაწილობრივ IV, იშვიათად III თითების კანის ინერვაციას.



ᲪᲮᲠ. 25.6 ᲘᲓᲐᲧᲕᲘᲡ ᲜᲔᲕᲠᲘᲡ (N. ulNaris) ᲖᲘᲠᲜᲘᲡᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲐ: ᲒᲐᲜᲒᲠᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲢᲔᲕᲜᲘ. Mm. interossei-ს და M. adductos polici-ის პარეზით. მგრძნობელობა მოშლილია V თითის ორივე ზედაპირზე, ასევე IV თითის ულნარულ და დორზალურ ზედაპირზე, III თითის შუა ფალანგის ჩათვლით.

სიმპტომატოლოგია: პერიფერიული ნერვების დაზიანებიდან იდაყვის ნერვის პარეზი ყველაზე ხშირად გვხვდება. ამ ნერვის პარეზის დროს ვითარდება ე.წ. ბრჭყალისებური მტევანი – IV და V მკრივად განზიდული თითები ძირითად ფალანგში გაშლილია, შუა და საბოლოო ფალანგები – მოხრილი. ამის მიზეზია ჭიისებური კუნთების (mm. lumbricales) პარეზი. N. ulNaris-ის ჰორიზონტალური პარეზის დროს, (sulcus ulNaris-ის სინდრომი) ზემოაღნიშნული გარდა, აგრეთვე აქვს მგრძნობელობის მოშლას მხრის და წინამხრის გარეთა ზედაპირზე და III, IV და V თითების ულნარულ ზედაპირზე, ჰიპოთენარის და თითებსშორისი კუნთების ატროფიას. თვალშისაცემია I თითის spatium introsseum-ის გასადგმება და ცერის ძირითადი ფალანგის ჰიპერექსტენზია - ჟანის (Jeanne) ნიშანი. წინამხრის შუა და ქვედა მესამედში დაზიანების დროს შენარჩუნებულია M. ფლეხორ ცარპი ულნარის, m flexor digitorum profuNdus-ის ინერვაცია, რის შედეგადაც შენარჩუნებულია მტევნის წინამხრისკენა მოხრა და V და IV თითების საბოლოო ფალანგების მოხრა. სამაგიეროდ, იზრდება მტევნის "ბრჭყალისებური" ცვლილება. მკურნალური დარღვევების განსაზღვრის მიზნით, მონოდებულია შემდეგი ძირითადი ცდები:

- მუშტის შეკვრისას V, IV და ნაწილობრივ III თითები ახასიათებს ხრება;
- V თითის საბოლოო ფალანგის მოხრა შეუძლებელია (ან ნებით მაგიდის, მაგიდის ან სანინააღმდეგო მხარის მტევნის „მოფხაჭნა“);
- შეუძლებელია თითების მოზიდვა, განსაკუთრებით ეს ეხება IV და V თითებს;
- ცერა თითის, იგივე ფრომენის ცდა (იხ. ქვემოთ).

ეტიოპათოგენეზი: ყველაზე ხშირია კომპრესია იდაყვის ან მტევნის მიდამოში (მოტეხილობის ან ნარჯოზის შემდგომი პრეზის გამო). ზოგჯერ პრეზის მიზეზია ამოვარდნილობა თვით იდაყვის ნერვის იდაყვის ნერვის არხიდან (sulcus ulnaris). იდავის არხის სინდრომის (sulcus ulnaris syndrom) სხვა მიზეზია ნერვის ქრონიკული ანთებითი და დეგენერაციული პროცესები. იშვიათი, მაგრამ ასევე აღსანიშნავი ფაქტორია იდაყვის სახსრის ხშირი და ქრონიკული მოძრაობა (მოხრა-გაშლა). გიონის (Guyon) სინდრომი გამოწვეულია მტევნის მიდამოში N. ulnaris-ის კომპრესიით ligamentum carpi palmare-თი (“Loge de Guyon”).

დიაგნოსტიკა: გამოკვლევისას თვალშისაცემია m . adductos polici-ს პრეზი. დავალებაზე, პაციენტმა ცერის და საჩვენებელი თითის დახმარებით გახროს ფურცელი, პრეტენზიული მხარეს მოზიდვის ფუნქციის დარღვევის გამო, ცერის საბოლოო ფალანგით ხდება ქაღალდის დაფიქსირება (ფრომენის -Froment ნიშანი). გარდა ამისა, სახეზეა III, IV თითების mm. lumbricale-ის და mm. interossei-ს ატროფია. ისევე, როგორც ულნარული ფლექსია, ასევე ხელის მოხრა და V თითის ადდუქცია შეზღუდულია, ასევე შეუძლებელია IV და V თითების საბოლოო ფალანგების გაშლა. n. ulnaris-ის ტოტის – r. profundus-ის იზოლირებული დაზიანება მოსალოდნელია ჰიპოთენარის ატროფიის განვითარება, ვინაიდან თენარის ინერვაცია სხვა ტოტით ხდება. იდაყვის არხის დამიზნებითი ჩენტგენოგრაფია ზოგჯერ ავლენს ოსტეოფიტებს, რომელიც კომპრესიის მიზეზი ხდება.

დიფერენციული დიაგნოზი: იდაყვის ნერვის დაზიანების დროს არსებული სიმპტომები უნდა გაიმიჯნოს C8 სეგმენტის დაზიანების სინდრომისგან. ამ უკანასკნელის გამომწვევ მიზეზებს შორის ყველაზე ხშირია ცერვიკული დისკოპათია. ტრომნერის ჰეფლექსი და სამთავის ჰეფლექსი ამ დროს დაქვეითებულია. აუცილებელია დიფერენცირება ორმხრივად არსებული დუპუიტრენის (Dupuytren) კონტრაქტურებისგან, რომლის დროს დამახასიათებელია პალმარული მყესის ზომაში შემცირება და უნარჯერი თითების დისტონია. ასევე დიფერენცირებაა საჭირო ფოლკმანის (Volkmann) კონტრაქტურისგან – კუნთის იშემიური კონტრაქტურა იდაყვის თავის ფრაქტურის, ჰემატომის ან ცრიკულარული გიფსის ნახვევის დადების შედეგად. ამ დროს ზიანდება უპირატესად მტევნის მომხრელები და მტევნის ნვრილი კუნთები. დიფერენციული დიაგნოზისას გასათვალისწინებელია გვერდითი ამიოტროფიული სკლეროზის დიაგნოზიც, თუმცა ამ პათოლოგიის დროს მგრძნობელობის მოშლა არ გვხვდება.

თერაპია და პროგნოზი: ყველა შემთხვევაში აუცილებელია მხრის დაზოგვა, ანუ ქრონიკული ზეწოლის და დაზიანების თავიდან აცილება,. ზოგჯერ საჭირო ხდება ნევრის ოპერაციული დეკომპრესია, განსაკუთრებით, როდესაც დაზიანება იდაყვის სახსრის მიდამოშია. ოპერაციული პროექციის შემდეგ პროგნოზი კეთილსაიმედოა.

N. cutaneus brachii medialis (წინამხრის კანის მედიალური ნერვი) C8-D1/D2 – მგრძნობიარე ნერვია, მისი საშუალებით ხდება წინამხრის შიგნითა ზედაპირის კანის ინერვაცია. მისი დაზიანებისას ვითარდება მგრძნობელობის მოშლა შესაბამის საინერვაციო მიდამოში.

N. cutaneus antebrachii medialis (მხრის კანის მედიალური ნერვი) C8-D2 – მგრძნობიარე ნერვია, მისი საშუალებით ხდება მხრის შიგნითა ზედაპირის ინერვაცია. დაზიანების შემთხვევაში ალმოცენდება მგრძნობელობის მოშლა და ტკივილი შესაბამის საინერვაციო მიდამოში. ამ ნერვის იზოლირებული დაზიანება იშვიათია. მისი დაზიანება მხრის ნაწილის დაზიანების დროს ინფორმატიულია ლონის გასაზღვრის მიზნით.

➡ ყველაზე ხშირია კომპრესია იდაყვის ან მტევნის მიდამოში (მოტეხილობის ან ნარჯოზის შემდგომი პრეზის გამო). ზოგჯერ პრეზის მიზეზია ამოვარდნილობა თვით იდაყვის ნერვის იდაყვის ნერვის არხიდან (sulcus ulnaris). იდავის არხის სინდრომის (sulcus ulnaris syndrom) სხვა მიზეზია ნერვის ქრონიკული ანთებითი და დეგენერაციული პროცესები

➡ იდაყვის ნერვის დაზიანების დროს არსებული სიმპტომები უნდა გაიმიჯნოს C8 სეგმენტის დაზიანების სინდრომისგან. ამ უკანასკნელის გამომწვევ მიზეზებს შორის ყველაზე ხშირია ცერვიკული დისკოპათია.

ᲒᲣᲚᲛᲙᲔᲓᲘᲡ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲐ


Nn. thoracici შეიცავს სპინალური ნერვებია, რომლის შექმნაში მონაწილეობს D1-D12 ფესვები. ისევე როგორც ყველა სპინალური ნერვი, ისინიც ნეკნთაშუა სივრცეში თავსდება და იყოფენ წინა და უკანა ტოტებად. I და II თორაკალური ნერვების წინა ტოტები მონაწილეობას იღებს მხრის, ხოლო XII ნერვის წინა ტოტები – ნეღის წნულის ნაწარმოქმნაში. უკანა ტოტები rr. posteriores (იგივე dorsales) ახდენენ ზურგის კუნთების და ზურგის კანის ინერვაციას.

წინა ტოტებად rr. anteriores (იგივე ventrales) წარმოდება ნეკნთაშუა ნერვები – nn. intercostales. rr. comunicantes-ის საშუალებით ისინი დაკავშირებულია სიმპათიური ღეროს განგლიებთან. ნეკნთაშუა ნერვების მოტორული ბოჭკოები (ზედა ექვსი სეგმენტი) ინერვირებს გულმკერდის კუნთებს, რომლებიც მონაწილეობენ სუნთქვით აქტში (m.m. serrati, levatores costarum, intercostales, subcostales, transversus thoracis). ქვედა ექვსი სეგმენტიდან დაწყებული ნერვები ახდენს მუცლის პრესის კუნთების ინერვაციას (mm. recti, obliqui და transversi abdominis).

ნეკნთაშუა ნერვების დაზიანების შემთხვევაში ვითარდება ტკივილი და მგრძნობელობის მოშლა შესაბამის ზონებში, ხოლო ქვედა ნერვის დაზიანების შემთხვევაში – მუცლის პრესის კუნთების პარეზი და მუცლის კანის ჰეფლექსების გამოვარდნა. ნეკნთაშუა ნევრალგია შეიძლება მნიშვნელოვანი ინტენსივობის იყოს. აქვს შემოსაზღვრითი ხასიათი. მაღთაშუა კვანძების დაზიანებისას ვითარდება განგლიონევრიტი, რომელიც თანხლებულია ნვრიბუშტუკოვანი გამონაყარით შესაბამის საინერვაციო მიდამოში. ღრ. დორსალეს-ის დაზიანების დროს, თუკი დაზიანება ეთერდროულად მხარეა ნერვს მოიცავს, ვითარდება ზურგის გრძელი კუნთის პარეზი, ტორტოზი, ტოროს მოძრაობის შეზღუდვა და მგრძნობელობის მოშლა ზურგის მიდამოში.

ᲜᲔᲦᲘᲡ ᲜᲬᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲐ

ნეღის წნული შედგება L1, L2, L3 და ნაწილობრივ L4 და D12 სპინალური ნერვებისგან. წარმოქმნის ნეღის 3 მარყუჟს (ansae): პირველი შედგება L1-L2, მეორე – L2-L3 და მესამე – L3-L4-სგან. წნული m. psoas major-ის უკან და ნეღის მაღების განივი მორჩების წინაა მოთავსებული. ნეღის წნულის დაზიანება ინვევს ბარძაყის და დამხრჩობი ნერვის კომბინირებულ პარეზს და ბარძაყის კანის ლატერალური კუნთის ფუნქციის მოშლას. იგივე სურათი ვითარდება L1-L2 ფესვების დაზიანებისას; L5 ფესვის დაზიანებისას, რომელიც გავის წნულის შემადგენლობაში შედის აღნიშნულს ისრიბირებულად m. tibialis anterioris დაზიანების ნიშნები (L5 – ტერფის ზურგისკენ მოხრა იგივე ტერფის გაშლა).



ნახ. 25.7 PLEXUS LUMBOSACRALIS


1. თეძო-მუცლის ნ. (N. iliohypogastricus)
2. თეძო-სასქესო ნ. (N. ilioguinalis)
3. სასქესო-ბარძაყის ნ. (N. genitofemoralis)
4. ბარძაყის კანის ლატერალური ნ. (N. cutaneus femoralis lateralis)
5. სასიცოცხლო ნ. (N. pudendus)
6. ჯერჯერის ნ. (N. supraclaviculares)
7. ბარძაყის კანის ლატერალური ნ. (N. cutaneus femoralis posterior)
8. დამხრჩობი ნ. (N. obturatorius)

N. femoralis (ბარძაყის ნერვი) L2-L4 (ნაწილობრივ L1)

შერეული ნერვია. მოტორული ბოჭკოები ინერვირებს m. iliopsoas, m. quadriceps femoris და სხვა. მგრძნობიარე – ბარძაყის წინა ზედაპირის ქვედა ორი მესამედის კანს და წვივის წინა-მედიალურ ზედაპირს – მისი ტოტის – საჩინო ნერვის (N. saphenus) საშუალებით.


პერპერატის ოგის ქვემოთ ამ ნერვის დაზიანების დროს შეუძლებელია წვივის გაშლა, ჰიპოტროფია შესამჩნევია ოთხთავა კუნთის მიდამოში, გამოვარდნილია მუხლის რეფლექსი, მოშლილია მგრძნობელობა საჩინო ნერვის სანერვაციო მიდამოში.

პერპერატის ოგის ზემოთ ამ ნერვის დაზიანებისას ზემოაღნერილ სიმპტომებს ერთვის მგრძნობელობის მოშლა ბარძაყის წინა ზედაპირზე, ხოლო ძალიან მაღალი დაზიანებისას – ზიანდება m. iliopsoas-ს ფუნქცია: ბარძაყის მოხრა (მუცლისკენ მიტანა) შეუძლებელია, ასევე შეზღუდული ან შეუძლებელია ტორსის ახრდა მწოლიარე მდგომარეობაში. ავადმყოფს ეცვლება და უჭირს სიარული.




სინდრომი: L4 სეგმენტი
პარეზი: ბარძაყის ოთხთავა და დიდი წვივის წინა კუნთები (mm. quadriceps et tibialis anterior)
დეგენერატომი: ბარძაყი, ღრუედიდან, წვივი მედიალურად

ამ ნერვის გაღიზიანებისას აღმოცენდება ვასერმანის (Wassermann) სიმპტომი: პაციენტი წევს მუცელზე, პასიურად ვწევთ გაშლილ ფეხს ან ვხრით ფეხს მუხლის სახსარში, რაც ინვევს ტკივილს საზარდულის მიდამოში ან ბარძაყის წინა ზედაპირზე, ნერვის გაყოლებაზე (n. femoralis-ის დაჭიმვის გამო). ამავე ნერვის დაზიანებაზე მიუთითებს მასცევიჩის სიმპტომი: ხელგზე მწოლიარე პაციენტის ზედა კიდურის მუხლში მოხრა და ფეხის ზემოთ ანევა ინვევს ტკივილს ბარძაყის წინა ზედაპირზე. სიარული ახის მხტუნავი.



სინდრომი: L3 სეგმენტი
პარეზი: ბარძაყის ოთხთავა, ასევე თეძო-სართის კუნთები (mm. quadriceps et iliopsoas)
დეგენერატომი: დიდი ციბრუტიდან ქვემოთ ბარძაყის ღრუედიდან წილიდან მედიალურ მხრივამდე



სინდრომი: L5 სეგმენტი
პარეზი: ფეხის ცერის გრძელი მომხრელი და თითების მოკლე გამშლელი კუნთები (mm. extensor hallucis longus et extensor digitorum brevis)
დეგენერატომი: ბარძაყიდან ქვემოთ მუხლის სახსარში, წვივის გარეთა ზედაპირის ჩაყოლებით, ტერფის დორზალური ნაწილი ცერის და მომდევნო თითის ჩათვლით

ეტიოპათოგენეზი: იატროგენული დაზიანებასთან ერთად (არტერიოგრაფია, პენდექტომია, იშვიათად ჰერნიოტომია) ხშირია ამ ნერვის ტომპერსია თაბაშირის ნახვევით. შეღებით იშვიათ მიზეზს წარმოადგენს ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობა. ღრეჯ უფრო იშვიათია მენჯის ღრუს მიდამოში სიმსივნეები, ჰემატომები ან აბსცესები

დიაგნოსტიკა: ბარძაყის მომხრელების პარეზი და მუხლის რეფლექსის გამოვარდნა აუცილებლად მოითხოვს ბარძაყის ნერვის დაზიანების გამოკვლევას. განსაკუთრებით, როდესაც აღნიშნულს ემატება მგრძნობელობის მოშლა ბარძაყის წინა ზედაპირზე და წვივის შიგნითა ზედაპირზე.



სინდრომი: S1 სეგმენტი
პარეზი: მკვრივე წვივის, კანჭის სამთავა და დიდი დუნდული კუნთები (mm. peronei, triceps suae et gluteus maximus)
დეგენერატომი: ბარძაყის და წვივის უკანა ზედაპირი, ტერფის გარეთა და ქვედა ზედაპირი

თერაპია: მიმართულია დაზიანების გამომწვევი დაავადების მკურნალობისკენ. გარდა ამის ზოგჯერ საჭირო ხდება ნერვის ქირურგიული აღდგენა. პროგნოზი ხელსაყრელია, თუმცა ერთეულ შემთხვევაში შესაძლებელია კაუზალგიის განვითარებაც.

N. obturatorius (ბარძაყისა ნერვი) L2-L4 – შერეული ნერვია. მოტორული ბოჭკოები ინერვირებს ბარძაყის მომხრელ კუნთებს mm. adductores და m. obturatorius externus). მგრძნობიარე ბოჭკოები (r. cutaneus n. obturatorii) ინერვირებს ბარძაყის შიგნითა ზედაპირის ქვედა ნახევარს. ამ ნერვის დაზიანების შემთხვევაში შეუძლებელია ფეხის მოხრა, ფეხის ფეხზე გადადება, ფეხის შიგნით-

ჯენ მობჩენება. მგჩძნობიარე ბოჭკოებს დაზიანების შედეგად ვითარდება მგჩძნობელობის მოშლა ბარძაყის შიგნითა ზედაპირზე. ამ ნერვის დაზიანება ხშირია ბარძაყის თავის და მენჯის მიდამოს მოტეხილობების და თიაქრის ჩაქედვისას. ზოგჯერ, ამ ნერვის დაზიანება გვხვდება ჰოსტოპერაციულად.

N. cutaneus femoris lateralis (ბარძაყის ჯანის გარეთა ნერვი) L2-L3

მგჩძნობიარე ნერვია. აინერვირებს ბარძაყის გარეთა ზედაპირის ჯანს. ნერვის დაზიანებისას ვითარდება მგჩძნობელობის მოშლა მის საინერვაციო მიდამოში. ნერვის გაღიზიანება იწვევს პარესთეზიას, დაბუჟების, ქიანქველების ცოცვის, ჩხვლეტის სახით, ჯანის შესაბამის უბანში. აღნიშნულ დაზიანებას ბარძაყის ტკივილი – მეჰალგია პარაესთეტიცა ანუ ჰოტის (ლოტჰ) დაავადება ეწოდება. ძალიან ხშირია ვიწრო შარვლის ან სარტყლის გამოყენებისას (ე.წ. ჯინსის დაავადება).

N. genitofemoralis (ბარძაყ-სასქესო ნერვი) L1-L2

შერეული ნერვია. მისი მოტორული ბოჭკოები ანერვირებს m. cremaster-ის და tunica dartos-ის ინერვაციას, მგჩძნობიარე – ბარძაყის წინა და შიგნითა ზედაპირის ჯანს, მის ზედა მესამედში.

ნერვის დაზიანებისას გამოვარდება ჯემასტერის რეფლექსი და ვითარდება მგჩძნობელობის მოშლა შესაბამის საინერვაციო მიდამოში. ამ ნერვის დაზიანება ხშირია ჰერნიოტომიის დროს.

ᲑᲐᲕᲨᲘᲡ ᲬᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘ

გავის წნელი წარმოქმნება L5, S1, S2 და ნაწილობრივ L4 და S3 სპინალური ნერვების ბოჭკოებისგან. შედგება ორი ქვედა წელის და ორი ზედა გავის მარყუჟისგან: L4-L5, L5-S1, S1-S2 და S2-S3. ეს წნელი გავის ძვლის წინა ზედაპირზეა მოთავსებული. ამ წნელიდან გამომავალი ნერვები, გავის დიდი ხვრელის საშუალებით ტოვებენ წნელს. L4 სპინალური ნერვის წინა ტოტების საშუალებით წელის წნელი უერთდება გავის წნელს.

N. Ischiadicus ადამიანის სხეულის ყველაზე დიდი ნერვია. იგი შერეული ნერვია. იძლევა ორ ტოტს: ნერვის დიდ და მცირე ნერვებს. მისი მაღალი დაზიანებისას, საჯდომი ნაოჭის ზემოთ, ქუნთების ფუნქციის მოშლასთან ერთად, ვითარდება ნერვის მომხრჩელი ქუნთების დაზიანებაც (mm. biceps femoris, semitendinosus და semimembranosus). ესთეზია (N. saphenus-ის საინერვაციო მიდამოს გარდა).

N. ischiadicus (საჯდომი ნერვი) (ნაწილობრივ L4) L5-S1, S2 და S3

ადამიანის სხეულის ყველაზე დიდი ნერვია. იგი შერეული ნერვია. იძლევა ორ ტოტს: ნერვის დიდ და მცირე ნერვებს. მისი მაღალი დაზიანებისას, საჯდომი ნაოჭის ზემოთ, ქუნთების ფუნქციის მოშლასთან ერთად, ვითარდება ნერვის მომხრჩელი ქუნთების დაზიანებაც (mm. biceps femoris, semitendinosus და semimembranosus). ამასთან ერთად, ხშირია n. cutanei femoris posterioris – ის დაზიანებაც. საჯდომი ნერვის სრული დაზიანებისას გამოვარდება ორივე მისი ტოტის ფუნქცია, რომლის გამოვლინებასაც წარმოადგენს ტერფის და ფეხის თითების სრული დამბლა, აქილევსის რეფლექსის გამოვარდნა და მთელი ნერვის და ტერფის ან

N. ischiadicus-ის დაზიანება ხასითდება ძლიერი ტკივილით. დამახასიათებელია ღასეგის ნიშანია: თუკი ხელგზე მწოლიარე ავადმყოფს ფეხს პასიურად მოვუხრით მენჯ-ბარძაყის სახსარში და ავუწევთ მუხლის სახსარში გასწორებულ ქვედა კიდურს, აღმოცენდება ტკივილი საჯდომი ნერვის გაყოლებაზე, ანუ ბარძაყის და ნვივის უკანა ზედაპირზე (პირველი ფაზა); თუკი ფეხს მოვხრით მუხლის სახსარში, შემდგომი მოხრა მენჯ-ბარძაყის სახსარში უმტკივნეულოა (მეორე ფაზა).

ანატომიურად საჯდომის ნერვის გაყოფა ნვივის დიდ და მცირე ნერვებად ხდება მუხლქვეშა ფოსის ზედა ნაწილში. თუმცა, ამ ნერვების გარეკვეული სუბეპინევრიალური დაყოფა მცირე მენჯის ღრუშივეა თვალსაჩინო. ასეთი მსხვილი ნერვის სრული დაზიანება იშვიათია. უფრო ხშირია რომელიმე მისი ნაწილის უპირატესი დაზიანება.

ეტიოპათოგენეზი: საჯდომი ნერვის დაზიანებას ინვევს იატროგენული მიზეზები (ოპერაციები ბარძაყის სახსრის მიდამოში, ინექციები), მენჯ-ბარძაყის სახსრის და ნვივის მიდამოს ამოვარდნილობა და მოტეხილობა, ჰემატომები, ცეცხლსასროლი ჭრილობები ან ამავე მიდამოში არსებული სიმსივნე.

დიაგნოსტიკა: ინექციის შემდგომი დაზიანება უმეტესად ინექციის ადგილას ვითარდება, ახასიათებს უძლიერესი ტკივილი და უპირატესად პერონეალური პარეზი. აქილევსის ჰეფლექსი გამოვარდნილია. ტერფის მიდამოში ანჰიდროზი ამყარებს დიაგნოზს. ენმგ-იული მონაცემებით ადგილი აქვს დენერვაციას მეხის მომხრელებში, ასევე ნვივის და ტერფის მომხრელებში. ნელა პროგრესირებადი პარეზის დროს აუცილებლად გამოსარიცხია სიმსივნე.

დიფერენციული დიაგნოზი: დისკოპათია, რომელიც თანხლებულია ღუმბოშიაღგიით, დაზიანებულ დერმატომში მგრძნობელობის მოშლით და პარეზით, ხასოდეს არ არის ოფლის გამოყოფის მოშლით თანდართული. ამის მიზეზია ის, რომ ჰიდროულეური სინდრომის დროს სუდოსეკრეტორული ბოჭკოები, რომელიც გვერდითი სვეტიდან იღებს სათავეს, არ ზიანდება.

თერაპია: ინექციის შედეგად განვითარებული პარეზის მკურნალობის მიზნით მონოდებულია დაზიანების არეში ფიზიოლოგიური სითხის ინექცია, ხათა მოხდეს შეყვანილი მედიკამენტის განზავება. ამ გართულების თავიდან აცილების მიზნით მონოდებულია სწორი ტექნიკის გამოყენება – ინექცია აუცილებელია მოხდეს m. gluteus medius et minimus-ის წინა, ვენტრალურ მიდამოში. ნერვის გახლეჩვის ან ჭრილობის შემთხვევაში, აუცილებელია ქირურგიული ჩარევა.

პროგნოზი: მკურნალობის გარეშე პროგნოზი არაკეთილსაიმედოა. ხშირია ფეხის, განსაკუთრებით ტერფის უღონობა, რომელიც მოითხოვს ნვივის ამპუტაციას.

N. peroneus (ნვივის მცირე ნერვი) L4-S1

შერეული ნერვია, საჯდომი ნერვის ერთ-ერთი მთავარი ტოტია. მოტორული ბოჭკოები ახდენენ ტერფის გამმღილების – m.M tibialis anterior, თითების გამმღილებს - mm. extensiores digitorum და ტერფის გარეთ როტაციაში მონაწილე კუნთებს – mm. peronei. მგრძნობიარე ბოჭკოები აინერვირებს ნვივის გარეთა ზედაპირის (n. cutaneus suae lateralis) და ტერფის და თითების ზურგს.

ნვივის მცირე ნერვის დაზიანებისას შეუძლებელია ტერფის ზურგისკენა ფლექსია ანუ გაშლა, ასევე თითების გაშლა, ტერფის გარეთ როტაცია. აქილევსის ჰეფლექსი შენახულია.

მგრძნობელობის მოშლა ვითარდება ტერფის გარეთა ზედაპირზე და ტერფის ზურგზე.

ღრმა მგრძნობელობა, კერძოდ პროპრიოცეპტული მგრძნობელობის მოშლა არ ვითარდება, გამომდინარე იქიდან, რომ ამ მგრძნობელობის ინერვაციას ახდენს n. tibialis. ტკივილი უმნიშვნელოა ან არ ვლინდება. ასევე არ ვლინდება ტროფიკული ცვლილებები.

ტერფი დაზიანების მხარეს ჩამოკიდებულია, ოდესაც მობრუნებულია შიგნით, თითები მოხრილია (pes equinovarus). ნვივის მიდამოში გამოხატულია კუნთების ატროფია. სიარული ხდება ძალზე ტიპიური – პერონეული, "მამლისებური", ე.წ. "Steppage": პაციენტი, იმისათვის რომ არ ნამოდოს ტერფი იატაკს, მაღლა სწევს ფეხს და კერძ ფეხის ნვეებზე დგება, შემდეგ ტერფის გარეთა კიდით და ბოლოს ფეხისგულით.

ეტიოპათოგენეზი: იატროგენული დაზიანების გარდა (მენისკექტომია, საოპერაციო მაგიდაზე ხანგრძლივი, არასწორი მდებარეობა), პერონეული დაზიანება ხშირია მოტეხილობების და მუხლის სახსრის ამოვარდნილობისას. ამ ტიპის ტრავმები ხშირია სპორტსმენებში და ფეხის ფეხზე ხანგრძლივი გადაჯვარედინებისას ("crossed legs palsy"). იშვიათად, ნვივის მცირე ნერვის დაზიანება ვითარდება ე.წ. ტარზალური გვირაბული სინდრომის დროს. ამ სინდრომისას ნერვის ჯომპრესია ხდება ligamentum cruciatum crusis-ის საშუალებით.

